ᲓᲘᲓᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲘ

პროგრამის ხელმძღვანელი და
მთავარი რედაქტორი **ზაზა აბზიანიძე**

გოჩა საითიძე

ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილი

(დოკუმენტური თხრობა)

„დაუცადებლად იზრუნე მისთვის, რომ ის, რასაც დღეს აკეთებ, აკეთო ისე, როგორც შეჰფერის რომაელს და მამრს – ჭეშმარიტი სიდინჯით და სიდარბაისლით, კაცთა მიმართ სიყვარულით, სრული თავისუფლებითა და სიმართლით, ხოლო განირიდე ყველა სხვა საზრუნავი. შენ შესძლებ ამას, თუ ყოველ საქმეს აღასრულებ, როგორც უკანასკნელს შენს სიცოცხლეში“.

მარკუს ავრელიუსი – „ფიქრები“.

თბილისი – 2012

UDC (უაკ) UDC (უაკ) 94(479.22)+929(479.22)
ს-18



„საოჯახო ბიბლიოთეკა“

ISSN 1987-989X
ISBN 978-9941-438-06-6

I თავი — ცხოვრება-მოღვაწეობა საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაპყრობამდე (1888-1921 წ. თებერვალ-მარტი)

„როცა 1921 წელს საქართველოს დიდი ეროვნული კატასტროფა ეწვია, როდესაც საქართველოს მთავრობა იძულებული იყო თავისი ტერიტორია დაეტოვებინა, როდესაც დაშლილი იქნა ქართული ჯარი და დამფუძნებელი კრება გარეკილი, როდესაც დევნილ იქნენ პოლიტიკური პარტიები, ხოლო ეროვნული და საზოგადოებრივი დაწესებულებანი მოსპობილი, როდესაც მტერმა აღკვეთა საზოგადოებრივი ცხოვრება, ხოლო საზოგადოებრივი აზრის გამოთქმის უფლება სავსებით აკრძალა — ჯერი მიდგა პიროვნებაზედ, რომელიც ასეთ მძიმე პირობებში, ერის მისწრაფებას და მის იდეალს საჯარო მოქმედებით გამოხატავდა. ეს მისწრაფება არის საქართველოს დამოუკიდებლობა და ეს პირი იყო თავადი ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი!“ — ეს ცნობილი ქართველი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწის — შალვა ამირეჯიბის სიტყვებია, წარმოთქმული ქაქუცას დაკრძალვაზე.

ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის ყველა თანამედროვე აღიარებდა მის პიროვნულ მიმზიდველობას: ის იყო ქართველი რაინდის განსახიერება ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით — ლამაზი, დახვეწილი სწორი ნაკვთებით, არისტოკრატული ქცევებითა და ამაყი მზერით, დინჯი, დარბაისელი, უაღრესად კეთილი, ზნეობრივად ამაღლებული, უშიშარი, მაგრამ, ამავდროულად, ფრთხილი და გონიერი. იგი გამოირჩეოდა თავდაჭერით, ქალებთან რაინდული დამოკიდებულებით, ცხენზე ჯდომითა და ჯირითით. საოცრად კარგად ცეკვავდა, ყველასთვის დაუვიწყარია მის მიერ შესრულებული „ლეკური“.

ქაქუცას მეგობარი, „შეფიცულთა“ რაზმის წევრი ალექსანდრე სულხანიშვილი მის შესახებ წერდა: „ქაქუცა ჩოლოყაშვილი... ისეთი თვისებებით დაეჯილდოებინა ბუნებას, ათას კაცში რომ აგერიათ, სრულიად უცნობი ადამიანიც კი მიაქცევდა მას ყურადღებას. ის ძალიან უყვარდათ ჯარისკაცებს და მათი საერთო პატივისცემით სარგებლობდა კიდეც. როგორი მხდალიც არ უნდა ყოფილიყო ჯარისკაცი, საუკეთესო ვაჟკაცად იქცეოდა ქაქუცას ხელში. უდავოდ, მხედრად იყო იგი დაბადებული“ (106. 272).

კიდევ ერთი შეფიცული — ელიზბარ მაყაშვილი აღნიშნავდა: „ჩვენს პატარა, ტურფა ქვეყანას მრავალი ბრძოლა უწარმოებია შემოსეულ მტერთან და ამ ბრძოლების მონაწილე გმირთა სახელები ლეგენდად

არის ქცეული ქართველი ხალხის მეხსიერებაში. ქაქუცა ჩოლოყაშვილიც ერთი იმათგანია; მისი სახელიც ლეგენდასავით გავიდა ხალხში, მაგრამ რადგანაც იგი ჩვენი თანამედროვეა, მან თავისი გმირობითა და თავდადებით უფრო დამაჯერებლად გახადა ადრინდელ გმირთა ნამოქმედარი“ (54. 7).

ფრანგი პოლკოვნიკი, ქართველებსა და საქართველოზე უზომოდ შეყვარებული ადამიანი რემონ დიუგე თავის წიგნში – „მოსკოვი და წამებული საქართველო“ მიუთითებდა: „იმ მეთაურთა შორის, რომელთაც წითლებს დაუნდობელი ომი გამოუცხადეს, ყველაზე სახელოვანი უდაოდ თავადი ჩოლოყაშვილია. მისი სახელი ყოველი ქართველისათვის საამაყოა. ალბათ, პოლკოვნიკ ჩოლოყაშვილის სახელი საქართველოს ისტორიაში იქცევა სიმამაცის, ვაჟკაცობისა და თავგანწირვის სიმბოლოდ“ (33. 122-123).

თვალსაჩინო ქართველი ემიგრანტი მოღვაწის – ნიკო ნაკაშიძის თქმით, „პირდაპირ საკვირველია, თუ როგორ თავსდებოდა ერთად და ასე ჰარმონიულად ქაქუცას ბუნებაში არაჩვეულებრივად უტეხი ვაჟკაცობა და ფაქიზი, გულჩვილობით აღსავსე სული ქალწულისა. ქაქუცა იყო განსახიერება ქართველი უმწიკვლო რაინდისა... შეუძლებელი იყო ადამიანს ქაქუცა პირველივე შეხვედრისას არ შეეყვარა. მის ბუნებაში რაღაც არაჩვეულებრივი მიმზიდველი ძალა იყო. შეუპოვარი და უდრეკი ბრძოლის დროს, – თავმდაბალი და უსაზღვროდ გულკეთილი ცხოვრებაში. მას ყველა უყვარდა, ერთს კი არავის აპატივებდა: ლაჩრობას. ლაჩარს ის ადამიანად არ სთვლიდა და სამუდამოდ შეიძულებდა. ბრძოლის დროს მისი სახე ბრწყინავდა და ღიმილი არ შორდებოდა“ (125. 612).

1888 წლის 14 ივლისი... ამ დღეს დაიბადა ქაქუცა ჩოლოყაშვილი კახეთში, საგვარეულო სოფელ მატანში (ახლანდელ ახმეტის რაიონში), იოსებ ქაიხოსროს ძე ჩოლოყაშვილისა და დარია (დარო) ზაქარიას ასულ გოგნიაშვილის ოჯახში. იგი საქართველოს ეროვნული გმირის, ბახტრიონის ავჯანყების მეთაურის – ბიძინა ჩოლოყაშვილის პირდაპირი შთამომავალი იყო. ქაქუცას ჰყავდა და-ძმები: შაქრო, სიმონი (სიკო), ანა და კატო (კატუშა).

ალ. სულხანიშვილი ჩოლოყაშვილების გვარის წარმომავლობაზე შემდეგ ცნობას გვაწვდის: „ხევსურეთი კარგად იცნობდა ჩოლოყაანთ გვარს მამა-პაპიდან. იქ დღემდე ლეგენდად არის შემორჩენილი, რომ ჩოლოყაშვილები ხევსურთა ჩამომავალნი არიან. ამ ლეგენდის თანახმად, ბრძოლაში დაჭრილი ერთი სახელგანთქმული ხევსური მეომარი დაკოჭლებულა; ამიტომ, „ჩოლობა“ დაურქმევიათ მისთვის, ხოლო მეფეს კი თავადობა უბოძებია ქველობისათვის და ის ბარში დაუსახლებია იქ,

სადაც ჩოლოყაანთ ციხეა სოფელ მატანში. ასე და ამგვარად, როგორც ჩანს, ჩოლოხა ხალხს გადაუკეთებია ჩოლოყაშვილად“ (106. 124).

პატარა ქაქუცა თავდაპირველად თელავის გიმნაზიაში სწავლობდა. იგი თავიდანვე ძალიან სწრაფი და მოქნილი ბავშვი იყო. თანასოფლელები შემდგომში იგონებდნენ: „ქაქუცა უკუსვლით ისე გაიქცეოდა ხოლმე, რომ პირდაპირი მიმდევარი კაცი ვერ ეწეოდაო, ოთხი ნაბადის გაშლაზე ხტებოდაო“ (84. 4-5).

ცოტა ხანში ქაქუცა ჩოლოყაშვილმა სწავლა თბილისის სათავადაზნაურო ქართულ გიმნაზიაში განაგრძო. ბოლო ხანებში ჩატარებული კვლევა-ძიების შედეგად აღმოვაჩინეთ ქაქუცას ცხოვრება-მოღვაწეობის ისტორიასთან დაკავშირებული რამდენიმე უცნობი საარქივო და ფოტოდოკუმენტი, რომლებიც მნიშვნელოვნად შეავსებს ჩვენს ცოდნას მისი ცხოვრება-მოღვაწეობის საწყისი პერიოდის შესახებ.

აქამდე მკვლევართათვის მხოლოდ ის იყო ცნობილი, რომ XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ქაქუცა ჩოლოყაშვილი თბილისის სათავადაზნაურო ქართულ გიმნაზიაში სწავლობდა, რომლის გამგე დიდი ექვთიმე თაყაიშვილი იყო. სხვა ინფორმაცია, კერძოდ, თუ როდის დაიწყო მან აღნიშნულ დაწესებულებაში სწავლა, როგორ სწავლობდა, ვინ იყვნენ მისი თანაკლასელები, როგორი ყოფაქცევით გამოირჩეოდა და ა. შ. – ყველაფერ ამის შესახებ არაფერი ვიცოდით... თუმცა, მოდით, მივყვეთ თანმიმდევრობით.

2011 წლის მარტში საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულმა ცენტრმა ჩაიბარა იმედაშვილების (იოსებ, შალვა, გაიოზ, კობა და ლაშა) უმდიდრესი არქივი. სხვა საარქივო მასალებთან ერთად, იმედაშვილების არქივში აღმოჩნდა ქაქუცა ჩოლოყაშვილის მოსწავლეობის დროინდელი უცნობი ფოტო, რომელზეც იგი გადაღებულია თანაკლასელებთან და კლასის დამრიგებელთან, შემდგომში ცნობილ ქართველ პოეტთან, „ქართველ მწერალთა კავშირის“ პირველ თავმჯდომარესთან, 1921 წელს მეთერთმეტე წითელ არმიასთან ბრძოლის დროს დაღუპული მარო მაყაშვილის მამასთან – კოტე მაყაშვილთან ერთად.

თუ როგორ აღმოჩნდა იმედაშვილების არქივში ქაქუცა ჩოლოყაშვილის უცნობი ფოტოსურათი, ამის შესახებ ბატონი კობა იმედაშვილი მოგვითხრობს: „არქივში აღნიშნულ ფოტოსურათთან ერთად დაცულია მოსაწვევი ბარათი, რომლითაც ყოფილ გიმნაზისტს – მიხეილ ესტატეს ძე მორჩილაძეს თხოვენ თბილისის სათავადაზნაურო ქართული გიმნაზიის დაარსებიდან 80 წლისთავისადმი მიძღვნილ საღამოში მონაწილეობის მიღებას.

მიხეილ მორჩილაძე ცნობილი პოლიტპატიმრის – ამირან მორჩილაძისა და მისი დის – რუქაიას მამა გახლდათ. შემდეგ მან ცოლად

შეირთო იოსებ იმედაშვილის ქალიშვილი, დედაჩემი, ნინო იმედაშვილი და უკვე მისგან ორი შვილი შეეძინა — მხატვარი მანანა მორჩილაძე და პროზაიკოსი მიხო მორჩილაძე, აფხაზეთის ომის მონაწილე, ვახტანგ გორგასლის ორდენის კავალერი.

მახსოვს, ამ უაღრესად მოწესრიგებულმა კაცმა მიხეილ მორჩილაძემ თავის დროზე როგორ პედანტურად იშრომა არქივში დაცული ფოტოსურათების პერსონალიის დადგენაზე. სწორედ მან დააზუსტა ზემოხსენებულ სურათზე (მინაწერიდან ირკვევა, რომ იგი გადაღებულია 1902 წლის 23 თებერვალს) წარმოდგენილი თანაკლასელების ვინაობა, თანაკლასელებისა, რადგან თავად მიხეილ მორჩილაძეც (პირველ რიგში, მარცხნიდან მეორე) არის ამ ჯგუფურ ფოტოზე ქაქუცა ჩოლოყაშვილთან ერთად.

ფოტოსურათზე სულ ოცდათხუთმეტი ბავშვია გამოსახული ოთხ მწკრივად, შუაში მასწავლებელი კოტე მაყაშვილი ზის, მესამე რიგში, მარჯვნიდან პირველი, 13 წლის ქაქუცა ჩოლოყაშვილია, გიმნაზისტის ფორმით, მოკლედ შეკრეჭილი თმით, სერიოზული, დაჟინებული მზერით. ჩვეულებრივი ბავშვია... ყველა ერთმანეთს ჰგავს, ყველა სუფთაა და უმწიკვლო.

სურათის ზურგის მხარეს მკაფიო ხელით არის ჩამოწერილი თანაკლასელების გვარ-სახელები: „ცაგურია ნიკო, კეზელი, წინამძღვრიშვილი გიორგი, წინამძღვრიშვილი ნიკო, ბასილაძე, მამინაიშვილი კონსტანტინე, ცხვედაძე ალექსანდრე, მაისურაძე, ამილახვარი რევაზ, ბრეგვაძე სიმონ, მუსხელიშვილი, ვაჩნაძე, ნონიკაშვილი, რცხილაძე ვანო, ვაჩნაძე, არსენიშვილი, ჟურული მიხეილ, ბარტყულაიშვილი, კორძაია, ბაგრატიონი-დავითაშვილი, ეგოროვი, ჩოლოყაშვილი ქაქუცა, ვაჩნაძე, მაღალაშვილი ივანე, ჩოლოყაშვილი ერეკლე, გომელაური, ამილახვარი ვახტანგ, ძიძიგური, მაისურაძე, თუხარელი ვახტანგი, გედევანიშვილი შიო“.

ქაქუცას უცნობი ფოტოსურათის აღმოჩენის შემდეგ საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო არქივში (ყოფილ საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში — სცსსა) მისი გიმნაზისტობის პერიოდის ამსახველი საარქივო მასალების ძებნას შევუდექით. მართალია, დამატებით ფოტოდოკუმენტს ვერ მივაკვლიეთ, მაგრამ, სამაგიეროდ, არაერთი ახალი დოკუმენტი მოვიძიეთ, რომლებშიც საუბარია თბილისის სათავადაზნაურო ქართულ გიმნაზიაში ქაქუცა ჩოლოყაშვილის სწავლა-განათლების თაობაზე.

თბილისის სათავადაზნაურო სკოლის პედაგოგიური საბჭოს 1897 წლის 24 ოქტომბრით დათარიღებული სხდომის ოქმიდან (№ 3) ირკვევა, რომ მასზე სკოლის გამგის — ექვთიმე თაყაიშვილის თავმ-

ჯდომარეობით, სხვა საკითხებთან ერთად განუხილავთ და დაუკმაყოფილებიათ თავად იოსებ ქაიხოსროს ძე ჩოლოყაშვილის თხოვნა მისი ვაჟის — ქაიხოსროს სათავადაზნაურო სკოლის პირველ განყოფილებაში მიღების შესახებ.

საისტორიო არქივში დაცულია 1897 წლიდან 1909 წლამდე, ანუ თბილისის სათავადაზნაურო სკოლის (შემდგომ თბილისის სათავადაზნაურო ქართული გიმნაზიის) დასრულებამდე, ქაქუცა ჩოლოყაშვილისა და მისი თანაკლასელების მიერ მიღებული ნიშნების ფურცლები, საიდანაც ჩანს, რომ ქაქუცა სანიმუშო ყოფაქცევის მოსწავლე ყოფილა, თუმცა ბეჯითი სწავლით მაინცდამაინც არ გამოირჩეოდა. საგნები, რომლებსაც იგი, როგორც ჩანს, სიამოვნებით სწავლობდა და კარგ შეფასებებსაც იღებდა, ქართული ენა და ქართული წერა იყო.

სამაგიეროდ, ქაქუცასთვის უაღრესად რთული აღმოჩნდა რუსული ენის პროგრამის დაძლევა, იმდენად რთული, რომ ერთხელ, 1900/1901 სასწავლო წელს, რუსულ ენაში მიღებული შეფასების — „2"-ის გამო, კლასშიც კი ჩატოვეს.

თბილისის სათავადაზნაურო სკოლის გამგის — ექვთიმე თაყაიშვილის ყოველწლიურ ანგარიშში: „სკოლის მდგომარეობისა 1 იანვრიდამ 1899 წლისა 1 იანვრამდის 1900 წლისა", ერთგან, სადაც იგი ჩამოთვლის სიას „გარედან მოსიარულე მოწაფეებისა", სხვებთან ერთად მოხსენიებულია „ქაიხოსრო ჩოლაყაშვილი".

ერთ-ერთ დოკუმენტში მოცემულია სია იმ მოწაფეებისა, რომლებსაც დარჩენილი აქვთ შემოსატანი სწავლის ფული. „გარედან მოსიარულეთა" სიაში მოხსენიებულია „ქაიხოსრო ჩოლაყაშვილი", რომელსაც, როგორც დოკუმენტიდან ირკვევა, სრულად აქვს დაფარული 1897/98 სასწავლო წლის ფული, მაგრამ დარჩენილი აქვს გადასახდელი 1898/99 წლის 7 მანეთი და 1899/1900 წლის 12 მანეთი — სულ 19 მანეთი.

1902 წლის 19 ოქტომბერს გაიმართა თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საგანგებო თათბირი, რომელზეც გადაწყდა სათავადაზნაურო სკოლის 21 მოსწავლისთვის შემწეობის აღმოჩენა სხვადასხვა თანხით. მათ შორის იყვნენ ქაქუცა ჩოლოყაშვილი და მისი მეგობარი, ვაჟა-ფშაველას ვაჟი, ლევან რაზიკაშვილი, რომლებსაც 100-100 მანეთის შემწეობა დაენიშნათ.

1904 წლის 12 ოქტომბერს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლმა — გ. ბაგრატიონ-დავიდოვმა — ღარიბ მოსწავლეთა შემწე თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების განმკარგულებელ კომიტეტს მიმართვა გაუგზავნა, რომლითაც შეატყობინა, რომ თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საკრებულომ გამოყო 1000 მანეთი თბილისის თავად-აზნაურთა სკოლის 14 მოსწავლის შესანახად

1904/1905 სასწავლო წლის პირველი ნახევრის მანძილზე. მათ შორის დასახელებულნი არიან ლევან რაზიკაშვილი და ქაიხოსრო ჩოლოყაშვილიც.

საისტორიო არქივის მასალებში დაცულია ქაქუცა ჩოლოყაშვილის ძმის (სახელი მითითებული არ არის; სავარაუდოდ, უფროსი ძმის — შაქროს — გ. ს.) 1904 წლის 9 ნოემბრის მიმართვა თბილისის სათავადაზნაურო სკოლის გამგის შიო ჩიტაძისადმი, რომელშიც აღნიშნულია: „Милостивый государь! Так как за моего брата вносит ежегодно банк, из дворянских, то уже послано прошение на имя предводителя дворянства и будьте так добры, повремените, пока получим. Если внесут, хорошо, если нет, так, что ж, в числах 20, 25 я сам приеду в Тифлис за получением денег и внесу, сколько следует. С почтением за Челокаева“.

თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლმა — გ. ბაგრატიონ-დავიდოვმა — 1908 წლის 3 ივნისს მიმართვა გაუგზავნა თბილისის ქართული სათავადაზნაურო კერძო გიმნაზიის გამგეს, რომლითაც აცნობა, რომ თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლთა და დეპუტატთა საკრებულომ გამოყო 138 მანეთი სტიპენდიის სახით გიმნაზიის რამდენიმე მოსწავლისათვის, მათ შორის, ქაიხოსრო ჩოლოყაშვილისათვის 11 მან. 50 კაპ.

ერთ-ერთ ფურცელზე მოცემულია გიმნაზიის რამდენიმე მოსწავლის ხელწერილი შესაბამისი თანხის მიღების შესახებ. აქვეა მაშინ 19 წლის ქაქუცას მიერ საკუთარი ხელით დაწერილი: „მივიღე 11 მ. 50 კ. ქ. ჩოლოყაშვილი“. აღსანიშნავია, რომ ესაა მეცნიერთა განკარგულებაში არსებული საქართველოს ეროვნული გმირის ჯერჯერობით უძველესი ავტოგრაფი.

1909 წლის 1 მარტს პედსაბჭომ გიმნაზიის გამგის — ალ. მდივნის თავმჯდომარეობით განიხილა შემდეგი საკითხი: „მოხსენება გამგის, რომ მეექვსე კლასის მოწაფემ ქაიხოსრო ჩოლოყაშვილმა სცემა თავის ამხანაგს, ბერიძეს, რის გამო იგი ჩემის განკარგულებით დროებით დათხოვნილ იქმნა სასწავლებლიდან“. პედაგოგიურმა საბჭომ დაადგინა: „მიღებულ იქმნას ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი მეექვსე კლასში იმ პირობით, რომ თუ კიდევ გაიმეორა ასეთი ცუდი საქციელი, დაუყოვნებლივ დათხოვნილი იქნება სასწავლებლიდან“.

ქაქუცა ჩოლოყაშვილს თბილისის სათავადაზნაურო ქართული გიმნაზიის სრული კურსი არ დაუსრულებია, 1909 წელს იგი ჯარში გაიწვიეს, რის გამოც გიმნაზიის მეექვსე კლასში სწავლა შეწყვიტა. არსებობს შემდეგი შინაარსის ცნობა: „Свидетельство выдано за 6 классов 6-го сентября 1910 года № 241“ (99. 28-33).

ქაქუცას რუსეთის იმპერიის ჯარში გაწვევასთან დაკავშირებით, შემონახულია ერთ-ერთი ხევსურის – თათარ ლიქოკელის შემდეგი შინაარსის მოგონება: „მეფის არმიაში რომ გამიწვიეს, სხვა ხევსურებთან ერთად თიანეთში წავედი კენჭის ამოსაღებად. მე ჯარში წასვლა არ მერგო, იღბალმა გამიჭრა, სულ ბოლო კენჭი ამოვიღე, სხვა ჩვენებურები კი თითქმის ყველანი წაიყვანეს მაშინ. ჩვენთან ერთად კენჭი ამოიღო კახელმა თავადიშვილმა ქაქუცა ჩოლოყაშვილმა, რომელიც სულ ჩვენთან, ხევსურებთან, ტრიალებდა – ესენი ჩემიანებია და ძალიან მიყვარანო. ჩვენც ძალიან მოგვეწონა ეს ბრწყინვალე გარეგნობის, ძვირფას ქართულ ჩოხა-ახალუხსა და ვერცხლის ქამარ-ხანჯალში გამოწყობილი ამაყი ვაჟკაცი.

აქ მას ერთი ამბავი გადახდა, რომელმაც კიდევ უფრო მოგვხიბლა ჩვენ. კენჭის ამოღებისას მას შეხვდა ერთ-ერთი პირველი რიგის კენჭი, რაზედაც კომისარმა, დიდმა რუსის ოფიცერმა, ნიშნის მოგებით ჩაილაპარაკა: „ოჰო, თავადიშვილო, სირბილით მოგიწევს ხელმწიფის სამსახურში წასვლაო!“. ქაქუცამ პასუხად ერთი სილა აჭამა კომისარს, თანაც შეუკურთხა – „რაც მე რუსის სამსახურში წაგივიდეო!“ ამისთვის იგი იქვე დაავჯარიმეს და მაგიდაზე ეხედავდით მისეულ სადემონსტრაციოდ გამოფენილ ოქროს მონეტას“ (67. 39-40).

1909-1912 წლებში ქაქუცა ჩოლოყაშვილი ტვერის დრაგუნთა პოლკში მსახურობდა. იგი თავიდანვე გულად და ნიჭიერ ოფიცრად ითვლებოდა. ქაქუცა ჯარიდან ოფიცრის ჩინით დაბრუნდა. წარმოსადეგი, მამაცი, ამავდროულად, საოცრად თბილი და მოსიყვარულე ახალგაზრდა ოფიცერი კახეთში გამართული ყველა დღესასწაულისა, თუ წვეულების სასურველი სტუმარი იყო.

ქაქუცას მომავალი მეუღლის – ნინო მელვინეთუხუცესის ბიძაშვილი ნინო ავალიშვილი მრავალი წლის შემდეგ იგონებდა მის ბავშვობაში ალექსანდრე ჭავჭავაძისეულ წინანდლის მამულში მოწყობილი ერთ-ერთი დღესასწაულის დროს მომხდარ შემთხვევას: „როცა სასულე ორკესტრმა დაუკრა, ერთ პატარა გოგონას შეეშინდა და გაიქცა. დედამისი ვერ დაეწია. ამ დროს მოცეკვავეთა წრიდან ერთი თეთრჩოხიანი ყმაწვილი გამოვარდა, ბავშვს დაეწია, ხელში აიტაცა, მოეფერა, ჰაერში შეათამაშა. გოგონამ სიცილი, მხიარული კისკისი ატეხა.

ამასობაში ჩვენც შევესიეთ, ჩვენც რაღაც სიხარული გაგვიჩნდა: ვხტუნაობდით, ვიცინოდით. ზოგი, ვინც უფროსი იყო, იმ ყმაწვილს იცნობდა და ძია ქაქუცას ეძახდა. მეც და ჩემი ბავშვობის მეგობარს, იმ დღის მომსწრეს თამარ ლომიძეს დაგვამახსოვრდა, რომ ძია ქაქუცა მეტწილად ბავშვებს დასტრიალებდა და ისინიც სულ გარს ეხვეოდნენ“ (4. 5).

1913 წელს ქაქუცა ჩოლოყაშვილი დაოჯახდა: ცოლად შეირთო სოფელ აწყურის მკვიდრის — ილია მეღვინეთუხუცესის ერთადერთი ასული ნინო, რომლისგანაც შემდგომში ორი ქალიშვილი: თამარი (ციცნა) და ქეთევანი შეეძინა. წყვილმა ჯვარი აწყურის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში დაიწერა.

იგივე ნინო ავალიშვილი ქაქუცას და ნინოს ქორწილს ასე აღწერს: „საღამო ხანს გაისმა თოფების სროლის ხმა და ეზოში მაყრიონმა შემოაჭენა ცხენები. ყველანი ჩერქესკებში იყვნენ გამოწყობილნი და ხმლებამოღებულები. გაისმა მხიარული სიმღერა და ცოტა ხანში გამოჩნდა ქაქუცაც თეთრ ჩოხაში და თეთრ ცხენზე. თან ახლდნენ თავისი ძმები სიკო და შაქრო და მეგობრები. გაჩაღდა ცეკვა-თამაში. გადმოვიდა წრეში ქაქუცა, გაშალა ხელები და თეთრ, ქათქათა კაბაში გამოწყობილი მშვენიერი, ნაზი, ლამაზი ნინა გადაიყვანა საცეკვაოდ.

შემდეგ წელს ნინა, ქაქუცა და მთელი ჩვენი ნათესაობა ჩვენთან კონდოლში ჩამოვიდნენ კვირაცხოვლობაზე. აქაც თითქმის ისეთივე ქორწილი გაუმართეს, იყო დოლი, დაფა-ზურნა, ცეკვა და თამაში. ვინ იცის, რამდენი ქორწილის მომსწრე ვარ, მაგრამ ქაქუცასა და ნინას ქორწილი მთელი სიცოცხლის მანძილზე მახსოვს, როგორც დიდი დღესასწაული“ (4. 5; 13. 13).

ქაქუცა ჩოლოყაშვილისა და ნინო მეღვინეთუხუცესის ქორწილმა წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა მის კიდევ ერთ დამსწრეზე, სოფელ აწყურში მცხოვრებ სოსია დანელაშვილზე. მისი თქმით, „ქაქუცას და ნინოს ქორწილში სოფლის ახალგაზრდობასთან ერთად მეც ვიყავი. ზღაპრული წყვილი იყო ნეფე-პატარძალი. განსაკუთრებით მოვიხიბლენით ქაქუცას გარეგნობითა და მისი ცეკვით.

ქაქუცა მის მახლობელ მანდილოსანს ეცეკვებოდა. ცეკვის დროს ამოიღო იარაღი და მოცეკვავე მანდილოსანს ფეხებთან დაუწყო სროლა, ისე რომ ცეკვა არ გაუჩერებია. ვხედავდი, ტყვიები როგორ ერჭობოდნენ მიწაში. ამის შემხედვარე ხალხი გაოგნებული იყო. ის არა მარტო კარგი მოცეკვავე იყო, არამედ იარაღსაც მარჯვედ ისროდა მიზანში“ (84. 5).

დაოჯახების შემდეგ, ქაქუცა ჩოლოყაშვილი თელავის მაზრის სოფელ აწყურში, სიმამრის მამულში დაბინავდა, ხოლო მისი დედა და ძმები კვლავ მატანში ცხოვრობდნენ. ქაქუცა ძალიან სამართლიანი ადამიანი იყო, ცდილობდა, გაჭირვებულ ხალხს მხარში ამოსდგომოდა და მათთვის მძიმე ყოფა შეემსუბუქებინა, რაზეც კარგად მეტყველებს აწყურელი ზაქარია ქოქონაშვილის მოგონებაც: „მამა ადრე გარდამეცვალა, ობლების გაზრდა და ოჯახის რჩენა დედაჩემს მძიმე ტვირთად დააწვა.

დედაჩემი მოსამსახურედ მუშაობდა ილია მეღვინეთუხუცესის ოჯახში. მეც თითქმის ამ ოჯახში ვიზრდებოდი.

ძალიან მომწონდა ქაქუცა. ფიზიკურად კარგი აღნაგობისა და გარეგნობის ვაჟკაცი იყო. ყოველთვის დიდ სითბოსა და სიყვარულს ვგრძნობდი მისგან. ქაქუცა ცეკვას რომ დაიწყებდა, ყველა ცქერად იყო გადაქცეული. მას იატაკზე გადაბრუნებულ თეფშს დაუდებდნენ, ზედ ისე ცეკვავდა, რომ თეფში არ ტყდებოდა. ასე მეგონა, ქაქუცაზე ძლიერი ვაჟკაცი არ დადიოდა ქვეყანაზე.

ჩვენს ოჯახს ერთი მარჩენალი ძროხა ჰყავდა, რომელიც დავკარგეთ. ხანგრძლივი ძებნის შემდეგ სოფლის ტყეში ვიპოვეთ ჩვენი ძროხის ტყავი. ამ ამბით ძალიან შეწუხდა დედაჩემი. კარგად მახსოვს, დედაჩემი პურს უცხობდა მეღვინეთუხუცესებს და თან ტიროდა. ამ დროს მოვიდა ქაქუცა. რომ ნახა ატირებული დედაჩემი, იკითხა ტირილის მიზეზი. გაიგო ჩვენი ძროხის მოპარვის ამბავი, ამოიღო ჯიბიდან ფული, ძალად ჩაუდო დედაჩემს ჯიბეში და უთხრა: „ამ ფულით კარგი ძროხა იყიდე, ქურდებს კი მე მივხედავო“. ქაქუცას ეპოვა ჩვენი ძროხის ქურდები და მკაცრადაც დაესაჯა“ (84. 38-39).

1914 წელს დაიწყო პირველი მსოფლიო ომი და ლეიტენანტი ქაქუცა ჩოლოყაშვილი ბრძოლაში ჩაება. იგი ჯერ ავსტრიის ფრონტზე იბრძოდა, სადაც გამოჩენილი მამაცობისათვის წმინდა გიორგის ჯვრით დააჯილდოვეს. ოქტომბერში დაიჭრა. ჭრილობის მოშუშების შემდეგ ქაქუცა კავკასიის ფრონტზე გადმოიყვანეს. აქ გაიფთრებული ბრძოლები მიმდინარეობდა ორი დიდი იმპერიის — რუსეთისა და ოსმალეთის ჯარებს შორის.

ქაქუცა ჩოლოყაშვილი, სხვა ქართველ პატრიოტებთან ერთად, უპირველეს ყოვლისა, თავის სამშობლოს იცავდა. იგი ზურგის ჯარის ასეულს მეთაურობდა, რომელსაც თურქების წინსვლის შეჩერება და სამხრეთისაკენ განდევნა ევალებოდა. როცა ოსმალებმა ქალაქ სარიყამიშს შეუტიეს, ქაქუცამ მიიღო ბრძანება, უკან დაებრუნებინა სტრატეგიული მნიშვნელობის "არწივის ბუდის" მთა. იგი ამ ბრძოლაში სამჯერ დაიჭრა, მათ შორის, მკერდშიც, მაგრამ დავალება მაინც შეასრულა. ამისთვის ქაქუცა ოქროს ხმლით დააჯილდოვეს (95. 4; 96. 13; 123. 152-153).

მძიმედ დაჭრილი ქაქუცა ჩოლოყაშვილი თბილისში ჩამოიყვანეს და წმინდა ნინოს ქართულ საავადმყოფოში მოათავსეს, სადაც მას ცნობილი ექიმი გრიგოლ მუხაძე მკურნალობდა. მისი ცხოვრების ამ პერიოდზე ცნობებს ვაწყდებით ქართველი ემიგრანტი პოეტის — სიმონ (სიმონიკო) ბერეჟიანის მოგონებებში: „უფროსი კლასის მოწაფენი წმიდა ნინოს საავადმყოფოში მესნეულედ ჩავეწერენით. ის საავადმყოფო ჩვენი სას-

წავლებლის ზევითა სართულში მოათავსეს. ჩვენი ქაქუცა პირველად იქ ვნახე. რა კარგად მახსოვს! საცვლების ამარა, ფოსტლებში. საავადმყოფოს ხალათს, როგორც ნაბადს, ისე მოიგდებდა ბეჭებზე..." (125. 497).

წელიწადზე მეტი ხნის მკურნალობის შემდეგ ქაქუცა ჩოლოყაშვილი გამოჯანმრთელდა, მაგრამ მას მარჯვენა ხელის მაღლა აღება ვეღარ შეეძლო. ალ. სულხანიშვილი წერს: „ქაქუცას დიდხანს უკეთებდნენ მასაჟებს, რომ მარჯვენა ხელი მთლად არ წახდენოდა ჭრილობისაგან" (106. 164, 272-273).

1916 წელს ქართველმა ოფიცრებმა დავით ჭავჭავაძემ, ალექსი ამილახვარმა და დავით შალიკაშვილმა იმპერატორ ნიკოლოზ II-ს ქართველ ცხენოსანთა პირველი ათასეულის — ლეგიონის დაარსების ნებართვა სთხოვეს. „შეფიცულთა" რაზმის წევრის, ცნობილი სამხედრო მოღვაწის — მიხეილ ლაშქარაშვილის ცნობით, მათ შეძლეს „რუსის მეფის სასახლეში ბევრი მეცადინეობის შემდეგ, ნებართვის მიღება ქართული ცხენოსანი ათასეულის შესადგენად... მოუყარეს მხედრებს თავი ეროვნულ დროშის ქვეშ დედა-ენაზედ ბრძანებლობით. ასი წლის შემდეგ პირველად გაისმა ქართველი მხედრების ქართულათ სიმღერა" (62. 13).

ათასეულის ხელმძღვანელმა გენერალმა დავით ჭავჭავაძემ პირადად შეარჩია ქართველი კავალერისტები ყველა საჯარისო ნაწილიდან. მის რჩეულთა შორის ქაქუცა ჩოლოყაშვილიც მოხვდა, როგორც ნიჭიერი და გაბედული ოფიცერი. ეს უკანასკნელი ასეულის მეთაურად დაინიშნა (125. 610).

მ. ლაშქარაშვილის თქმით, დავით ჭავჭავაძემ ქართველ ცხენოსანთა ათასეულში, ქაქუცა ჩოლოყაშვილის გარდა, მიიწვია შემდეგი სამხედრო პირები: ალექსი ამილახვარი, დავით შალიკაშვილი, სვიმონ (სიმონიკა) ბაგრატიონ-მუხრანელი, ივანე (ვანიჩკა) ყარანგოზიშვილი, თენგიზ დადეშქელიანი, ანტონ (ანტოშა) ცაგარელი, გიორგი (გოგი) ხიმშიაშვილი და სხვ. აი, როდის ჩაეყარა საფუძველი ამ ოფიცრებთან ქაქუცას გულითად მეგობრობას, რომელიც შემდგომში მთელი მისი სიცოცხლის განმავლობაში გაგრძელდა (62. 13).

იმავე 1916 წელს ქართული ლეგიონი, ბაქოს გავლით, სპარსეთის ფრონტზე გაიგზავნა. მის წევრებს ბაქოში ინციდენტი შეემთხვათ რუს მეზღვაურებთან, რასაც მ. ლაშქარაშვილი შემდგომში ასე იგონებდა: „დავით ჭავჭავაძის ბრძანებულობით, ეს ქართული ლაშქარი გაემგზავრა ბაქოს ხაზით სპარსეთში. ბაქოში გავლისას მათ დიდი ზეიმი გაუმართეს ქართველმა მცხოვრებლებმა. ბაქოში შეტაკება მოუხდათ რუსის მატროსებთან. ერთ ქართველზედ ოთხი რუსის მატროსი მოდიოდა, მაგრამ ქართველებმა დაჩეხეს და დალეწეს.

ბოლოს, დაუჯერებელი ამბავი ეგონა რუსის ხელისუფლებას, ნუთუ,

ისე ცოტა ქართველმა ამდენი რუსი გაანადგურაო. რუსებს აღარავითარი პასუხი არ მოუთხოვიათ ქართველი მხედრებისთვის. იმ რუსის მატროსებს ბაქო აკლებული ჰქონდათ და მცხოვრებლები – ძლიერ დაშინებულნი. უკანასკნელი გაკვეთილის შემდეგ, ისე ვეღარ აწუხებდნენ დაბრიყვებულ მოსახლეობას“ (62. 13).

ქართველ ცხენოსანთა პირველმა ათასეულმა გენერალ დავით ჭავჭავაძის ხელმძღვანელობით სპარსეთის ფრონტზე ბრწყინვალე რეიდი შეასრულა, მესოპოტამიის უდაბნო გაიარა და მოკავშირე ინგლისელებს შეუერთდა.

1917 წლის შემოდგომაზე გენერალ გიორგი მაზნიაშვილის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა ქართული დივიზია, რასაც თან სხვადასხვა სირთულეები ახლდა. გენერალმა მაზნიაშვილმა დახმარებისათვის სამხედრო და საზოგადო მოღვაწეებს მიმართა. "ჩემი თხოვნით გაიგზავნა ხევსურეთში ეროვნულ-დემოკრატიული პარტიიდან შალვა ქარუმიძე და ქაქუცა ჩოლოყაშვილი. მათ დიდი გავლენა ჰქონდათ ხევსურეთში. მოკლე ხანში ჩამოიყვანეს ტფილისში ოთხასამდე ხევსური" (გიორგი მაზნიაშვილი) (68. 16).

1918 წლის 26 მაისს, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის დღეს, ქაქუცა ქართველ ცხენოსანთა პირველი ასეულის მეთაურის რანგში შეხვდა (125. 610). დამოუკიდებლობის წლებში პოლკოვნიკი ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი ქართულ შეიარაღებულ ძალებში მსახურობდა და იმ პერიოდში გადახდილ თითქმის ყველა ბრძოლაში მონაწილეობდა. ერთ-ერთი შეფიცულის – ალექსანდრე (საშიკო) კარგარეთელის თქმით, ქაქუცა „არცერთ პოლიტიკურ პარტიას არ ეკუთვნოდა. მისი იდეალი მხოლოდ და მხოლოდ საქართველო იყო“ (54. 8).

ცნობილი ქართველი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე გენერალი შალვა მაღლაკელიძე ქაქუცა ჩოლოყაშვილს ასე ახასიათებდა: „ქაქუცა იყო კაცი, რომელსაც არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდა სოციალიზმზე. ის იყო კავალერიის ოფიცერი, შესახედავად კარგი ვაჟკაცი, მაღალი, ხმელი. წარმოდგენა არ ქონდა, რაა სოციალ-დემოკრატიული პარტია, რაა მენშევიკური პარტია. ყველას უყვარდა მისი დარდიმანდობა... ქაქუცა სულ არ ჰგავდა კახელს, მაგრამ მეტისმეტად საყვარელი კაცი იყო“ (74. 72-73).

1918 წელს ქაქუცა ჩოლოყაშვილი ქართველ ცხენოსანთა პირველი ათასეულიდან სახალხო გვარდიის ცხენოსანთა დივიზიონში გადავიდა, რომელსაც მისი ახლო მეგობარი გოგი ხიმშიაშვილი ხელმძღვანელობდა. ნიკო ნაკაშიძის, რომელიც იმ პერიოდში ქართველ ცხენოსანთა ათასეულში მსახურობდა, ცნობით, „ქაქუცას წასვლამ განსაკუთრებით

დასწყვიტა გული ლეგიონს. მას სცილდებოდა საუკეთესო ოფიცერი. ქაქუცა ლეგიონს უსაზღვროდ უყვარდა და ჯარისკაცნი მას უსაზღვროდ ენდობოდნენ".

ამის შემდეგ, როცა ქაქუცა ათასეულის ოფიცრებს შეხვდებოდა, თითქოს, დარცხვენილად გრძნობდა თავს და ძალიან უხაროდა, „როდესაც გაიგებდა, რომ ლეგიონმა ამა თუ იმ ბრძოლაში თავი ისახელა". მას განსაკუთრებულად უყვარდა პოლკოვნიკი დავით შალიკაშვილი და ყოფილ თანამებრძოლებს ეკითხებოდა: „მასწავლეთ ერთი, დავითის გული ისევე როგორ მოვიგოო" (ნიკო ნაკაშიძე) (125. 611).

1918 წლის დეკემბერში საქართველო-სომხეთის ომის დროს გამოჩენილი ქართველი სამხედრო მოღვაწე გენერალი გიორგი კვინიტაძე ქართული ჯარის შტაბის უფროსი იყო. „ომი რამდენიმე დღის დაწყებული იყო, როცა, ვერ გეტყვით რომელ რიცხვში, ღამით, ეკატერინენფელდთან, სადაც მთელ რაზმს მოეყარა თავი, ბრძოლა გაიმართა. სომხებმა შემოგვიტიეს, მოულოდნელად დაესხნენ თავს გვარდიულ ნაწილებს და ზარბაზნები წაგვართვეს. ღვთის წყალობით, ამ დროს იქ აღმოჩნდნენ ქაქუცა ჩოლოყაშვილი, მაისურაძე, ჯუღელი და სხვა ბელადები, რომლებსაც თავგზა არ დაუკარგავთ, და საქმე მაშინვე გამოსწორდა... სომხები გარეკეს და ზარბაზნები დაიბრუნეს" (გიორგი კვინიტაძე) (56. 89).

სომხეთთან ომში ქართველ ცხენოსანთა ათასეულიც მონაწილეობდა, რომლის წევრებმაც თავი გმირული ბრძოლით ისახელეს. სამწუხაროდ, ერთ-ერთ შეტაკებაში პოლკოვნიკი ანდრია დადიანი დაიღუპა. ნ. ნაკაშიძის თქმით, „მის ცხედარს, ქაშუეთის წმიდა გიორგის ეკლესიაში, სადაც იგი ესვენა, თავს ადგა ქაქუცა და ბავშვივით სტიროდა. ლეგიონის ყველა ოფიცერი გადაჰკოცნა და უთხრა: „მაპატივეთ, რომ თქვენთან ერთად არ ვიყავიო" (125. 612).

1919 წელს ქაქუცა ჩოლოყაშვილი, სახალხო გვარდიასთან ერთად, მონაწილეობდა აფხაზეთში გენერალ ანტონ დენიკინის „დობროარმიის" წინააღმდეგ წარმოებულ სამხედრო ოპერაციებში. თვალსაჩინო ემიგრანტი პოლიტიკური მოღვაწე, მენშევიკური პარტიის წევრი ვალიკო ჩუბინიძე თავის მოგონებებში წერდა: „როცა ჩვენი სამხედრო ძალა იდგა მდინარე ბზიბზე და იქ ჩვენ ვებრძოლდით დენიკინელებს, ქაქუცაც იქ იყო და ერთ დღეს მითხრა: კაცო, მინდა გვარი გადავიკეთო.

— რა მიზანია, — შევეკითხე.

— გარეკახელი გვარდიელები არ მენდობიან, ჩუმად დაიწყეს ლაპარაკი: ეგ ხომ თავადია, ეგ დენიკინს არ დაუწყებს ბრძოლასო! ეგ გადავა იქითო!

მე გამეცინა და ვუთხარი: თუ გინდა, მოგცემ ჩემს გვარს!

— შენ არც ხუმრობ, შენი გვარი ჯობია ჯუღელის გვარს. ჩუბინი კარგს მსროლელს ნიშნავსო.

ალექსანდრე დგებუაძე (სახალხო გვარდიის ერთ-ერთი ხელმძღვანელი — გ. ს.) უსმენდა ჩვენს ლაპარაკს და იგი გაეხუმრა ქაქუცას: წადი, ერთი ხუთი წელი იმუშავე ქარხანაში და იქნები პროფესიით მუშაო!“ (133. 206).

ამ პერიოდში ქაქუცა და მისი ოჯახი თბილისში, ყორღანოვის ქუჩის (ახლანდელი ქიაჩელის) № 24-ში ცხოვრობდა. მათ სტუმართმოყვარე ოჯახში ხშირად იმართებოდა მეგობრული წვეულებები, რომელთაგან ერთ-ერთს, 1920 წლის 14 იანვარს, ნინო ავალიშვილიც დაესწრო: „ჩემმა მამიდაშვილმა ნინო მელვინეთუხუცესმა და მისმა მეუღლემ — ქაქუცა ჩოლოყაშვილმა ნინოობაზე დაგვპატიჟეს. მე და მარო (ნინო ავალიშვილის და — გ. ს.) რომ მივედით, სტუმრები უკვე სუფრასთან ისხდნენ... შევედით ოთახში და ყველანი ფეხზე ადგომით მოგვესალმნენ, ქაქუცა კი შუა ოთახში შემოგვეგება, გადაგვკოცნა და ხელმოხვეულმა დაგვსვა. მე სული შემეხუთა სიამაყით, რომ ასეთი ლამაზი, ასეთი მშვენიერი ვაჟკაცი ჩემი სიძე იყო.

თამადად თვითონ ქაქუცა იყო. მახსოვს მისი სადღეგრძელოები — დინჯი, ლამაზი და შთამაგონებელი. ყველანი სულგანაბულნი უსმენდნენ. მალე მოვიდა ქაქუცას დიდი მეგობარი ანტოშა ცაგარელი და მაშინ გაიმართა ცეკვა-თამაში, გიტარაზე დაკვრა და სიმღერა. ერთმა მოცეკვავემ ქაქუცას შვილს — ციცნას სთხოვა, ეცეკვნა მასთან. ციცნა მაშინ 5-6 წლისა იყო. დაიმორცხვა და არ იცეკვა. დედამისმა ცოტა მკაცრად უთხრა: „ციცნა, როგორ არ გრცხვენია, ძია გთხოვს, რომ მასთან იცეკვო და შენ უარს ეუბნები?“

ციცნამ იწყინა დედის სიმკაცრე, დაიწყო ტირილი და შეძვრა ტახტის ქვეშ. ბევრს ეხვეწნენ, მაგრამ არ გამოდიოდა. ამ დროს ადგა ქაქუცა, მივიდა ტახტთან და შეეხვეწა თავის სათაყვანებელ შვილს, ჩემთან ხომ იცეკვებ, ჩემო ციცნიკო, მე მინდა შენთან ცეკვაო. იმ წამსვე გამოძვრა ტახტის ქვეშიდან თმახუჭუჭა ციცნა, თვალებგაბრწყინებული, და დაიწყო ცეკვა, თან თვალს არ აცილებდა მამამისს“ (4. 5).

იმავე ნინო ავალიშვილის ცნობით, „1921 წლამდე ქაქუცა თავის მეგობრებთან ერთად ხშირად მოდიოდა ხოლმე მამაჩემთან — ავალოსთან სოფელ კონდოლში. მამაჩემი ყოფილი სამხედრო პირი იყო, კარგი მასპინძელი და ქეიფის მოყვარული. ქაქუცა ძალიან უყვარდა და ყოველთვის დიდი სიყვარულით ხვდებოდა... სტუმრობა ყოველთვის ქეიფით მთავრდებოდა“ (4. 5).

1920 წელს ქაქუცა ჩოლოყაშვილმა სახალხო გვარდიაში სამსახურს თავი დაანება. „გვარდია უფრო და უფრო იღებდა პარტიულ

ელფერს, სახელმწიფოს ყველა საქმეებში ერეოდა და ამ ჩარევას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა... მათ თავგასულობას საზღვარი აღარ ჰქონდა. ცხადია, ქაქუცა მათ რიგებში ვეღარ დარჩებოდა" (125. 612).

მალე ბათუმის ოლქის გუბერნატორმა – ბენია ჩხიკვიშვილმა ქაქუცა ჩოლოყაშვილი განსაკუთრებულ მინდობილობათა ოფიცრის თანამდებობაზე დანიშნა. იგი ქაქუცას ეუბნებოდა: „აჭარაში უდიდესი გავლენა ბეგებსა აქვთ. ჩვენ მათთან გვიხდება საქმის დაჭერა. ბეგები სოციალისტებს არ ენდობიან. მათი ნდობის მოსაპოვებლად საჭიროა დავანახვოთ, რომ მთელი საქართველო გაერთიანებული არის. შენ დიდი გვარის კაცი ხარ და, ამ მხრივ, დიდ სამსახურს გაგვიწევ. ეროვნული და სახელმწიფოს ინტერესები ამას მოითხოვენო" (125. 612).

1982 წელს შეფიცულმა ალ. კარგარეთელმა საფრანგეთიდან შემდეგი შინაარსის წერილი გაუგზავნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის პირველი თავმჯდომარის, შინაგან საქმეთა მინისტრის – ნოე რამიშვილის ვაჟს, ინგლისში მცხოვრებ აკაკი რამიშვილს: „სალამი ძვირფასო აკაკი! იმედია, კარგად ხარ. ერთი ამბავი გამახსენდა, მომესურვა, რომ გაცნობო. იქნებ, გამოგადგეს შენ მოგონებებში.

ქალაქ ბათუმის გუბერნატორი იყო გენერალი მდივანი, მისი თანაშემწე – ქაქუცა ჩოლოყაშვილი. ერთხელ, ბათუმში ჩავიდა შინაგან საქმეთა მინისტრი, ბატონი ნოე რამიშვილი. ვახშმობის შემდეგ, გენერალმა უთხრა ქაქუცას: აბა, შენ იცი, როგორ მოასვენებ ამაღამ ბატონ მინისტრსო.

ქაქუცამ წაიყვანა თავის ბინაში და თავისი საწოლი შესთავაზა. მაშინ ნოემ ჰკითხა, შენ სად დაწვებიო. მე ამ დივანზე მოვისვენებო – უთქვამს ქაქუცას. ნოემ უპასუხა: როგორ, შენ, თავადიშვილი, მე საწოლს მითმობ, შენ კი დივანზე უნდა მოისვენოო? ქაქუცამ უპასუხა: მე მხედარი ვარ და ყველგან შემიძლია მოვისვენო, თქვენ კი მინისტრი ბრძანდებითო. ეს ნაამბობი მომაგონდა და ამიტომ მინდოდა მეცნობებინა შენთვის" (90. 13).

1920-21 წლების მიჯნაზე ბათუმში მყოფმა ქაქუცა ჩოლოყაშვილმა თხოვნით მიმართა სამხედრო მინისტრს, მის ქართველ ცხენოსანთა ათასეულში დაბრუნებასთან დაკავშირებით. ნ. ნაკაშიძის ცნობით, „ველოდით განკარგულებას ქაქუცას დანიშვნის შესახებ" (125. 612).

1921 წლის 27 იანვარს პირველ მსოფლიო ომში გამარჯვებული ანტანტის სახელმწიფოებმა: ინგლისმა, საფრანგეთმა, იტალიამ, აგრეთვე, მსოფლიოს რამდენიმე სხვა ქვეყანამ, საქართველო დე-იურედ ცნეს, რამაც ჩვენს მოსახლეობაში უდიდესი სიხარული და აღტაცება გამოიწვია. ხალხში არსებულ განწყობილებას კარგად გამოხატავს ცნო-

ბილი ქართველი ემიგრანტი მოღვაწის – თამარ პაპავას მიერ ქაქუცა ჩოლოყაშვილისადმი მიძღვნილ ნარკვევში დაცული ეს ცნობაც: „მრავალი კარგი დროება გაგვიტარებია ერთად ჩვენს ოჯახებს, ბევრი „ლეკური“ ჩამოგვივლია შუამთაში, ხატობაში და ალავერდში. და მერმე, როგორ უხდებოდა ეს რაინდული ცეკვა ამ მშვენიერ ვაჟკაცს!..

აი, ასეთი გიჟური „ქართული“ მე და ქაქუცამ დავუარეთ მაშინ, როცა საქართველოს დამოუკიდებლობა ევროპის სახელმწიფოებმა იცნეს. დაუვიწყარია ის ნეტარი დღე მთელი ჩემი სიცოცხლის გზაზე: ქართული კლუბის დიდ დარბაზში საზეიმო მეჯლისი იყო გამართული; მთელი საქართველოს წარჩინებულნი იყვნენ მაშინ იქ შეკრებილნი, რათა ენახათ და მოესმინათ საქართველოს ეს ისტორიული ამბავი მისი მკვდრეთით აღდგომისა...

გაისმა ციური ხმები: დოლმა და საზანდარმა „ქართული“ გააჩაღეს... და ამ დროს, როგორც არწივი მოსწყდება ხოლმე მთის ნაპრალს, ისე მოსწყდა ქაქუცა, ერთი დაუარა, ჩემკენ გამოეშურა და გამიწვია. მას სცვლიდნენ ჩვენი ახალგაზრდა ვაჟკაცები, შავ ჩოხაში გამოწყობილი ოფიცრები: ყარალაშვილი, ანტ. ცაგარელი, ყარანგოზიშვილი, წერეთელი და სხვანი. ახ, რა იყო ის როკვა – გიჟური აღტაცება... ეს იყო გამარჯვებული საქართველოს ლაღობა და ნადიმი“ (85. 62).

და... სწორედ ამ დროს, 1921 წლის იანვრის ბოლოს, საბჭოთა რუსეთის მთავრობის სამზადისი „გამარჯვებული საქართველოს“ დასაპყრობად გადამწყვეტ ფაზაში შევიდა; იმ საქართველოსი, რომელიც თვითონ ვლადიმერ ლენინმა 1920 წლის 7 მაისს მოსკოვში დადებული საქართველო-რუსეთის ხელშეკრულებით დე-იურედ აღიარა.

ხელშეკრულების I მუხლში ეწერა: „რუსეთი უსიტყვოდ ცნობს საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობას და ნებაყოფლობით ამბობს უარს ყოველმხრივ სუვერენულ უფლებებზე, რომლებიც რუსეთს ქართველი ხალხის და მიწის მიმართ ჰქონდა“; ხოლო II მუხლში აღნიშნული იყო: „რუსეთი უარს ამბობს საქართველოს საშინაო საქმეებში ყოველგვარ ჩარევაზე“ (15. 259-260; 17. 370; 27. 592; 45; 82. 64; 145. 10-12).

საბჭოთა რუსეთის ხელმძღვანელობის აგრესიული გეგმების განხორციელებას ხელი შეუწყო I მსოფლიო ომში გამარჯვებული, თუმცა ეკონომიკურად დასუსტებული ანტანტის (განსაკუთრებით, დიდი ბრიტანეთის) სახელმწიფოების პოზიციამ. ინგლისის პრემიერ-მინისტრმა ლოიდ ჯორჯმა, საბჭოთა რუსეთთან მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობების დამყარების სანაცვლოდ, ამიერკავკასიის ქვეყნების საკითხი კრემლის საშინაო საქმედ აღიარა. გარკვეული ტერიტორიების დათმო-

ბის თაობაზე დაპირების მიღების შემდეგ ასევე მოიქცა მუსტაფა ქემალ ფაშაც.

სომხეთის გასაბჭოების (1920 წ. ნოემბერი), დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებისა და თურქეთის პოზიციის გარკვევის შემდეგ ლენინის, სტალინისა და ტროცკის გეგმების დღის წესრიგში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაპყრობის საკითხი დადგა. მათი აზრით, სომხეთის გასაბჭოების შემდეგ დამოუკიდებელი საქართველო დისონანსს ქმნიდა ამიერკავკასიის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ისინი სულაც არ უწევდნენ ანგარიშს იმას, რომ საქართველოს მოსახლეობა მხარს უჭერდა არსებულ დემოკრატიულ ხელისუფლებას. რსფსრ-ს ელჩი საქართველოში ა. შეინმანი, რომელმაც ამ თანამდებობაზე ს. კიროვი შეცვალა, აღნიშნავდა: „საქართველოს უჭირს, მაგრამ ქვეყნის შიგნით არ არსებობენ ძალები, რომელთაც შეეძლოთ მისი მთავრობის დამხობა“.

ამის მიუხედავად, კრემლი მხოლოდ საბაბს ეძებდა საქართველოს წინააღმდეგ ომის დასაწყებად. რუსეთი საქართველოს მთავრობას ბრალს სდებდა 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების დარღვევაში. რუსეთის ოფიციალური სახელმწიფო ორგანოები ავრცელებდნენ ხმებს იმის შესახებ, რომ საქართველოში თავს იყრიდნენ ძალები, რომლებიც საფრთხეს უქმნიდნენ რუსეთსა და სხვა საბჭოთა რესპუბლიკებს; ვრცელდებოდა ხმები იმის შესახებაც, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ახშობდა მუშებისა და გლეხების ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლებისათვის; თითქოს, აჯანყებული მშრომელები ითხოვდნენ საბჭოთა რუსეთისგან დახმარებას და ა. შ. ერთი სიტყვით, ყველაფერი კეთდებოდა იმისათვის, რათა საქართველოში წითელი არმიის შემოყვანა გარე სამყაროს აღექვა, როგორც საქართველოს აჯანყებული მშრომელების წინაშე წითელი არმიის მიერ ინტერნაციონალური მოვალეობის მოხდა (26. 82;).

საბჭოთა რუსეთის ხელმძღვანელებმა აზერბაიჯანში განლაგებული მე-11 წითელი არმიის უფროსს, გენერალ ანატოლი გეკერს დაავალეს, შეედგინა მოხსენებითი ბარათი საქართველოს შესაძლო დაპყრობის შესახებ. 1920 წლის 18 დეკემბერს მან კავკასიის ფრონტის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს წარუდგინა საქართველოს ძალდატანებითი გასაბჭოების (დაპყრობის) დეტალური გეგმა. გეკერის თქმით, „საქართველოზე თავდასხმა და თბილისზე შეტევა უნდა მოხდეს მხოლოდ და მხოლოდ კარგი მომზადების შემდეგ, რათა სასწრაფოდ მოვუთავოთ ხელი თბილისის ხალხს“ (47. 195-197; 48. 399; 103. 115;).

1921 წლის 26 იანვარს (ფაქტობრივად, ანტანტის სახელმწიფოების მიერ საქართველოს დე-იურედ ცნობის პარალელურად — გ. ს.) რუსე-

თის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა სპეციალურად იმსჯელა საქართველოს საკითხზე და მიიღო პირადად ლენინის მიერ დაწერილი შემდეგი დადგენილება:

„1) დაევალოს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატს გააჭიანუროს ურთიერთობის გაწყვეტა საქართველოსთან. ამასთან, სისტემატურად შეკრიბოს ზუსტი მასალა მის მიერ ხელშეკრულების დარღვევის შესახებ და უფრო დაჟინებით მოითხოვოს სომხეთში სურსათ-სანოვაგის გატარება;

2) შევეკითხოთ კავკასიის ფრონტს, რამდენად მომზადებული არიან ჩვენი არსებული სამხედრო ძალები საქართველოსთან დაუყოვნებლივი ან მოახლოებული ომისათვის. ამ საკითხის ჩამოყალიბება, ამასთან, იმის აღნიშვნა, რომ საქართველო საშინლად გათავხედდა, დაევალოს კომისიას, რომლის შემადგენლობაში იქნებიან ამხ. ტროცკი, ამხ. ჩიჩერინი და ამხ. სტალინი;

3) მივცეთ დირექტივა რესპუბლიკის სამხედრო-რევოლუციურ საბჭოს და კავკასიის ფრონტს, თუ საჭირო იქნა, მოემზადონ საქართველოსთან ომისათვის“ (48. 399-400).

1921 წლის 28 იანვარს საბჭოთა რუსეთის ეროვნებათა საქმეთა სახალხო კომისარმა იოსებ სტალინმა რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს (კავბიუროს) ხელმძღვანელს — სერგო ორჯონიკიძეს მოსკოვიდან ბაქოში შემდეგი შინაარსის დეპეშა გაუგზავნა: „ცეკამ მიიღო გადაწყვეტილება გასწიოს მოსამზადებელი მუშაობა იმ ვარაუდით, რომ, შესაძლოა, საჭირო შეიქმნეს სამხედრო ჩარევა და საქართველოს ოკუპაცია. გადაწყდა, აგრეთვე, შეკითხვა გაეგზავნოს კავკასიის ფრონტს ჩვენი სამხედრო ძალების მდგომარეობაზე, იმაზე, თუ რა ძალა დაგვჭირდება კიდევ, რომ უეჭველად დავამარცხოთ საქართველო, თორემ ტროცკი ირწმუნება, თქვენს ფრონტზე ჩვენ ერთობ სუსტნი ვართო. აუცილებელია ჩემს სახელზე გამოგზავნო ცნობა, შეგვიძლია თუ არა ვიქონიოთ სრული გამარჯვების იმედი“ (78. 386-387;).

მოსკოვში საქართველოში შემოჭრის ფორმალურ საბაბად ერთი „აჯანყების“ ინსპირირება მაინც აუცილებლად მიიჩნიეს. ამ მიზნით გამოიყენეს ლორეს რაიონში (ბორჩალოს მაზრა), ე. წ. „ნეიტრალურ ზონაში“, შექმნილი ვითარება. აჯანყების ინსპირირება კავბიურომ ი. ლაზიანს დაავალა. მან დავალება „პირნათლად“ შეასრულა. 1921 წლის 11 თებერვალს „აჯანყება“ დაიწყო ბორჩალოს მაზრაში მცხოვრებ რუს კოლონისტთა სოფლებში (ვორონცოვკა, პრიოლნოე, პოკროვსკოე და ა. შ.), რაც 11-12 თებერვლის ღამეს საქართველოს ტერიტორიაზე წითელი არმიის ნაწილების შემოჭრის საბაბი გახდა. ამ სპექტაკლის მთავარი გმირები გადაცმული წითელარმიელები

იყვნენ. მოულოდნელი თავდასხმის გამო, იქ განლაგებული ქართული ნაწილები დამარცხდნენ და მათ უკან დაიხიეს (16. 288-289;).

საქართველოს მხრიდან 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების ხელმომწერის, ცნობილი პოლიტიკური მოღვაწის – გრიგოლ ურატაძის თქმით, „ბოლშევიკების გულწრფელობა არასდროს გვწამდა, მათ ბუნებას ჩვენ კარგად ვიცნობდით, ვიცოდით, რომ მათი ნდობა არ შეიძლებოდა, მაგრამ თუ ასე ცინიკურად დაარღვევდნენ ხელშეკრულებას და ისიც ისე მოკლე ხანში – ამის დაჯერება კი ძნელი იყო“ (121. 88).

1921 წლის 14 თებერვალს ლენინმა რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის სახელით მე-11 არმიის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს გაუგზავნა შემდეგი შინაარსის დეპეშა: „ცეკა მზადაა ნება დართოს მე-11 არმიას, აქტიურად დაეხმაროს აჯანყებას საქართველოში და დაიკავოს თბილისი, საერთაშორისო ნორმების დაცვით (შეუძლებელია მოიყვანო თავხედობის და უზნეობის ამაზე უფრო თვალსაჩინო მაგალითი, როდესაც მოძალადე სახელმწიფოს ლიდერი დასტურს იძლევა მეორე, „მსხვერპლი“, სუვერენული ქვეყნის დედაქალაქის დასაპყრობად „საერთაშორისო ნორმების დაცვით“ – გ. ს.).

1921 წლის 15 თებერვალს ი. სტალინი ს. ორჯონიკიძეს აცნობებდა: „ეხლავე შეუტიე, დასტურია, აიღე ქალაქი“ (26. 83;).

15 თებერვალს რუსეთმა ახალი ფრონტი გახსნა. აზერბაიჯანიდან საზღვრები გადმოლახა მე-11 არმიამ, რომელიც კავალერიის ორი დივიზიით იყო გაძლიერებული. საქართველოს საზღვრებში შემოჭრა განხორციელდა დარიალის ხეობით, მამისონის ულელტეხილით, შავი ზღვის სანაპიროზე სოჭის მიმართულებით. საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაებნენ მე-8, მე-9 და მე-13 არმიები, აგრეთვე, ბუდიონისა და ულობას კავალერიის ნაწილები (111. 233).

პოლიტიკური მოსაზრებით, საბჭოთა რუსეთს არ სურდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ 1921 წლის 11-12 თებერვლის ღამეს დაწყებული საომარი მოქმედებები რუსეთ-საქართველოს ომად წარმოჩენილიყო. ამ მიზნით 1921 წლის 16 თებერვალს კრემლმა ასპარეზზე გამოიყვანა მის მიერვე შულავერში შექმნილი მეხუთე კოლონის კლასიკური ნიმუში – „საქართველოს რევოლუციური კომიტეტი“ („რევკომი“), რომლის თავმჯდომარედ მოსკოვში მყოფი ქართველი ბოლშევიკი ფილიპე მახარაძე დაინიშნა.

რევკომის, რომელსაც ისტორიაში „შულავერის კომიტეტსაც“ უწოდებენ, წევრები იყვნენ მ. ორახელაშვილი, შ. ელიავა, ა. გეგეჭკორი, ბ. მდივანი, ბ. კვირკველია, ამ. ნაზარეტიანი და სხვ. ფ. მახარაძე თბილისში დიდი დაგვიანებით ჩამოვიდა; რაც შეეხება ბუდუ მდივანს, რომელიც ასევე არ იმყოფებოდა კავკასიაში, მან მხოლოდ დაახლოე-

ბით ერთი თვის შემდეგ გაიგო, რომ რევკომის შემადგენლობაში იყო შეყვანილი. რეალურად ვითარებას მე-11 არმიის სარდლობა და „რევკომის“ შემქმნელი, კავბიუროს უცვლელი ხელმძღვანელი სერგო ორჯონიკიძე აკონტროლებდა.

საქართველოს რევკომმა, ვითომდა აჯანყებული საქართველოს მშრომელების სახელით, 1921 წლის 16 თებერვალს დახმარებისათვის მიმართა საბჭოთა რუსეთს. ამ ფაქტით მოსკოვი შეეცადა დაეფარა საბჭოთა რუსეთის ინტერვენცია დამოუკიდებელი ქვეყნის – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ. ფარსი უნაკლოდ მაინც ვერ გათამაშდა. საქართველოს ტერიტორიაზე საომარი ოპერაციები რუსეთმა 1921 წლის 12 თებერვალს დაიწყო, ხოლო საქართველოს რევკომის თხოვნა მოსკოვში 16 თებერვალს გაიგზავნა, ე. ი. 12 თებერვლიდან 16 თებერვლამდე წითელ არმიას საქართველოს ტერიტორიაზე შემოჭრის ფორმალური საბაბიც კი არ ჰქონდა; აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ საქართველოს რევკომს, როგორც არალეგიტიმურ ორგანოს, არავითარი უფლება არ ჰქონდა უცხო ქვეყნის სამხედრო ძალა მოეწვია ქვეყანაში ხალხის მიერ არჩეული კანონიერი ხელისუფლების დასამხობად (24. 108; 31. 377;).

წითელ არმიას საქართველო უბრძოლველად არ დაუკავებია. მას სასტიკ წინააღმდეგობას უწევდნენ საქართველოს შეიარაღებული ძალების მებრძოლები. განსაკუთრებით აღსანიშნავია თბილისის სამხედრო სკოლის აღზრდილების – იუნკრების გმირული ბრძოლა კოჯორ-ტაბახმელასთან, მოწყალების დის – მარო მაყაშვილის თავდადება და ა. შ. მხოლოდ 24 თებერვალს, ღამით, გაიცა ბრძანება მცხეთისკენ უკანდახევისა და თბილისის უბრძოლველად დატოვების შესახებ. 25 თებერვალს წითელი არმიის ნაწილები თბილისში შევიდნენ. ბაქოდან ს. ორჯონიკიძემ გაგზავნა შემდეგი შინაარსის დეპეშა: „მოსკოვი, კრემლი, ლენინს, სტალინს. თბილისის თავზე ფრიალებს საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა. გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!“ (26. 84; 47. 203; 120. 13).

ბოლშევიკებთან ომის მსვლელობის დროს, ქაქუცა ჩოლოყაშვილი გენერალ დავით ჭავჭავაძესთან ერთად სამეგრელოში იმყოფებოდა, სადაც ისინი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ ცხენოსანთა ნაწილების ჩამოსაყალიბებლად გაგზავნა. ნ. ნაკაშიძე შემდგომში იგონებდა: „სრულის სიაშკარით გამოჩნდა ომისათვის ჩვენი სრული მოუმზადებლობა და, განსაკუთრებით, ცხენოსან ნაწილების კატასტროფული მცირე ოდენობა. მთავრობამ მხოლოდ ეხლა მოიფშვნიტა თვალი და შეუდგა ცხენოსანი ნაწილების მოწყობას. სარდლად ცნობილი დავით ჭავჭავაძე დანიშნეს. იმ ძნელ პირობებში მხოლოდ

ორი ესკადრონის შედგენა მოხერხდა. ერთი მათგანის უმფროსად ქაქუცა დაინიშნა“ (125. 612-613).

ქართულ საჯარისო ნაწილებთან ერთად უკანდახეული ალ. სულხანიშვილი სამეგრელოდან ჩამოსულ თავის მეგობარ ქაქუცა ჩოლოყაშვილს შემთხვევით საჯავახოს სადგურში შეხვდა და ჰკითხა, თუ რას აპირებდა იგი მომავალში. ქაქუცამ მას უპასუხა, რომ ჯერ ბათუმში გაემგზავრებოდა, ხოლო თბილისში დაბრუნების შემდეგ, გენერალ კოტე აფხაზს შეხვდებოდა და მასთან ერთად სამომავლო გეგმებს დასახავდა (106. 72).

მართლაც, საჯავახოდან ქაქუცა ჩოლოყაშვილი ბათუმისკენ გაემართა, სადაც აქტიურად მონაწილეობდა აჭარის შესანარჩუნებლად გენერალ გიორგი მაზნიაშვილის ხელმძღვანელობით წარმოებულ ბრძოლებში. სწორედ ბათუმში მოხდა ერთი მეტად საინტერესო ფაქტი — ქაქუცა შემთხვევით შეხვდა თავის ყოფილ თანამებრძოლს, ვახმისტრს, ტვერის დრაგუნთა პოლკიდან, ხოლო 1921 წელს საბჭოთა რუსეთის ერთ-ერთ ყველაზე გამორჩენილ მხედართმთავარს, ზაპოროჟიელ კაზაკს, წითელი არმიის მე-18 საკავალერიო დივიზიის უფროსს დიმიტრი ჟლობას.

ამ მოულოდნელი შეხვედრის შესახებ ალ. სულხანიშვილი მოგვითხრობს: „თურმე, ქაქუცა თვით ჟლობას შეხვედრია ბათუმში. ის მას კარგად იცნობდა ტვერსკის პოლკიდან, რომელიც თუქურმიშაში იდგა მეფის დროს. ჟლობა ვახმისტრად ყოფილა მაშინ ქაქუცას ასეულში. მას ისე გახარებია ქაქუცასთან შეხვედრა, რომ ჩვეულებისამებრ მიუძახებია: „ოხ, ვაშე სიატელსტვო!“ ალბათ, იმ წამს დაავიწყდა, რომ დრონი მეფობენ და არა მეფენი, და ახლა თითონ ბრძანდებოდა დიდი კაცი! ყოველ შემთხვევაში, ამას ჰქვია ბედნიერი შეხვედრა, რადგან ამის მეოხებით მომხდარა, რომ ჩვენი დივიზია და ათასეული არ განუიარაღებიათ.

როდესაც ცხენოსანი დივიზია და პირველი ცხენოსანი ათასეული შეაერთეს, ჟლობამ ქაქუცას შესთავაზა ჩვენი ცხენოსანი ჯარის უფროსობა, მაგრამ იმან არ იკისრა. სამაგიეროდ, მისი მითითებით, ფრიდონ წულუკიძე დანიშნა სარდლად, ხოლო ქაქუცა — მის თანაშემწედ“ (34. 11; 35. 11).

II თავი — ბრძოლა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის (1921 წ. მარტი - 1924 წ. სექტემბერი)

საომარი ოპერაციები საქართველოსა და რუსეთს შორის 1921 წლის მარტის მეორე ნახევარში შეწყდა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ ნოე ჟორდანიას მეთაურობით ემიგრაციაში, კერძოდ, საფრანგეთში, წასვლის გადაწყვეტილება მიიღო. მას კაპიტულაცია არ გამოუცხადებია; დამფუძნებელ კრებას, როგორც ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს, თავისი უფლებამოსილება არ მოუხსნია. მთავრობის და დამფუძნებელი კრების წევრების გამგზავრება საქართველოდან აუცილებელი გახდა, რადგან ეს დამპყრობელთან პოლიტიკური ურთიერთობებისაგან თავის არიდების ერთადერთი საშუალება იყო.

ქაქუცა ჩოლოყაშვილი, ბევრ პოლიტიკურ და სამხედრო მოღვაწესთან ერთად, საქართველოში დარჩა. მათ ჯერ კიდევ ბათუმში ყოფნის დროს იმსჯელეს სამომავლო მოქმედებების გეგმებთან დაკავშირებით. ამ მოლაპარაკებებში აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე სპირიდონ კედია, რომელიც ასევე არ წასულა ემიგრაციაში. მოლაპარაკებების შედეგად გადაწყდა — ქართველ ოფიცრებსა და ჯარისკაცებს უნდა განეგრძოთ საბჭოთა ჯარში სამსახური; როგორმე უნდა მოეხერხებინათ, რომ მოჩვენებითი ერთგულებით მაღალი თანამდებობები ჩაეგდოთ ხელში, რათა საჭირო დროს ქართული სამხედრო ძალები მათ ხელში ყოფილიყო (114; 115. 318).

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერის — ალექსანდრე ასათიანის თქმით, ქაქუცა ჩოლოყაშვილი „იყო თავიდანვე წევრი იმ თაოსნობის, რომელმაც დიდი ეროვნული დარაზმულობის შექმნა დაიწყო უკვე საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის პირველსავე თვეში“ (129. 326).

ქაქუცა ჩოლოყაშვილზე, როგორც გამოცდილ და გულად მეომარზე, ქართველი სამხედრო პირები დიდ იმედებს ამყარებდნენ, სწორედ იგი მიაჩნდათ ბოლშევიკების წინააღმდეგ მომავალი ბრძოლების მეთაურად. ზემოთქმულზე ნათლად მეტყველებს ნ. ნაკაშიძის შემდეგი შინაარსის მოგონება: „ბათუმში შეიკრიბა თითქმის მთელი ქართველი ოფიცრობა. რამდენიმე მათგანმა თავი სათათბიროდ მოიყარა. გადასაწყვეტი იყო, კვლავ როგორ ემოქმედათ. მათ შორის ქაქუცაც იყო. ყველა იმ აზრს ადგა, რომ ბრძოლა უნდა გაგრძელდეს. როდესაც საკითხი დადგა,

თუ მეთაური ვინ იქნება, ყველამ, უმცროსმა თუ უფროსმა, თითქოს შეთქმულიყვნენ, ერთად თვალი ქაქუცას მიაპყრო. ქაქუცას მიენდო მეთაურობა-ბელადობა. ყველას ბუნებრივად მიაჩნდა, რომ მომავალი ბრძოლების ბელადი ქაქუცა უნდა ყოფილიყო.

შემუშავდა გეგმა და დაინიშნა ყოველი კუთხის მეთაური, რომელნიც მთავარ ხელმძღვანელს — ქაქუცას ემორჩილებოდნენ. სხდომას დაესწრო ბევრი, ქაქუცაზედ ხნით და სამხედრო ხარისხით უმფროსი, მაგრამ ყველა ხმაამოუღებლივ მას დაემორჩილა. აი, ერთი სურათთაგანი: სამეგრელოს სამხედრო მეთაურად მუშნი დადიანი დაინიშნა. გამოთხოვების დროს, მუშნი ქაქუცას გადაეხვია და უთხრა: „ქაქუცა, თავს მოუარე. ერს უნდა უხელმძღვანელო. მის წინაშე მოვალე ხარ, თავს გაუფრთხილდე. სადაც სიკვდილია საჭირო, იქ ჩვენ დაგვიძახე". დამსწრეთა შორის ერთი მოხუცებული ღენერალი იყო. ცრემლები ვერ შეიკავა, მივიდა ქაქუცასთან და პირჯვარი გადასწერა" (125. 613).

1921 წლის მარტის ბოლოს ქართული (ამჯერად უკვე წითელი) ცხენოსანი ათასეული, სადაც ქაქუცა ჩოლოყაშვილი მსახურობდა, ჯერ თბილისში დაბანაკდა, ხოლო შემდეგ ეკატერინენფელდში გადაიყვანეს (106. 77).

თბილისში ყოფნის დროს სპირიდონ კედია და ქაქუცა ჩოლოყაშვილი გენერალ კოტე აფხაზს, ედპ-ს ერთ-ერთ ლიდერს დავით (დათა) ვაჩნაძესა და რამდენიმე სხვა მაღალი რანგის ოფიცერს შეხვდნენ, რის შედეგადაც სამოქმედო გეგმამ კონკრეტული სახე მიიღო. კოტე აფხაზთან, სპირიდონ კედიასთან, დავით ვაჩნაძესთან და სხვა მამულიშვილებთან შეთანხმებით, ქაქუცა ჩოლოყაშვილმა ურთულესი და უმნიშვნელოვანესი მისია იკისრა — მას კახეთში საბჭოთა ხელისუფლებასთან მებრძოლი პარტიზანული რაზმი უნდა ჩამოეყალიბებინა.

თუ რატომ შეჩერდა ქართული პოლიტიკური და სამხედრო ელიტის ყურადღება სწორედ ქაქუცა ჩოლოყაშვილზე და რატომ შეირჩა პარტიზანული მოქმედებების მთავარ ასპარეზად კახეთის რეგიონი, ამის შესახებ, სპირიდონ კედიასგან მიღებული ცნობების საფუძველზე, თვალსაჩინო ქართველი ემიგრანტი მოღვაწე — მიხეილ ქავთარაძე მიუთითებს: „ქაქუცას მოქმედებას ორგვარი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ვიდრე საერთო აჯანყების სამზადისი დამთავრდებოდა, ეს რაზმი მცირერიცხოვანი უნდა დარჩენილიყო. მის არსებობას უნდა გაემაგრებინა ხალხში იმედი და, ამავე დროს, მოძალადე ხელისუფლებასაც უნდა შეკვეცოდა კადნიერება — რომ თავი დაუსჯელად არ ეგრძნოთ.

რომ არჩევანი სწორედ ქაქუცაზე შეჩერდა, ამას თავისი ლოგიკური საფუძველი ჰქონდა. ასეთი რაზმის ბუდე სწორედ კახეთი უნდა ყოფილიყო, ჯერ მისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო. კახეთი ტფილის-

საც აკრავს, საქართველოს მთიანეთს – თუშ-ფშავ-ხევსურეთსაც და დაღისტანსაც. მხოლოდ კახეთიდან შეიძლება ერთსადაიმავე დროს მოქმედება დარიალისა და დარუბანდის ჩასაკეტად. კახეთი ის პროვინციაა, რომელსაც აჯანყებათა ყველაზე დიდი ტრადიცია აქვს. ხშირი ტყეები და დოლათიანი მხარე მეომარ-პატრიოტულად განწყობილ მოსახლეობით, აგრეთვე, საუკეთესო პირობებია პარტიზანულ რაზმისათვის თავის შესანახად.

მაშასადამე, რაზმის უფროსიც კახელი უნდა ყოფილიყო. მარტო ეს პირობები არ კმაროდა. რაზმის უფროსი ოფიცერიც უნდა ყოფილიყო, რადგან პარტიზანულ მოქმედებათა გარდა, შემდეგში გაზრდილ რაზმს წმინდა სამხედრო საომარი ამოცანებიც დაეკისრებოდა. ამასთანავე, ეს ოფიცერი ხალხთან დაახლოებული კაციც უნდა ყოფილიყო და არა თავის კასტაში ჩაკეტილი ხალხისაგან მოწყვეტილი ინტელიგენტი შტაბის ოფიცერი...

აქ მოტანილი ცნობები სპირიდონ კედიას ნაამბობის შინაარსის მეხსიერებაში შემორჩენილი გადმოცემა არის, მაგრამ, აი, სიტყვასიტყვით გადმოცემული მისი თქმა ქაქუცას შესახებ: როგორც ტყე წარმოშობს ხეს, მაგრამ ხეები ქმნიან ტყეს, ისე ქაქუცა წარმოშვა იმ გმირულმა ეპოქამ, რომელიც ჩვენს დამარცხებას მოჰყვა, მაგრამ ამ ეპოქის შემქმნელიც არისო. და კიდევ ერთი მაშინ ნათქვამი ფრაზა: „ქართველი კაცის ყურისათვის ქაქუცას ჩოლოყაშვილობაც კმაროდა – ლეგენდას უკვე გვარი ჰქმნიდაო“ (115. 319).

ქაქუცა ჩოლოყაშვილისა და კოტე აფხაზის შეხვედრის, აგრეთვე, ქაქუცას ხელმძღვანელობით პარტიზანული მოძრაობის დაწყების განზრახვის ფაქტს ალ. სულხანიშვილიც ადასტურებს. ეკატერინენფელდში ყოფნის დროს (ამ პერიოდში ეს უკანასკნელიც ქართულ ცხენოსან ათასეულში მსახურობდა – გ. ს.), ქაქუცამ მას საიდუმლოდ გაუმხილა, რომ თბილისში „რამდენჯერმე შეხვდა გენერალ კოტე აფხაზს... ჩვენს მხედრობას პარტიზანული ბრძოლების წამოწყება ჰქონია გადაწყვეტილი და ამ საქმის სათავეში ჩადგომას თვითონ მას ავალებდნენ. ამისათვის, როგორც მან მითხრა, ჯერ პატარა ჯგუფს უნდა მოეყარა თავი მეტად საიდუმლო ვითარებაში, რათა რაზმის შესაქმნელად დაეწყოთ მზადება“ (106. 77).

გენერალ კოტე აფხაზის ინიციატივით, კახეთში ქაქუცა ჩოლოყაშვილისთვის პარტიზანული რაზმის ჩამოყალიბების საქმეში ხელის შეწყობა ასევე ამ კუთხის მკვიდრს, პოლკოვნიკ დავით (დათა) ვაჩნაძეს დაევალა. აჯანყების მომზადების საქმეში მას მნიშვნელოვანი როლი ეკისრებოდა. ქართული ემიგრაციის ერთ-ერთი წარმომადგენელი სევერიან ჭირაქაძე დავით ვაჩნაძის გარდაცვალების გამო გამოქვეყ-

ნებულ გამოსათხოვარ სტატიაში წერდა: „საერთო აჯანყების მიზნით დაარსებულ სამხედრო ორგანიზაციას სათავეში ედგა კოტე აფხაზი. მისი დავალებით დავით ვაჩნაძე საქართველოს ყველა კუთხეში ქმნიდა სამხედრო ორგანიზაციების ქსელს“ (50. 44).

1921 წლის ზაფხულში, დათა ვაჩნაძის ინიციატივით თბილისში, მის ბინაში (იზმაილოვის ქუჩა № 34), მოეწყო ქაქუცა ჩოლოყაშვილის საიდუმლო შეხვედრები გენერალ ალექსანდრე ანდრონიკაშვილთან, პოლკოვნიკებთან: როსტომ მუსხელიშვილთან, გიორგი თუხარელთან, ნესტორ გარდაფხაძესთან, მოსესტრო დადეშქელიანთან და სხვ. მ. ლაშქარაშვილი აღნიშნული შეხვედრების თარიღად 1922 წლის გაზაფხულს ასახელებს (38. 130-131; 64. 13).

გარკვეულ დრომდე აუცილებელი იყო, რომ ქაქუცა ჩოლოყაშვილის განზრახვის შესახებ მხოლოდ ძალზე ცოტა ადამიანს სცოდნოდა. ის ჩვეულებრივად განაგრძობდა სამსახურს ქართულ ცხენოსან ათასეულში. ეკატერინენფელდში ჯარისკაცებისა და ცხენების გამოკვება ძალიან გაჭირდა. ქაქუცამ ამით ისარგებლა და რუსებს შესთავაზა: „ვინაიდან აქაც ასე ჭირს საკვების საკითხი, კახეთში გადასვლის უფლება მოგვეცით; იქ უფრო გაგვიადვილდება ცხენების გამოკვებაც და ხალხისაცაო“. მისი თხოვნა დააკმაყოფილეს და ათასეული ჯერ თელავში გაამწესეს, ხოლო იქიდან ყვარელში გადაიყვანეს.

ყვარელში დაბანაკებულმა ქაქუცა ჩოლოყაშვილმა, ალექსანდრე სულხანიშვილმა და მათმა რამდენიმე თანამოაზრემ 1921 წლის ივნისიდან „ორგანიზაციების ვრცელი ქსელის მოსაწყობად“ კახეთის სოფლებში სიარული დაიწყეს. მათი საქმიანობა საბჭოთა ხელისუფლებას მხედველობიდან არ გამოჰპარვია. ერთხელ, ყვარელში ჩასულმა გოგი ხიმშიაშვილმა ალ. სულხანიშვილს საიდუმლოდ უთხრა: „მე ვიცი, რომ თქვენ არ მოისვენებთ; გული მიგრძნობს, რომ რაღაცისთვის ემზადებით. გთხოვ, ქაქუცასაც უთხრა, რომ ჯერჯერობით არაფერი მოახდინოთ. ყველა თქვენს მდგომარეობაში ვართ, მაგრამ ჯერხნობით კი არაფრის დრო არ არის; ამისათვის განსაკუთრებული მომზადებაა საჭირო. ქაქუცას გაუფრთხილდით, ეგ გამოსადეგი კაცია, ხოლო წითლები ალმაცერად უცქერიან“ (106. 77-82).

1921 წლის აგვისტოში ქართული ცხენოსანი ათასეული თბილისში გადაიყვანეს. ოფიცერთა უმეტესობამ მაშინვე დასტოვა ათასეული. თვით ქაქუცა კახეთში გაემგზავრა. აქედან მოყოლებული, ქაქუცა ჩოლოყაშვილის საქმიანობამ პარტიზანული რაზმის შესაქმნელად კიდევ უფრო ინტენსიური ხასიათი მიიღო. ამ საქმეში მას მხარში ედგა ქართლ-კახეთის მწარმოებელ კოოპერატივთა კავშირი „წარმოკავშირი“ ივანე (ვანო) ციციშვილის ხელმძღვანელობით. აღნიშნული ორგანიზაცია

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის წლებშიც ფუნქციონირებდა.

დავით ვაჩნაძის თქმით, „ახალი კომუნისტური მმართველობა ალმაცერად უყურებდა ამ ორგანიზაციას, მაგრამ პირველ ხანებში ანგარიშს უწევდა მის გავლენას სოფლის მწარმოებელ კოოპერატიულ წრეებზე და ხელს არ უშლიდა მის მუშაობას... მჭიდროდ გადაწნული ქართულ სოფელთან, „წარმოკავშირი“ ცოცხალი გამოძახილი იყო სოფლის ხალხის სულისკვეთებისა და ახალ რეჟიმისადმი უკმაყოფილების ზრდასთან ერთად „წარმოკავშირი“ მალე გადაიქცა ფარულ დასაყრდნობ ბურჯად ბოლშევიკების წინააღმდეგ ყველა აქტიურ ქართულ ეროვნულ ძალებისა აღმოსავლეთ საქართველოში... 1921 წლის სვანეთის და 1922 წლის ხევსურეთის აჯანყებათა ფინანსური შემზადება „წარმოკავშირს“ და მის წრეებს ეკუთვნოდა“ (39. 176-177).

თბილისიდან კახეთში გამგზავრების წინ ქაქუცა ჩოლოყაშვილი შეხვდა თავის მეგობარს – დავით ვაჩნაძეს, რის შესახებაც ეს უკანასკნელი მოგვითხრობს: „დათა, ხვალ მივემგზავრები კახეთში მუშაობის დასაწყებად. აბა, შენი და ვანოს (ივანე ციციშვილი – გ. ს.) იმედი მაქვს, თუ როგორ შემიწყობთ ხელს აქედან. ჯერ მოვივლი თიანეთ-თელავის მხარეებს. ალავერდობის დღეს, აგრეთვე, შევხვდები მთის პირიქითა ხალხების წარმომადგენლებს და მოვრიგდები მათთანაც. მერმე ამისა გაცნობებთ ჩემს ამბავს. თუ დაგჭირდები, მომიკითხე ამ დროისათვის ალავერდში, – მითხრა მარიამობის დასაწყისში ქაქუცა ჩოლოყაშვილმა.

– მიიღე ფული „წარმოკავშირიდან„?

– მივიღე. ვანო ციციშვილმა ერთი მილიონი მანეთი გადმომცა. ამ ხანად სამყოფია.

– ერთი კვირის შემდეგ მეც წამოვალ და დავბინავდები „სართველოდ“ ჩემს სოფელ ბაკურციხეში. სილნაღის მაზრაში ბევრი თანამოაზრე გვყავს. ჩვენ საქმეში გამოდგებიან.

– გიორგი წინამძღვრიშვილთან როგორა ხარ? – მკითხა ქაქუცამ.

– ჩინებულად.

– ენერგიული, სასარგებლო კაცია. მის მეღვინეთა „კავშირთაკავშირის“ საზოგადოებას ბევრი ხალხი აბადია... თვითონაც გავლენა აქვს კახეთში. საჭიროა გიორგის თანამშრომლობაც, – მითხრა ჩოლოყაშვილმა.

მეორე დღეს ქაქუცა გაჰქრა თბილისიდან...“ (39. 177-178).

რამდენიმე დღეში დათა ვაჩნაძე კახეთში „წარმოკავშირის“ სრულუფლებიან წარმომადგენლად დაინიშნა და მშობლიურ სოფელ ბაკურციხეში მატარებლით გაემგზავრა. გზაში მასთან ერთად ერთი მოხ-

უცებული ჩალაუბნელი გლეხი მგზავრობდა. „რა გაიგო ჩემი ვინაობა, ჩუმად დამეკითხა:

— ბატონო, ხალხი ამბობს, რომ ვიღაც „ქაქუცა“ გაჩენილა, რომელსაც თავზე ხელი აუღია და შეუფიცავს, რომ მუხთალ ბოლშევიკებს აქედან გაფერთხავს. მართალია ეს?

— მეც მომიკრავს ყური ამ ამბისათვის, მაგრამ დანამდვილებით კი არ ვიცი... არ გაგიგიათ, სადაურია ეგ კაცი? — ფრთხილად ვკითხე ჩემს მოსაუბრე გლეხს.

— ამბობენ, ხევსურიაო, ჩოლოყაანთ გვარისაო... კაი ვაჟკაცი და მეომარიო. ნეტამც მართალი იყოს, რომ ერთი ასეთი ბელადი გაგვიჩნდეს, თორემ ამ ბოლშევიკების სიმყრალეში ხომ სული ამოგვერთვა, ბატონო, — მეუბნებოდა ოხვრითა ქართველი სოფლელი.

— ფიქრობთ, რომ ჩვენი ხალხი გაჰყვება ასეთ ბელადს ბრძოლაში?

— მთის ქართველობა მთლად აიშლება. ბარიდანაც ზოგი მხარე მოეხმარება. თუ გადამთიელნიც მხარს მისცემენ, ცუდ ამბავს დამართავენ ბოლშევიკებს, — მიპასუხა მან.

— გვეშველება ვითომ ამით?

— თუ „კაცნი ვართ და ქუდი გვხურამს“, ამ ანგარიშს კი არ უნდა გამოვუდგეთ, ბატონო. ძველიდან ჩვენში ნათქვამია — „სჯობს მურტალსა ცხოვრებას სიკვდილი ვაჟკაცურიო“. მტერს უნდა გავაგებინოთ, რომ ქართველები კრავები კი არა ვართ“.

კახეთში ჩასვლის შემდეგ, დავით ვაჩნაძემ თელავში, ბაკურციხესა და რამდენიმე სხვა დასახლებულ პუნქტში „წარმოკავშირის“ სამეურნეო იარაღის საწყობები გახსნა, რომლებიც, მისი ცნობით, სინამდვილეში ქაქუცა ჩოლოყაშვილის „საპარტიზანო მოქმედების ბაზებს“ წარმოადგენდა (39. 178-179).

„შეფიცულთა“ რაზმის ერთ-ერთი წევრი მ. ლაშქარაშვილი თავის მოგონებებში აღნიშნავს: „სამხედრო ცენტრს“ (აქ მ. ლაშქარაშვილი ცდება. „სამხედრო ცენტრი“ 1922 წელს შეიქმნა — გ. ს.) მუდამ ორი კაცი ჰყავდა დანიშნული ქაქუცასა და მათ შორის კავშირისათვის. ესენი იყვნენ გიორგი წინამძღვრიშვილი — მეურნე და დათა ვაჩნაძე — სამხედრო პირი. ამ პირების საშუალებით ქაქუცა იღებდა ცნობებს დახმარებასთან ერთად. ყოველ ამ მოქმედებას ეროვნულ-დემოკრატიული პარტია განაგებდა... ესენი ფულსა და საჭირო ნივთებს შოულობდნენ მწარმოებელ კოოპერატივთა კავშირის წევრებისაგან, „მწყემსის“ ამხანაგობიდან, აგრეთვე, მეხილეთა და მეღვინეთა კავშირებისაგან და, განსაკუთრებით კი, მათი ცენტრალური დაწესებულებებიდან“ (64. 13).

1921 წლის სექტემბერში ქაქუცა რამდენჯერმე შეხვდა სოფელ კისისხევში ოჯახთან ერთად დასასვენებლად მყოფ სპირიდონ კედი-

ას, რის შესახებაც ძალზე საინტერესო ინფორმაციაა დაცული მისი მეუღლის — სოფიო ჩიჯავაძის მოგონებებში: „აგვისტოდან სოფელ კისისხევში სპირიდონი ჩვენთან ერთად ისვენებდა, და, აი, აქ სექტემბერში ჩემთვის სრულიად მოულოდნელად სპირიდონთან მოვიდა ქაქუცა — მას თან ფავლენიშვილი ახლდა. სპირიდონს ქაქუცას მოსვლა არ გაჰკვირვებია — თითქოს მოელოდაო. მცირე საუზმისა და გასეირნების შემდეგ, წავიდნენ მახლობლად სოფელ კონდოლში მცხოვრებ ავალო ავალიშვილთან. ეს ავალიშვილი ქაქუცას სიდედრის ძმა იყო. წასვლისას სპირიდონმა გამაფრთხილა, რომ იმ ღამით იქ დარჩებოდა. თურმე, იქ სხვა პირებთანაც ჰქონია შეხვედრა...

დაახლოებით ორი კვირის შემდეგ, ქაქუცა მეორედ მოვიდა სპირიდონთან და წასვლისას ცხენზე მჯდომმა სპირიდონს ამოსძახა: ორ-სამ დღეში გეახლებითო. აქ უკვე ჩემი გაოცება ვეღარ დავძლიე და ვკითხე სპირიდონს, თუ რა საერთო ჰქონდა ამ დარდიმანდ ყმაწვილთან, ან სად მიდიოდა, რომ პირობაც კი მისცა, ორ-სამ დღეში მოვბრუნდებიო. ტფილისში, რასაკვირველია — მოკლედ მიპასუხა სპირიდონმა.

— თუ მაგან დუდუკებს შეაბერინა, ელოდე მაგის ორ-სამ დღეში მოსვლასა, — ვუთხარი.

— სონა, შენ არ იცნობ ქაქუცას, ეს ყმაწვილი ძალიან სანდო, გამოსადეგი და კარგი ქართველიაო. მართლაც, დანიშნულ ვადაზე ქაქუცამ ისევ ფავლენიშვილის თანხლებით ჩვენს ეზოში ცხენი შემოაჭენა — გაოცებული დავრჩი“ (115. 320).

დავით ვაჩნაძის მოგონებებში გვხვდება უძვირფასესი ცნობები 1921 წლის სექტემბერ-ოქტომბერში მის მიერ ქაქუცა ჩოლოყაშვილთან ერთად კახეთში მოწყობილი საიდუმლო შეხვედრების შესახებ, მათ შორის, განსაკუთრებით აღსანიშნავია ალავერდობის დღესასწაულზე გამართული შეკრება ქიზიყში, სოფელ ქვემო მაჩხაანში მცხოვრები ვასო თამაზაშვილის სახლში, იმ ვასო თამაზაშვილისა, რომელიც შემდგომში „შეფიცულთა“ რაზმის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და აქტიური წევრი გახდა.

დათა ვაჩნაძე იგონებს, რომ ერთ დღეს მას ბაკურციხეში ქიზიყელები ესტუმრნენ: „ეზოში შემოვიდა სამი ახალგაზრდა კაცი, კარგად გაწყობილ ჩოხებში და კოხტად წახურულნი პატარა ნაბდის ქუდებით.

— ბატონო დავით, ქიზიყი ბობოქრობს. ვეღარ იტანს ბოლშევიკების სიმურტლეს... ხალხი ამბობს — ან უნდა გაეწყდეთ, ან და ეს ოხერი ახალი ბატონები თავიდან მოვიცილოთო. თელავიდან ხმა მოვიდა, რომ ბ. ქაქუცა ჩოლოყაშვილი ხალხს აგროვებს და რაზმებს აწყობსო. გთხოვთ, ბატონო დავით, აცნობოთ ჩოლოყაშვილს, რომ აქეთკენაც მოგვხედოს. ერთ კაი მაგარ რაზმს ჩვენ, ქიზიყელები, შევადგენთ —

მომითხრობდა ახალ ამბებს და მთხოვდა ქიზიყელების ახალგაზრდა ბელადი ვასო თამაზაშვილი.

— კეთილი და პატიოსანი, ყმაწვილებო... ჩემს მეგობარ ქაქუცას ვაცნობებ თქვენს ამბავს და თხოვნასაც, მაგრამ ვიცი, რომ ამ ხანად მოუცლელია და თუ შესძლებს აქეთკენ წამოსვლას — ეს ალავერდობის შემდეგ. მანამდე კი, ვასო, მეტად ფრთხილ სამზადისს შეუდექით. ბაკურციხიდან მოგაშველებთ ქაქუცას ნათესავს, ახალგაზრდა ოფიცერს, კოტე ჩოლოყაშვილს. კარგი ოფიცერია და მამაცი ყმაწვილიც. ქაქუცასთან ერთად ენკენისთვის ბოლოს თქვენთან გაჩნდები...

ვასო თამაზაშვილის ბინაზე თავი მოიყარა 15 ქიზიყელმა — სიღნაღიდან, ბოდბიდან, მაჩხაანიდან, მანავიდან, ანაგიდან და სხვა ადგილებიდან. ყველანი დიდის ყურადღებით აცქერდებოდნენ ქაქუცას.

— კაი ვაჟკაცია, გაიტანს ლელოს.

— თუ გინდ ვერ გაგვირეკოს რუსები, მაინც კაი ყაზახია! — მომესმა გვერდიდან ორი ხნიერი ქიზიყელის ხმანი.

სტუმართმოყვარე შეძლებულ თამაზაშვილის უხვად და ლამაზად მორთულ სუფრას გარშემო უჯდა ოცამდე სტუმარი. თამადათ ქ. ჩოლოყაშვილი დაინიშნა.

— ძვირფასნო ქიზიყელნო, თამაზაშვილთა სახლში მივესალმები თქვენს ქვეყანას და კეთილ ხალხს. ღმერთმა წილად დაგვადო კვლავ მტრისაგან წვალება, ტანჯვა და მასთან შებმა ჩვენ, ქრისტიან ხალხის, ეს ძველი წილ-ხვედრია... მოვმაგრდებით და წელში გავსწორდებით, დავაგროვებთ დოვლათსა და, აგერ, მტერიც გვიჩნდება! თავს ესხმის ჩვენს სამშობლოს, ფეხქვეშ თელავს ჩვენს მშვიდობიან ცხოვრებას, იტაცებს ქართველთა სარჩო-საბადებელს... ასე მუდამ ყოფილა... მაგრამ შედარებით წარსულ ძველ ამბებთანა ის, რაც მოევლინა დღეს საქართველოს ბოლშევიკების სახით, მართლაც, რომ შემზარავია.

ადამიანთა ცხოვრების ძირიანად გადაყირავება! მისი ოჯახური წესწყობილებისა, უარყოფა რჯულისა, საკუთრებისა... ესე იგი, მეოცე განათლებულ საუკუნეში ქართველების ნადირად გადაქცევისა! და საქართველოს მონადირე ბოლშევიკებისათვის სანადირო ტყეთ გადაქცევისა... არა! ღვთისმშობლის საუფლისწულო ძველი ივერია და მისი გმირი ხალხი არ გაიპირუტყვებენ თავსა! თუ ოდესმე თავის განწირვა სამშობლოსათვის დიდათ ფასობდა, ამ ხანად ასეთ ვერაგ და გამანადგურებელ მტერთან ბრძოლებისათვის — იგი დაუფასებელია. არასდროს ჩვენი ძველი მოწოდება: „ქართველო, ხელი ხმალს იკარ, მტერი გადგია კარზედა“, ისე არ იყო მაგარი და დროული, როგორც დღესა.

ქიზიყელებო! საქართველოს განთქმულნო ვაჟკაცნო და მეომრებო, ვიცი, არცა თქვენ ჩამოუვარდებით დღეს დანარჩენ ქართველობას იმ

ბრძოლაში, რომელსაც ალავერდის წმინდა გიორგის და ბოდბის წმინდა ნინოს მფარველობითა ვიწყებთ. მოვფინოთ მთა-ბარი ქართველ მეომართა რაზმებით და, როცა დრო მომწიფდება, ერთად დავკრათ საზარელ მტერსა! ღმერთმა ქართველებს ეს მისი წმინდა საქმე მოაგებინოს. ალავერდი შენთან, ილიავ! — სთქვა ქაქუცამ და გადაულოცა ყანწი მის გვერდში მჯდარ ხნიერ ქიზიყელს.

— ამინ! — მოისმა სუფრის ყველა მხრიდან დამსწრეთა ხმები.

— ვიტყვი, ჩემო ბატონო ქაქუცა... იახშიოლ! ღმერთმა დაგილოცოს გამარჯვების გზა და შენი წინაპარსავით გაგვიძეხ წინ. მტერი ძალოვანი და ფლიდია. შინა გერევს, ძმას ძმაზე ამხედრებს, მერე გარედან რკალს გვარტყამს... მაგრამ რა ვქნათ? ხმა არ ამოვიღოთ? მათი ურჯულობისა, სიმრუშის, ხალხის გავერანების ნათესის ნაყოფის ამოსვლას ველოდოთ? ეს ხომ გვიანი იქნება! უნდა თავიდანვე შევებრძოლოთ. ბრძოლაში დავმარცხდებით დღეს? რა ვუყოთ. ძალა ალმართსა ხნავს, — ნათქვამია... მაგრამ მტერს საქართველო მაინც ალმართად დაურჩება და არა დაღმართად ჩაგორებული! ხვალ ამ ბრძოლის დროშით სხვა თაობა გამოვა, ჩვენ სისხლიან კვალს მიჰყვება და ასეთი ბრძოლითა, ბოლოს-დაბოლოს, ამ ჩვენ გამსრეს ლოდს დაღმართისაკენ ჩააქანებს. მხოლოთ ნუ ავჩქარდებით. მოვიქცეთ დინჯათ, დავალაგოთ მწყობრათ ჩვენი ძალები. სადაც საჭიროა, ხერხი მივაშველოთ, სადაც არა სჯობს შებმა — დროებით გავეცალოთ და მცირე ქართველების ძალები დავზოგოთ, მაგრამ იარალი კი არ დავყაროთ და ეს ანდერძი ჩვენ შთამომავლობასაც გადავცეთ. ეხლა ჩვენ აქ ვიმყოფებით წმინდა ნინოს ბოდბის სავანის ძირში... შეგვეწიოს ყველას მისი მადლი და შევევედროთ, რომ ჩვენ ძვირფას ახალგაზრდა ბელადს, ქაქუცა ჩოლოყაშვილს წმინდა ვაზის ჯვარით წინ გაუძღვეს და გამარჯვებისაკენ გზა გაუკაფოს! — სთქვა ფეხზე მდგომმა აღელვებულმა მოხუცებულმა ილიამ და დაუკრა თავი ჩოლოყაშვილს. ამ სიტყვა-პასუხზე ყველა აიშალა სუფრიდან და სათითაოდ მიდიოდნენ ქაქუცასთან და მის წინარე სცლიდნენ პატარა ჯამებს წითელი ღვინითა...“ (39. 180-185).

1921-1922 წლების ზამთარი ქაქუცა ჩოლოყაშვილმა, ძირითადად, კახეთში, პარტიზანული რაზმის შექმნის სამზადისში გაატარა. 1925 წელს შედგენილ საბრალმდებლო დასკვნაში — „საქმე საქართველოს ანტისაბჭოთა პარტიების პარიტეტული კომიტეტის შესახებ“ — ჩართულია ბრალდებულ ვახტანგ ნაცვლიშვილის ჩვენება: „1922 წლის იანვარში ჩემთან (სიღნაღის მაზრაში) მოულოდნელად მოვიდა ცხენით ქაქუცა ჩოლოყაშვილი. მან გამიხმო ცალკე ოთახში და მითხრა, რომ ქართველი ხალხის ცენტრმა აირჩია ის ბოლშევიკების ბატონობასთან საბრძოლველად და რომ ამისთვის მან უნდა შექმნას

პარტიზანული რაზმი, რომელიც მოსვენებას არ მისცემს ალმასკომებს, მილიციას და, საერთოდ, მთელ ადმინისტრაციას, და ამასთან ერთად მთხოვა დახმარება. მე ვკითხე, თუ სახელდობრ ვისგან შესდგებოდა ცენტრი, მაგრამ ამაზე მიპასუხა, რომ ეს დიდ საიდუმლოებას შეადგენს, რის თქმაც მას არ შეუძლია, მაგრამ ცენტრს კავშირი აქვს მოღვაწეებთან ევროპაში, რომელთაგანაც გამომდინარეობს ყოველივე ჩვენება და ბრძანებაო" (10. 54-55).

ამავე საბრალმდებლო დასკვნაში დაცულია „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის" წევრის, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერის — იასონ ჯავახიშვილის ჩვენება, რომელიც ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ ქაქუცა ჩოლოყაშვილის ტყეში გასვლა პარტიის ცენტრალური კომიტეტის ნებართვის გარეშე, ედპ-ს რამდენიმე ხელმძღვანელის წაქეზებით მოხდა: „ჩოლოყაშვილი ჩვენი პარტიის წევრია და ტყეში გასვლამდე კავშირი ჰქონდა ჩვენი ცეკას წევრთან — დავით ვაჩნაძესთან, და უკანასკნელის ხელმძღვანელობით მუშაობდა კახეთში, როგორც ორგანიზატორი. როდესაც ჩოლოყაშვილმა გაიგო, რომ ხელისუფლება მას სდევნის და მისი დაპატიმრება უნდა, ის და მისი რამდენიმე მახლობელი პირი შეიარაღდენ და ტყეში გავიდენ".

საბრალმდებლო დასკვნის ავტორი იასონ ჯავახიშვილის ჩვენებას შემდეგ კომენტარს უკეთებს: „საქმეში ჩართული ცნობების მიხედვით, სწორედ საწინააღმდეგო მტკიცდება. ნაც.-დემ. პარტიის ცეკას უახლოესმა თანამშრომელმა და შემდეგში პოლიტიკურმა ხელმძღვანელმა ჩოლოყაშვილის ბანდასთან სიმონ ყიფიანმა (იგივე გელენიძე) აჩვენა: „ვაჩნაძესთან, ჯავახიშვილთან და წინამძღვაროვთან ლაპარაკიდან ვიცი, რომ ჩოლოყაშვილის ბანდის შექმნა კახეთში 1922 წლის მარტში მოხდა მათი დასტურით და რომ ამ ბანდის შექმნაში ყველაზე დიდ მონაწილეობას ვაჩნაძე იღებდა... ჯერ კიდევ ბანდაში წასვლამდე, 1921–1922 წლის ზამთარში, მე ხშირად მინახავს ჩოლოყაშვილი „წარმოკავშირში" დავით ვაჩნაძესთან. მათ ლაპარაკში მაშინ მე მონაწილეობა არ მიმიღია, მაგრამ თვითონ დათა ვაჩნაძე მეუბნებოდა, ჩოლოყაშვილი ხალხს აგროვებს შეიარაღებული გამოსვლისთვისო" (10. 54-55).

ვალიკო ჩუბინიძე თავის მოგონებებში მიუთითებს, რომ 1922 წლის 4 მარტს ის თბილისში შეხვდა ქაქუცა ჩოლოყაშვილს, რომელსაც უკვე „ჩეკა" დასდევდა. ვ. ჩუბინიძის თქმით, ქაქუცამ მას უთხრა: „ვალიკოჯან! აი, მე მივდივარ თელავში, ვითომ სამსახურში და თუ შევატყვე, შეიძლება გავიდე მთაში. მომეცი შენი მუდმივი მისამართი. ჩემი ყოფნის ადგილი ყოველთვის ეცოდინება შალვა ქარუმიძეს და მასთან გექნეს კავშირიო" (133. 195-196).

უნდა აღინიშნოს, რომ შეფიცულები — ალ. სულხანიშვილი და

ალ. ბადურაშვილი ეჭვის თვალით უყურებენ ვ. ჩუბინიძის მოგონებებში დაცულ ცნობებს ქაქუცა ჩოლოყაშვილთან მისი ურთიერთობის შესახებ და ისინი გამოგონილ ფაქტებად მიაჩნიათ. ალ. სულხანიშვილი დაწვრილებით აღწერს 1922 წლის 12 მარტს ქაქუცას ტყეში გასვლის ამბავს, რომლის მიხედვითაც ამ უკანასკნელს თებერვალში სიღნაღის მაზრის ერთ-ერთ სოფელში „შეხლა-შემოხლა მოუხდა ხელისუფლებასთან და ამის გამო სატუსაღოში ამოჰყო თავი. ეს მოხდა სწორედ იმ დროს, როდესაც სიღნაღის რევკომში ჩეკას საიდუმლო ბრძანება ჰქონდათ მიღებული იმის თაობაზე, რომ თუკი იქ სადმე ქაქუცა ჩოლოყაშვილი გამოჩნდებოდა, უნდა დაეტუსაღებინათ და დაუყოვნებლივ გადმოეგზავნათ თბილისში.

საბედნიეროდ, იქაურ რევკომში მდივნად მსახურობდა ჩვენი ათასეულის ერთი ყოფილი ოფიცერი, კაპიტანი დათა გომელაური. ჩეკაში მიღებული ბრძანება მან სასწრაფოდ გადამალა და მყისვე შეატყობინა ქაქუცას მეგობრებს მისი დატუსაღების ამბავი. იმავე ღამეს რევკომს თავს ექვსი კაცი დაესხა. მათ იარაღი აჰყარეს მილიციონერებს, კაი გვარიანადაც მისტყეპეს და ქაქუცა გაათავისუფლეს. ამ შვიდეულმა თელავის მაზრისკენ გასწია იმავე ღამით.

არ გაუვლია ორ-სამ დღეს, რომ ისინი ალვანის თავს ტყეებში დაბანაკდნენ. იქ ქაქუცასთან ერთად იყვნენ: მიხა ბალიაშვილი, ვასო თამაზაშვილი, სოსო ლოსაბერიძე, მიშა ნაცვლიშვილი, ს[ტეპკო] ჩითინაშვილი და ქიზიყელი ბიჭი ქარუმა, რომლის გვარიც აღარ მახსოვს (მაძღარაშვილი – გ. ს.)“ (106. 85).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, თუკი ალ. სულხანიშვილის ცნობა მართალია და ქაქუცა ჩოლოყაშვილი 1922 წლის თებერვალში დააპატიმრეს, რის შემდეგაც მეგობრებმა გაათავისუფლეს და ორ-სამ დღეში, 12 მარტს, ტყეში გავიდა, როგორ შეხვდებოდა იგი ვ. ჩუბინიძეს 1922 წლის 4 მარტს თბილისში? ამგვარი ტიპის შეკითხვები ვ. ჩუბინიძის სხვა ცნობებთან დაკავშირებითაც ჩნდება.

ასე იყო თუ ისე, ერთი რამ ცხადია – 1922 წლის 12 მარტს ქაქუცა ჩოლოყაშვილი ექვს თანამებრძოლთან ერთად ტყეში გავიდა, რაც რუს ოკუპანტებთან ომის გამოცხადებას ნიშნავდა. შემდგომში „შეფიცულთა“ რაზმის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, ქაქუცას თანაშემწე ელიზბარ ვაჩნაძე, რომელიც რაზმს ცოტა მოგვიანებით შეუერთდა, თავის მოგონებებში ქაქუცასთან ერთად, თავდაპირველად, ტყეში გასულთა სხვა რაოდენობას მიუთითებს. მისი თქმით, „გავიგეთ, რომ ქაქუცა თორმეტი კაცით უკვე ტყეში გასულა – თორმეტ მარტს, ოცდაორ წელს“ (42; 115. 294).

ელიზბარ ვაჩნაძის მიერ ემიგრაციაში მიწოდებულ ინფორმაციაზე

დაყრდნობით, თავდაპირველად ტყეში გასულთა იმავე ციფრს უთითებს გენერალი შალვა მაღლაკელიძეც: "პატარა რაზმი იყო და, ამიტომ, შემოულიათ სიტყვა „შეფიცული"... მთავარი შეფიცულია ელიზბარ ვაჩნაძე – პრაპორშიკი, მგელია, ქაქუცას მოადგილეა... ამ შეფიცულების პატარა რაზმმა დაიწყო მოქმედება. სულ იყო ცამეტი. ელიზბარისგან ვიცი... ჩემი კარგი მეგობარი იყო" (74. 72-74).

აღნიშნულ პერიოდში საქართველო უაღრესად სავალალო მდგომარეობაში იმყოფებოდა. ბოლშევიკური რუსეთის საოკუპაციო რეჟიმის დამყარების შემდეგ, პირველ ხანებში, პოლიტიკური მოსაზრებებიდან გამომდინარე, მოსკოვი შეეცადა შეენილბა არა მარტო რუსეთის ინტერვენცია საქართველოში, არამედ თვით საოკუპაციო რეჟიმიც. საბჭოთა რუსეთის პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა საქართველო უშუალოდ არ შეეერთებინა რუსეთისათვის, იგი ფორმალურად უნდა დარჩენილიყო დამოუკიდებელ, სუვერენულ ქვეყნად. ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს ფუნქცია მოსკოვის ნებით მიენიჭა საქართველოს რევოლუციურ კომიტეტს („რევკომს"; თავმჯდომარე – ფილიპე მახარაძე). საბჭოთა რუსეთმა საბჭოთა საქართველოს დამოუკიდებლობა ცნო 1921 წლის 21 მაისის ხელშეკრულებით.

საქართველოს რევკომი ფორმალურად დამოუკიდებელი ქვეყნის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს წარმოადგენდა, ფაქტობრივად კი იგი საბჭოთა რუსეთის საოკუპაციო ხელისუფლებას განასახიერებდა. საქართველოს კომპარტია რუსეთის კომუნისტური პარტიის განუყოფელი ნაწილი იყო და მისი საოლქო პარტიული ორგანიზაციის უფლებებით სარგებლობდა. საქართველოს მთავრობა და კომპარტია ვერც მაშინ და ვერც შემდგომში დამოუკიდებლად ვერ წყვეტდა საკითხებს და მთლიანად მოსკოვზე იყო დამოკიდებული. რეალურ ძალაუფლებას საქართველოში ფლობდა რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიურო სერგო ორჯონიკიძის ხელმძღვანელობით (24. 108-109; 49. 6; 124. 104-105).

ძალიან მალე, უკვე 1921 წლის გაზაფხულზე ნათლად გამოჩნდა, რომ საქართველო მთლიანად მოსკოვიდან იმართებოდა. საქმის წარმოება საქართველოს ყველა სახელმწიფო დაწესებულებაში რუსულ ენაზე გადავიდა. თვით საქართველოს სსრ საგანგებო კომისიის (ჩეკას) ყოფილი თავმჯდომარე კოტე ცინცაძე შემდგომში აღნიშნავდა: „სახალხო კომისარიატებში მთელი საქმის წარმოება და ადგილებთან ურთიერთობა რუსულ ენაზე იყო"; „ბათუმის საგანგებო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. ხრუცკიმ განაცხადა: ახლა ისეთი კურსია აღებული, რომ საგანგებო კომისიიდან ყველა ქართველი შეიძლება დაითხოვოო";

„თბილისის ბევრ დაწესებულებაში რუსული ენა შემოაქვთ, რკინიგზაზე რუსული ენა შემოიღეს“ (46. 13-14; 142. 137).

საბჭოთა რუსეთის მიერ დაპყრობილ საქართველოში დამყარებულ სასტიკ რეჟიმს ნათლად ასახავს ცნობილი ქართველო პოლიტიკური მოღვაწის — ვლასა მგელაძის მოგონებების შემდეგი მონაკვეთი: 1921 წელს „რუსეთიდან შემოჭრილი დამშეული ჯარები სახელმწიფო დაწესებულებებში დაბანაკდა, კერძო ბინებზე და ოჯახებში მოთავსდა. მრავალ საუკუნეობით მოწყობილი ოჯახები განადგურდა, სიწმინდე და ზნეობა შეირყვნა... ყოველგვარი ავეჯეულობა და ოჯახის სამკაულები ავტომობილებით თბილისის სადგურზე დღიან-ღამიანად გაქონდათ, ვაგონებში აგროვებდნენ, რუსეთში გზავნიდნენ. ოთახებიდან გამოჰქონდათ როიალები, რომელთაც თვალცრემლიანი დედები კუთხეში მიკუნჭულები, შეშინებული გასცქეროდნენ.

ჯარი შეესია სამხედრო საწყობებს, იქიდან ფარაჯები, ფეხსაცმელები გამოიტანეს, თავიანთ დაფლეთილ ფარაჯებს, დაგლეჯილ ფეხსაცმელებს ქუჩაში ხალხის წინ იხდიდნენ, იქვე ყრიდნენ, ახლით იმოსებოდნენ. ოჯახებში მოთავსებული ჯარისკაცები შეშის მაგიერ ბუხრებს მაგიდებით, კამოდ-ყუთებით ანთებდნენ, ევგენი გეგეჭკორის ბინა აეოხრებინათ — ბურჟუაზიულ, კონტრრევოლუციონერი მინისტრის არისო. ზოგ ბინაზე კედლებიდან სურათები ჩამოელოთ, ჩუქურთმიანი ხის მოვარაყებული ჩარჩოები დაეწვათ, ხოლო ნოე ჟორდანიას სურათი ჩარჩოდან ამოეღოთ, მაღლა ჭერზე ლურსმნით მიეჭედათ, კარგი წვერიანი, კარგი სახის, „დიადი“ არისო, იყოსო, — ჩარჩო კი დაეწვათ.

ნაძალადევის მუშებს ხელისუფლებამ წინადადება მისცა, სოლოლაკში ბურჟუაზიის ბინაზე გადასახლდითო, მარა არც ერთი ოჯახი ამაზე არ დათანხმდა... საავადმყოფოდან და კერძო სამკურნალოდან გაქონდათ ყოველგვარი ხელსაწყოები — საქირურგო დანები, წამლები, თეთრეული და დაღონებული ექიმების წინ უწესრიგოდ ყრიდნენ საბარგო ავტომობილებში, თფილისის სადგურზე მიაქროლებდნენ და რუსეთში გზავნიდნენ. თფილისის მდიდარ საეფთიაქო სახელმწიფო საწყობებიდან მიქონდათ ყუთებში ჩაწყობილი წამლები, ყოველგვარი აპარატები, საექიმო ხელსაწყოები, სკიპიდარი, სპირტი, ბამბა, მარლა, ქინაქინა... ქინაქინას თუ სხვა წამლეულის გადამალვისათვის იჭერდნენ და ჩეკაში ამწყვდევდნენ.

ჩვენი ღირსეული მწერალ-მოღვაწენი დღიან-ღამიანა მუზეუმ- წიგნსაცავებს და უნივერსიტეტს იცავდნენ, ღირსეული სამღვდელოება მარგალიტებით შემკულ ხატებს ყარაულობდა, რომ ისტორიული, ეროვნული ძეგლები — ძვირფასი განძი შემოსეულ ბარბაროსებისაგან გადაერჩინა... გაძარცვეს და რუსეთში გაზიდეს თფილისის სამხედრო არსენალი,

რკინიგზის სახელოსნო, მისი საუცხოო სახარატო დაზგები, საგანგებო მატარებლები, ორთქმავლები და საბარგო ვაგონები... არ გადარჩა გაუქურდავი არც ერთი ქარხანა... ყოველგვარი სანოვაგე, ხილეულობა, ყველი, თევზეულობა, საუფლისწულო მამულების განთქმული სარდაფები და კახური ღვინო ბოჭკებით, ბოთლებით გაზიდეს, თბილისის სადგურზე გაიტანეს, რამდენიმე ასეულ ვაგონებში ჩააწყვეს, დაბეჭდეს, ზედ დააწერეს: „თბილისის პროლეტარიატისაგან რუსეთის პროლეტარიატს და მის ბელადს ლენინს საჩუქრათ“ (76. 11-12).

საქართველოს მოსახლეობა ოკუპანტების მიმართ მტრულად იყო განწყობილი. რეპრესიების დასაწყებად რაიმე საბაბი იყო საჭირო და ისიც გამოიძებნა — ხელისუფლებამ 1921 წლის 25 აპრილს ქუთაისში პროვოკაცია მოაწყო, ყუმბარა ესროლეს რევკომის წევრს — ალექსი (საშა) გეგეჭკორს. ამას მოჰყვა რეპრესიები პოლიტიკური მოწინააღმდეგეების წინააღმდეგ. მთელ ქვეყანაში დაიწყო მასობრივი დაპატიმრებები. ყველა ქალაქის ციხეები პოლიტიკური პატიმრებით აივსო (101. 34;).

1921 წლის მაისში დააპატიმრეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ის წევრები, რომლებიც მარტში ემიგრაციაში არ წავიდნენ — მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე გრიგოლ ლორთქიფანიძე, სამხედრო მინისტრი პარმენ ჭიჭინაძე, თბილისის გენერალ-გუბერნატორი შალვა მაღლაკელიძე და სხვ.

1921 წლის ზაფხულში მოსკოვიდან თბილისში ჩამოვიდა იოსებ სტალინი, რომელმაც ნაძალადევში, პლეხანოვის სახელობის კლუბში, თბილისელი მუშების წინაშე საჯარო მოხსენება წაიკითხა. მუშებმა მოსმენით კი მოუსმინეს სტალინს, მაგრამ მთელი დარბაზი განწყობილი იყო მის წინააღმდეგ. აღნიშნული შეხვედრა დიდ დისკუსიად, დისკუსია კი საოკუპაციო რეჟიმის წინააღმდეგ მუშათა საპროტესტო მანიფესტაციად გადაიქცა. საბჭოთა რეჟიმი ამხილეს საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერებმა — ისიდორე რამიშვილმა, ალექსანდრე დგებუაძემ და სხვ. (51. 71-72; 79. 4;).

ნაძალადევის კლუბიდან სტალინი პირდაპირ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის შენობისაკენ გაემართა, სადაც მან რევკომის წევრებს მიმართა: „დედლებო, ეს რასა ჰგავს, სადა სჩანს აქ ბოლშევიკური ხელი? აქ საჭიროა რკინის ცხელი უთო. მან მთელ საქართველოზედ უნდა გაიაროს, რომ ძირიან-ფესვიანად მოსპოს არსებული სული. აი, რა არის აქ საჭირო, თქვენ კი მათ ეფერებით“ (102. 4).

მუშათა აღნიშნულ პოლიტიკურ აქციას მასობრივი დაპატიმრებები მოჰყვა. იმავე ღამეს ჩეკისტებმა ასზე მეტი ცნობილი სოციალ-დემოკრატი დააპატიმრეს და მეტეხის საპყრობილეში ჩასვეს. პირველ

რიგში, დაიჭირეს ის. რამიშვილი, ალ. დგებუაძე და საქართველოში სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის ერთ-ერთი დამაარსებელი, უკვე ხანდაზმული სილიბისტრო ჯიბლაძე.

1921 წელს საბჭოთა რუსეთის მე-11 არმიის საჯარისო შენაერთები დიდი ხნით დარჩნენ საქართველოში — ამას საქართველოს კომუნისტური ხელმძღვანელობისაგან, პირველ რიგში, სერგო ორჯონიკიძისაგან მოითხოვდა ვლადიმერ ლენინი: „სრულიად შეუძლებელია მეთერთმეტე არმიის დაბრუნება დამშეულ და გაძარცვულ აზერბაიჯანში. მიიღეთ უალრესად ენერგიული ზომები, რათა ეს არმია დატოვებულ იქნეს საქართველოში (31. 379).

დამშეულმა რუსმა ჯარისკაცებმა უდიდესი პრობლემები შეუქმნეს ქართველ გლეხობას, დავით ვაჩნაძის თქმით, „ბოლშევიკი სალდათები შეესივნენ სოფლებს და დაუწყეს ძარცვა-გლეჯა შეძლებულ გლეხებს“ (41. 75-76).

სწორედ მე-11 წითელი არმიის ოკუპანტმა ჯარისკაცებმა ჩაიდინეს ის საზარელი მასობრივი მკვლელობა, რომელსაც მაშინვე საუკუნის ტრაგედია უწოდეს. 1921 წლის დეკემბერში, ღამით, ისინი გაძარცვის მიზნით თავს დაესხნენ სიღნაღის მაზრის სოფელ ჯუგაანში მცხოვრები გლეხის — ტიტიკო ელაშვილის მრავალრიცხოვან ოჯახს, რომელიც 28 სულისაგან შედგებოდა. გაძარცვის შემდეგ, წითელარმიელებმა იმ დროს სახლში მყოფი ელაშვილების ოჯახის 17 წევრი მხეცურად მოკლეს: „სახლის ორივე სართულის ოთახებში სისხლის გუბეები იდგა და იატაკზე უწესრიგოდ იყო მიყრილ-მოყრილი ტყვიით დაცხრილული და ხმლებით აჩეხილი ქალების, კაცების და ბავშვების უსულო გვამები, რომელთა საერთო რაოდენობა ჩვიდმეტს შეადგენდა“ (44. 15;).

1921 წელი საქართველოსთვის კიდევ ერთი ტრაგიკული მოვლენით აღინიშნა — ინტერნაციონალისტმა ქართველმა კომუნისტებმა ქართული მიწები გულუხვად დაურიგეს ყველა უშუალო მეზობელს: რუსეთს, სომხეთს, აზერბაიჯანსა და თურქეთს. კონკრეტულად: რუსეთს ერგო გაგრის ოლქის დასავლეთი ნაწილი (23. 115;).

1921 წლის 7 იულისს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიურომ იოსებ სტალინის მონაწილეობით განიხილა საქართველოსა და სომხეთის შიდა საზღვრების საკითხი. კავბიუროს სხდომას ესწრებოდნენ, აგრეთვე, საქართველოსა და სომხეთის საბჭოთა რესპუბლიკების საგარეო საქმეთა სახალხო კომისრები ალექსანდრე სვანიძე და ა. მრავიანი. კავბიურომ დაადგინა, რომ ლორეს ყოფილი ნეიტრალური ზონა (ბორჩალოს მაზრის სამხრეთი ნაწილი) შეუერთდეს სომხეთის სსრ რესპუბლიკას. 1921 წლის 6 ნოემბერს ბუდუ მდივნისა და ალექსანდრე მიასნიკოვის (მიასნიკიანის) მიერ ხელმოწერილ იქნა დოკუმენტი,

რომლის მიხედვით დადგინდა საქართველოსა და სომხეთის სსრ სახელმწიფო საზღვარი. აღნიშნული ტერიტორია 3812 კვ. კილომეტრს მოიცავდა (23. 114-115; 31. 380; 72. 18;).

იასონ ჯავახიშვილი მის წინააღმდეგ გამართულ სასამართლო პროცესზე 1925 წლის 31 ივლისს აცხადებდა: „არ დასტოვეს უსაჩუქროდ სომხებიც. რუსეთმა, რომლის ფარგლებში შევიდა გასაბჭოებული სომხეთი, იცნო საქართველოს კუთვნილებათ მთელი ყოფილი თფილისის გუბერნია 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებით. საქართველოს დაპყრობის შემდეგ კი მისცეს სომხებს თითქმის მთელი ბორჩალოს მაზრა თვით ხრამამდე. რატომ? ლორე ისტორიულად ჩვენ გვეკუთვნოდა, ბუნებრივად ჩვენ საზღვრებში შემოდის ეკონომიკურადაც... მართალია, სომხები სჭარბობენ იმ კუთხეში ქართველებს რიცხვით, მაგრამ ეს უმრავლესობა ხელოვნურადაა შექმნილი რუსების მიერ. და შემდეგ, თუკი წმინდა ქართული სოფლები შეიძლება შევიდნენ ოსეთში, რად უნდა იყოს დაუშვებელი სომხური სოფლების დატოვება საქართველოს საზღვრებში? და ბოლოს, ბუდუ მდივანმა მოსკოვში ოფიციალურად განაცხადა: „ისე მოვაწერე ხელი სომხეთ-საქართველოს ხელშეკრულებაზედ ტერიტორიის შესახებ, რომ არც კი წამიკითხავსო“ (22. 47).

აზერბაიჯანს გადაეცა ზაქათალას ოლქი (ისტორიული ჰერეთის მნიშვნელოვანი ნაწილი — საინგილო), აგრეთვე, გარეჯის ველი დავით გარეჯის რამდენიმე სამონასტრო სავანითურთ (ბერთუბანი, უდაბნო და სხვ.) და ქვემო ყარაიაზის სექტორი, სულ 3564 კვ. კილომეტრი ტერიტორია (111. 245-246;).

მოვიტანთ კიდევ ერთ ნაწყვეტს იასონ ჯავახიშვილის მიერ სასამართლო პროცესზე წარმოთქმული სიტყვიდან: „აზერბაიჯანს ჩვენთან არაფერი სადავო არა ჰქონდა, უნდა გაგვენაწილებინა მხოლოდ ზაქათალა... ძალად მიაჩეჩეს აზერბაიჯანს სიღნაღის და ტფილისის მაზრების ნაწილები და ზედ დაურთეს დავით გარეჯის სავანეც, რაც არაფრით არაა გამართლებული“ (22. 47).

და, ბოლოს, მჭიდრო პოლიტიკურ-ეკონომიკური თანამშრომლობისა და საბჭოთა რუსეთის მიერ ამიერკავკასიის სახელმწიფოების დაპყრობის დროს ნეიტრალიტეტის შენარჩუნების გამო ყველაზე უხვად დასაჩუქრებული მუსტაფა ქემალ ფაშას თურქეთი. 1921 წლის 16 მარტს (როდესაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ნოე ჟორდანიას მეთაურობით ჯერ კიდევ ბათუმში იმყოფებოდა) მოსკოვში ხელმოწერილ იქნა ხელშეკრულება რუსეთსა და თურქეთს შორის, რომლის მეორე მუხლით საქართველოს ჩამოერთვა და თურქეთს გადაეცა ყოფ. ბათუმის ოლქის სამხრეთი ნაწილი (მაჭახელა, ბორჩხა, მაკრიალი), არტაანის (არდაგანის), ართვინის და ოლთისის ოლქები —

12115 კვ. კილომეტრი ტერიტორია 164 ათასი მოსახლით (16. 291; 28. 3; 37. 91;).

1921 წლის 16 მარტის მოსკოვის ხელშეკრულების პირობები უცვლელად დაამტკიცა იმავე 1921 წლის 13 ოქტომბრის ყარსის ხელშეკრულებამაც, ოღონდ განსხვავება ის იყო, რომ ამჯერად თურქეთმა ხელშეკრულება გააფორმა „დამოუკიდებელ“ საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკასთან. ეს სპექტაკლი იმ ფორმით გათამაშდა, რომ მსოფლიო საზოგადოებისათვის უნდოდათ ეჩვენებინათ, თითქოს, მოსკოვი არაფერ შუაში იყო, თვით ამიერკავკასიის რესპუბლიკები თურქეთთან მეგობრული ურთიერთობის განმტკიცების მიზნით, ერის სურვილისა და დასტურის შესაბამისად აწერდნენ ხელს „ახალ ხელშეკრულებას“. ყარსის ხელშეკრულებას საქართველოს მხრიდან ხელი შალვა ელიავამ და მამია ორახელაშვილმა მოაწერეს (5. 238;).

ამრიგად, 1921 წელს რუსეთის „წყალობით“ საქართველომ დაკარგა 20000 კვ. კილომეტრზე მეტი ტერიტორია.

1922 წლის მარტში ქართველი ხალხის აჯანყებისთვის მოსამზადებლად ჩამოყალიბდა "სამხედრო ცენტრი" (მკვლევართა ერთი ნაწილის აზრით, გენერალ კოტე აფხაზის, ხოლო მეორე ნაწილის – გენერალ ალექსანდრე ანდრონიკაშვილის ხელმძღვანელობით). "ცენტრმა" კახეთში პარტიზანული რაზმების მეთაურობა ქაქუცა ჩოლოყაშვილს, ხოლო ქართლში – მიხეილ ლაშქარაშვილს დაავალა. ამავე წლის აპრილში წამყვანმა პოლიტიკურმა პარტიებმა „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი“ (''დამკომი''//პარიტეტული//ინტერპარტიული კომიტეტი) შექმნეს.

ჯერ კიდევ „დამკომის“ დაარსებამდე, 1922 წლის მარტში, თბილისში გაიმართა საიდუმლო შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობდნენ: გოგიტა ფალავა, ვარდენ წულუკიძე, ალექსანდრე ანდრონიკაშვილი, გიორგი ხიმშიაშვილი და როსტომ მუსხელიშვილი. ისინი მსჯელობდნენ, თუ რა ვითარებაში შეიძლებოდა მომხდარიყო ანტისაბჭოთა აჯანყება საქართველოში. შეხვედრის მონაწილეები მივიდნენ შემდეგ დასკვნებამდე:

1) „აჯანყება მარტო საქართველოში დამარცხდება. ჯერ ერთი – საჭიროა, რომ მუშაობა აჯანყების მოსამზადებლად სწარმოებდეს კონტაქტით მთელ კავკასიასთან, და მეორე: გამოსვლის მომენტი უნდა შეუფარდდეს იმ დროს, როდესაც რსფსრ-ში მოხდება რაიმე შინაგანი ან საგარეო გართულება.

2) სეპარატული ბანდიტური გამოსვლები გამოსვლის საერთო გეგმასთან დაუკავშირებლად უნდა ვიცნოთ მიზანშეუწონლად.

3) სამხედრო მუშაობაში აუცილებელია კავშირი დავიჭიროთ ადგი-

ლებთან და, უმთავრესად, საქართველოს წითელი არმიის ნაწილებთან“ (10. 15).

აი, ასეთი იყო ვითარება საქართველოში 1922 წლის მარტში, როდესაც ქაჭუცა ჩოლოყაშვილმა პარტიზანული ბრძოლა დაიწყო. მარტ-აპრილში მის რაზმს შეუერთდნენ ალექსანდრე სულხანიშვილი, ელიზბარ ვაჩნაძე, სიკო ჩოლოყაშვილი, სერგო მაისურაძე, მალაქია მაისურაძე, თომა ბალიაური, მიტო ხმალაძე, აბიკა გიგაური და სხვ. როცა ქაჭუცა ტყეში გადიოდა, მისმა უმცროსმა ძმამ — სიკომ სთხოვა, თან წაეყვანა, რაზეც პასუხად მიიღო: „ორი ძმა ქორწილში არ წაისვლება ერთად და ამისთანა საქმეზე როგორ შეიძლებაო“. ამის მიუხედავად, ალექსანდრე სულხანიშვილთან ერთად ალვანის ტყეებში დაბანაკებულ რაზმელებთან სიკო ჩოლოყაშვილიც მივიდა. როდესაც ქაჭუცამ ძმა დაინახა, ოდნავი საყვედურნარევი ღიმილით უთხრა: „შენ მაინც არ მოისვენე და წამოხვედიო“ (106. 89-90).

რამდენიმე დღეში რაზმმა ალვანის თავის ტყეებიდან პანკისის ხეობაში გადაინაცვლა და სოფ. დუისში დაბანაკდა. ალ. სულხანიშვილის ცნობით, „იმ მთებში რამდენიმე ფშაველი ოჯახი ცხოვრობდა და აღდგომა დღეს მათ დაგვიკლეს სააღდგომო საკლავი. მოგვივიდა ღვინოც და ეს დღესასწაული ისე ვიუქმეთ, როგორც წესი და რიგია“. იმ დღეს რაზმელებს სტუმრებიც ჰყოლიათ, მათ შორის, ხევსური ხევისბერი დიმიტრი ცისკარაული (მას ალ. სულხანიშვილი თავის მოგონებებში არაზუსტად — „ჭინჭარაულად“ მოიხსენიებს. მკვლევარ ივანე ლიქოკელის აზრით, მან ეს განგებ, საბჭოთა სამართალდამცავი სტრუქტურების თვალის ასახვევად გააკეთა, რათა დიმიტრი ცისკარაულის შთამომავლებს დაპყრობილ საქართველოში პრობლემები არ შექმნოდათ) (67. 38).

დიმიტრი ცისკარაულს ქაჭუცასთვის მიუმართავს: "შენა, ქაჭუცაო, შენა გხვდა წილად შენი წინაპრების ნაბრძოლი საქმის გაგრძელება შენი სამშობლოს საკეთილდღეოდ. შენ უნდა აღადგინო ალექსანდრე ბატონიშვილის ნათელი ბილიკები".

ხევისბერს შემდეგ რაზმელებისთვის უთქვამს: "თქვენ, რაზმელებო, ალბათ, გახსოვთ, რომ ალექსანდრე ბატონიშვილს შეფიცულები ჰყავდა შემოკრებილი თავის ირგვლივ, თქვენც უნდა შეიფიცნოთ და გერქვათ შეფიცულთა რაზმი, რომელიც სამუდამოდ დარჩება. თქვენ შემოგყურებთ მთელი საქართველო. ეს პატარა რაზმი უნდა გადააქციოთ ქართულ ჯარად. თქვენზეა დამოკიდებული ჩვენი ლამაზი ქვეყნის სიდიადე. ჩვენ მედგრად უნდა ვებრძოლოთ რუსეთს — ისაა ჩვენი მთავარი მტერი".

ქაჭუცა ჩოლოყაშვილმა შემდეგი სიტყვებით მიმართა რაზმელებსა და სტუმრებს: "დღეს ჩვენი სამშობლო გასაჭირშია. რუსეთმა ხელმეორედ

გამოგვგლიჯა ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა. მრავალჯერ ყოფილა აწიოკებული ჩვენი ქვეყანა, მაგრამ იარაღი არ დაუყრიათ ჩვენს წინაპრებს და არ დამორჩილებიან მტერს. მათ ბრძოლა უგრძელებიათ. დღეს ჩვენ გვხვდა წილად, რომ პირველებმა დავიწყოთ ბრძოლა და მთელ ქვეყნიერებას ვაჩვენოთ, რომ საქართველოს თავისუფლება სურს თავის მიწა-წყალზე და არ დაემორჩილება არავითარ მტერს. გაუმარჯოს ჩვენი სამშობლოს მომავალს და ამ ჩვენი პატარა რაზმის მისწრაფებას".

"ქაქუცას სიტყვის დამთავრებას შეფიცვა მოჰყვა. დიმიტრიმ ხევსურული წესით დაგვაფიცა და ხევისბერული ლოცვა დაიწყო... მან საკუთარი ხელით გამოჭრა თხილის სწორი და გრძელი წნელი, შეაბა ქართული დროშა, წინ გაგვიძღვა დროშით ხელში და გვითხრა, აბა, ახლა სიმღერაო და ჩვენც ყველამ ერთხმად დავჭექეთ" (ალ. სულხანიშვილი) (106. 92-93).

ასე შეიქმნა "შეფიცულთა" რაზმი. შეფიცულები პანკისის ხეობაში 1922 წლის მარტის ბოლომდე დარჩნენ, რის შემდეგაც ისინი სიღნაღის მაზრაში გადავიდნენ. პარტიზანული ბრძოლის ხასიათი ქაქუცა ჩოლოყაშვილს აიძულებდა, თავისთან დიდი რაზმი არ ჰყოლოდა. იგი ადგილს მოულოდნელად იცვლიდა: ხან სიღნაღის მაზრაში იყო, ხან თელავის, ხან — თიანეთის და სხვ. ამ დროს რაზმში უკვე დაახლოებით ოცი კაცი ირიცხებოდა.

აპრილში ქაქუცამ სიღნაღის მაზრიდან ახმეტის მახლობლად მდებარე ტყეებში გადაინაცვლა, სადაც მის რაზმს ჩეკისტებთან პირველი შეტაკება მოუხდა. ერთ-ერთი რაზმელის — დათიკო ფარეულიძის ნასროლმა ტყვიამ მტრის მეთაური მოკლა, რამაც ბოლშევიკებში არევ-დარევა გამოიწვია და ბრძოლა შეფიცულების გამარჯვებით დამთავრდა. ჩეკისტებმა ამ ბრძოლის დროს ორი რაზმელის დატყვევება მაინც მოახერხეს. ერთ-ერთ მათგანს, ქიზიყელ ქარუმა მაძღარაშვილს, სასტიკი წამების მიუხედავად, ვერაფერი ათქმევინეს და დახვრიტეს, ხოლო მეორე — ქისტი ქერიმა თავიანთ სასარგებლოდ სამუშაოდ გადაიბირეს და რაზმში საჯაშუშოდ გამოგზავნეს. შეფიცულები მალე მიუხვდნენ ქერიმას ავკაცობას, რისთვისაც საკადრისი სასჯელი მიუზღეს — იგი დახვრიტეს (115. 296;).

1922 წლის აპრილში ქაქუცა ჩოლოყაშვილმა კახეთის მოსახლეობას შემდეგი შინაარსის მოწოდებით მიმართა: „სამშობლოს ერთგულნო! საქართველოს მტრების განკითხვის დროა მოახლოებული. მათ აამხედრეს თავის მოწინააღმდეგედ მთელი კულტურული კაცობრიობა. ვიყოთ მხნე, მტკიცე და გაბედულნი. სალამი თქვენ და გამარჯვება საქართველოს! აპრილი. 1922 წ. კახეთი. ქაქუცა ჩოლოყაშვილი" (30. 18).

ამ პერიოდში ქაქუცას „შეფიცულთა" რაზმის მთავარი მომმარაგე-

ბლები, დამფინანსებლები და მეკავშირეები თბილისთან, სამხედრო და პოლიტიკურ წრეებთან, კვლავ დავით ვაჩნაძე და გიორგი წინამძღვრიშვილი იყვნენ, რასაც თვითონ დათა ვაჩნაძის მოგონებებში დაცული შემდეგი სიტყვებიც ადასტურებს: „აპრილში... ფარულად გ. წინამძღვრიშვილთან ერთად განვაგრძობ ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმებისათვის დახმარების მიწოდებას“ (38. 130).

1922 წლის აპრილსა და მაისის დასაწყისში ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმი ჯერ წინანდლისა და კისისხევის მიდამოებში, ხოლო შემდეგ — ქოდალოს ტყეებში ბინადრობდა. ე. ვაჩნაძის ცნობით, „აქ ადგილობრივ ხალხს ვამზადებდით და ვწვრთნიდით. იქმნებოდა სამეულები, რომელთაც თავის დროს ხალხი უნდა გამოეყვანა და ხელმძღვანელობა გაეწია“. ამ პერიოდში შეფიცულებს ალექსანდრე ბადურაშვილი („ბადურა“) შემოემატათ, რომელიც რაზმში მისმა მამამ, ქაქუცას მეგობარმა და მეკავშირემ — შაქრო ბადურაშვილმა პირადად მიიყვანა. ალექსანდრე ბადურაშვილი შემდგომში იგონებდა, რომ ბედნიერებისგან ფეხზე ძლივს იდგა, რადგან უნდა ებრძოლა იმ ქაქუცას გვერდით, „ვისი სახელიც ქვეყანას პირზე ეკერა“ (11. 2-3; 115. 296).

ქოდალოს შემდეგ, შეფიცულები ქოლაქისა და ბაკურციხის მახლობლად მდებარე ტყეში დაბანაკდნენ. ამ ხნის განმავლობაში რაზმს ბოლშევიკებთან შეტაკება არ მოსვლია. აქედან ქიზიყისკენ გადაინაცვლეს. გზაში შემთხვევით მილიციელებს გადააწყდნენ, რომლებსაც მხოლოდ იარაღი აჰყარეს და გაუშვეს, რადგან უპარტიოები იყვნენ. ამის მერე ხელისუფლებამ გაიგო „შეფიცულთა“ რაზმის ქიზიყში ყოფნა და დევნა დაუწყო. „ჩვენ წინააღმდეგ სამოქმედოთ დაახლოებით ასი კაცი იყო შეკრებილი: სიღნაღის მაზრის მილიცია, ქვემო და ზემო მაჩხაანის რაიონის მილიცია და კიდევ კომსომოლები“ (ალ. ბადურაშვილი); (11. 3; 115. 297).

ელიზბარ ვაჩნაძის თქმით, მათი რაზმი დედოფლისწყაროს (წითელწყაროს) მახლობლად, ყარაღაჯის ტყეებში, თამარის ციხესთან დაბინავდა, საიდანაც „იგზავნებოდნენ შიკრიკები ორგანიზაციებთან თითქმის მთელ საქართველოში“. ქაქუცასთან მოსალაპარაკებლად ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი შალვა ამირეჯიბი ჩამოვიდა. მას თან ქაქუცას თანაშემწე შალვა ფავლენიშვილი ახლდა, რომელსაც ჯერ კიდევ შეეძლო ლეგალურად მუშაობა. ყარაღაჯში შეფიცულებს ილარიონ (ილიკო) იაშვილი და ლადო ოზანელი შეემატნენ.

„შეფიცულთა“ რაზმის სიღნაღის მაზრაში ყოფნის პერიოდზე თავის მოგონებებში ცნობები მოეპოვება იმ დროს ქიზიყში მყოფ მიხეილ ლაშქარაშვილს: „ჩოლოყაშვილი თავისი რაზმით პირველად გამოჩნდა დედოფლისწყაროს... რაიონში, შირაქის მახლობლად. ეს იყო დაახ-

ლოებით მაისის პირველ რიცხვებში... ქიზიყის გლეხობა ამ მოძრაობას გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს. პარტიზანების გამოჩენამ ხალხის ყველა ფენებში, განურჩევლად წოდებისა, გააღვივა სული და გული ეროვნული მოძრაობისა.

გლეხები ჩოლოყაშვილს ძველ ტრადიციულად იხსენიებდნენ: „თავადი ჩოლოყაშვილი ამზადებს რაზმებს და ჩვენი ქვეყანა უნდა მოამზადოს ამ უნიფხოს შვილების საქართველოდან გასარეკათო“. თვით გლეხობა ჩემ თვალწინ ლეგენდარულ ამბებს სთხზავდა. ბრძოლის ხალისით გატაცებულნი, მოხუცი თუ ახალგაზრდა, ველისაკენ გასაჭრელად ემზადებოდა და აშკარად ლაპარაკობდნენ: „ჩოლოყაშვილის რაზმი იმდენად გაზრდილა, რომ დღეში რამდენიმე საკლავი ძროხა საჭიროებს მათი საზრდოებისთვისო“ (63. 13).

სახალხო მთქმელები უკვე ლექსებს თხზავდნენ ქაქუცა ჩოლოყაშვილისა და მისი შეფიცულების შესახებ:

„დავარდა საქართველოში
ამბავი გასვლა გმირისა,
რომელიც დღესაც იმარჯვებს
რაზმი ჩოლოყაშვილისა,
ხან აქ გასთელავს, ხან იქა,
მტერთა მიმცემი ჭირისა“ (54. 47).

ივანე ლიქოკელი თავის ნაშრომში „ხევსურები და ქაქუცა“, ხევსურეთის 1922 წლის აჯანყების მონაწილის, 96 წლის ბერდიხა წიკლაურის ზეპირ მოგონებებზე დაყრდნობით, მიუთითებს, რომ 1922 წლის მაისში ქაქუცა ჩოლოყაშვილმა 12 თანამებრძოლის თანხლებით პირადად იმოგზაურა ხევსურეთში, შეხვდა იქაურ თავკაცებს: გოგოთურ ჭინჭარაულს, მგელიკა ლიქოკელს და სხვ. მასთან მივიდნენ და ერთგულება შეჰფიცეს დათვია ლიქოკელმა, აპარეკა არაბულმა, ბერდიხა წიკლაურმა და სხვ. ქაქუცამ „გაიგო ხალხის საერთო განწყობილება, შეიარაღების მდგომარეობა, მოხიბლა დიდი და პატარა თავისი უზადო ვაჟკაცობით, სიბრძნით და თავდაჭერილობით“, ხევსურებთან ერთად დასახა მომავალი მოქმედების გეგმა. ქაქუცამ ხევსურებს „მისცა ზოგიერთი დავალება, დაუთქვა შემდგომი შეხვედრის დრო და ერთი კვირის შემდეგ ბარში დაბრუნდა“ (67. 73).

აღსანიშნავია, რომ ცნობა 1922 წლის მაისში ქაქუცა ჩოლოყაშვილის ხევსურეთში ყოფნის შესახებ, დღესდღეობით ცნობილ არცერთ სხვა წყაროში (ალექსანდრე სულხანიშვილის, ალექსანდრე ბადურაშვილის, ელიზბარ ვაჩნაძის, ალექსანდრე კარგარეთელის, ელიზბარ მა-

ყაშვილის, მიხეილ ლაშქარაშვილის მოგონებებში და სხვ.) მოიპოვება. ამდენად, ძნელია დაბეჯითებით ვამტკიცოთ, რომ ეს ფაქტი, მართლაც, 1922 წლის მაისში მოხდა.

1922 წლის მაისში ქაქუცა ჩოლოყაშვილმა ედპ-ს ცენტრალური კომიტეტის წევრებს ვრცელი წერილი გაუგზავნა, რომლითაც ატყობინებდა: „კახეთსა და მთიულეთში ბოლშევიკთა წესებით ხალხი იმდენათაა აღშფოთებული, რომ ადვილი შესაძლებელია ამ მხარეში აჯანყებამ უცაბედათ სადმე იფეთქოს და მეც ჩამითრიოს თავის ბრძოლის ტალღებშიო“ (40. 206).

აღნიშნულ ცნობას თანხვდება ერთ-ერთი შეფიცულის — ე. მაყაშვილის მოგონებებში დაცული ინფორმაციაც, რომლის მიხედვითაც, რუსი ოკუპანტების სასტიკი ბატონობით თავგაბეზრებული ქართველი მოსახლეობის ნაწილი, განსაკუთრებით, ხევსურები, ქაქუცა ჩოლოყაშვილს აჩქარებდნენ და აჯანყების სასწრაფოდ დაწყებას სთხოვდნენ (75. 20). იმავეს აღნიშნავს თავის მოგონებებში სოლომონ ზალდასტანიშვილიც (43. 12).

1922 წლის ივნისში ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმს „თუქურმიშსა და მაჩხაანს შორის“ მდებარე უზუნდარის ხევში პირველი დიდი შეტაკება მოუხდა ბოლშევიკების ცხენოსან რაზმთან, რომელშიც შეფიცულებმა გაიმარჯვეს. არცერთი შეფიცული არ დაღუპულა, მხოლოდ 17 წლის ვანო ვაჩნაძე დაიჭრა. თვითონ მოკლეს 17 ჩეკისტი, 11 დაატყვევეს, სხვები გაიქცნენ. ტყვეებიდან ოთხი დახვრიტეს, დანარჩენები გაათავისუფლეს (115. 297).

უზუნდარის ბრძოლას მისი მონაწილე ალ. ბადურაშვილი ასე აღწერს: „ბრძოლის წინ ბელადმა რაზმი გაანაწილა. ორ-ორი, სამ-სამი კაცი ჩაგვსხა გზის პირას ტყეში და გვითხრა, როდესაც ჩემ ხმას და ჩემი თოფის გავარდნას გაიგონებთ, მაშინ დაიწყეთ სროლაო. ჩავსაფრდით და დავუწყეთ ლოდინი. დიდხანს მოგვიხდა ცდა, შუადღე მოტანებულიყო, როცა ცხენების ფეხის ხმა მესმა. ჩვენ გულისფანცქალით ველოდით და განაბულები ვუცდიდით ბელადის ბრძანებას.

ცხენოსანთა ლაპარაკი გარკვევით გვესმოდა. ერთი ამბობდა, ნეტა მათ შემახვედრა და ნახონ, რა დღეს დავაყრიო. უცბად ბელადმა შესაზარი ხმით დაიძახა: დაჰყარეთ იარაღიო და ესროლა. ჩვენც მაშინვე დავცხეთ და თან გზაზედ გადავეშვით, რომ არ გაქცეულიყვნენ. ზოგი უკვე უსულოდ ეგდო, ზოგი მძიმედ დაჭრილი კვდებოდა, ზოგი მჩატედ იყო დაჭრილი“ (11. 3-4).

ალ. სულხანიშვილის თქმით, ქაქუცამ იმ ტყვეებს, რომელთა დახვრეტაც მიზანშეწონილი არ იყო, „დამრიგებლურ-განმარტებითი საუბარი ჩაუტარა: „ჩვენ რუსებს ვებრძვით. ქართველ ხალხს თუ კომუ-

ნიზმი სურს, ჩვენ არ დავუშლით, ოღონდ რუსის ჯარი გაიყვანონ. საქართველო დამოუკიდებელი უნდა იქნეს; ამიტომ, ნუ შეხვალთ მილიციასა და პარტიაში. აი, ხომ ხედავთ, დღეს ჩვენ, ქართველები, ერთმანეთსა ვხოცავთ. რისთვის? ნუთუ იმისთვის, რომ რუსების ინტერესები დავიცვათ?“ (106. 106).

ჩეკისტებთან მომხდარი შეტაკების შემდეგ, ამ ეტაპზე ქიზიყში დარჩენა აღარ შეიძლებოდა და ქაქუცამ რაზმი თელავისკენ წაიყვანა. დაბანაკდნენ ჩალაუბნის ტყეში. გზად, დაჭრილი ვანო ვაჩნაძე ერთ-ერთ ოჯახში სამკურნალოდ დატოვეს. სამწუხაროდ, ვანომ გაუფრთხილებლობა გამოიჩინა, რის გამოც ჩეკისტებმა იგი დააპატიმრეს, საშინლად აწამეს და „შეფიცულთა“ რაზმის ადგილსამყოფელი ათქმევინეს, ამის შემდეგ კი დახვრიტეს. „ჩვენ დავინახეთ, როგორ არტყამდა ჯარი ტყეს ალყას. ქაქუცამ მაღლობისაკენ დაგვხია. მან უმჯობესად ჩათვალა, მტრისთვის არ გვესროლა – ამას სოფლების აოხრება მოჰყვებაო; უმჯობესია, მტერს თვალთაგან გავეცალოთო“ (ე. ვაჩნაძე).

ამის შემდეგ შეფიცულები ერთი კვირა კოპალოს ტყეში იყვნენ, მერე ტყე-ტყე მუკუზანის თავში გადავიდნენ. ე. ვაჩნაძის ცნობით, „აქ ყოფნის დროს ქაქუცა შეხვდა თავის მეუღლეს, რომელიც საგანგებოდ იყო ჩამოსული, რა თქმა უნდა, მალულად“ (42; 115. 298).

ამასთან დაკავშირებით, უფრო ვრცელი და საინტერესო ინფორმაცია მოეპოვება ალ. სულხანიშვილს: „როდესაც ქაქუცა პარტიზანულ ბრძოლაში მიდიოდა, თან წაიღო უფროსი შვილის ჯვარი, ვინაიდან თავისი დაკარგვოდა. ჩვენი პარტიზანებად გასვლის ხუთი თუ ექვსი თვის შემდეგ, მე და ქაქუცა ერთ მახლობელ ოჯახში მივედით. იქ დაგვხვდა მისი მეუღლე უფროს შვილთან (თამართან – გ. ს.) ერთად, რომელიც ხუთი-ექვსი წლისა თუ იქნებოდა მაშინ. იმ ხანებში ქაქუცას უკვე გრძელი წვერები ჰქონდა. ამის გამო იუცხოვა ბავშვმა თავის საკუთარი მამა. ის ჩემთან მოდიოდა, მეხვეოდა, მკოცნიდა, ხოლო ღვიძლ მამას არ ეკარებოდა. ბოლოს, ქაქუცამ უთხრა: „მოდი ჩემთან, შვილო, მე ხომ მამაშენი ვარ“-ო, რაზეც ბავშვმა უპასუხა: „მაშ, აბა, მიჩვენე ჩემი ჯვარი“-ო. უჩვენა თუ არა ჯვარი, ბავშვი კისერზე შემოეჭნა თავის მამას“ (106. 278-279).

ალ. ბადურაშვილი იგონებს, რომ 1922 წლის ივნისში „შეფიცულთა“ რაზმის წევრები წინანდლის თავის ტყეში, თეთრაანის ეკლესიასთან, დაბინავდნენ, სადაც ისინი სურსათით მამამისმა შაქრო ბადურაშვილმა მოამარაგა. წინანდლის ტყეში შეფიცულები ერთი კვირის განმავლობაში დარჩნენ.

შაქრო ბადურაშვილმა ქაქუცა ჩოლოყაშვილს წინანდალში არსებული ვითარება შეატყობინა, თუ როგორ აწიოკებდნენ ადგილობრივ

მოსახლეობას წინანდლის ჩეკას უფროსი კირაკოზოვი, პარტკომის მდივანი დაგონდარიძე, მილიციის უფროსი მეგუთნიშვილი და კიდევ ერთი, რომლის გვარიც „ბადურას“ აღარ ახსოვდა.

ქაქუცამ მავნებელი კომუნისტების შესაპყრობად ელიზბარ ვაჩნაძის ხელმძღვანელობით საგანგებო ჯგუფი შექმნა, რომელშიც შედიოდნენ: ალექსანდრე ბადურაშვილი, შალვა კანდელაკი, ლელო ჩიქოვანი და სხვ. კირაკოზოვი და „ძმანი მისნი“ წინანდლის თეატრში გამართული წარმოდგენის დროს დაატყვევეს და ტყეში ქაქუცას მიჰგვარეს. ამ უკანასკნელმა ტყვეებს საველე სასამართლო ჩაუტარა, ბრალად წარუდგინა მათი დანაშაულები, რის შემდეგაც ოთხივენი დახვრიტეს (11. 6; 115. 299).

ალ. ბადურაშვილისა და ალ. სულხანიშვილის მოგონებებში დაცულია ცნობები 1922 წლის ზაფხულში, ქაქუცას დავალებით, წინანდლის, ქვემო ხოდაშნის და კისისხევის კომისრის, ვინმე ბულიაშვილის (ალ. ბადურაშვილის მიხედვით; ბულიაშვილის — ალ. სულხანიშვილის მიხედვით) მოკვლის შესახებ, რომელმაც „დედაბუდიანად ააფორიაქა ამ რაიონების მოსახლეობა... ბულიაშვილს და იმის თანაშემწეს ხალხის თანდასწრებით გამოჰქონდათ ეკლესიებიდან ხატები, საეკლესიო წიგნები, მღვდლის სამოსელი და მათ თვალწინ სწვავდნენ ამ წმინდა ნივთებს“ (ალ. სულხანიშვილი).

ამის შემდეგ, ათეისტმა კომისარმა გადაწყვიტა, თავისი ხელით ჩამოეგდო ჯვარი ხოდაშნის ეკლესიის გუმბათიდან და იქადნებოდა, აი, ნახავთ, არაფერი მომივაო. მან დანიშნულ დღეს ამ „ღირსშესანიშნავი“ მოვლენის საცქერლად უამრავ ადამიანს ძალით მოუყარა თავი. ბულიაშვილი ეკლესიის სახურავზე აცოცდა, ჯვარს მიუახლოვდა, და „როცა თავისი დანაქადის ასრულება დაიწყო, ორი ტყვიით გახვრეტილი თავდაღმა გადმოეშვა გუმბათის სიმაღლიდან. ხალხს ძალიან გაუხარდა და ამბობდნენ, აი, ღმერთმა როგორ დასაჯაო“. ღვთისმგმობი კომისრის დამსჯელები მეზობლად მდებარე სახლის სხვენში ჩასაფრებული „საშა“ და „ბადური“ იყვნენ (11. 6; 106. 114-115).

წინანდლიდან ქაქუცა ჩოლოყაშვილმა ცივ-გომბორის მიმართულებით წასვლა გადაწყვიტა. მან ახალი ბანაკიდან სამი რაზმელი: ლადო ოზანელი, მიტო ხმალაძე და ირაკლი ბაკურაძე მეცხვარეებთან სურსათის სათხოვნელად გაგზავნა. გზაში ისინი დიდ ნისლში მოყვნენ და ტყიდან გამოსულები სრულიად მოულოდნელად ჩეკისტებს წააწყდნენ. შეტაკების დროს მიტო ხმალაძე და ირაკლი ბაკურაძე დაიღუპნენ, ხოლო ლადო ოზანელმა გაქცევა მოახერხა (11. 6).

კომუნისტები მიხვდნენ, რომ „შეფიცულთა“ რაზმი სადღაც ძალიან ახლოს იმყოფებოდა და ძებნა გააძლიერეს. ქაქუცა კვლავ იძულე-

ბული გახდა, თავშესაფრად ახალი ადგილი მოეძებნა, რომელიც წინა ბანაკიდან ცოტა მოშორებით მდებარეობდა. აქ მოხდა საოცარი ფაქტი, რომელსაც წლების შემდეგ ელიზბარ ვაჩნაძე ასე იხსენებდა: „დაღამდა..., რაზმი დასაძინებლად მილაგდა. ათ საათზე ქაქუცამ გაიღვიძა და განკარგულება მომცა: ხალხი გააღვიძე, აქედან უნდა გადავინაცვლოთო.

ვთხოვე – ხალხი დაღლილია, ამაღამ რა მოგვივა, განთიადზე წავიდეთ-მეთქი. განთიადამდე არა, მაგრამ თორმეტ საათამდე დავრჩეთ, რაკი ასე მთხოვო. ნახევარი საათიღა იყო გასული, რომ ახლა კატეგორიულად მიბრძანა – დაუყოვნებლივ აჰყარე ხალხიო. ასეც მოვიქეცით და ორიოდე კილომეტრის დაშორებით დავბანაკდით. დილით რაზმელებმა ცეცხლი აანთეს და სოკოს წვას შეუდექით. მეთვალყურედ მდგომ სიკო ჩოლოყაშვილს თოფის ხმა შემოესმა...

ქაქუცამ მიბრძანა, წადი, მიდამო დაზვერე, ალყაში ხომ არა ვართ, ოთხი კაციც წაიყვანეო. მაღლობზე რომ ავედით, ნისლი გადავიდა და დავინახე, რომ ჩვენგან მიტოვებული ადგილი ორასიოდე ცხენოსნით და ოთხმოცამდე ფეხოსნით იყო გარშემორტყმული. ტყვიამფრქვეველებიც ჰქონდათ.

ბელადმა წინა ღამით ადგილის დატოვება ნახული სიზმრისა გამო გადაწყვიტა. ესიზმრა, რომ ლეჩაქიანი ქალი თავს დაადგა, მხარზედ ხელი დაჰკრა და უთხრა: საჩქაროდ აქედან წადიო. ხოლო როცა მან ჩემი თხოვნის შედეგად, ადგილიდან აყრა გადადო და კვლავ დაიძინა, იგივე ქალი ისევ მოევლინა და უფრო დაბეჯითებით უბრძანა, საჩქაროდ გაეცალე აქაურობასაო. ამჯერად კი ქაქუცამ ქალს დაუჯერა და იქიდან აგვყარა“ (115. 300).

ქაქუცა ჩოლოყაშვილის შესახებ, მამისაგან მოყოლილ ამბებს, პროფ. ფარნაოზ ლომაშვილი შემდგომში ასე იგონებდა: „თავად თიანელი კაცი გახლავართ და მამისაგან გამიგონია...

თიანეთის ცენტრში ვცხოვრობდით, მამა ნალბანდი იყო და ერთხელაც ჩვენს სახლს ათიოდე მხედარი მოადგა – ცხენები დაგვინალეო. ერთი კაცი, რომელიც უფროსობდა, თვალს არიდებდა მამას. სახეს ყაბალახში მალავდა. მამა ცხენების დაჭედვას რომ მორჩა, ქაქუცას მაინც ვერ მოუთმენია და წასვლისას გამომშვიდობების ნიშნად შეუძახია: ხომ მიცანი, ვინც ვარ, აბა, კარგად იყავიო. 1922 წელი იყო. სწორედ მაშინ აავჯანყა დუშეთი ჩოლოყაშვილმა“ (71. 3).

ჩეკისტები განსაკუთრებულ სისასტიკეს იჩენდნენ ქაქუცა ჩოლოყაშვილის თანამებრძოლებისა და თანამოაზრეების მიმართ, ოდნავ ეჭვმიტანილებსაც კი იჭერდნენ და ხვრეტდნენ. დაახლოებით 1922 წლის მაის-ივნისში თბილისში, ღალატის გამო, დააპატიმრეს რამდენიმე კაცი, რომლებიც „შეფიცულთა“ რაზმში წასვლას გეგმავდნენ. ესენი იყვნენ:

არჩილ ვაჩნაძე, კონსტანტინე (კოტე) ჩოლოყაშვილი, სოლომონ (სუსლიკ) ანდრონიკაშვილი და სხვ. (33. 96; 60. 63; 137. 296).

1922 წლის მაის-ივნისში თბილისის ჩეკაში დაპატიმრებული ნიკო ნაკაშიძეც იმყოფებოდა, რომელიც შემდგომში იხსენებდა: „აქ შევხვდი ქაქუცას იმ რაზმელებს, რომელნიც ბრძოლის დროს დაჭრილიყვნენ და მტერს ტყვედ ჩავარდნოდნენ. ყველა იქ მყოფი საშინლად ვიტანჯებოდით, რადგან ვიცოდით, თუ ქაქუცას რაზმელებს რა მოელოდათ, თვით რაზმელები კი სიკვდილს წარბშეუხრელად ელოდნენ. სამი კვირის შემდეგ, ყველანი დახვრიტეს და მათთან ერთად რამდენიმე გლეხიც, რომელთაც აბრალებდნენ ქაქუცას რაზმებისათვის სურსათის მიწოდებას“ (125. 616).

განსაკუთრებით აღსანიშნავია როტმისტრ სოლომონ ანდრონიკაშვილის მიერ ჩადენილი გმირობა, რომელმაც დაკითხვის დროს „სიკვდილის კომისრად“ წოდებულ, დაუნდობელი სისასტიკით ცნობილ ჯალათ შულმანს კისერში, თუ ყბაში ლურსმანი ჩაარტყა (51. 75; 106. 112-113).

გენერალ შალვა მაღლაკელიძის თქმით, „შულმანი იყო ჩეკისტი, ებრაელი,... ჯალათი იყო ნამდვილი, სულ რევოლვერი აქვს ხელში. ანდრონიკაშვილმა დაარტყა ლურსმანი და მოკლა, დასახვრეტად რომ გაყავდათ 22 წელს. მე მაშინ უკვე მოსკოვში ვიყავი და ეს ამბავი გადმოცემით ვიცი, ე. ი. შულმანი შედის სუსლიკა ანდრონიკაშვილთან, რომ წაიყვანოს დასახვრეტად. სუსლიკა ქაქუცას რაზმელია, მიხვდა, დასახვრეტად რომ უნდა წაეყვანათ, მოგლიჯა ნარის ფიცარი და დაარტყა თავში ეს ლურსმნიანი ფიცარი შულმანს. ანდრონიკაშვილი დახვრიტეს“ (73. 119).

დაახლოებით 1922 წლის ივნისში (უფრო ზუსტი თარიღის დადგენა ამჟამად ჩვენს ხელთ არსებული წყაროების მიხედვით ვერ ხერხდება) „შეფიცულთა“ რაზმი ჯერ სოფელ პანტიანში, ხოლო შემდეგ — აშროშანში ბინადრობდა. აქედან ქაქუცამ თავისი თანაშემწე შალვა ფავლენიშვილი თბილისში ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან მოსალაპარაკებლად გაგზავნა. ორი კვირის შემდეგ, შალვა თბილისიდან სვიმონ ყიფიანთან ერთად დაბრუნდა, რომელიც ქაქუცასთან ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მიერ იყო მოვლინებული.

სწორედ ამ პერიოდში, 1922 წლის ივნისის დასაწყისში, თბილისში, დავით ვაჩნაძის ბინაში, გაიმართა მისი შეხვედრა წითელი ქართული დივიზიის შტაბის უფროსთან, პოლკოვნიკ როსტომ მუსხელიშვილთან. შემდგომში დათა ვაჩნაძე აღნიშნულ, უაღრესად მნიშვნელოვან, ფაქტს ასე იგონებდა: „მომიყვანა თქვენთან განსაკუთრებულმა საქმემ — მითხრა

მუსხელიშვილმა — სად არის ეხლა ჩოლოყაშვილი? რა ამბები მოგდით მისგან? რას აპირობს?

— ჩოლოყაშვილი დღიდგან გასვლისა კახეთშია. მაისში მისგან ვრცელი წერილი მივიღეთ. გვატყობინებს, რომ კახეთსა და მთიულეთში ბოლშევიკთა წესებით ხალხი იმდენათაა აღშფოთებული, რომ ადვილი შესაძლებელია ამ მხარეში აჯანყებამ უცაბედათ სადმე იფეთქოს და მეც ჩამითრიოს თავის ბრძოლის ტალღებშიო. ამასთანავე, იწერება თავის გაჭირვებაზე: მას არა აქვს სურსათის შესაძენი ფული, ტანსაცმელი და საკმაო ვაზნები. მოითხოვს საჩქარო შველას და პასუხსაც: „როგორ მოვიქცე, თუ ხალხი გამოვიდაო“?

— ეს მართალია, — თქვა პოლკოვნიკმა როსტომმა, — ასეთივე ცნობები მოსდის კავკასიის წითელი ჯარის შტაბსაც. ამ პროვინციების მღელვარება რუსებს ძალიან აწუხებს. ეშინიათ, აქედან მღელვარება ჩრდილო კავკასიას არ მოედოს. ქაქუცა ჩოლოყაშვილს ნიჭიერ და მამაც პარტიზანად სთვლიან. „ჩოლოყაშვილი ძვირად დაუჯდება მოსკოვსო“, — მეუბნებოდა გუშინ კავკასიის შტაბის უფროსი პუგაჩევი. ჩემის აზრით, — მითხრა მუსხელიშვილმა, — თუ ამ ხანად აჯანყებამ იფეთქა და აჯანყებულებმა წესიერად წაიყვანეს თავისი საქმე, ადვილი მოსალოდნელია, მათი გამარჯვება თბილისის აღებით დამთავრდეს. ამიტომ აუცილებელია ჩოლოყაშვილისთვის ყოველი დახმარების აღმოჩენა და მასთან მუდმივი კავშირის გაწყობა. რას ფიქრობს ამაზე ჩვენი პოლიტიკური ცენტრი?

— ინტერპარტიული კომიტეტის უმრავლესობა თავიდანვე წინააღმდეგია ჩოლოყაშვილის შეიარაღებულ გამოსვლებისა. ჩვენს წარმომადგენელს — იასონ ჯავახიშვილს ამ ნიადაგზე მათთან მუდმივი დავა უხდება. ამ ცენტრში ხომ ყველა საკითხი შეთანხმებით სწყდება და ამ საკითხის გარშემო ჯერ არაა მიღწეული თანხმობა. ამიტომ, ამჟამად არცაა მოსალოდნელი, რომ მან დასტური მისცეს აჯანყების მზადებას და არც დახმარებას აღმოუჩენს ჩოლოყაშვილს.

— საზღვარგარედ მყოფი მთავრობა, არც ის ეხმარება განა?

— არა.

— მაშ, ვინ შველის ჩოლოყაშვილს?

— ადგილობრივად მას თვით ხალხი ეშველება, თბილისიდან კი მთელი ქართული საზოგადოება და ის პოლიტიკური ქართველობა, რომელიც არ იზიარებს პოლიტიკური მეთაურობის ამ გაუბედავ პოზიციას. ეს მაშველი ქართული წრეები, თვით საკმაოდ გატყავებულნი, შეძლებისდაგვარად შველიან ქაქუცას პარტიზანებს ფულით, ტანსაცმელითა და სხვა..., მაგრამ, რასაკვირველია, ეს წვეთია მოთხოვნილებათა ზღვაში.

თავჩაღუნული, დაღვრემილი ისმენდა ამ პასუხს როსტომ მუსხე-

ლიშვილი. კარგა ხანის დუმილის შემდეგ თქვა:

— ეს ძალიან სამწუხაროა... უნდა დაარწმუნო ქართული პოლიტიკური მეთაური ხალხი, რომ შეიარაღებული ბრძოლის ხვედრს ვერ გაექცევიან. აჯანყება მაინც მოხდება და თუ აქედანვე ყველანი ერთად სამზადისს შევუდგებით, გავიმარჯვებთ. პირობებიც ხელსაყრელი გვაქვს. საბჭოთა ჯარი კავკასიაში მცირეა და სუსტი. ამიერკავკასიაში 19000, ამდენივე — ჩრდილო კავკასიაში. თავის წითელ ჯარს კავკასიაში მოსკოვი ვერ დაეხმარება ვერც ერთი ზედმეტი წითელი არმიელით. მან უნდა „გაიმარჯვოს ან გაწყდესო“, როგორც სწერენ აქაურ ჯარის უფროსს მოსკოვიდან. უკანასკნელ შემთხვევაში, წარმოიდგინეთ, მოსკოვი მზადაა საქართველოზე სრულებით აიღოს ხელიც.

თქვენ იცით ჩემი პირადი ამბავი. თავიდან თუ ვიკისრე მტრის ბანაკში შტაბის უფროსის თანამდებობა, მხოლოდ ერთი მიზნისათვის — ჩემი სამშობლოს რუსეთისაგან საბოლოო განთავისუფლებისათვის. ამ ხნის განმავლობაში რუსები ვერ მიუხვდნენ ამ ჩემ ზრახვას. პირიქით, მათ სამხედრო წრეებში ისეთი ნდობა დავიმსახურე, რომ მოსკოვის ყველა სამხედრო და პოლიტიკური საიდუმლოების მონაწილე გავხდი, და ვიცი დანამდვილებით, რომ წესიერი აჯანყების წარმოების შემთხვევაში, კავკასიის წითელი ჯარი განწირულია. და თუ მიიღებთ მხედველობაში, რომ მე მაბარია ამ ჯარის დისლოკაცია და ჩემს ხელშია ჯარების გადაწევა-გადმოწევის აპარატი ამიერკავკასიის ფარგლებში, მიხვდებით, რომ უანგარიშოდ არ გელაპარაკებით.

ენდეთ ამ ჩემს ცნობებს და საქმის ცოდნას. ეცადეთ მხოლოდ დაითანხმოთ პარტიათა კომიტეტი, დაარწმუნოთ და სთხოვოთ, რომ ნუ გაუშვებენ ხელიდან ხელსაყრელ დროს და პირობებს, თორემ მერე გვიან იქნება. რამდენიმე წელში ბოლშევიკური რუსეთი გაძლიერდება კავკასიაში და მის მორევას საქართველო და კავკასია დიდხანს ვეღარ ეღირსება.

— არ დაგიმალავთ, — მივუგე პასუხად რ. მუსხელიშვილს, — ამის იმედი არა მაქვს. კარგ შემთხვევაში, მის დაჯერებას დიდი დრო მოუნდება. აჯანყების ჟამი კი, როგორც სჩანს, მოახლოებულია. თქვენის ცნობებით, როდისაა ეს მოსალოდნელი?

— ამ შემოდგომას, ან გაზაფხულს! — მიპასუხა როსტომმა.

— იციან ეს რუსებმა?

— მე ვუმალავ ბევრ ამბავს პუგაჩოვს, ვამშვიდებ, მაგრამ როდემდის? თელავიდან, თუქურმიშიდან, ლაგოდეხიდან წითელი არმიელების უფროსები, ეს რამდენიმე თვეა, დაჟინებით თხოულობენ ადგილობრივი გარნიზონის გაძლიერებას... მაგრამ მაინც ეს იმდენად საშიში არ არის... საშიშია მხოლოდ, ჩვენს მოახლოებულ აშკარა გამარჯვების საქმეში,

ქართული პოლიტიკური წრეების შეუთანხმებლობა.

როსტომ მუსხელიშვილი წამოდგა ფეხზე და გამოთხოვებისას კიდევ გაიმეორა:

— თქვენი მეგობრებით ეცადეთ, რაც შეიძლება მალე მიაღწიოთ შეთანხმებას. დრო არ იცდის... ყველანი ისინი უნდა შეთანხმდეთ, ვისაც თვალები ახილული აქვს და ჩახედულია სინამდვილეში. გვინდა, არ გვინდა, გვერდში უნდა ამოუდგეთ მებრძოლ ქართველ ხალხს. თუ დავმარცხდებით, ქართულ ისტორიას პატიოსანი ეროვნული ბრძოლის კვალს ხომ დავუტოვებთ? მე მზადა მაქვს გეგმა წესიერ მოქმედებისათვის და ამ დღეებში გაგაცნობთ მის შინაარსს. ნახვამდის.

— გამარჯვებით ბრძანდებოდეთ!

როსტომ მუსხელიშვილმა დაავლო ხელი სქელ პორთფელს და გაჰქრა გასავალ კარებში“ (40. 206-208).

მაშასადამე, ამ ცნობიდან ირკვევა, რომ 1922 წლის ივნისის დამდეგისთვის პოლკოვნიკ როსტომ მუსხელიშვილს უკვე შემუშავებული ჰქონდა აჯანყების გეგმა, რომელიც მან მალე გააცნო ქართული სამხედრო ელიტის წარმომადგენლებს: კოტე აფხაზს, ალექსანდრე ანდრონიკაშვილსა და სხვ. გეგმის მიხედვით, „აღმოსავლეთ საქართველოს აჯანყება უნდა დაყრდნობოდა თავის ისტორიულ ბაზას — ხევსურეთის მაგარ მთა-სიმაგრეებს. დაახლოებულს თბილისთან, მოდარაჯეს საქართველოს სამხედრო გზისა, ამავე დროს, ხევსურეთს ეჭირა შუაგული კავკასიისა და იჭრებოდა კავკასიის უღელტეხილის პირიქით მხარეს და საქართველო-ჩრდილო კავკასიის მთიელთა შორის საკავშირო ხიდათ იყო გადებული... პოლკოვნიკმა მუსხელიშვილმა ივარაუდა ხევსურეთის მდებარეობის ყველა ეს განსაკუთრებული თვისებანი და გადაწყვიტა მათი სრული გამოყენება თავის საოპერაციო გეგმაში.

ხევსურეთის „ასაღებად“ მუსხელიშვილი თავს აყრევინებდა კავკასიის შტაბს ამიერკავკასიაში მობინადრე ყველა რუსის ჯარებს და დუშეთ-თიანეთის მაზრათა მთების ძირში და ხევებში ამწყვდევდა. ამავე დროს ამ ჯარის ზურგში მუსხელიშვილის გეგმა მაგარ დამკვრელ რაზმს უსაფრებდა. დანიშნულ დღეს, როდესაც რუსის ჯარი შეტევაზე გადავიდოდა და ჩაებმებოდა რთულ და მძიმე მთიან ბრძოლებში ჩოლოყაშვილის მეამბოხეებთან, ეს ჩასაფრებული ქართული რაზმი მას ზურგიდან უნდა დასცემოდა. ზურგ-გატეხილ, პანიკაში გადავარდნილ და დაშლილ ბოლშევიკურ ნაწილებს კონტრ-იერიშებზე გადმოსული ჩოლოყაშვილი ადვილად მოერეოდა, მათ მხრებზე დაეშვებოდა მთებიდან და ერთის სწრაფი დაკვრით აიღებდა უძალო თბილისს.

თბილისის აღებას და რუსეთის ჯარის განადგურებას, მუსხელიშვილის გეგმით, საქართველოს და მთელ უკვე უჯარო ამიერკავკასიის

ერთდროული განთავისუფლება თან მოჰყვებოდა. ზურგ-გამაგრებული ჩრდილო კავკასიის მთიელებიც ადვილად და სწრაფად იხსნიდნენ თავს მოსკოვის უღლისაგან და, ამგვარად, შესაძლებელი ხდებოდა მთელი კავკასიის განთავისუფლების ფაქტად გადაქცევა" (40. 209-210). ასეთივე გეგმის არსებობაზე საუბრობს თავის მოგონებებში პოლკოვნიკი სოლომონ ზალდასტანიშვილიც (43. 12).

კოტე აფხაზმა და ალექსანდრე ანდრონიკაშვილმა როსტომ მუსხელიშვილის მიერ შედგენილი აჯანყების გეგმა მოიწონეს. მათ გადაწყვიტეს, გეგმის დეტალები ქაქუცა ჩოლოყაშვილისათვის დაუყოვნებლივ შეეტყობინებინათ. დათა ვაჩნაძის ცნობით, „როსტომმა გაუმეორა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარეს, კოტე აბხაზს, რომ გეგმის შესრულება დამოკიდებულია „ზურგის დამკვრელი რაზმის" მოწყობის საქმეზე, რომელიც საჭიროებს ქართული პოლიტიკური ორგანიზაციების სრულ თანხმობას.

— მე დანამდვილებით ვიცი, — გვითხრა მუსხელიშვილმა, — რომ დუშეთის მაზრაში პოლიტიკური პარტიების გავლენა დიდია და ვშიშობ, რომ მათმა უთანხმოებამ ხელი არ შეუშალოს ამ რაზმის ორგანიზაციას. გთხოვთ, სათანადო გავლენა მოახდინოთ თბილისის პოლიტიკურ წრეებზე ამის თავიდან ასაცილებლად" (40. 210).

საკითხის დიდი მნიშვნელობიდან გამომდინარე, 1922 წლის ივნისში კოტე აფხაზმა ედპ-ს ცენტრალური კომიტეტის საგანგებო სხდომა მოიწვია, რომელზეც მოხსენება კახეთიდან ახლად დაბრუნებულმა გიორგი წინამძღვრიშვილმა გააკეთა. მან აღნიშნა: „ხალხი ღელავს, ნამეტნავად მთიულები. მოსთხოვენ ჩოლოყაშვილს: მოთმინების ფიალა აგვევსო, ბოლშევიკების სიმხეცეს ველარ ვიტანთ, შენს შენახვასაც დღითი-დღე გვიძნელებენ, გაგვიძეხი და მტერს შევუტიოთო. ქაქუცას მდგომარეობა ღია კახეთში ხომ მეტად გაძნელდა. იგი იძულებული გახდება მალე მთიან თიანეთ-დუშეთისაკენ ბინა გადაინაცვლოს. იქ, მის გარშემო, ბუნებრივად მთიელების თავის მოყრა დაიწყება. ეს კი ბრძოლის დაწყების მომასწავებელია. ჩემის დაკვირვებით, აჯანყება ერთ თვეში იგრიალებს" (43. 12).

გიორგი წინამძღვრიშვილის მოხსენების დასრულების შემდეგ აღნიშნულ საკითხზე ცხარე კამათი გაიმართა. ცენტრალური კომიტეტის წევრებმა: კოტე აფხაზმა, მიხეილ იშხნელმა, დავით ვაჩნაძემ და გიორგი წინამძღვრიშვილმა აჯანყების მოწყობის იდეას მხარი დაუჭირეს და სთხოვეს ედპ-ს წარმომადგენელს „დამოუკიდებლობის კომიტეტში" — იასონ ჯავახიშვილს, მათი მოსაზრება „დამკომის" წევრებისთვის გადაეცა. ცოტა ხანში გაირკვა, რომ „დამკომი" აღნიშნულ ეტაპზე ნებისმიერი შეიარაღებული გამოსვლის წინააღმდეგი იყო და „სამხედრო

ცენტრსაც“ აუკრძალა ასეთ მოქმედებებში მონაწილეობის მიღება. ამიტომ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა: „მიღებულ იქნას ყველა ზომები, რომ ნაადრევი გამოსვლები არსად არ მოხდეს. ეს დადგენილება პარტიამ ყველა პროვინციებს აცნობა“. თუმცა ედპ-ს ლიდერებმა იქვე განაცხადეს, რომ თუ შეიარაღებული აჯანყება მაინც დაიწყებოდა, პარტია მას მხარს დაუჭერდა (40. 210-211; 43. 12-13).

1922 წლის ივლისის დასაწყისში შეფიცულები დუშეთის მაზრის სოფელ ფრეზეთში გადავიდნენ, სადაც მათ შეუერთდათ ქართლის პატარა რაზმი გიორგი გვერდწითელის ხელმძღვანელობით, ბაღდუა კახუაშვილი, გაბო ოზიაშვილი, გიორგი ბიძინაშვილი („კურდღელა“), იოსებ ქიმბარიშვილი („ქიმბარი“) და სხვ. ამის შემდეგ, რაზმის რაოდენობამ 60-65 კაცი შეადგინა. ერთი კვირის შემდეგ, ფრეზეთიდან ხევსურეთისკენ დაიძრნენ (67. 75; 115. 301).

უნდა აღინიშნოს, რომ ე. ვაჩნაძისა და ალ. სულხანიშვილის გადმოცემით, „შეფიცულთა“ 60-65-კაციანი რაზმი ხევსურეთისკენ დღისით მიდიოდა, რაც საკმაოდ დიდ გაუფრთხილებლობას წარმოადგენდა. მართალია, ალ. სულხანიშვილი წერს: „ჩვენ დღისით მივდიოდით ხევსურეთისკენ, ვინაიდან არაგვის ხეობაში არც იმდენად ბევრია მოსახლეობა“-ო, მაგრამ, თავისთავად ცხადია, ამდენი შეიარაღებული ადამიანის დღისით-მზისით მოძრაობა ჩეკისტებს არ გამოეპარებოდათ. ისინი ყველანაირად ეცდებოდნენ, რომ ქაქუცა ჩოლოყაშვილი და მისი რაზმელები მანამდე ჩაებათ ბრძოლებში, სანამ სხვა რეგიონებში აჯანყებისთვის საბოლოოდ მომზადებას მოასწრებდნენ.

მართალია, 1925 წელს შედგენილ საბრალმდებლო დასკვნაში — „საქმე საქართველოს ანტისაბჭოთა პარტიების პარიტეტული კომიტეტის შესახებ“ აღნიშნულია, რომ „ჩოლოყაშვილი მოლოდინის ტაქტიკას ადგა. ამბოხების დაწყების მომენტი მას სურდა შეეფარდებინა ნაც.-დემოკრატების პარტიის ცეკასაგან დირექტივების მიღებისათვის“ (10. 55-56), მაგრამ, სამწუხაროდ, ქაქუცა ჩოლოყაშვილს ჯერ კიდევ ივლისის შუახანებში, ხევსურეთში შესვლამდე, დაგეგმილზე რამდენიმე კვირით ადრე, მოუწია ბოლშევიკებთან შეტაკება. აჯანყებულთა შტაბის უფროსის, — პოლკოვნიკ როსტომ მუსხელიშვილის თავდაპირველ გეგმაში ივლისში ბრძოლების წარმოება გათვალისწინებული არ იყო.

პირველი ბრძოლა არაგვის ხეობაში, ჟინვალთან მდებარე სოფელ თვალიეში (ალ. სულხანიშვილი მას შეცდომით „ორთვალად“ მოიხსენიებს — გ. ს.) მოხდა, სადაც შეფიცულებს თავს დაესხა დუშეთის მაზრის ჩეკისტთა რაზმი ცნობილი სადისტის, ცალხელა კომისარ ჭურღულიას მეთაურობით. ბრძოლის შედეგად, თავდამსხმელთაგან

დაიღუპა ერთი, დაიჭრა ორი მებრძოლი, დანარჩენები კი გაიქცნენ, მათ შორის, ჭურღულიაც; „შეფიცულთა“ რაზმიდან არავინ დაზარალებულა (67. 75-76; 106. 116).

თვალივის ბრძოლის შემდეგ, შეფიცულები ფშავის ცენტრალურ სოფელ მაღაროსკარში, ვაჟა-ფშაველას მიერ დაარსებულ სკოლაში, დაბანაკდნენ. აქ მათ თავს დაახლოებით 250 კომუნისტი დაესხა და რამდენიმესაათიანი სასტიკი ბრძოლა გაიმართა. ალ. სულხანიშვილი შემდგომში გულწრფელად აღიარებდა: „თუმცა ბევრი ბრძოლის მონაწილე ვარ, დიდისა თუ პატარასი, მაგრამ იმისთანა ლამაზი შერკინების მომსწრე კი არასოდეს ვყოფილვარ“ (106. 117).

მტერი შედგებოდა „პარტიულებისა, ორი მწყობრი რუსის ჯარისა და ავლაბრის კომისრისაგან თავის მილიციით“ (ალ. სულხანიშვილი). ბრძოლის მონაწილეები: ე. ვაჩნაძე, ალ. ბადურაშვილი და ალ. სულხანიშვილი მას თითქმის ერთნაირად, მცირეოდენი განსხვავებებით, აღწერენ. სამივე მათგანი აღიარებს, რომ ბოლშევიკები მათ თავს მოულოდნელად დაესხნენ. ამის გამომწვევი მიზეზი ის იყო, რომ ბუნებრივად საკმაოდ დაცულ მაღაროსკარში მტრის ასე მალე შემოტევას არ ელოდნენ (11. 12; 106. 117-118; 115. 302).

მოულოდნელი თავდასხმის მიუხედავად, ამგვარ ბრძოლებში უაღრესად გამოცდილი ქაქუცა ჩოლოყაშვილი ოდნავადაც არ დაბნეულა, მან შეფიცულები მაშინვე საბრძოლველად გააწყო, ყველას თავისი ადგილი მიუჩინა და უბრძანა, სანამ პირველად თვითონ არ გაისროდა, მანამდე ცეცხლი არ გაეხსნათ.

ამის შემდეგ მოვლენები შემდეგნაირად განვითარდა: „მტრის ძალებმა, სწორედ სკოლის გალავანს უკან ამოფარებულებმა, დაიკავეს პოზიცია. დაიწყო ძლიერი სროლა. ერთ მხრით — 320 კაცი, ხოლო ჩვენი მხრიდან — 60... ხუთი კაცი გალავანში გადაძვრა და მის უკან ამოფარებულ მტერს ათ ნაბიჯზე მიუახლოვდა, რაზმის უმრავლესობა კი მტრის პირისპირ განლაგდა.

მე და სერგო მაისურაძე მტრის ზურგში მოსავლელად წავედით. მცირე ხევიდან ბილიკები ამოდიოდა და გზაში თორმეტ ჩეკისტს წავაწყდით. მათ ერთი სომეხი კომისარი მეთაურობდა. მას თურმე ნათქვამი ჰქონია, ვიდრე ტფილისიდან წამოვიდოდა, ქაქუცას თავს ჩამოვიტანო. ქაქუცასი კი არა, თავისიც ვერ ჩაიტანა. მისი რაზმიც დავამარცხეთ და თვითონაც მოკვდა.

ამის შემდეგ მტერს ზურგიდან სროლა ავუტეხეთ. ვისროდით იმდენად ჩქარ-ჩქარა, რამდენადაც კი შეგვეძლო. თითოეულმა ორასამდე ტყვია გაისროლა. ეს ბრძოლა საერთოდ — თითქმის რვა საათამდე გაგრძელდა. მტერმა სასტიკი დამარცხება იგემა. დაეხოცათ ასამდე

კაცი, დანარჩენებმა თავს უშველეს. ტყვედ ჩავიგდეთ 15 ჩეკისტი, რომელნიც უკლებლივ დაიხვრიტნენ. ჩვენი მხრივ დაიჭრა ორი მებრძოლი“ (ე. ვაჩნაძე) (115. 302).

მაღაროსკარის ბრძოლის დროს მომხდარ ერთ საინტერესო ეპიზოდს, საიდანაც მთელი სისრულით წარმოჩნდა ქაქუცა ჩოლოყაშვილის ვაჟკაცური ხასიათი, მისი ერთ-ერთი მონაწილე, ხევსური შიშია ქერაული შემდგომში ასე იგონებდა: „მაღაროსკარში ცხარე ბრძოლისას ქაქუცა ფეხზე წამოიმართა, გადადგა მდინარე მაღაროულას ბექზე და მიბრჯნით გაუხსნა მაუზერიდან ცეცხლი მოპირდაპირე ნაპირზე შეჯგუფებულ მტერს. როდესაც იგივეს გასაკეთებლად იქვე საფარიდან წამოვიმართე მეც, მან ფეხით მიბიძგა და არ ამიშვა ზევით, ხოლო შეტაკების დამთავრების შემდეგ, როცა წყრომით შევხიშნე, თუ რა უფლებით აკეთებდა ამას, მან ჩვეული სითბოთი და გულისხმიერებით მიპასუხა: „მე ამ საქმისა და მოქმედებისათვის თავგადადებული კაცი ვარ, ეს ჩემი პირდაპირი მოვალეობაა, მაგრამ შენ ჩვეულებრივი კაცი, ოჯახის პატრონი, მშვიდობიანი მცხოვრები ხარ და თავს ნებას ვერ მივცემ შენი შვილები დავაობლო!“ ისე მითხრა ეს, რომ ყოველგვარმა წყენამ მაშინვე გადამიარა გულიდან“ (67. 81).

დასასრულს, საგანგებოდ აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ როგორც ე. ვაჩნაძე გადმოგვცემს, მაღაროსკარის „ბრძოლის დროს ქაქუცა ტიფით იყო დაავადებული და ორმოცი გრადუსი სიცხე ჰქონდა, მაგრამ ბრძოლას დაწყებიდან ბოლომდე თვითონ უხელმძღვანელა“ (115. 302).

ალ. სულხანიშვილი თავის მოგონებებში აღიარებს, რომ „ჩვენმა მაღაროსკარის ბრძოლამ ცოტა ნაადრევი ხასიათი მიიღო“, მაგრამ იქვე განმარტავს, ამით „დიდად არ შეცვლილა ამბოხების გეგმა: ამბოხება დაიწყო ზუსტად იქ, სადაც უნდა დაწყებულიყო“-ო. სამწუხაროდ, უნდა აღვნიშნოთ, რომ აჯანყება „ცოტა ნაადრევად“ კი არა, არამედ დაგეგმილზე რამდენიმე კვირით ადრე დაიწყო; თანაც არ დაიწყო „ზუსტად იქ, სადაც უნდა დაწყებულიყო“ – როსტომ მუსხელიშვილის მიერ შედგენილი თავდაპირველი გეგმის მიხედვით, თვალივისა და მაღაროსკარის ბრძოლები გათვალისწინებული არ იყო; ქაქუცას რაზმს მტერი შეტაკების გარეშე უნდა შეეტყუებინა მდ. არაგვის ვიწროებში და ბრძოლა მხოლოდ ამის შემდეგ გაემართა.

ამ დროს თბილისში მყოფი დავით ვაჩნაძის თქმით, „საუბედუროდ, დრო აღარ იცდიდა. ახალი მოვლენები სწრაფად ვითარდებოდნენ. ყაზბეგიდან შიკრიკი ჩამოვიდა: ხალხი ირაზმება, სამხედრო გზაზე შეიარაღებულ მთიელთა ჯგუფები გაჩნდნენო, ჩოლოყაშვილი თიანეთისაკენ მოდისო, ხევსურეთი ფეხზე დგებაო. ეს ხმები მოსდიოდა თბილისს ყოველი მხრიდან“ (40. 211).

ასე იყო თუ ისე, ქაქუცა ჩოლოყაშვილს კომუნისტებთან ბრძოლაში ჩაბმა ნაადრევად მოუწია, რაშიც ბრალი მნიშვნელოვანწილად თვითონვე მიუძღოდა – მან ვერ შეძლო უზრუნველეყო „შეფიცულთა“ რაზმის ჩუმი და ფრთხილი გადაადგილება კახეთიდან ფშავ-ხევსურეთისკენ. თვალივისა და მაღაროსკარის ბრძოლების შემდეგ, პროცესები დაჩქარდა და აჯანყება დაიწყო მანამ, სანამ ქართლში „ზურგის დამკვრელი რაზმების“ შედგენას და შეიარაღებას მოასწრებდნენ, რასაც პოლკოვნიკ როსტომ მუსხელიშვილის გეგმაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა.

მაღაროსკარის ბრძოლის დასრულების შემდეგ ქაქუცა ჩოლოყაშვილმა მოკავშირე ფშაველებისგან მიიღო ცნობა, რომ თიანეთის მხრიდან ხევსურეთის შესასვლელის, ფშავის და ხევსურეთის არაგვის შესაყარზე მდებარე ბუნებრივი სიმაგრის – ორწყალის დასაკავებლად 80 კაცისგან შემდგარი ჩეკისტების რაზმი მიემართებოდა. ამიტომ მან შეფიცულების ნაწილი ელიზბარ ვაჩნაძის ხელმძღვანელობით ორწყლისკენ გაგზავნა, რათა მტერს მისი დაკავება ვერ მოესწრო. ელ. ვაჩნაძემ დავალება შეასრულა, თუმცა როგორც ალ. სულხანიშვილი თავის მოგონებებში აღნიშნავს, „არავის არავითარი ოთხმოცი კაცი არ უხილავს თვალით და ეს ცნობა მხოლოდღა სოფო ძალოს ჭორები გამოდგა!“ (106. 122).

დაბეჯითებით ძნელია ვამტკიცოთ, მაგრამ „თიანეთის მხრიდან“ მომავალ „80 კაცისგან შემდგარ ჩეკისტების რაზმში“ ხომ არ შეიძლება ვიგულისხმოთ ფშავის მილიციის რაზმი, რომელსაც ქაქუცას ახლო მეგობარი, მაღაროსკარის რაიონის მილიციის უფროსი//კომისარი ლევან რაზიკაშვილი ხელმძღვანელობდა? ამ უკანასკნელს და მის ხელქვეითებს ხევსურეთისკენ მიმავალი შეფიცულები მართლაც შეხვდნენ, თუმცა აღნიშნულ შეხვედრას ბრძოლა არ მოჰყოლია. მის შესახებ არსებობს გიორგი ლიქოკელის შემდეგი შინაარსის მოგონება: „მამაჩემი მგელასაგან გამიგონია – მაღაროსკარის ბრძოლის შემდეგ, ხევსურეთისკენ რომ მივდიოდით ქაქუცას რაზმი, ხომის ძირს, პეტრეს დუქანთან შეეისვენეთ. ამ დროს ცხენების დრგიალით მოგვადგა მილიციელთა რაზმი. ის იყო ერცხვას უნდა ვსცემიყვენით, რომ ქაქუცამ ხელის აწევით შეგვაჩერა, სდექ!-ო, წავიდა მოწინააღმდეგისკენ, იქიდან მათი მეთაური გამოემართა და სახეგანათებულები გადაეხვივნენ ერთიმეორეს. მაშინ ვნახეთ პირველად ვაჟას შვილი ლევანი, ისიც მშვენიერი ვაჟკაცი ყოფილიყო. შემდეგ ორივე რაზმი დამჯდარა მწვანე მოლზე და მადლიანი ფშაურით აუხმიანებია არაგვის ჭალა“ (67. 198-199).

უნდა ითქვას, რომ არსებობს ქაქუცა ჩოლოყაშვილისა და ლევან რაზიკაშვილის შეხვედრის სხვა ვერსიაც, რომლის მიხედვითაც, ეს

ფაქტი არა აჯანყების დაწყებამდე, არამედ მისი დამარცხების შემდეგ, „შეფიცულთა“ რაზმის ფშავ-ხევსურეთიდან უკან დახევის დროს, მოხდა. აღნიშნულ ვერსიას ჩეკაში დაკითხვის დროს ავითარებდა თიანეთის აღმასკომის თავმჯდომარე სერგო სურგულაძე, რომელსაც ცენტრალურმა სარდლობამ ქაქუცა ჩოლოყაშვილის შეპყრობა და მისი ლიკვიდაცია დაავალა. მოცემული დავალების შეუსრულებლობა ს. სურგულაძემ მთლიანად ლ. რაზიკაშვილს გადააბრალა. მისი დაკითხვის ოქმში ვკითხულობთ: „გზის გადაკეტვისათვის თორმეტი ამხანაგის თანხლებით გავემგზავრე ორწყლისაკენ. ს. არტანთან არმისული, ჩემს მიერ ორი მილიციელი იქნა გაგზავნილი რაზიკაშვილთან. თავისი მილიციელებით შუაფხოში უნდა შემხვედროდა.

მას წინადადება მივეცი, არ წამოსულიყო მდინარე არაგვით, რადგან ბანდიტები არაგვის ხეობით იხევდნენ და შეიძლებოდა შეყროდნენ... მან ყურადღება არ მიაქცია ჩემს წინადადებას, არაგვით წამოვიდა და სოფ. ხომის ძირში ბანდიტებს გადაეყარა. ჩემს მიერ გაგზავნილი მილიციონერებიდან ერთი მოკლული, ხოლო მეორე განიარაღებულ იქნა. თვითონ კი ყველა მილიციელითურთ ტყეზედ დანებდა...“ (30. 24-25).

აღნიშნული ცნობიდან ირკვევა, რომ ს. სურგულაძეს, მართლაც, დავალებული ჰქონია ორწყალთან გზის გადაკეტვა, რაც მას, ლევან რაზიკაშვილის „ღალატის“ გამო ვერ შეუსრულებია; აშკარაა, რომ ვაჟა-ფშაველას ვაჟი სპეციალურად წავიდა არაგვის ხეობით, რათა უშუალოდ ის და არა ვინმე სხვა, შეხვედროდა „შეფიცულთა“ რაზმს; ჩვენ ზემოთ უკვე ვნახეთ, თუ როგორ „დანებდა“ ლევან რაზიკაშვილის რაზმი ქაქუცა ჩოლოყაშვილს არაგვის პირას, პეტრეს დუქანთან (ანუ დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ხომში მოხდა ქაქუცა ჩოლოყაშვილის და ლევან რაზიკაშვილის შეხვედრა), მაგრამ ხომ არ შეიძლება, რომ ეს ფაქტი მომხდარიყო როგორც ივლისის ბოლოს, „შეფიცულთა“ რაზმის ხევსურეთში შესვლის წინ, ისე სექტემბერში, აჯანყების დამარცხების შემდეგ?

აშკარაა, რომ ერთ-ერთი წყარო მცდარ თარიღს იძლევა. რომელი? ჩვენი აზრით, ეს შეხვედრა აჯანყების დაწყებამდე, „შეფიცულთა“ რაზმის ბარისახოში დაბანაკებამდე უნდა მომხდარიყო. შეხვედრის მონაწილე, ხევსური მგელა ლიქოკელი ყვება, თუ როგორ მოკალათდა ორივე რაზმი „მწვანე მოლზე“ და „მადლიანი ფშაურით“ აახმიანა „არაგვის ჭალა“. ჩვენ ქვემოთ ვნახავთ, თუ როგორ განვითარდა ხევსურეთის აჯანყება 1922 წლის აგვისტო-სექტემბერში, და დავრწმუნდებით, რომ აჯანყების დამარცხების შემდეგ, როცა თითოეული შეფიცულის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი მწვავედ იდგა, თითოეული წუთი ძვირფასი იყო, არავის ექნებოდა დრო და, მითუმეტეს, ხალისი

(ერთი მხრივ, დამარცხების, მეორე მხრივ, ფშავ-ხევსურეთის მშვიდობიანი მოსახლეობის მიერ გაღებული მსხვერპლის გამო), არაგვის ჭალა „მადლიანი ფშაურით“ აეხმიანებინა! ლევან რაზიკაშვილი, მართლაც, დაეხმარა ქაქუცა ჩოლოყაშვილს უკან დახევის დროს, მაგრამ ეს სულ სხვა ვითარებაში მოხდა, რის შესახებაც ასევე ქვემოთ ვისაუბრებთ.

დავუბრუნდეთ კვლავ 1922 წლის ივლისის ბოლოს მომხდარი მოვლენების აღწერას, როდესაც მთელი „შეფიცულთა“ რაზმი პირაქეთა ხევსურეთის მთავარ სოფელში – ბარისახოში, გოგოთურ ჭინჭარაულის სახლსა და კარ-მიდამოში, დაბანაკდა და ბოლშევიკებთან ომისთვის სამზადისს შეუდგა (67. 83;).

ბარისახოში ქაქუცა ჩოლოყაშვილი და მისი რაზმელები დიდი პატივისცემით მიიღეს. რამდენიმე დღეში მთელ ხევსურეთში უდიდესი ტრადიციული რელიგიური დღესასწაული ათენგენობა გაიმართა. ადგილობრივი თავკაცების – გოგოთურ ჭინჭარაულის, აპარეკა არაბულის და სხვ. თანხლებით ქაქუცა ჩოლოყაშვილი ხევსურთა მთავარ სალოცავს – გუდანის ჯვარს ეწვია. აგვისტოს დასაწყისში იგი ასეთივე დღეობას ხახმატის ჯვარშიც დაესწრო, რის შესახებაც ალ. სულხანიშვილი მოგვითხრობს: „მოწინავე ხევსურები მოითხოვდნენ, რომ ქაქუცა ნაწილი რაზმელებით მაინც წასულიყო ამ დღესასწაულზე, სადაც ხალხი მთელი ხევსურეთიდან იყრის თავს სალოცავად... გოგოთურს და აპარიკას სურდათ, რომ ქაქუცა პირადად ენახა ხალხს თავის რაზმით, რადგან ეს მათში აღფრთოვანებას გამოიწვევდა...

რა თქმა უნდა, ქაქუცამ ყურად იღო გოგოთურისა და აპარიკას რჩევა. ცხრა კაცი გავემგზავრეთ ცხენებით, ხოლო დანარჩენი რაზმი კი ბარისახოში დარჩა“... ერთი მოხუცი ხევსური ქაქუცას მიუახლოვდა, ხელი ჩამოართვა, ახედ-დახედა და უთხრა: „შენ, ქაქუცაო, იმად ხარ კარგი ვაჟკაცი, რომ ჩვენი სისხლისა ხარ“... საუცხოოდ ჩაიარა ხახმატის ჯვარობამ. ხევისბერებმა სიტყვა მისცეს ქაქუცას: ჩვენ მზად ვართ რუსების წინააღმდეგ საბრძოლველადაო... საღამო ჟამს ხალხს გამოვემშვიდობეთ და ძალიან კმაყოფილნი დავბრუნდით ბარისახოში...“ (67. 84-85; 106. 124-128).

ალ. ბადურაშვილის თქმით, ბარისახოში დაბანაკებული ქაქუცა ჩოლოყაშვილი ხევსურებთან მოლაპარაკებებს მართავდა, თუმცა – „მათთან პროპაგანდა საჭიროც არ იყო. ამ ხალხს რუსთა სიძულვილი ჩვენზე მეტი ჰქონდა“ (11. 12).

1922 წლის ივლისის ბოლომ და აგვისტოს დასაწყისმა მტრის მოახლოებული თავდასხმის მზადებასა და მოლოდინში განელო. ქაქუცა ჩოლოყაშვილმა თავის შეფიცულებთან და ხევსურებთან ერთად განსაკუთრებით ორწყალი გაამაგრა. აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში

ქაქუცა ავად იყო, როგორც ელ. ვაჩნაძე მიუთითებს, „ავადმყოფი ქაქუცა ხევისბერის სახლში იწვა და იქიდან ხელმძღვანელობდა მომავალ ოპერაციების სამზადის“ (115. 303).

1922 წლის აგვისტოში ქაქუცა ჩოლოყაშვილმა მოწოდებით მიმართა ქართველ ერს, „სადაც ის სწერდა, რომ მიწები მეპატრონეებს ჩამოერთვა ჯერ კიდევ მენშევიკური წყობილების დროს და ამის გამო იარაღი ხელში არავის აუღია. ჩვენ მზადა ვართ გადავსცეთ ქართველ ერს ის მცირეც, რაც დაგვრჩა, უკეთუ ამას ქვეყნის საჭიროება მოითხოვს, ხოლო ჩვენი ეხლანდელი ბრძოლა ისახავს მიზნად არა მიწების დაბრუნებას, არამედ საქართველოს დამოუკიდებლობის დაბრუნებას და ეს ბრძოლა გაგრძელდება, სანამ ეს მიზანი არ იქნება მიღწეული“ (129. 327).

დაახლოებით აგვისტოს მეორე ნახევარში (უფრო ზუსტი თარიღის დადგენა ჩვენს ხელთ არსებული წყაროების მიხედვით ვერ ხერხდება — გ. ს.) საბჭოთა ჯარმა, რამდენიმე ათასმა ჯარისკაცმა, ორწყალს შეუტია. გაიმართა სასტიკი ბრძოლები, რომლებიც ერთ კვირაზე მეტი ხნის განმავლობაში მიმდინარეობდა. აჯანყებულებმა ქაქუცა ჩოლოყაშვილის მეთაურობით ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს, შეფიცულები და ხევსურები გმირობის სასწაულებს ახდენდნენ. შედეგად, მტერმა ასობით მებრძოლი დაკარგა და უწესრიგოდ დაიხია უკან, ჟინვალდუშეთის რაიონში.

პოლკოვნიკ როსტომ მუსხელიშვილის თავდაპირველი გეგმის მიხედვით, სწორედ ამ დროს უკანდახეული ბოლშევიკებისთვის უნდა დაერტყათ დუშეთის რაიონში ჩასაფრებულ „ზურგის დამკვრელ რაზმებს“ მიხეილ ლაშქარაშვილის ხელმძღვანელობით, რაც, სხვადასხვა მიზეზის გამო, ვერ განხორციელდა. შესაბამისად, ვერ შესრულდა გეგმის სხვა პუნქტიც, რომელიც ქაქუცა ჩოლოყაშვილის არაგვის ხეობიდან გამოსვლას და თბილისზე ელვისებურ შეტევას ითვალისწინებდა. იგი დარჩა ხევსურეთში, რადგან თავის ძალებს უნდა გაფრთხილებოდა (43. 14; 67. 87-96;).

ამრიგად, ხევსურეთის ომის პირველი ეტაპი აჯანყებულთა შესანიშნავი გამარჯვებით დასრულდა. ორწყალთან გამართული ბრძოლის შემდეგ, სასოწარკვეთილი სიღნაღის პოლიტსამმართველოს უფროსი თავის ხელმძღვანელებს ატყობინებდა: „ბანდიტების შეპყრობის გამიზნული ყველა ოპერაცია მთავრდება უშედეგოდ“ (30. 22).

ორწყალთან განცდილი სამარცხვინო მარცხის შემდეგ, კომუნისტებმა თავიანთი შეიარაღებული ძალების სრული მობილიზაცია მოახდინეს და 1922 წლის სექტემბრის დამდეგს ახალი შეტევის განსახორციელებლად მოემზადნენ. ამასთან დაკავშირებით, მკვლევარი თ. ენდელაძე

მიუთითებს: „1922 წლის 10 სექტემბერს საბჭოთა სამხედრო ხელმძღვანელობამ გამოსცა საიდუმლო განკარგულება, რომლის ძალითაც იმ დღეს, საღამოს უნდა დაემთავრებინათ საერთო მობილიზაცია და საბრძოლო განლაგება. ამ გეგმით, 15 სექტემბრამდე ვარაუდობდნენ გუდანისა და ბარისახოს აღებას. ქართველ მსროლელთა დივიზიის მეთაურს — ს. ლექვთიძეს უბრძანეს, დუშეთისა და თიანეთის მაზრებში დისლოცირებული ნაწილების გაერთიანება.

თბილისიდან გააგზავნეს ქართული პოლკის ბატალიონი, კავკასიის მე-19 მსროლელი პოლკის ასეული, არმიის სასწავლო საკადრო პოლკის ასეული, ცალკე კავალერიის ბრიგადის რჩეული ესკადრონი და 37-ე ავტოჯავშნოსანი შენაერთი. შეტევა ავიაციითაც გააძლიერეს. მას უნდა დაეზვერა საქართველოს სამხედრო გზის მონაკვეთი და, საჭიროების შემთხვევაში, დაებომბა აჯანყებულთა პოზიციები“ (30. 24).

აღნიშნულ პერიოდში, აგვისტოს მიწურულსა და სექტემბრის დასაწყისში, უქმად არც ქაქუცა ჩოლოყაშვილი ყოფილა. ის კარგად ხვდებოდა, რომ გარკვეული დროის გასვლის შემდეგ უკეთესად მომზადებული მტერი მის წინააღმდეგ კვლავ შეტევაზე გადმოვიდოდა. ამიტომ ქაქუცამ ალექსანდრე სულხანიშვილი და შამილ იქაიძე ჩეჩნეთში დახმარების სათხოვნელად გაგზავნა. ამ უკანასკნელთა მოლაპარაკებები ჩრდილო კავკასიელებთან სასაზღვრო სოფელ ჯარეგოში წარმატებით დამთავრდა, თუმცა როდესაც რამდენიმე დღის შემდეგ ისინი ხევსურეთში დაბრუნდნენ, აჯანყება უკვე დამარცხებული დახვდათ — საბჭოთა ჯარებს ბარისახო აეღოთ. შესაბამისად, ამ ეტაპზე ჩეჩნების მხრიდან სამხედრო დახმარების საჭიროება მოიხსნა, რაც მათ სასწრაფოდ შეატყობინეს.

სანამ ალ. სულხანიშვილი ჩეჩნეთში იმყოფებოდა, ბოლშევიკებმა, რომლებიც ორწყლის მხრიდან ხევსურეთში შესვლის სრულ უპერსპექტივობაში დარწმუნდნენ, ბარისახოს გუდამაყრის ხეობიდან შეუტიეს. დაახლოებით 11-15 სექტემბერს წითელი არმიის ნაწილებმა, დაბა ფასანაურის გავლით, გუდამაყრის ხეობის სოფლები დაიკავეს და ხევსურეთს ფხიტუს მთიდან (იგი ხევსურეთისა და გუდამაყრის მთავარ წყალგამყოფს წარმოადგენს) შეუტიეს. ქაქუცა ჩოლოყაშვილსა და დამპყრობლებს შორის აქაც სასტიკი ბრძოლები გაიმართა. რუსებმა გამოიყენეს თვითმფრინავები, ზარბაზნები და ტყვიამფრქვევები, რამაც, საბოლოოდ, ბრძოლის ბედი მათ სასარგებლოდ გადაწყვიტა. აჯანყებულები დამარცხდნენ. მტერი ხევსურეთში შეიჭრა და უმოწყალოდ გადაწვა სოფლები (67. 101-117).

ჩეჩნეთიდან ბარისახოსკენ მომავალ ალ. სულხანიშვილს შატილში დახვდა ქაქუცა ჩოლოყაშვილის წერილი, რომელშიც ეწერა: „უკან

დააბრუნეთ ქისტების რაზმები, რადგან აქ ყველაფერი წახდა, ალბათ, ღალატს აქვს ადგილი, ამიტომ ჩვენ კახეთისკენ მიემდივართ აქედან და შენ დროებით როგორმე მანდ შეინახე თავი". ალ. სულხანიშვილმა მაინც განაგრძო გზა ბარისახოსკენ, რომელიც მას უკვე აღებული დახვდა. სოფ. აკუშოში იგი აპარეკა არაბულს შეხვდა, რომელიც მოუყვა, თუ რა მოხდა ხევსურეთში მისი ჩეჩნეთში ყოფნის პერიოდში: „შენი წასვლის მეორე დღეს დიდი ძალა მოგვაწყდა. ბევრი ვებრძოლეთ, ბევრი ჩავხოცეთ ხეობებში, საკმარისად დაიხოცნენ ჩვენი მხრიდანაც, მაგრამ ბარმა გვიღალატა; ზურგში რომ უნდა დაერტყათ რუსებისათვის, აღარ დაარტყეს და იმდენ ძალას ვერ გავუძელით" (106. 134).

სანამ უშუალოდ ქაქუცა ჩოლოყაშვილის მიერ 1922 წლის სექტემბერში ხევსურეთის დატოვებისა და „შეფიცულთა" რაზმის ნაწილთან ერთად კახეთში გადასვლის შესახებ თხრობას განვაგრძობდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია ივლის-სექტემბერში თბილისსა და შიდა ქართლში მიმდინარე პროცესების განხილვა; „ზურგის დამკვრელი რაზმის" შედგენასთან და შემდეგ ბრძოლაში ჩაუბმელად მის დაშლასთან დაკავშირებული საკითხების გარკვევა; რატომ „წახდა ყველაფერი" ხევსურეთში, რატომ აღარ „დაარტყეს" ბარიდან ფშავ-ხევსურეთის ვიწროებში მომწყვდეულ საბჭოთა საჯარისო დანაყოფებს?

საისტორიო წყაროების მონაცემების ურთიერთშეჯერებისა და სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებების გათვალისწინებით, 1922 წლის ივლისიდან (აჯანყების დაწყებიდან) სექტემბრის ბოლომდე (ამბოხების ჩახშობამდე) მოვლენების განვითარება შემდეგნაირად წარმოგვიდგება: ივლისში, თბილისში არსებულ ანტისაბჭოთა პოლიტიკურ წრეებში, შექმნილ ვითარებაში შეიარაღებული აჯანყების მოწყობის მიზანშეწონილობის საკითხის განხილვა კვლავ გრძელდებოდა. „დამკომში" და „სამხედრო ცენტრში" შემავალი პოლიტიკოსების და სამხედრო პირების ნაწილი მიიჩნევდა, რომ ამბოხების მოსაწყობად შესაფერისი დრო იყო, თუმცა მის დაწყებას 1922 წლის სექტემბრისთვის გეგმავდა; ნაწილი კი მიიჩნევდა, რომ აჯანყების დაწყებას არც საშინაო და არც საგარეო-პოლიტიკური ფაქტორები უწყობდნენ ხელს და სეპარატული გამოსვლა ფშავ-ხევსურეთში წინასწარ დამარცხებისთვის იყო განწირული.

როგორც ვიცით, ივლისის შუახანებში აჯანყებამ მაინც იფეთქა, „შეფიცულთა" რაზმს მოუხდა შეტაკებები დამპყრობლებთან თვალიევსა და მაღაროსკარში, რის შემდეგაც ივლისის მიწურულს ბარისახოში დაბანაკდა. როგორც 1925 წელს შედგენილ „საბრალმდებლო დასკვნაშია" აღნიშნული, არსებულ ვითარებაში, „დამკომის" და „სამხედრო ცენტრის" წევრები დილემის წინაშე აღმოჩნდნენ – „განვითარებიათ

ჩოლოყაშვილის ავანტიურა სრულიად საქართველოს მასშტაბით, თუ შეეწყვიტათ ყოველგვარი ბანდიტური ცდები, რადგანაც საბჭოთა მთავრობა გადამწყვეტ ღონისძიებას იღებდა და მოსალოდნელი იყო დამარცხება“ (10. 16).

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, უთანხმოება იყო თვით ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობაშიც. გენერალი კოტე აფხაზი და დავით//დათა ვაჩნაძე აქტიური მოქმედებების და აჯანყების შემდგომი განვითარების მომხრეები იყვნენ, იასონ ჯავახიშვილი (ედპ-ს წარმომადგენელი პარიტეტულ კომიტეტში), მიხეილ ჯავახიშვილი და სხვ. კი — მოწინააღმდეგეები. დათა ვაჩნაძე შემდგომში იგონებდა: „1922 წელს... ვმონაწილეობ აგვისტოს ხევსურეთის აჯანყების მომზადებაში და ყველა მის საქმიანობაში სექტემბერში აჯანყების ლიკვიდაციამდე“ (38. 130-131).

1922 წლის 26 ივლისს ედპ-ს ცენტრალურ კომიტეტთან არსებული სამხედრო კომისიის თავმჯდომარემ დავით ვაჩნაძემ საქართველოს პარტიზანთა მთავარი სამხედრო-ოპერატიული შტაბის (მიხეილ ლაშქარაშვილის ცნობით, აღნიშნული შტაბი დაარსდა 1922 წლის ივლისის ბოლოს პოლკოვნიკ როსტომ მუსხელიშვილის ინიციატივით, როგორც „სამხედრო ცენტრის“ დამხმარე ორგანიზაცია — 64. 13) სახელით, „სამფერის“ ფსევდონიმით, ხევსურეთში მყოფ ქაქუცა ჩოლოყაშვილს შემდეგი შინაარსის სადირექტივო წერილი გაუგზავნა: „ძვირფასო ქართველო, ამასთან ერთად გეგზავნებათ საქართველოს პარტიზანთა მთავარ სამხედრო-ოპერატიული შტაბის ბრძანება. საზღვარგარეთთან კავშირი დავიჭირეთ. უკანასკნელი ცნობების მიხედვით, ინგლისს, საფრანგეთს, ამერიკას და იტალიას განზრახვა აქვთ ძალით ჩაერიონ რუსეთის საქმეებში — ემზადებიან კონსტანტინოპოლსა და ანგორაზე გამოსასვლელად. ამ გეგმის სისრულეში მოყვანას შეუდგებიან შემოდგომაზე, ისე რომ ჩვენი ამბოხება შეიძლება მათ გეგმას შეუფარდდეს.

შევუკვეთეთ საზღვარგარეთ ფული, იარაღი. ძველი მთავრობა პარიზიდან მოგვიწოდებს აქტიური მოქმედებისადმი, გვპირდება შეკვეთილ იარაღსა და ფულს. ახლო მომავალში ველით მანდედან პასუხს... თუ უცხოელები თავის გეგმას გადასდებენ, ჩვენ მაინც გამოვალთ... გაცნობებთ, რომ დაარსდა „სამხედრო ცენტრი“. შტაბის შემადგენლობაში შედის „მუხაც“ (როსტომ მუსხელიშვილი — გ. ს.)... გასწყვიტე ყოველივე კავშირი ვარდენთან (წულუკიძე — გ. ს.), რადგან იგი აქტივობის წინააღმდეგია. კავშირი შტაბთან იქონიე „მუხას“ საშუალებით. ეს შტაბი ფაქტიურად ითვლება სამხედრო შტაბადაც დამოუკიდებლობის ინტერპარტიულ კომიტეტთან... „სამფერი“ (10. 57-58; 22. 13-14).

1922 წლის 20 აგვისტოს დათა ვაჩნაძემ, საქართველოს პარტი-

ზანთა მთავარი სამხედრო-ოპერატიული შტაბის სახელით, ქაქუცა ჩოლოყაშვილისთვის გასაგზავნად ე. წ. „ბრძანება № 1“ შეადგინა, რომელშიც ეწერა: „გაცნობებთ, რომ საქართველოს პარტიზანთა მთავარ სამხედრო-ოპერატიული შტაბის გადაწყვეტილების თანახმად, ოკუპანტებისაგან საქართველოს განთავისუფლების დროდ დანიშნულია ა. წ. სექტემბრის 27 ვიდრე ოქტომბრის 15. ამბოხების ოპერატიულ გეგმას გამოსვლის დღის აღნიშვნით მიიღებთ ადგილობრივ სექტემბრის 20-ს დახურული პაკეტით.

სექტემბრის 15-თვის უთუოდ წარმოადგინეთ თქვენი ოპერატიული მოსაზრებანი შემდეგი ცნობების დართვით:

1) პარტიზანების საერთო რიცხვი ქართლ-კახეთში, მათი დანაწილება მაზრობით;

2) ქვეითი და ცხენოსანი პარტიზანების რიცხვი;

3) რაოდენობა თოფებისა, ტყვიისმფრქვეველებისა, ტყვიებისა, ზარბაზნებისა;

4) დამოკიდებულება ლეკებთან და აზერბაიჯანთან (რა დახმარების გაწევა შეუძლიათ).

5) მეამბოხეთა სურსათ-სანოვაგით დაკმაყოფილების გეგმა.

მოვალე ხართ ეს ბრძანება სექტემბრის 20-მდე სრულ საიდუმლოებაში იქონიოთ. ცენტრალურ შტაბთან კავშირის დასაჭერად გამოგზავნეთ რჩეული, საიმედო კაცები. ცენტრალური შტაბის მისამართია — „მუხა“. საქართველოს პარტიზანთა მთავარი შტაბის მინდობილობით — „სამფერი“ (10. 57-58).

ჩეკას მიერ 1923-1924 წლებში დაპატიმრებული ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცეკას წევრები მიხეილ ჯავახიშვილი და იასონ ჯავახიშვილი თავიანთ ჩვენებებში მიუთითებდნენ, რომ დავით ვაჩნაძის მიერ შედგენილი დოკუმენტების შესახებ არაფერი იცოდნენ; ედპ-ს ხელმძღვანელობის ძირითადი ნაწილი და „დამკომი“ აჯანყების წინააღმდეგი იყო. მიხეილ ჯავახიშვილის თქმით, „უცებ დაიწყო დუშეთის ისტორია. ეს ჩვენთვის სრულიად მოულოდნელი რამ იყო. მხოლოდ შემდეგ გავიგეთ იმ ბრძანების შესახებ, რომელიც ვაჩნაძეს თავისი ნებით გაეცა“ (10. 58-59); „წერილი... თუმცა შტაბის სახელით ურჩევდა ჩოლოყაშვილს გამოსვლისათვის მომზადებულიყო, მაგრამ მისი ავტორი მხოლოდ თვით დათა ვაჩნაძე იყო. ცეკას და პარიტეტულ კომიტეტს აზრათაც არ ჰქონია გამოსვლა. ამისათვის ვაჩნაძე გამორიცხულ იქნა ცეკას შემადგენლობიდან. „სამფერი“ ვაჩნაძის ზედმეტი სახელია“ (იასონ ჯავახიშვილი) (10. 58; 22. 13-14).

1922 წლის აჯანყების მონაწილის — მიხეილ ლაშქარაშვილის მოგონებებში დაცული ცნობის მიხედვით, სადირექტივო წერილი და

„ბრძანება № 1“ მარტო დავით ვაჩნაძეს არ შეუდგენია, მათ შემუშავებაში პარტიზანთა მთავარი სამხედრო-ოპერატიული შტაბის წევრები: როსტომ მუსხელიშვილი, ილიკო მახარაძე და მიხეილ იშხნელიც მონაწილეობდნენ და „ბრძანება № 1“-ს ხელიც ერთად მოაწერეს „სამფერის“ სახელით. მ. ლაშქარაშვილის ცნობით, „პოლკოვნიკ როსტომ მუსხელიშვილმა მაშინათვე მოიწვია ქვედა შტაბის, ე. ი. დამხმარე შტაბის (ანუ პარტიზანთა შტაბის – გ. ს.) წევრები – ილიკო მახარაძე, მიხეილ იშხნელი და დავით ვაჩნაძე, რომლებიც პარტიზანულ მებრძოლებს ეხმარებოდნენ. მათ ერთად დაადგინეს ბრძანება № 1, ხელიც მოაწერეს „სამფერის“ სახელით. ბრძანება მოითხოვდა, რომ ყველაფერი შესრულებულიყო ისე, როგორც ამას მთავარი ცენტრალური შტაბი მოითხოვდა და ეს მოთხოვნილება და დადგენილება კი იყო ის, რომ აჯანყების დაწყების დღედ ითვლებოდა 27 სექტემბერი“ (64. 13).

თითქმის ანალოგიური შინაარსის ინფორმაციაა დაცული „საბრალმდებლო დასკვნაშიც“, სადაც დაპატიმრებული რ. მუსხელიშვილის მიერ ჩეკას გამომძიებლებისთვის 1923 წელს მიცემული ჩვენებიდან ირკვევა, რომ „ბრძანება № 1“ 1922 წლის 20აგვისტოს დ. ვაჩნაძესთან ერთად სწორედ მან შეადგინა (10. 19).

მიხეილ ლაშქარაშვილის თქმით, „სამფერის“ ბრძანება შტაბის წევრებმა ქაქუცა ჩოლოყაშვილისთვის გადასაცემად თბილისში მყოფ მის თანაშემწეს – შალვა ფავლენიშვილს გადასცეს. ამ უკანასკნელს 1922 წლის აჯანყებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი ეკისრებოდა: ერთი მხრივ, მას უნდა მიეწოდებინა ქაქუცასთვის ინფორმაციები, წერილები და ინსტრუქციები თბილისიდან; მეორე მხრივ, როგორც შიდა ქართლში „ზურგის დამკვრელი რაზმის“ შექმნის მთავარი ორგანიზატორი მ. ლაშქარაშვილი მიუთითებს, მასაც თბილისში არსებულ ცენტრალურ შტაბთან კავშირი შალვა ფავლენიშვილის მეშვეობით ჰქონდა და „მისგან ვღებულობდი გეგმებს მთავარი შტაბის დადგენილებების მიხედვით“ (64. 13).

ალექსანდრე სულხანიშვილის და ელიზბარ ვაჩნაძის მოგონებებიდან ირკვევა, რომ შალვა ფავლენიშვილი „შეფიცულთა“ რაზმს ივლისში დუშეთში შეუერთდა; მათ მხარდამხარ იბრძოლა თვალივსა და მაღაროსკართან გამართულ შეტაკებებშიც და ბარისახოშიც შეფიცულებთან ერთად დაბანაკდა. აგვისტოს დასაწყისში ქაქუცა ჩოლოყაშვილმა შალვა ბარისახოდან თბილისში საგანგებო დავალებით გაგზავნა: მას ევალებოდა, ერთი მხრივ, ხევსა და გუდამაყარში შეიარაღებული ხალხის მობილიზება სამხედრო გზის შესაკრავად, „რომ რუსები არ შემოეშვა საქართველოში“ (106. 123-124); გარდა ამისა, უნდა გაეწია საერთო ხელმძღვანელობა გორისა და დუშეთის მაზრებში უკვე არსებული ან

შექმნის სტადიაში მყოფი პარტიზანული ჯგუფებისთვის, რათა ხევსურეთში გადამწყვეტი ბრძოლების დაწყების შემდეგ, ისინი გაერთიანებულიყვნენ და საერთო ძალებით მტრისთვის ზურგიდან დაერტყათ (115. 303).

აგვისტოს შუახანებში შალვა ფავლენიშვილი თბილისში დაბრუნდა და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, როსტომ მუსხელიშვილმა, დავით ვაჩნაძემ და პარტიზანთა მთავარი სამხედრო-ოპერატიული შტაბის სხვა წევრებმა სწორედ მას გადასცეს „სამფერის“ სახელით 26 ივლისსა და 20 აგვისტოს შედგენილი სადირექტივო წერილი და „ბრძანება № 1“ ქაქუცა ჩოლოყაშვილისთვის გადასაცემად. სამწუხაროდ, შალვამ დავალების შესრულება ვერ მოახერხა, რადგან სწორედ აგვისტოს მეორე ნახევარში საბჭოთა ჯარები ფშაუში შეეიდნენ და ორწყალის გავლით ხევსურეთში შეჭრას ცდილობდნენ.

შესაბამისად, ხევსურეთის მისადგომებთან მიმდინარე გააფთრებული ბრძოლების დროს, როდესაც საბჭოთა ნაწილებმა საქართველოს ამ კუთხეში მისასვლელი ყველა გზა გადაკეტეს, შალვა ფავლენიშვილმა, მცდელობის მიუხედავად, საიდუმლო დოკუმენტების ქაქუცასთვის გადაცემა ვეღარ შეძლო. როგორც ჩანს, სწორედ აღნიშნულ დოკუმენტებზეა საუბარი ალექსანდრე სულხანიშვილის მოგონებებში: „ბარისახოში კაცი მოგვივიდა შალიკოსაგან: იგი დანიშნულ დროს, დათქმულ ალაგას, კაცის გაგზავნას თხოულობდა საიდუმლო პაკეტის მისაღებად და მოსალაპარაკებლად. ქაქუცამ მე დამნიშნა. მან თან გამაყოლა ერთი ხევსური, რომელმაც იცოდა ის ადგილი, სადაც შალიკოს უნდა შევხვედროდი.

ცხენებით მივედით დათქმულ ადგილას, მაგრამ არავინ მოვიდა. დანიშნულ დროს კიდევ ორი დღე გადავამეტეთ ლოდინში, თუმცაღა ამაოდ. მე დღესაც არ ვიცი, თუ რა იყო იმის მიზეზი, რომ მას ვერ შევხვდი... რახან მისი მოსვლის იმედმა ჩაილურის წყალი დალია, მე იქ მეტი ლოდინი აღარ შემეძლო და ხელცარიელი დავბრუნდი ბარისახოში“ (106. 124).

აქედან გამომდინარე, ქაქუცა ჩოლოყაშვილმა ხევსურეთის აჯანყების მთელი მსვლელობის მანძილზე სადირექტივო წერილისა და „ბრძანება № 1“-ის შინაარსი არ იცოდა, რადგან აგვისტოს დამდეგიდან ის, ფაქტობრივად, მოწყვეტილი იყო გარე სამყაროს და საქართველოში, ფშავ-ხევსურეთს გარეთ, მიმდინარე პროცესების შესახებ ინფორმაციულ ვაკუუმში იმყოფებოდა. თუმცა ისიც აღსანიშნავია, კიდეც რომ მოეხერხებინა შალვა ფავლენიშვილს და მისთვის ზემოაღნიშნული საიდუმლო დოკუმენტები გადაეცა, მათში არსებული ინსტრუქციების შესრულებას ქაქუცა მაინც ვერ შეძლებდა! როგორ უნდა დაწყებულიყო

აჯანყება 27 სექტემბერს, როდესაც აგვისტოს შუახანებიდან ხევსურეთის შესასვლელთან, ორწყალთან, სასტიკი ბრძოლები მიმდინარეობდა?!

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ, როგორც ჩანს, არც თბილისში მყოფ პოლიტიკოსებს გააჩნდათ ზუსტი და კონკრეტული ინფორმაცია ფშავ-ხევსურეთში მიმდინარე მოვლენებზე, არ იცოდნენ, რომ აგვისტოს მეორე ნახევრიდან აჯანყების ბედს დღეები კი არა, საათები წყვეტდნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, სხვაგვარად როგორ უნდა ავხსნათ ის ფაქტი, რომ 20 აგვისტოდან მოყოლებული (ანუ როცა „სამფერის" ბრძანება № 1 შეიქმნა), სექტემბრის მიწურულამდე სამოქმედო გეგმაში ცვლილება არ მომხდარა და ამბოხების დაწყების თარიღად კვლავ 27 სექტემბერი რჩებოდა; თარიღი, როდესაც ქაქუცა ჩოლოყაშვილის ამბოხება ხევსურეთში უკვე საბოლოოდ დამარცხებული იყო?

ამ გეგმით ხელმძღვანელობდნენ მიხეილ ლაშქარაშვილი, შალვა ფავლენიშვილი, სიმონ//სიმონიკა ბაგრატიონ-მუხრანელი და სხვები, რომელთა უმთავრეს ამოცანას კომუნისტებისთვის ზურგიდან დარტყმა წარმოადგენდა, რაც, მათი წარმოდგენით, 27 სექტემბერს უნდა მომხდარიყო. ყველაფრიდან ჩანს, რომ „ჩეკამ" მოახერხა ამბოხებულების დაგეგმილზე ადრე ბრძოლაში ჩაბმა, რათა მათ ძალების საბოლოოდ შეკრება ვერ დაესრულებინათ და „ეს მოძრაობა უფრო ადვილად გაენადგურებინათ. მიზანსაც მიაღწიეს" (64. 13); უკვე აჯანყების მიმდინარეობის პროცესში ჩეკისტებმა ფშავ-ხევსურეთსა და მის ფარგლებს გარეთ მყოფ მეამბოხეებს ერთმანეთთან კომუნიკაციის ყოველგვარი საშუალება მოუსპეს, რამაც, საბოლოოდ, გამოსვლის დამარცხების საქმეში საბედისწერო როლი ითამაშა.

ამასთან დაკავშირებით, ძვირფასი ცნობებია დაცული მიხეილ ლაშქარაშვილის მოგონებებში, რომელიც დაწვრილებით აღწერს 1922 წელს შიდა ქართლში „ზურგის დამკვრელი რაზმის" შექმნასთან და შემდეგ მის დაშლასთან დაკავშირებულ საკითხებს. ჩეკას აგენტი „გეორგაძე" 1923 წლის 23 იანვრით დათარიღებულ დასმენაში აღნიშნავდა: „რაზმი ორგანიზებული იქნა კავთისხევის რაიონში საქვეყნოდ განთქმული ქაქუცა ჩოლოყაშვილის მხარდასაჭერად. როდის დაიწყო პროპაგანდა, ძნელი დასადგენია, მაგრამ მან განსაკუთრებული სიმწვავით გამოვლინება 1922 წლის გაზაფხულზე მიიღო... ყველაზე საქმიანი პროპაგანდისტი იყო მენშევიკების პარტიის წევრი ლაშქარაშვილი, მოხერხებული, მცოდნე, საერთოდ, გორის მაზრაში, განსაკუთრებით, კავთისხევის რაიონში პოპულარული" (137. 267).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მ. ლაშქარაშვილს თბილისში არსებულ ცენტრალურ შტაბთან კავშირი შალვა ფავლენიშვილის მეშვეობით ჰქონდა და მისგან იღებდა მთავარი შტაბის დადგენილებებს. მისი

თქმით, „პარტიზანებმა მთელი საქართველოს მასშტაბით იცოდნენ, რომ აჯანყება 27 სექტემბერს უნდა დაწყებულიყო, როგორც ეს მთავარმა შტაბმა დაადგინა“ (64. 13).

არადა, დრო არ ითმენდა, წარმატების მიღწევის შანსი მხოლოდ სწრაფი მოქმედებების შემთხვევაში გაჩნდებოდა. ჩეკას „საბრალმდებლო დასკვნაში“ მითითებულია, რომ 1922 წლის აგვისტოს მეორე ნახევარში წითელი არმიის შტაბის უფროსი, პოლკოვნიკი როსტომ მუსხელიშვილი „კავკასიის განსაკუთრებული არმიის რევოლიუციონური სამხედრო საბჭოს დავალებით წავიდა ჩოლოყაშვილის ბანდების მოქმედების რაიონში (დუშეთის მაზრა), როგორც საექსპედიციო რაზმის შტაბის უფროსი, იმ მიზნით, რომ ჩაექრო ჩოლოყაშვილის მიერ მოწყობილი აჯანყება (10. 19).

გამგზავრების წინ როსტომ მუსხელიშვილმა ინახულა დავით ვაჩნაძე და უთხრა: „მივდივარ ფრონტზე... დუშეთის ახლოს ზურგის რაზმის დაგროვება წესიერად მიმდინარეობს. ქართლიდანაც მიეხმარებიან. გავაბი მათთან მჭიდრო კავშირი. ეხლა კი იმედი მაქვს ჩემი გეგმა სავსებით განვახორციელო... ან გამარჯვება, ან სიკვდილი... უკანასკნელ შემთხვევაში, თქვენ, თავის დროზე უამბობთ ქართველებს როსტომ მუსხელიშვილის „მოღალატეობის“ ნამდვილ ამბავს და მის ცდას ჩვენი ჩაგრული ხალხის განთავისუფლებისათვის, მივდივარ. მაშ, გამარჯვებამდის!“ გადავეხვიეთ ერთმანეთს. აჩქარებული ნაბიჯით როსტომ მუსხელიშვილი დაეშვა ქუჩის დაღმართს. ეს იყო უკანასკნელი ჩვენი შეხვედრა“ (40. 213).

მართლაც, წყაროებით დასტურდება, რომ აგვისტოს ბოლოს და სექტემბრის დასაწყისში დუშეთის მაზრაში შალვა ფავლენიშვილი, ხოლო გორის მაზრაში – მიხეილ ლაშქარაშვილი პარტიზანების მობილიზაციას ახდენდნენ „რუსებისთვის ზურგიდან დასარტყმელად“. მ. ლაშქარაშვილის ცნობით, ის ელოდებოდა შალვა ფავლენიშვილის ინსტრუქციას, რომელიც დაფუძნებული იქნებოდა მთავარი შტაბიდან და ქაქუცადან მიღებულ ბრძანებებზე, რის შემდეგაც შიდა ქართლის რაზმი მოქმედებას დაიწყებდა.

1922 წლის სექტემბრის დასაწყისში შალვა ფავლენიშვილმა მიხეილ ლაშქარაშვილს მისწერა: მუსხელიშვილმა რუსების ჯარი მთლიანად – სულ 6000 ჯარისკაცი იარაღით – სტრატეგიული მოსაზრებით არაგვის ხეობაში შეგზავნა. ქაქუცა ჩოლოყაშვილი თავისი რაზმით და ხევსურებით მათ პირისპირ ებრძვიან; ჩვენი ამოცანაა „ზურგიდან დავარტყათ რუსის ჯარს“. შალვა მიხეილ ლაშქარაშვილს და სხვა პარტიზანებს ავალებდა, შეერთებოდნენ მას და საშა ხიმშიაშვილს „დუშეთის გვერდით, ტყეში“, სადაც მათ უკვე მოგროვილი ჰყავდათ 400

პარტიზანი. წერილს შალვა ფავლენიშვილი შემდეგი სიტყვებით ამთავრებდა: „დაიძარი შენი რაზმით, იჩქარე, იჩქარე, დრო არ ითმენს, რუსები წინ მიიწევენ ხევსურეთისკენ“.

ეს იყო აჯანყების გადამწყვეტი მომენტი – თუ „ზურგის“ პარტიზანები „იჩქარებდნენ“ და საბჭოთა ჯარს მოულოდნელად თავს დაესხმებოდნენ, წარმატების შანსი გაიზრდებოდა. სწორედ ამის (სიჩქარის) იმედი ჰქონდათ როსტომ მუსხელიშვილს და შალვა ფავლენიშვილს. ეს უკანასკნელი, პარალელურად, ქაქუცა ჩოლოყაშვილისგან მიღებული დავალების შესაბამისად, შეიარაღებული მოხევეების მობილიზებას და მათი დახმარებით სამხედრო გზის გადაკეტვას ცდილობდა. ამას ადასტურებს მის მიერ 1922 წლის 8 სექტემბერს ხევიდან, სოფელ კარკუჩადან, ქაქუცასადმი გაგზავნილი წერილიც, რომელმაც ადრესატამდე ასევე ვერ მიაღწია (137. 411-413).

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, ჩვენს გაკვირვებას იწვევს მიხეილ ლაშქარაშვილის მოგონებებში დაცული შემდეგი ცნობა: შალვა ფავლენიშვილის წერილის მიღების შემდეგ, მან ბევრ მეამბოხეს მოუყარა თავი ქვათახევის მონასტერში და ელოდებოდა „ყოველდღე შტაბისაგან ბრძანებას, თუ რომელ წუთს დაიწყებოდა ბრძოლის ცეცხლი მტრის წინააღმდეგ. დიდი აღფრთოვანებით შეჰყურებდა გლეხობა ამ მომენტს. მონასტერში მოდიოდნენ მთიელები და ბარელებიც. სიმხიარულითა და ყიჟინით ვატარებდით დროს ამ ლოდინში“ (64. 13).

სწორედ ეს არის გასაკვირი: შალვა ფავლენიშვილმა სექტემბრის დასაწყისში ხომ დაბეჯითებით სთხოვა მ. ლაშქარაშვილს, ახლავე დაიძარი და შემომიერთდი დუშეთთან, რადგან დრო არ ითმენს, რუსები წინ მიიწევენ ხევსურეთისკენო? მეტი რაღა შტაბის ბრძანების დალოდება უნდოდა? თვითონ არ აღნიშნავს, ჩემი მეკავშირე მთავარ შტაბთან შალვა ფავლენიშვილი იყოო? რა დროს ლოდინი, სიმხიარულე და ყიჟინა იყო, როცა ხევსურეთში ზუსტად ამ დროს თავგანწირული, უთანასწორო ბრძოლები მიმდინარეობდა?

აჯანყებულებმა ძვირფასი დრო ხელიდან გაუშვეს – ორწყალთან აგვისტოს ბოლოს გამართული ბრძოლების დროს ბოლშევიკებისთვის ზურგიდან, დუშეთის მხრიდან, დარტყმა ვერ მოახერხეს; ხელსაყრელი ვითარებით ვერც სექტემბრის დასაწყისში, დამარცხებული წითელი სამხედრო ნაწილების ფშავ-ხევსურეთიდან დუშეთ-ჟინვალის მიმართულებით უკან დახევისას ისარგებლეს. ამით ხევსურეთის ომის პირველი ეტაპი დამთავრდა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამის შემდეგ საბჭოთა ხელისუფლებამ ხევსურეთზე შეტევა სულ სხვა მიმართულებიდან, გუდამაყრის ხეობიდან, გადაწყვიტა, რისთვისაც 10 სექტემბერს შესაბამისი საიდუმლო განკარგულებაც გამოსცა. გუდამაყრის მხრიდან

მტრისთვის ზურგში მოულოდნელი დარტყმა, ფაქტობრივად, შეუძლებელი იყო.

ქაქუცა ჩოლოყაშვილის „შეფიცულთა“ რაზმი და ხევსურები გუდამაყრიდან შემოჭრილ კომუნისტებთან სასტიკ, სისხლისმღვრელ ბრძოლებს ფხიტუს მთაზე სექტემბრის შუახანებში აწარმოებდნენ. ავიაციითა და მძიმე არტილერიით შეიარაღებულმა ოკუპანტებმა აჯანყებულების დამარცხება შეძლეს და ხევსურეთში შეიჭრნენ, რის შემდეგაც მათ უმთავრეს ამოცანად ქაქუცას მოკვლა ან შეპყრობა იქცა. ეს უკანასკნელი უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა.

და სწორედ ამ დროს, სექტემბრის მეორე ნახევარში, ქვათახევის მონასტერთან დაბანაკებული „ზურგის დამკვრელი რაზმის“ წევრები, მთავარი შტაბიდან აჯანყებაში მათი ჩაბმის შესახებ ბრძანების მიღების მოლოდინში, დროს „სიმხიარულითა და ყიჟინით“ ატარებდნენ! თვითონ მიხეილ ლაშქარაშვილის გარდა, აღნიშნული ფაქტი „ჩეკას“ აგენტ „გეორგაძის“ მიერ მოპოვებული ცნობებითაც დასტურდება. მისი ინფორმაციით, „1922 წლის 21 სექტემბერს იკრიბებოდნენ მეამბოხეები ქვათახევის მონასტერთან, სოფელ ხანდაკიდან 15 კილომეტრში. აქ იყვნენ დაბანაკებულები მიშა ლაშქარაშვილი და მ. აბულაძე. რაზმის სათავეში იდგა სიმონ ბაგრატიონ-მუხრანელი. რამდენიმე დღის შემდეგ, მას ეს თანამდებობა უნდა გადაეცა პოლკოვნიკ დათიკო წერეთლისთვის. 28 სექტემბერს ყაზბეგის რაიონიდან უნდა შემატებოდათ 50 მეომარი. კავშირი ჰქონდათ შალიკო ფავლენიშვილთან, ძეგვის ხიდის დაცვასთან, მცხეთაში მდგარ ჯავშანმატარებლის ხელმძღვანელობასთან და სხვ.

29 სექტემბერს ორად გაყოფილი რაზმი უნდა დასხმოდა თავს დუშეთს, რის შემდეგაც შეუერთდებოდა შალვა ფავლენიშვილის რაზმს. მაგრამ 28 სექტემბერს ღამით სოფ. ხანდაკში ჩამოვიდა კ. გაბაევი, გამოიძახა ყველა ხელმძღვანელი პირი... მან, ხელისუფლების სახელით, ყველას, ვინც იარაღს დაყრიდა, სრული ამნისტია აღუთქვა. შემდეგ მოლაპარაკება მიმდინარეობდა ლაშქარაშვილთან, რაც იმით დამთავრდა, რომ მან მსურველებს დაშლის წინადადება მისცა. საღამოს ცენტრიდან მიიღეს მითითება: ჩოლოყაშვილის წარუმატებლობის გამო, რაზმმა აქტიურობა არ გამოავლინოს და მცირე ჯგუფებად დაიყოს. დილით მთელი რაზმი დაიშალა... აბულაძე, ლაშქარაშვილი და ბაგრატიონ-მუხრანსკი მიიმალნენ“ (137. 269).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მიხეილ ლაშქარაშვილის, ალექსანდრე სულხანიშვილის, დავით ვაჩნაძის, ალექსანდრე ბადურაშვილის, სოლომონ ზალდასტანიშვილის და სხვ. მოგონებებში დაცული ცნობები, რომლის მიხედვითაც „უცებ მენშევიკების ცენტრის მოწოდებით ყველაფერი აირ-დაირია; ისინი მოუწოდებდნენ ხალხს, რომ ეს იყო

კონტრრევოლუციონერების აჯანყება, თავად-აზნაურებისაგან გამოწვეული და მას არ აჰყოლოდნენ“ (მიხეილ ლაშქარაშვილი), რამაც „ზურგის რაზმების“ დაშლა და, შესაბამისად, აჯანყების დამარცხება გამოიწვია, გაზვიადებულად გვეჩვენება. მენშევიკებმა აჯანყების საწინააღმდეგო პროპაგანდა სექტემბრის მიწურულს დაიწყეს, როდესაც ფხიტუს მთასთან ბრძოლები უკვე დამთავრებული და, შესაბამისად, აჯანყებაც დამარცხებული იყო.

პირიქით, როგორც „საბრალმდებლო დასკვნიდან“ ჩანს, სექტემბრის ბოლოს, „როდესაც დაიწყო ჩოლოყაშვილის ბანდების დამარცხება“, სოციალ-დემოკრატიული პარტიის დუშეთის კომიტეტის წევრი ნიკოლოზ ზანდუკელი როსტომ მუსხელიშვილს შეხვდა და აცნობა, რომ „გაერთიანებული ძალები მზათ არის“ და ელიან მის ხელმძღვანელობას, რაზეც ამ უკანასკნელმა მას სრულიად მართებულად „წინადადება მისცა, შეეჩერებინა პარტიზანული მოქმედება, რადგანაც იმ მომენტში ეს იქნებოდა უაზრო და დამღუპველი“ (10. 20-21).

ამის შემდეგ „დამკომის“ თავმჯდომარემ – ნიკოლოზ ქარცივაძემ მოიწვია სამხედრო პირების საგანგებო თათბირი, რომელსაც დაესწრნენ: ვარდენ წულუკიძე, ალექსანდრე ანდრონიკაშვილი, კოტე აფხაზი და სხვ. თათბირის წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება, „ჩოლოყაშვილის მოქმედება ჩაგვეთვალა ავანტიურად“ (10. 17-18).

კიდევ ერთი საინტერესო საკითხი: აჯანყების დამარცხების შემდეგ, შალვა ფავლენიშვილმა ქაქუცა ჩოლოყაშვილთან და შეფიცულებთან შეერთება ვეღარ მოახერხა, იგი რამდენიმე თვის განმავლობაში იმალებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, მას ჩეკისტებმა თბილისში, გუნიბის ქუჩაზე, მიაგნეს, სადაც თავის დასთან არალეგალურად ცხოვრობდა. 1922 წლის 20 ნოემბერს, გამთენიისას, 200 ჩეკისტი მოულოდნელად თავს დაესხა ავადმყოფ შალვა ფავლენიშვილს, რომელმაც დანებებას და ჯალათების ხელში ჩავარდნას სიკვდილი ამჯობინა და იქვე თავი მოიკლა. აღსანიშნავია, რომ ჩეკისტებმა გარდაცვლილის ჩხრეკის დროს „სამფერის“ სადირექტივო წერილი და „ბრძანება № 1“ იპოვეს. ჩვენს გაოცებას იწვევს ის გარემოება, თუ რატომ მოხდა, რომ ისეთმა გამოცდილმა და ფრთხილმა ადამიანმა, როგორიც შალვა ფავლენიშვილი იყო, თუნდაც სიცოცხლის ბოლოს არ გაანადგურა ასეთი მნიშვნელოვანი და საიდუმლო ინფორმაციის შემცველი დოკუმენტები და ისინი მტერს ჩაუგდო ხელში? (40. 213; 67. 71).

განვაგრძოთ ხევსურეთში მყოფი ქაქუცა ჩოლოყაშვილისა და „შეფიცულთა“ რაზმის მოქმედებების აღწერა. ფხიტუს ბრძოლის შემდეგ, კომუნისტების უმთავრეს მიზანს ქაქუცას მოკვლა ან შეპყრობა წარმოადგენდა. საბჭოთა ჯარის სარდლობამ თიანეთის მაზრის პარტიული

და სამხედრო ორგანიზაციების ხელმძღვანელებს ხევსურეთიდან გამავალი ყველა გზისა და საცალფეხო ბილიკის ბლოკირება დაავალა. ამის მიუხედავად, ქაქუცა ჩოლოყაშვილმა და შეფიცულთა ნაწილმა ხევსურეთიდან თავის დაღწევა მაინც მოახერხა.

წყაროებში და სამეცნიერო ლიტერატურაში არ არის საერთო აზრი იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ და რა გზით შეძლო მან ალყის გარღვევა. ზოგიერთი წყაროს (ს. ზალდასტანიშვილი) ცნობით, ალყაშემორტყმულმა ქაქუცამ ბრძოლით გაიკაფა გზა ფშავისკენ და ჩეჩნეთში გადავიდა, საიდანაც იმავე წლის ოქტომბერში კახეთში დაბრუნდა (30. 24-25; 43. 14); ალ. სულხანიშვილი ზოგადად აღნიშნავს, რომ ბოლშევიკები „ქაქუცას რაზმის ხელში ჩაგდებას ცდილობდნენ, მაგრამ იმან ღამით ალყა გაარღვია და მშვიდობიანად გავიდა“ (106. 134); ალ. ბადურაშვილიც მოკლედ წერს, „შეფიცულები ფშავში გადავიდნენ“-ო, თუმცა აღარ უთითებს, ფშავიდან მათ გზა რომელი მიმართულებით განაგრძეს (11. 12-13); პროფ. გ. შარაძეს მიაჩნია, რომ აჯანყების დამარცხების შემდეგ, ქაქუცა ჩოლოყაშვილი ჩრდილოეთ კავკასიაში გადავიდა, საიდანაც შემოდგომაზე კახეთში დაბრუნდა (123. 156).

ჩვენ ყველაზე მართებულად გვეჩვენება ხევსურეთის მკვიდრის, მკვლევარ ივანე ლიქოკელის მოსაზრება, რომელიც ფშავ-ხევსურეთის მოსახლეობაში დაცულ ზეპირ ცნობებზეა დაფუძნებული: თავდაპირველად ქაქუცამ თავისი რაზმის ძირითადი ნაწილი ფშავის და თუშეთის მთების გზით გაგზავნა მდ. ალაზნის ხეობაში, ხოლო რამდენიმე დღეში თავადაც რამდენიმე რაზმელთან ერთად ფშავის გავლით კახეთში გადავიდა. „რაიმე ალყის გარღვევა და გზაზე ბრძოლები არ ყოფილა... მხოლოდ კაწალხევის კარს, მდ. არაგვის მარჯვენა სანაპიროზე, გადააწყდნენ წითლების 5-6 კაციან ჩასაფრებულ ჯგუფს, რომელსაც მეთაურობდა თბილისის მილიციის ერთ-ერთი უფროსი წურწუმია. აქ ქაქუცა ჩოლოყაშვილმა თვალის დახამხამებაში მაუზერის რამდენიმე ჯერით მარტომ მოუღო ბოლო მათ, ხოლო მათი იარაღი თანამგზავრებს დაურიგა“ (67. 125-130).

ფშავში ყოფნის დროს, რამდენიმე დღის განმავლობაში, ქაქუცა ჩოლოყაშვილი სოფ. ჩარგალში ცხოვრობდა, სადაც მას ახალგაზრდა შეფიცული მიხა ხელაშვილი მასპინძლობდა. ამ უკანასკნელის ქალიშვილი თამარი შემდგომში, თავისი დედისა და მამიდის მონათხრობზე დაყრდნობით, აღნიშნავდა: „ხევსურეთიდან ჩარგალში მოიყვანა მიხამ ქაქუცა და მისი ამხანაგები. იმაზე უკეთეს ვაჟკაცს ვერა ნახავდა კაცის თვალი. ძალიან კი იყვის დაღონებული, დანა არ უხსნიდა კბილსა... რამდენიმე დღე დარჩნენ სოფელში. მიხამ ფშაური ტანსაცმელი მოუტანა. იმით გამოდიოდის ხალხთან სასაუბროდ, ხალხი კი ბევრი მო-

დიოდა ძალიან. მიხა ჰყვანდა შიკრიკად და მეკავშირედ. მუდამ ფეხის წვერებზე ტრიალებდა იმის დავალების შესასრულებლად. სულ თვალწარბში შეჰყურებდა ის ოციოდე წლის ბალღი იმ თავის ბელადს და ერთი საათი აღარ შეეძლო უიმისოდ გაძლება, რაითრა შეაყვარა თავი იმ დალოცვილმა".

ჩარგალში ყოფნის დროს ქაქუცა ჩოლოყაშვილს რამდენიმე შეხვედრა და ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა თავის უახლოეს მეგობართან — ლევან რაზიკაშვილთან, რომელმაც ფშაურად გამოწყობილი ქაქუცა ერთი მილიციონერის თანხლებით ჩარგლიდან, არტანის თემზე გაელით, პანკისის ხეობაში გააცილა. გამომშვიდობების დროს ქაქუცამ მას ფშავის მოსახლეობის აჯანყება დაავალა (30. 24-25; 67. 130-131).

ცოტა ხნის შემდეგ, თიანეთის მაზრაში მყოფ საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის უფროსის მოადგილეს იოვიძეს თიანეთის აღმასკომის თავმჯდომარემ — სერგო სურგულაძემ მოახსენა, რომ „მაღაროსკარის რაიონის მილიციის უფროსს ლევან რაზიკაშვილს კავშირი ჰქონდა ბანდიტ ქ. ჩოლოყაშვილთან და გამოავლინა მილიციის ბრძოლის თვალსაზრისით სრული უმოქმედობა, თანაგრძნობაც კი, საკუთარ თავს უწოდებდა ეროვნულ-დემოკრატს. ჩვენი ოპერაციის განმავლობაში ბანდიტების წინააღმდეგ ფშავ-ხევსურეთში იგი თვითნებურად წავიდა სამსახურიდან".

აღნიშნული მოხსენების საფუძველზე იოვიძემ დაადგინა: „ყოველივე ამის გამო, მე განკარგულება გავეცი დაეპატიმრებინათ რაზიკაშვილი და ყველა საბრალმდებო მასალით გადაეგზავნათ საქჩეკაში" (137. 295-296).

ქაქუცა ჩოლოყაშვილის და შეფიცულების გადარჩენის საქმეში გადამწყვეტი როლი მიუძღოდა პოლკოვნიკ როსტომ მუსხელიშვილს, რომელმაც მის დაქვემდებარებაში მყოფი საბჭოთა ჯარის კავალერია ისე გადაადგილა, რომ ფშავიდან კახეთში გადასასვლელი გზა თავისუფალი დარჩენილიყო (137. 319).

ხევსურეთის გმირული აჯანყების დროს მის თავს გადახდენილი ერთ-ერთი ყველაზე დასამახსოვრებელი ამბავი თვითონ ქაქუცა ჩოლოყაშვილმა შემდგომში თავის მეგობარს — შალვა ამირეჯიბს უამბო, რომელმაც მას შესანიშნავი ნარკვევი მიუძღვნა: „ეს იყო ხევსურეთის აჯანყების დროს, 1922 წელს, სექტემბერში. ქ. დუშეთთან შეტაკების შემდეგ, ხევსურეთში გადავედი. ხევსურებმა სიხარულით მიმიღეს. უნდა იცნობდეთ მთის ამ ქართველებს, გამოცდილებს ომში და მოსიყვარულეთ თავის ქვეყნისა, რომ გაიგოთ, რა უცბათ აღმითქვეს დახმარება. ჩემი სახელი გაგონილი ჰქონდათ. ამას გარდა, ჩვენს გვარს მუდამ ჰქონდა პატივი ამ ხალხში, რადგანაც ისტორიულად ჩოლოყაშ-

ვილები ამ კუთხის მოურავები იყვნენ. ამ ქვეყანაში ყველაფერი ძველის წესებით იმართება და ხალხის უმფროს პირებად ითვლებიან არა მთავრობის მოხელენი, მით უმეტეს, რუსები, არამედ დეკანოზები და გვარის უხუცესნი. ისინი გამოცხადდნენ ჩემთან და მითხრეს, რომ მზათ არიან რუსებისთვის წინააღმდეგობა გაეწიათ.

ვის უნახავს ეს ქვეყანა? ვის უნახავს მისი მთები, შეფენილი მწვანით, ზედ ასულის ბილიკებით და იქიდგან დაქანებულის ნაკადულებით! ხალხი დღესაც რკინის პერანგს და ჩაფხუტს ატარებს, იცის ფარიკაობა და გულზედ ჯვარი აქვს ამოკერილი, ნიშანი, რომ მათი მამა-პაპანი ჯვაროსანთა ომებში ყოფილან.

საღამო ხანს ჩემს თვალებს საუცხოო სურათი გადაეშალა. სოფლის ერთი კოშკიდგან ძახილი გაისმა. ეს იყო განგაში. ეს ხმა ატყობინებდა დანარჩენ სოფლებს, რომ ხევსურეთი ომს იწყებდა. დაინთო ცეცხლი და მახლობელმა სოფლებმა განგაშითვე უპასუხეს. ერთი ღამის განმავლობაში ყოველმა ხევსურმა იცოდა, რომ დილას იარაღით უნდა გამოსულიყო.

ამაზე მეტი არც დრო გექონდა. რუსის ჯარები, რიცხვით ექვსი ათასი, ფეხ და ფეხ მომდევდნენ და ჩემი კაცებისაგან წუთიდან წუთზე ველოდი მათი ხევსურეთში შემოსვლის ამბავს. გუდამაყარის მხრიდგან თოფი გავარდა. ეს მტრის მოახლოების ნიშანი იყო. მე ცხენი მოვითხოვე და მახლობელ მწვერვალზედ დავბანაკდი. ოცი კაცი მაშინვე ორ წყალზედ გავგზავნე. ეს ის ადგილი იყო, საიდანაც რუსები უნდა შემოსულიყვნენ. იქ ჩასულ ჩემ კაცებს სამასი შეიარაღებული ხევსური დახვდა. ამ ადგილის მნიშვნელობა ხევსურებმა კარგად იცოდნენ და თავისით მოსულიყვნენ. მალე ხევსურებმა სხვა შემოსავალი ადგილებიც ასე გაამაგრეს და ჩემის მხრივ საერთო ხელმძღვანელობაღა იყო საჭირო.

გაიარა ღამემაც და დილაზედ რუსებმა შემოტევა დაიწყეს. ტყვია ზუზუნებდა და ზარბაზანი გრიალებდა. ჩემთან მხოლოდ სამი კაცი იყო. ეს იყო მთელი ჩემი შტაბი. მაგრამ ეს სიმცირე არ იყო ჩემი გასაჭირი. ნაბადში გახვეული მიწაზე ვეგდე და ციება, ასე ხშირი ჩვენს პარტიზანულ ყოფაში, შედეგი ჩვენი გამუდმებული მიწაზედ წოლისა, სულსა მღაფავდა. დამეწყო ღამით და დილაზედ სიცხეც მომცა. მოდიოდნენ კაცები, მოჰქონდათ ამბები და მიჰქონდათ ბრძანება, მაგრამ, დამიჯერებთ, დღესაც არ ვიცი, რა ბრძანებანი იყვნენ ისინი.

უცბათ ერთმა ხევსურმა ცხენი ზედ ნაბადზედ მომაგდო.

— რომელია ჩოლოყაშვილი? — დაიძახა მან.

კაცებმა ჩემზედ მიუთითეს. მან დამხედა და წამოიძახა:

— რა დროის წოლაა, ვაჟაუ, არ გაგიგია, ხევსურეთს მტერი მოადგა?

მე შევხედე. ჩემ წინ სულ ახალგაზრდა, უწვერულვაშო ხევსური იდგა. მხარზედ პატრონტაში ჰქონდა გადაგდებული, ხელში თოფი ეჭირა და უბელო ცხენზე იჯდა. მე ისევ თვალის დახუჭვა მინდოდა, იმ იმედით, რომ პასუხს ჩემები გასცემდნენ, რომ მოსულს პატრონტაშის ქვეშ ქალის ღია მკერდი დავუნახე.

ასეთი უჩვეულო გარეგნობის სტუმრის მოსვლამ გამომარკვია და წამოვიწიე. ვიდრე მისი უცნაური მოსვლის მიზეზს ვიკითხავდი, მე თვით მინდოდა ამეხსნა მიზეზი ჩემი წოლისა, რადგანაც მოსული ქალი იყო ეჭვს გარეშე და მის სიტყვებზედ, ცოტა არ იყოს, თავი უხერხულად ვიგრძენი.

— ავადა ვარ, — წავილაპარაკე მე.

— განა სიკვდილი ავადმყოფს არ შეუძლიან? ორწყალში ომია! — მიპასუხა მან.

— ვინა ხარ, დისავ? — ვკითხე, როცა დავატყვე, რომ ჩემი სტუმარი ჩვეულებრივ ქალს არ ჰგავდა.

— მზე-ქალს მეძახიან, არაშულის ქალი! ნეტაი, თუ შენც ჩოლოყაშვილი ხარ?

— გახლავარ. რას მიბრძანებ?

— ბრძანება შენი იყოს, მე ორწყალზედ მინდა მიგაცილო. ხევსურნი გელოდებიან. ომია! — სთქვა და თვალებში ჩამაშტერდა.

მე აღარაფერი გამომიკითხავს და მხოლოდ მივხვდი, რომ წაუსვლელობა არ იქნებოდა. ასე ფიქრობდნენ, ალბათ, ჩემი ამხანაგებიც, რადგანაც ჩემს ხსენებაზედ — ცხენი მოეყვანათ, წინააღმდეგობა არ გაუწევიათ.

შევსხედით და წავედით. წინ მზე-ქალა მიგვიძღოდა. მე თავბრუ მესხმოდა და უნაგირზე ძლივს ვიჯექი, მით უფრო, რომ მზე-ქალას უბილიკო დაღმართებით მივყავდი ძირს. ტყვია ზუზუნებდა, მაგრამ ამას ყურადღებას არ აქცევდა. უთუოდ იკითხავთ, ვინ გამოგზავნა? არავინ! როგორ მომაგნო, არც ის ვიცი! ვიცი მხოლოდ, რომ ჩემი კაცებისაგან არ იყო გამოგზავნილი. ერთ სოფელს რომ გავუსწორდით, ცხენი შეშინებულა და სოფელს ერთი მაგრად დასჭყივლა, სახლში დარჩენილებს უძახოდა. სოფლიდგან მხოლოდ ძაღლმა გაგვცა ხმა.

— ბეჩაუ, უკაცოდ ძაღლიც ცოდოა მარტო. სჩანს, ყველანი წასულან, — ჩაილაპარაკა მან.

მხოლოდ აქ გავარჩიე კარგად მისი სახე. იქნებოდა თვრამეტი წლისა. სახე ჰქონდა კუშტი და ეშხიანი, ისეთი, როგორსაც გვიხატავენ ყაზბეგი და ვაჟა-ფშაველა თავის მთიულურ მოთხრობებში. მკერდი ჩამოღეღილი ჰქონდა, როგორც ვთქვი და მხრებზე შავი თმა ეყარა.

ტუჩები იმ გარეგანი სილამაზით ჰქონდა აწყობილი, რომ მთელ მის არსებას შველს ამსგავსებდა.

ისევ გზას გავუდექით. მზე-ქალა ისევ წინ მიგვიძღოდა, მაგრამ ხმა არ ამოუღია. გარეგნობა მთლად ვერ შესცვლიდა და, ალბათ, წმინდა ქალური მოკრძალებით იყო მოცული, რადგანაც, რაც უნდა იყოს, უკან მხოლოდ მამაკაცები მივსდევდით. ჩვენების საფრებს რომ მივუახლოვდით, მზე-ქალა უცებ დაგვცილდა, დაიძახა ჩემი სახელი მთელი ხეობის გასაგონად და მტრისაკენ თოფი დასცალა.

ბრძოლამ რამდენსამე დღეს გასტანა. რუსები გვიტევდნენ, ხევსურები უკან ერეკებოდნენ და თითქოს სჯაბნიდნენ კიდეც, მაგრამ მათი არტილერია ჩვენ სოფლებს ზურგზედ ბოლს ადენდა. ამ ხნის განმავლობაში მზე-ქალამ რამდენჯერმე ჩამიქროლა წინ. ისევ ის ღია მკერდი, ისევ ის უბელო ცხენი, ის პატრონტაში მხარზე და თოფი ხელში! მაგრამ, არ ვიცი რატომ, ჩემთან ერთხელაც არ შეჩერებულა. თითქოს მისთვის აღარ ვარსებობდი, მაგრამ უსაქმოდ ერთხელაც არ ყოფილა: ხან ჩვენი სანგრების წინა რიგებში იჯდა და მამაკაცებთან ერთად ისროდა, ხან კარგა ხნით სადღაც გაქრებოდა და მოჰყავდა ახალი ხალხი, ვინც რაიმე მიზეზით აქამდის ჩვენთან ვერ მოსულიყო. ამ ხნის განმავლობაში ის იყო სროლაშიაც და შემოირბინა თითქმის მთელი ხევსურეთი.

რუსებს უნდოდათ ჩვენი ხევსურეთში შერეკვა, იქ ჩაკეტვა და ტყვედ წაყვანა. გეგმა სწორი იყო, რადგანაც თუ ხევსურეთში მოგვამწყვდევდნენ, გამოსვლა ძნელი იქნებოდა. ისინი ერთხელ კიდევ გადმოვიდნენ იერიშზედ და ხევსურებს დაახევინეს. ამავე დროს პატარა რაზმით, მე თვითონ შემოვუარე მათ, რუსები ჩემსა და ხევსურებს შორის მოექცნენ და, ამრიგად, თვითონ რუსები მიშლიდნენ ხელს, დახეულ ხევსურებს მეც თან გავყოლოდი.

ამ დღიდგან აღარც მზე-ქალა მინახავს. გაიარა ხანმა, მე ბევრი ადგილი გამოვიცვალე. ბოლოს, იძულებული შევიქენი დროებით საქართველო დამეტოვებინა და ჩეჩნეთში მიმავალს, გზა ისევ ხევსურეთზედ მედო. რუსები წასულიყვნენ. დაეწვათ სოფლები, გაერეკათ საქონელი, დაეცარცვათ სახლები და დაეხვრიტათ ხალხი. დახვრეტილთა შორის ხუთი ქალიც ერია. უნდა გვეფიქრა, რომ ამ ხუთში მზე-ქალაც იქნებოდა, მაგრამ მზე-ქალას ამბავი სულ სხვანაირად მიამბეს: დახევის დროს ხევსურები მთებში წავიდნენ და პირველი სოფელი, რომელშიაც გამარჯვებული რუსები შევიდნენ, მზე-ქალას სოფელი იყო. ქალები, ბავშვები და მოხუცებულნი აჯანყებულთ გაჰყვნენ. ცარიელ სოფელს რუსებმა ზარბაზანი დაუშინეს. სროლა რომ შეწყდა, სოფელს რუსი სალდათები მოედვნენ და დაიწყეს ჩვეულებრივი ცარცვა.

ჯარისკაცთა ერთი ჯგუფი მზე-ქალას სახლისაკენაც გაემართა. სახლიდგან ორი ტყვია გამოვარდა და ორი ჯარისკაცი მოჰკლა, რუსებმა სროლითვე უპასუხეს. ბოლი რომ განიბნა და რუსები სახლში შევიდნენ, მიწაზედ ახალგაზრდა ქალის უსულო გვამი ნახეს. მოკლული მზე-ქალა იყო! როცა სოფელი ხალხისაგან დაიცალა, ის მაინც თავის სახლში დარჩენილიყო და ფიცი დაედო, თავის კერაზედ რუსი არ გაეტარებინა. მზე-ქალამ სიტყვა შეასრულა და რუსები მხოლოდ მისი სიკვდილის შემდეგ შევიდნენ მის სახლში. რუსის ტყვია სწორედ იმ ადგილას მოხვედროდა, რომელიც მზე-ქალას ისეთის უმანკო მოურიდებლობით დაჰქონდა – ღია მკერდში, მაგრამ პატრონტაში ისევ მხარზედ ჰქონდა და თოფიც ხელში ჩარჩენოდა. თავზედ უბელო ცხენი ადგა“ (6. 3; 126. 213-216).

მზექალას გმირული აღსასრულის ამბავს მოგვითხრობს თავის მოგონებებში ალექსანდრე სულხანიშვილიც: „ასეთი შემთხვევა მიამბო ერთმა ხევსურმა: პირველსავე დღეს, როცა რუსები პირველ სოფელ აკუშოში შედიოდნენ, ერთი ხევსური ქალი, მზექალა, თურმე, ერთი სახლის ბანზე წამოწოლილა, იმ დროს, როდესაც მისი ძმა ჩვენთან იმყოფებოდა, ძმის თოფით დაუწყია სროლა და არავინ შეუშვია სოფელში, სანამ ტყვია არ შემოლევია. მას ხუთი თუ ექვსი რუსი მოუკლავს და მერე კი მისთვისაც უწევია მტრის ტყვიას“ (106. 137-138).

ივანე ლიქოკელმა გამოარკვია, რომ ხევსურეთის ომის დროს დაიღუპა არა ხუთი, არამედ მხოლოდ ერთი ქალი; და არა სოფელ აკუშოს, არამედ სოფელ ბაქჩვილოს მკვიდრი მზექალა ლიქოკელი (67. 150).

ელიზბარ მაყაშვილის ცნობით, ავჯანყების დამარცხების შემდეგ ქაქუცამ შეფიცულებს „მოკლე, მაგრამ მგრძნობიარე სიტყვით მიჰმართა და შემდეგი სიტყვებით დაამთავრა: „მსხვერპლი გავიღეთ. უმსხვერპლოდ ბრძოლა არ არსებობს, მაგრამ აგრეთვე ვიმსხვერპლეთ ბევრი მტერი. ბრძოლა, ყმაწვილებო, არ დამთავრებულა! ბრძოლა ისევ გრძელდება, უფრო მძლავრად, ერთსულოვნობით. ჩვენთან ერთად მთელი საქართველო არის და მალე აისხამს იარაღს მტერთა შესამუსრავად. ჩვენ კი ვაგრძელებთ ჩვენს წმინდა საქმეს და ბრძოლას დამპყრობელ რუსთა წინააღმდეგ“ (75. 28).

1922 წლის ოქტომბერში ქაქუცა ჩოლოყაშვილი „შეფიცულთა“ რაზმის ნაწილთან ერთად კახეთის მთიანეთში დაბრუნდა. მან სასწრაფოდ აღადგინა კავშირი თბილისში მოქმედ პოლიტიკურ და სამხედრო ცენტრებთან. თავდაპირველად, შეფიცულები სიღნაღის მაზრაში ბინადრობდნენ. სწორედ აქ, ლაგოდეხის ტყეებში, ქაქუცას ძმა – სიკო მოკლეს, რასაც ალ. სულხანიშვილი (რომელიც მაშინ ჩრდილო კავკასიაში იმალებოდა), სხვა შეფიცულების მონათხრობზე დაყრდნობით,

შემდეგნაირად აღწერს: „იქვეა ოსების რამდენიმე სოფელი. თურმე, ერთმა ოსმა გასცა მათი ბინა. რაზმს ჩუმად მიჰპარვიან სამი მხრიდან და აუტეხიათ სროლა. ამ სროლაში რაზმელებს 4-5 პარტიული, თუ მილიციონერი მოუკლავთ.

როდესაც დანარჩენები გაქცეულან და სროლა შემწყდარა, რაზმელებს მოსინჯვა დაუწყიათ იმის დასადგენად, თუ საიდან მიეპარნენ. განსვენებული სიკო თურმე თითით უჩვენებდა: „აი, იმ ბარდებიდან დაიწყეს სროლა“-ო. სწორედ ამ თითით ჩვენების წამს გავარდნილა თოფი და მოუკლავთ არა მარტო სიკო, არამედ კიდევ ერთი შეფიცულიც — ახალგაზრდა ქართველი ბაღდო (კახუაშვილი — გ. ს.)... როგორც შემდგომ გარკვეულა, იმ ბარდებში დარჩენილა ერთი დაჭრილი ოსი და იმას მოუკლავს ის ორი კაცი. რა თქმა უნდა, ისიც იქვე წაუკლავთ მათთვის, მაგრამ რაღა დროს“ (106. 144-145).

ქაქუცამ ღირსეულად გადაიტანა საყვარელი ძმის დაკარგვა, იგი ტყეში დაკრძალა და ბრძოლა განაგრძო. მის მოკვლას, დაპატიმრებას ან შემორიგებას (ბოლშევიკებისგან გამოგზავნილ შუაკაცებს მისთვის დამახასიათებელი იუმორით პასუხობდა, ღვინის სმაში ხომ არ მოგესვლია უსიამოვნება, რომ მეორე დღეს შევრიგდეთო) რომ ვერანაირად ახერხებდა, საბჭოთა ხელისუფლება ყველანაირად ცდილობდა „შეფიცულთა“ რაზმის დისკრედიტაციას, ხალხის მასებისგან ჩამოცილებას, უარყოფითი საზოგადოებრივი აზრის შექმნას, უწოდებდა „ყაჩაღთა ბანდას“, „მძარცველებს“, „ხალხის მტრებს“, ავრცელებდა ათასგვარ ბინძურ ჭორს, გეგმავდა რაზმში 15 აგენტი-ინფორმატორის შეგზავნას (თითოეულ მათგანს გასამრჯელოდ 50 მანეთს ჰპირდებოდა), შეფიცულებისთვის სურსათის მიწოდებისთვის გლეხებს ხვრეტდნენ და სხვ. ამ საქმიანობას საქართველოს „ჩეკას“ ფაქტობრივი მმართველი, მისი საიდუმლო-ოპერატიული განყოფილების უფროსი ლავრენტი ბერია ხელმძღვანელობდა (30. 26; 89. 13;).

ალ. სულხანიშვილი მოგვითხრობს კომუნისტების მიერ მათი სახელის გასატეხად მოგონილი ერთ-ერთი მეთოდის შესახებ: „როდესაც კომუნისტურმა ხელისუფლებამ დაინახა, რომ ჩოლოყაშვილმა და მისმა რაზმმა დიდი სახელი მოიხვეჭა საქართველოში, სადაც მთელი ხალხი მხარს გვიჭერდა, მიიღო ყოველგვარი ზომები, რომ ხალხის თვალში ჩვენი სახელი გაეტეხა. ჯერ საერთოდ გვიწოდებდნენ ყაჩაღების ბანდას...

კომუნისტებს რომ უფრო ადვილად დაერწმუნებიათ ხალხი ჩვენს „ყაჩაღობაში“, ასეთი რამ მოგვიწყეს: ქ. თელავის მახლობლად, ალაზანზე, არის ხიდი, რომელსაც ეწოდება „შაქრიანი ხიდი“. ხიდის ორივე მხარე ტყით არის მოცული. ძველად ამ ადგილებში ხშირად ხდებო-

და ძარცვა და მკვლელობა. კომუნისტებმა ამ ტყესთან რამდენიმეჯერ შეკრეს გზა და გამვლელ და გამომვლელს სძარცვამდნენ. ზოგს შარვლებიც ჩახადეს.

ესენი იყვნენ ჩეკისტები, შეიარაღებულნი და ჩაცმულნი, როგორც ჩვენი რაზმელები. წინასწარ იყვნენ მომზადებულნი, რომ ხალხის ძარცვის დროს ერთმანეთისთვის მიემართათ ჩვენი სახელებით: ელიზბარ, საშა, ბადურ, რაფო და სხვა. და რაც მთავარია, ამ სახელებს ხშირად იმეორებდნენ, რომ გაძარცულებს თავში ჩარჩენოდათ რაზმელების სახელები.

ამას იქამდე აჭარბებდნენ, რომ საწყალი ხალხი კიდეც დაეჭვებულან. გარდა ამისა, ამ გაძარცულებში რამდენიმე აღმოჩნდა ისეთი, რომელნიც ჩვენ კარგად გვიცნობდა და, ცხადია, მათ ვინ დააჯერებდა, რომ ეს ბანდიტები ჩვენი რაზმელები იყვნენ. მერე ეს ნაცნობები თვითონ გვეახლენ და მთელი ეს სურათი აგვიწერეს. მსგავს პროვოკაციულ მახეებს ხშირად გვიგებდნენ კომუნისტები, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწიეს. ხალხი კი მიხვდა, რომ ბანდიტობას თვითონ კომუნისტები ეწეოდნენ და ჩვენდამი ნდობა უფრო გაიზარდა“ (110. 10).

აღსანიშნავია, რომ ქაქუცა ჩოლოყაშვილიც ყველანაირად ცდილობდა, მიეღო რაც შეიძლება სანდო და დეტალური ცნობები ამიერკავკასიაში დისლოცირებული საბჭოთა შეიარაღებული ძალების მდგომარეობის შესახებ. ამასთან დაკავშირებით, 1925 წელს შედგენილ „საბრალმდებლო დასკვნაში“ დაცულია „შეფიცულთა“ რაზმის წევრის, 1923 წელს დაპატიმრებული გიორგი გვერდწითელის შემდეგი შინაარსის ჩვენება: „ჩოლოყაშვილი მაჩვენებდა ხოლმე ტფილისიდან მიღებულ „ოკას“[1] აბრივიატურა. საიდუმლო ბრძანებებს, რომლებშიაც გამოცხადებული იყო „ოკას“ ყველა ნაწილების დისლოკაცია და, აგრეთვე, მტრის საწინააღმდეგო სამხედრო მოქმედება. ამ ბრძანებებს ჩოლოყაშვილს უგზავნიდა ყოფილი პოლკოვნიკი თავადი ლეონიძე, რომელიც საიდუმლოდ მუშაობდა ცენტრში და, ამასთან, წითელი არმიის კომანდირის გეკერის ადიუტანტიც იყო“ (10. 89-90).

1922 წლის დეკემბრის შუახანებში, ბევრი წვალებისა და თავგადასავლის შემდეგ, ხევსურეთის აჯანყების დროს რაზმის ძირითად ნაწილს მოწყვეტილი ალექსანდრე სულხანიშვილი, ალექსანდრე ბადურაშვილი, შალვა კანდელაკი და დათიკო ფარეულიძე შეფიცულებს შეუერთდნენ, რომლებიც იმხანად უკვე „მატნის თავის, ე. წ. მთაწმინდის ტყეებში“ იყვნენ დაბანაკებულები. „იმდენად ძლიერ დაგვდევ-

1 „ოკა“ – (ОКА) „Отдельная Красная Армия“-ს („საგანგებო წითელი არმია“)

და ხელისუფლება, რომ ყოველ მაზრაში ჰყავდათ გამოყოფილი დიდი მდევარი. ამის გამო ფრთხილობდა რაზმი და ხშირ-ხშირად იცვლიდა თავის ადგილსამყოფელს“ (106. 141).

ალ. სულხანიშვილის მოგონებებში დაცულია ძვირფასი ცნობა 1922 წლის ბოლოს ქაქუცასა და მისი ბიძის – შაქრო ჩოლოყაშვილის შეხვედრის შესახებ. ერთ ღამეს ქაქუცა და ალექსანდრე სულხანიშვილი სოფელ მატანში, ჩოლოყაანთ ციხეში, მცხოვრებ, 75 წლის შაქრო ჩოლოყაშვილს საიდუმლოდ ესტუმრნენ. ეს იყო „ზორბა მამაკაცი თოვლივით თეთრი მოკლე წვერით, დიდი დარბაისელი და სიმპათიური ადამიანი... შაქროს ძალიან გაუხარდა ძმისწულის ნახვა, ქურდი ცრემლიც კი გადმოუგორდა თვალიდან, მაგრამ მალე გაიმაგრა გული და ხვეწნა დაგვიწყო, რომ იმასთან გვეცხოვრა. ჩვენ უარი ვუთხარით, რადგან საფრთხილო იყო იქ დიდი ხნით დარჩენა. ცოტა ხნის შემდეგ იგი მეორე ოთახში გავიდა, საიდანაც ძველებური ხანჯალი გამოიტანა და მან ამ სიტყვებით უფეშქაშა ის ქაქუცას: „აი, ჩემო ძმისწულო, ეს მამაპაპური ხანჯალი შენა გქონდეს ჩვენი მტრების განსაგმირავად. ვიცი, შენ უფრო გაუთქვამ სახელს ჩვენს გვარს საქართველოს სადიდებლად“ (106. 146).

იმავე ალ. სულხანიშვილის ცნობით, ქაქუცა ჩოლოყაშვილის დედას, უკვე ხანდაზმულ დარია (დარო) გოგნიაშვილსა და უფროს ძმას – შაქრო ჩოლოყაშვილს ხშირად იბარებდნენ დასაკითხად „ჩეკაში“, რათა მათგან „შეფიცულთა“ რაზმის ადგილსამყოფელი გაეგოთ. ერთხელ, ჩეკისტების გაუთავებელი დაკითხვებით გაბრაზებულმა დარო გოგნიაშვილმა მათ უთხრა: „მე რას ჩამციებიხართ, ის იქ არის, სადაც უნდა იყოს; ის მგელია, თქვენ – ძაღლები; წადით და დაიჭირეთ, თუ შნო გაქვთ“. იმის შემდეგ თავი დაანებეს ქაქუცას დედას“ (106. 146).

სამაგიეროდ, 1922 წლის ბოლოს ან 1923 წელს საბჭოთა ხელისუფლებამ, ხანგრძლივი მცდელობის შემდეგ, დაიყოლია ქაქუცა ჩოლოყაშვილის უფროსი ძმა – შაქრო მასთან მოლაპარაკების გასამართავად, ბრძოლის შეწყვეტასა და ემიგრაციაში წასვლასთან დაკავშირებით. ერთ დღეს შაქრო შეფიცულების ბანაკში მივიდა. ძმების საუბარს ალ. სულხანიშვილიც დაესწრო. მისი თქმით, „ამ ლაპარაკის დროს მე იქ ვიყავი პირადად და ჩემი ყურით მესმოდა ყველაფერი. ამ მოლაპარაკებაში ერთი წინადადება არ არის დაწერილი ვისიმე გადმოცემით...

შაქრომ ქაქუცას უთხრა: „აი, მთავრობამ გამომგზავნა შენთან მოსალაპარაკებლად. პირველი, თხოულობენ პასუხს: რა მიზეზით გვებრძვის, რას მოითხოვს, რა უნდაო? მეორეც, წინადადებას გაძლევენ, რომ შენი რაზმით საზღვარგარეთ გახვიდე. ფულს რამდენსაც მოითხოვს, მიიღებსო. თუკი არ გვენდობა, საზღვარზე გადასვლის დროს მთავ-

რობიდან მოითხოვოს მძევლად, ვინც უნდა და, როდესაც საზღვარზე გადავლენ, მძევალი უმტკივნეულოდ უნდა გაათავისუფლონ, თორემ თუ მოკლეს, მთელ იმათ ნათესავებს დახვრეტენ"-ო.

შაქრომ რომ თავის სათქმელი დაამთავრა, ქაქუცამ უპასუხა: „დამოუკიდებლობის დროს საქართველოს სოციალ-დემოკრატები უდგნენ სათავეში. ჩვენ ძალიან არ მოგვწონდა მათი საქციელი, მაგრამ საქართველო დამოუკიდებელი იყო, მთავრობაც ქართული იყო და ჩვენ გულმოდგინედ ვემსახურებოდით მას, მიუხედავად იმისა, რომ ბევრ რამეში არ ვეთანხმებოდით. რად შემოუძღვნენ რუსის ჯარს და ვაი-ვაგლახით მოპოვებული დამოუკიდებლობა ხელმეორედ რატომ ჩააბარეს რუსებს?

თუ ქართველ ერს მოსწონს ბოლშევიკური ხელისუფლება, ჩვენ წინააღმდეგნი არ ვიქნებით და ისევ ისე ვემსახურებით მას, როგორც ეს იყო მენშევიკური მთავრობის დროს, ოღონდ კი რუსის ჯარი გაიყვანონ და საქართველო დამოუკიდებელი იყოს. რაც შეეხება მათ წინადადებას, რომ იმდენ ფულს მოგვცემენ, რამდენიც გვინდა, ჩემი უფროსი ძმა კი ხარ, მაგრამ ამისთანა დავალებით ჩემთან აღარ მოხვიდე...

ჩვენ პატრიოტები ვართ. ჩვენთვის საქართველოს თავისუფლება და მისი სიდიადე არის ძვირფასი და არა — ფული. ჩვენ იმათთანა ავანტიურისტები და სამშობლოს მოღალატენი არა ვართ, რომლებმაც გაყიდეს საქართველოს ჭირითა და ვაგლახით მოპოვებული დამოუკიდებლობა, და თუ კიდევ შერჩენიათ ერთი ბეწო რაიმე ქართული, როგორც შემოუძღვნენ რუსებს, ისევე მოახერხონ მათი თავიდან მოშორება. ჩვენ ვიბრძოლებთ საქართველოს დამოუკიდებლობისთვის, მანამდისინ შევძლებთ, და თუ ჩვენ ვერ შევძელით ამ დიადი საქმის სისრულეში მოყვანა, მომავალი თაობა გააგრძელებს ჩვენს მიერ დაწყებულ საქმეს. აი, ეს ყველაფერი, რაც მე გითხარ, მათ გადაეცი"...

ამ საუბრის შედეგად შექმნილი არასასიამოვნო ატმოსფეროს შემდეგ, საკმარისად დაღონებული გამოვემშვიდობეთ ერთმანეთს ორივე მხარე" (106. 147-148).

1922 წლის ბოლოს რუსი დამპყრობლების ბატონობის ქვეშ მოქცეულმა საქართველომ მორიგი უმძიმესი დარტყმა იწვნია — 10 დეკემბერს ამიერკავკასიის საბჭოების პირველმა ყრილობამ ამიერკავკასიის რესპუბლიკები: საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი საბჭოთა სოციალისტურ ფედერაციულ რესპუბლიკად გააერთიანა. ამიერკავკასიის ფედერაცია ერთ ერთეულად შევიდა 1922 წლის 30 დეკემბერს საკავშირო საბჭოების I ყრილობაზე შექმნილ სსრ კავშირის შემადგენლობაში. ამიერიდან საქართველოს წაართვეს პოლიტიკური დამოუკიდებლობის ის უკანასკნელი ნატამალიც კი, რაც მას გასაბჭოების შემდეგ შერჩა (25. 119; 52. 2;).

1923 წლის 1 იანვარს შეფიცულები კვლავ სოფელ მატნის მახლობლად, მთაწმინდის ტყეებში, შეხვდნენ. ამ დროს რაზმი 40 კაცისგან შედგებოდა. იანვრის დამდეგს ქაქუცა ჩოლოყაშვილი „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის“ განკარგულებაში გადავიდა, რასაც ადასტურებენ იასონ ჯავახიშვილი („ჩეკას“ გამომძიებლისთვის მიცემულ ჩვენებაში), და სოლომონ ზალდასტანიშვილი (თავის მოგონებებში).

იასონ ჯავახიშვილი: „თუმცა კავშირი ჩოლოყაშვილთან მუდამ ნაცდემ. ცეკას ეჭირა, მაგრამ ფორმალურად იგი უკვე 1923 წლის დასაწყისიდან ითვლებოდა პარიტეტულ კომიტეტთან და ამ უკანასკნელის ფულით არსებობდა. ყოველთვიურად მას ორასი ლირა ეგზავნებოდა“ (10. 63).

სოლომონ ზალდასტანიშვილი: „კახეთ-ხევსურეთის აჯანყების შემდეგ, საქართველოში რამდენიმე თვე სიჩუმე ჩამოვარდა... 1923 წლის იანვარში უკვე ყველა პარტიელმა ხელახლად გააჩაღეს მუშაობა და მთელ საქართველოში მას მისცეს ორგანიზაციული ხასიათი... იანვრის პირველ რიცხვებში ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის დავალებით ვინახულე ქაქუცა, გავაცანი საერთაშორისო მდგომარეობა, „დამკომისა“ და „სამხედრო ცენტრის“ მუშაობა; აღვნიშნეთ სუსტი მხარეები კახეთ-ხევსურეთის გამოსვლისა.

ამ დღიდან ქაქუცა ჩოლოყაშვილი თავისი რაზმით, ჩვენი პარტიის რჩევითა და საშუალებით, გადავიდა „დამკომის“ განკარგულებაში. მან პირობა მოგვცა, რომ ის გამოსვლას მხოლოდ „დამკომის“ დასტურით მოახდენდა. მართალი უნდა ითქვას, რომ მთელი ორი წლის განმავლობაში ეს პირობა მის მიერ არ დარღვეულა. ადგილსაც რომ იცვლიდა, ამასაც კი „სამხედრო კომისიის“ შეთანხმებით ახდენდა. იარაღზე, ტანსაცმელსა და ფულზე ზრუნვაც (რამდენადაც შესაძლებელი იყო) „სამხედრო კომისიას“ უხდებოდა. ფულის მხრივ „დამკომი“ მუდამ ღარიბი იყო და, ამიტომაც, ქაქუცა და სხვა რაზმებიც დიდ გაჭირვებას განიცდიდნენ“ (43. 15-16).

1923 წელი ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტურ ფედერაციულ რესპუბლიკასა და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში იძულებით გაწევრიანებული საქართველოსთვის გასულ წელზე მძიმე გამოდგა. ამ დროიდან კომპარტიამ და „ჩეკამ“ კიდევ უფრო გააძლიერეს შეტევა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლთა წინააღმდეგ. გურიაში ტყეში გაჭრილი მანწკავას პარტიზანული რაზმის წინააღმდეგ საგანგებოდ გაგზავნილმა სადამსჯელო ექსპედიციამ ყოფილი ყაჩაღისა და კატორღელის, შემდეგ გაბოლშევიკებული ალექსანდრე (საშა) ობოლაძის მეთაურობით, მართალია, მანწკავა და მისი რაზმი

ვერ მოიხელთა, სამაგიეროდ, დაუნდობლად გაუსწორდა მშვიდობიან მოსახლეობას. ობოლაძის ბრძანებით, არა ერთი ადამიანი დახვრიტეს და მათი გასისხლიანებული გვამები ყვავ-ყორნებისა და ძაღლების საჯიჯგნად დაჰყარეს ოზურგეთში შემავალ გზებზე, რათა ასეთი გულ-შემზარავი სურათით ტერორის ქვეშ დაეყენებინათ ხალხი. ობოლაძემ დაწვა მანწკავას ძმის — ვასილის სახლი, რა დროსაც თავის ხელით ცეცხლის ალში ჩააგდო და ცოცხლად დაწვა სახლის პატრონის 12 წლის ვაჟი.

მოსახლეობას მოთმინების ფიალა აევსო. 1923 წლის 10 თებერვალს მანწკავას მეგობარმა გოგია ღლონტმა, რამდენიმე თანამებრძოლთან ერთად ოზურგეთის მაზრის სოფელ ლიხაურში ყუმბარის აფეთქებით მოკლა ალექსანდრე ობოლაძე და მისი თანმხლები ორი წითელი მეთაური. ხელისუფლებამ ეს ფაქტი მთელი საქართველოს მასშტაბით კიდევ უფრო სასტიკი რეპრესიების დაწყების საბაბად გამოიყენა. მან სისხლით მორწყა მთელი გურია. იმავე 10 თებერვლის საღამოს ჩეკისტებმა ოზურგეთის ციხიდან გაიყვანეს 13 უდანაშაულო პატიმარი და ობოლაძის მკვლელობის ადგილას დახვრიტეს. რამდენიმე დღეში გურიაში 150-ზე მეტი ადამიანი გამოასალმეს სიცოცხლეს.

რეპრესიები მძვინვარებდა თბილისშიც. ერთ ღამეში თბილისის ციხიდან 92 კაცი გამოიყვანეს და გაუსამართლებლად დახვრიტეს, მათ შორის, სოციალ-დემოკრატი ხუხუნაიშვილი, საქართველოს ყოფილი ელჩი უკრაინაში ვაჩეიშვილი, ლანჩხუთის გიმნაზიის დირექტორი თარგამაძე და სხვ.

სადამსჯელო რაზმის უფროსის თანამდებობაზე ა. ობოლაძე საშინელი სისასტიკითა და ულმობელობით განთქმულმა ილარიონ (ვალიკო) ტალახაძემ შეცვალა, რომელიც მისთვის საეჭვო პირებს მატარებლის ვაგონებში მაუზერით ხვრეტდა. ტალახაძემ დახვრეტასა და დაწვას გადარჩენილ გლეხობას აუტანელი გადასახადი დაუწესა, მზის ჩასვლის შემდეგ სახლიდან გასვლა აუკრძალა და სხვ. (19. 38-39; 21. 32-34; 77. 6; 88. 3;).

1923 წლის 16 თებერვალს, ღამის 2 საათზე, საქართველოს ჩეკას პრეზიდიუმის 13 თებერვლის დადგენილების საფუძველზე, დახვრიტეს ვაჟა-ფშაველას უფროსი ვაჟი, ქაქუცა ჩოლოყაშვილის მეგობარი, 35 წლის ლევან რაზიკაშვილი.

ამაო გამოდგა ქართველი საზოგადოებრიობის თხოვნა, რომლის სახელითაც საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ კოტე მაყაშვილმა და მდივანმა მ. ბოჭორიშვილმა 1922 წლის 20 დეკემბერს საქართველოს სსრ საგანგებო კომისიას შემდეგი შინაარსის მიმართვა გაუგზავნეს: „ცნობილი ქართველი პოეტის — ვაჟა-ფშაველას შვილი

ლევან რაზიკაშვილი ოთხი თვეა, რაც ზის ქ. ტფილისის № 2 გამასწორებელ სახლში. ვაჟა-ფშაველას დარჩა ოჯახი შემდგარი 5 სულისგან და მთელ ოჯახზე მზრუნველობა აწევს მას. საქართველოს მწერალთა საბჭო იმედოვნებს, რომ საქართველოს საგანგებო კომისიის კოლეგია მიიღებს მხედველობაში ყოველივე ზემოთ აღნიშნულს, პატივს სცემს საქართველოს სიამაყეს პოეტ ვაჟა-ფშაველას ხსოვნას და დააჩქარებს რა ლევან რაზიკაშვილის საქმის გარჩევას, გაათავისუფლებს მას საპატიმროდან".

მოხდა პირიქით, სადისტი საშა ობოლაძის მკვლელობიდან რამდენიმე დღეში ქაქუცა ჩოლოყაშვილის თანამოაზრეობაში ბრალდებული ლევან რაზიკაშვილი დახვრიტეს. დღეს საყოველთაოდაა ცნობილი სერგო ორჯონიკიძის ფრაზა, რომელიც მან ვაჟა-ფშაველას ვაჟის შეწყალების მიზნით მასთან მისული ქართველი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების — პავლე ინგოროყვას, ალექსანდრე აბაშელის და სხვ. წინაშე წარმოთქვა: „მას კი არა, ცოცხალი რომ იყოს, ახლა თვით ვაჟა-ფშაველასაც დავხვრეტდითო!" (136; 137. 138-139, 294-296).

სამწუხაროდ, 1923 წლის მარტში „ჩეკამ", დიდი ხნის ძებნის შემდეგ, ღალატის წყალობით, მოახერხა საქართველოს გათავისუფლების მიზნით შექმნილი სამხედრო ორგანიზაციის — „სამხედრო ცენტრის" ხელმძღვანელების, 15 ცნობილი ქართველი გენერლისა და სხვადასხვა ჩინის ოფიცრის დაპატიმრება. ესენი იყვნენ: გენერლები კონსტანტინე (კოტე) აფხაზი, ალექსანდრე ანდრონიკაშვილი, ვარდენ წულუკიძე, პოლკოვნიკები როსტომ მუსხელიშვილი, ალექსანდრე მაჭავარიანი, დიმიტრი ჩრდილელი, გიორგი (გოგი) ხიშშიაშვილი, როტმისტრები: სიმონ ბაგრატიონ-მუხრანელი, ფარნაოზ ყარალაშვილი, ლეიტენანტი ლევან კლიმიაშვილი, სამხედრო მოხელე მიხეილ ზანდუკელი, იასონ კერესელიძე, სიმონ ჭიაბრიშვილი, ივანე ქუთათელაძე და ელიზბარ გულისაშვილი.

თითქმის სამი თვე მიმდინარეობდა ტუსაღების არაადამიანური ტანჯვა-წამება, მაგრამ ჯალათებმა მათი სულიერი სიმტკიცის გატეხვა ვერ შეძლეს. 1923 წლის 19 მაისს გაიმართა ამიერკავკასიისა და საქართველოს საგანგებო კომისიათა გაფართოებული სხდომა ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის თავმჯდომარის — სოლომონ მოგილევსკის ხელმძღვანელობით. სხდომას ესწრებოდნენ პანკრატოვი, ზონოვი, მახნოვსკი, ნიკოლაევი, კვანტალიანი, ბერია, მიქელაძე, ელიავა, ორახელაშვილი და ლომინაძე. მათ დაპატიმრებულებს, რომლებიც სხდომას, რასაკვირველია, არ ესწრებოდნენ, წაუყენეს ბრალდება: „საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ შეთქმულების მოწყობა, საქართველოში ბანდიტური მოძრაობის შექმნა და მასში მონაწილეობა, ანტან-

ტის სასარგებლო შპიონაჟი, მუშურ-გლეხური სახელმწიფოს გაცემა და ღალატი“ და მიუსაჯეს დახვრეტა, რაც მეორე დღესვე, 20 მაისს, მოიყვანეს სისრულეში ქალაქგარეთ, დღევანდელი ვაკის პარკის მიდამოებში (57. 279; 92. 60; 93. 97-102; 118. 7).

„სამხედრო ცენტრის“ გარდა, რეპრესიები თავს დაატყდა „დამკომის“ წევრებსაც. დააპატიმრეს მისი თავმჯდომარე ნიკოლოზ ქარცივაძე, აგრეთვე, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის უმრავლესობა, „ახალგაზრდა მარქსისტების“ არალეგალური ცენტრალური კომიტეტი, მენშევიკთა თბილისის კომიტეტის მთლიანი შემადგენლობა და ა. შ. სწორედ ამ პერიოდში დაატყვევეს ძველი რევოლუციონერის — ნიკოლოზ ვიბორგინის შვილი, „ახალგაზრდა მარქსისტების“ ორგანიზაციის წევრი ანეტა, ჩააგდეს სარდაფში, სასტიკად აწამეს და სიცოცხლეს გამოასალმეს (133. 239).

1923 წლის 9 ნოემბერს ჩეკისტებმა დააპატიმრეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიწათმოქმედების მინისტრი ნოე ხომერიკი, რომელიც საქართველოში არალეგალურად იყო ჩამოსული აჯანყების მოსამზადებლად. ამის მიუხედავად, ბრძოლა არ შეწყვეტილა... „სამხედრო ცენტრის“ ნაცვლად შექმნილმა „სამხედრო კომისიამ“ დიდი მუშაობა გასწია და ხალხი ახალი აჯანყებისთვის დარაზმა.

1923 წელს უქმად არც ქაქუცა ჩოლოყაშვილი ყოფილა — ჯერ "სამხედრო ცენტრის", ხოლო შემდეგ „სამხედრო კომისიის“ დავალებით, იგი ინტენსიურ მოლაპარაკებებს აწარმოებდა ჩრდილო კავკასიელ ჩეჩნებთან და დაღესტნელებთან, მთელი კავკასიის მასშტაბით ერთიანი, მძლავრი ანტირუსული აჯანყების მოწყობასთან დაკავშირებით. პირველი მცდელობა ქაქუცას ამ მიმართულებით ჯერ კიდევ 1922 წლის ხევსურეთის აჯანყების დროს ჰქონდა, როდესაც მან დახმარების თხოვნით ჩეჩნეთში ალ. სულხანიშვილი გაგზავნა. ჩეჩნები ქაქუცას თხოვნას სიხარულით გამოეხმაურნენ და საქართველოში გამოსაგზავნი რაზმის შეკრებაც დაიწყეს, მაგრამ მათ ჩამოსვლამდე ხევსურეთის აჯანყება დამარცხდა, შესაბამისად, აღნიშნულ ეტაპზე ჩრდილო კავკასიელების ანტირუსულ ბრძოლაში ჩაბმის საჭიროება მოიხსნა.

ქაქუცა ჩოლოყაშვილმა ჩრდილო კავკასიელებთან მოლაპარაკებები 1923 წლის აპრილში განაახლა, როდესაც ჩეჩნეთში საგანგებო მისიით კვლავ ალ. სულხანიშვილი მიაღწინა. ეს უკანასკნელი ჯერ ათაბეი უმაევს, ხოლო შემდეგ, მისი მეშვეობით, ჩეჩნეთის ყველაზე გავლენიან პიროვნებას — ალი მიტაევს (მითაევს) შეხვდა. მოლაპარაკებამ კარგად ჩაიარა; გადაწყდა, რომ ალი მიტაევთან შესახვედრად ჩეჩნეთში თვითონ ქაქუცა ჩოლოყაშვილი გადავიდოდა.

მართლაც, 1923 წლის გაზაფხულზე ქაქუცა ჩოლოყაშვილი ალი

მიტაევთან მოსალაპარაკებლად ჩეჩნეთში გაემგზავრა. ალ. სულხანიშვილის ცნობით, „ამ შეხვედრაზე გადაწყდა ოფიციალური ხელშეკრულების დადება. ამ მიზნით დაადგინეს, რომ თბილისიდან ჩამოსულიყო „დამკომის“ წარმომადგენელი გიორგი წინამძღვრიშვილი... მოითხოვეს, აგრეთვე, რომ ამბოხებისათვის საქართველოდან საჭირო რაოდენობით გამოეგზავნათ ოფიცრობა, რადგან მათ ძალიან ცოტა ჰყოლიათ.

ამბოხების გეგმა თბილისში უნდა შეეთანხმებინათ და მერე მას ჩრდილოეთ კავკასიელ მეთაურებსაც გააცნობდნენ. ჩვენთვის, ქართველებისთვის, საჭირო იყო, რომ ერთ და იმავე დროს მომხდარიყო სამხრეთისა და ჩრდილოეთის გამოსვლები: რუსეთიდან არ გამოეშვათ ჯარები; აეყარათ რკინიგზის ლიანდაგები და, გარდა ამისა, დასცემოდნენ ჩრდილოეთში განლაგებულ რუსის ჯარებს“ (106. 176-201).

ჩრდილო კავკასიაში გამართული დიპლომატიური მოლაპარაკების მსვლელობა და მისი შედეგები ქაქუცა ჩოლოყაშვილმა „დამკომის“ წევრს – გიორგი წინამძღვრიშვილს 1923 წლის 20 ივნისს წერილობით შეატყობინა. ამ უკანასკნელმა ქაქუცას 7 ივლისს საპასუხო წერილი მისწერა, რომელმაც, სამწუხაროდ, მის ადრესატამდე ვერ მიაღწია. ამის გამომწვევი მიზეზები განმარტებულია 1925 წელს შედგენილ „საბრალმდებლო დასკვნაში“, რომელშიც ვკითხულობთ: „1923 წლის ივლისში თელავში დააპატიმრეს გიორგი წინამძღვრიშვილის მიერ ჩოლოყაშვილთან გაგზავნილი შიკრიკი, ვინმე პეტრიაშვილი, რომელსაც დაპატიმრების დროს აღმოაჩნდა შიფრიანი წერილები და 400 მილიონი მანეთი ბონებით. წერილი წაკითხული იქნა და როდესაც წინამძღვრიშვილი დააპატიმრეს (1924 წლის დამდეგს – გ. ს.), ეს წერილი წარუდგინეს მას. წინამძღვრიშვილმა დაადასტურა მისი სისწორე.

აი, ეს წერილიც: „მივიღე თქვენი წერილი 20/VI თარიღით. ყარანგოზიშვილის დანიშვნა თანაშემწედ სასიამოვნოა. ამ პასუხმა დაიგვიანა, რადგან ველოდით ფულს, ინფორმაციას.

1) თქვენი გამოგზავნილი ცნობები მოკლეა. საჭიროა უფრო კონკრეტული ცნობები – რა დამოკიდებულება გაქვთ მთასთან, ვისთან დაიჭირეთ საქმე ლეკებსა, საჩეჩნოში და ქისტებში სამუშაოდ, რამდენი კაცის (დაახლოვებით მაინც) გამოყვანა შეიძლება იმათგან თავიდანვე, რა მდგომარეობაშია იარაღისა და ცხენების საქმე...

2) გაცნობებთ, რომ ვაწარმოებთ მოლაპარაკებას აზერბაიჯანთან, მთასთან (მთიელთა რესპუბლიკასთან) და ოსმალეთთან საერთო ამბოხების შესახებ. გაცნობებთ, რომ ეს მოლაპარაკება ჩვენთვის ხელსაყრელად სწარმოებს და სულ უახლოეს დროში უნდა მოველოდეთ

აქტიური მოქმედების დაწყებას. გევალებათ, ეს საკითხი საიდუმლოებაში იქონიოთ.

ცნობები პარტიზანთა რიცხვის შესახებ, ლეკებთან მოლაპარაკების შესახებ და ჩვენგან მიღებული ცნობები საიდუმლოა. ისინი მხოლოდ თქვენ უნდა იცოდეთ. კომიტეტის სახელით გთხოვთ გადასცეთ სალამი თქვენს რაზმებს. ეცადეთ, გაამხნეოთ ისინი. ახლო მომავალში საერთო ძალებით შეეძლებათ ჩვენი მშვენიერი საქართველოს განთავისუფლებას. ვიმეორებთ, სამხედრო მომზადება არავინ არ უნდა იცოდეს.

3) როგორც წინადაც გწერდით, დიდი ყურადღება უნდა მიაქციოთ რკინის გზის ლიანდაგის დანგრევას და პოზიციების დაჭერას. ეს თავიდანვე მიიღეთ მხედველობაში და თადარიგი ისე დაიჭირეთ.

ამბოხების გეგმას გამოგიგზავნით თავის დროზე „სამხედრო ცენტრი“, მაგრამ ახლავე გამოგზავნეთ თქვენი პასუხისმგებელი თანამშრომელი, რომ ჩამოგვიტანოს ზემოთ ჩამოთვლილი ცნობები და აქედან საჭირო ცნობები წამოგიღოთ.

4) რაზმის სერიოზულ ეროვნულ გადაჯგუფებას ნუ მოახდენთ.

5) გიგზავნით 200 ლირას (450 მილ. მანეთამდე), ამ ფულიდან იყიდიან თამბაქოსაც. დღეიდან ყოველთვიურად გამოგიგზავნით ხოლმე. ამბოხებისათვის გამოგიგზავნით საჭირო თანხას. ჩოხების შესახებ რომ იწერებით — არ ვიცით, სად არის და, ამის გარდა, ფულიც არა გვაქვს.

6) გავიგეთ, რომ ჩვენი შიფრით სხვებიც სარგებლობენ, კერძო წერილებისთვის. ეს დაუშვებელია. ამიტომ გიგზავნით ახალ შიფრს, რომელსაც წაიკითხავთ ძველი გასაღებით ლექსში და შემდეგ ისარგებლებთ, როგორც ძველით. ეს შიფრი ეცოდინება მხოლოდ ორ კაცს.

7) გიგზავნით პროკლამაციას 15 დახვრეტილის (აქ გიორგი წინამძღვრიშვილი გულისხმობს „სამხედრო ცენტრის“ წევრებს — გ. ს.) შესახებ, გაავრცელეთ კახეთში. დაბეჭდვა ვერ მოვასწარით და თქვენი კაცი მეორედ რომ ჩამოვა, მაშინ გამოგიგზავნით. მთავარი კომიტეტის მონდობილობით მაგგკლი. 7/VII. 23 წ.“ (10. 64-65).

ძნელი სათქმელია, რა იყო გიორგი წინამძღვრიშვილის მიერ ქაქუცასთან გაგზავნილი შიკრიკის ჩავარდნის მიზეზი, მაგრამ „ჩეკამ“ რომ ამ წერილით მეტად ძვირფასი ცნობები მიიღო, უდავოა. ამის მიუხედავად, კონტაქტები ქაქუცა ჩოლოყაშვილსა და გიორგი წინამძღვრიშვილს, ანუ „დამკომს“ შორის, შემდგომშიც არ შეწყვეტილა, რასაც 1924 წელს დაპატიმრებული იასონ ჯავახიშვილის მიერ „ჩეკას“ გამომძიებლისთვის მიცემული ეს ჩვენებაც ადასტურებს: „მთებში დამალულმა ჩოლოყაშვილმა მოახერხა აქა-იქ კავშირის დაჭერა ჩრდ. კავკასიის ხალხების გაელენიან პირებთან და წინამძღვაროვთან მინაწერ ერთ-ერთ მორიგ წერილში 1923 წლის აგვისტოში სწერდა, რომ ჩვენ

ვცდებით, არავითარ კონტაქტს რომ არ ვამყარებთ ჩრდ. კავკასიასთან, რომლის ხალხებსაც შეერთებული ამბოხების ორგანიზაციის საქმეში უდიდესი სამსახურის გაწევა შეუძლიათო.

იმავე წერილში იგი დასძენდა, რომ პირადად იყო საჩეჩნოში, ინახულა ერთ-ერთი დიდი გავლენიანი პირი, ვინმე შეიხ-ალი მითაევი, რომელიც მას, ჩოლოყაშვილს, დაჰპირდა დახმარების აღმოჩენას ამბოხების ორგანიზაციის საქმეში კავკასიის მასშტაბით. დაახლოებით ასე გადმომცა ამ წერილის შინაარსი გიორგი წინამძღვაროვმა და დაუმატა, რომ ჩოლოყაშვილი გვირჩევს მჭიდრო კავშირის დაჭერას ამ ალი მითაევთან, რისთვისაც მან მისი მისამართი და მასთან მისასვლელი პაროლი გამოგზავნაო.

„საბრალმდებლო დასკვნის“ მიხედვით, „ამაზე წინამძღვაროვმა უპასუხა წერილით, რომ არც ჩოლოყაშვილს, არც ინგუშეთს, არც დაღესტანს არ შეუძლიან გადასწყვიტონ საკითხი ამბოხების დაწყების შესახებ, ვინაიდან ამბოხებას შეუძლია მხოლოდ დამხმარე როლის შესრულება იმ შემთხვევაში, თუ რუსეთის საერთაშორისო ურთიერთობა გართულდება“ (10. 46, 48).

1923 წლის სექტემბერში (ან ოქტომბერში) ქალაქ გროზნოში გაემგზავრა „დამკომის“ წევრი გიორგი წინამძღვრიშვილი, რომელიც ალი მიტაევს შეხვდა. ჩეჩნების ლიდერი მას შეჰპირდა, რომ ბოლშევიკების კავკასიიდან განსადევნად ქართველებთან ერთად იბრძოლებდა. იმავე წლის ოქტომბერში ალი მიტაევის წარმომადგენელი სიტუაციის ადგილზე გასაცნობად თბილისში ჩამოვიდა (43. 22).

„დამკომის“ და „სამხედრო კომისიის“ წევრებმა გადაწყვიტეს, აჯანყება მთელი კავკასიის მასშტაბით 1924 წლის თებერვალში მოეწყოთ. რადგან ქაქუცა ჩოლოყაშვილს ამ ამბოხებაში გადამწყვეტი როლი უნდა შეესრულებინა, „სამხედრო კომისიამ“ საჭიროდ სცნო მისი თბილისში ჩამოყვანა პირადად მოსალაპარაკებლად.

ქაქუცა დათანხმდა წინადადებაზე. ეს იყო უაღრესად სარისკო და გაბედული ნაბიჯი. 1923 წლის დეკემბერში ქაქუცა თავის ორ შეფიცულთან — გაბო ოზიაშვილთან და სერგო მაისურაძესთან ერთად თბილისში ჩამოვიდა და „კომისიასთან“ ერთად აჯანყების გეგმა განიხილა.

1925 წელს შედგენილ „საბრალმდებლო დასკვნაში“ დაცულია იასონ ჯავახიშვილის ჩვენება, რომელშიც იგი აღწერს ქაქუცა ჩოლოყაშვილთან 1923 წლის დეკემბერში გამართულ მოლაპარაკებებს: „1923 წლის დეკემბერში, ვისარგებლეთ რა იმით, რომ ჩოლოყაშვილი თავისი რაზმით ტფილისთან ახლოს (გარე კახეთში) იმყოფებოდა, ჩვენ ის ტფილისში გამოვიწვიეთ. ჩოლოყაშვილი ვინახულეთ მე, ამირეჯიბმა,

წინამძღვრიშვილმა და სოლ. ზალდასტანიშვილმა. ჩვენთან ლაპარაკში ჩოლოყაშვილი მოითხოვდა გამოსვლის დაჩქარებას და განგვიცხადა, საჩეჩნოც მხარს დაგვიჭერსო.

ჩვენ ვუპასუხეთ, რომ გამოსვლას ვამზადებთ თებერვლისათვის. ვინაიდან ცოტა ხნის შემდეგ ფაღავა და წინამძღვრიშვილი (რომლებიც პარიტეტთან არსებულ სამხედრო კომისიას შეადგენდნენ) დააპატიმრეს, ამბოხება თებერვალში აღარ მოხდა. ჩვენ ვაცნობეთ ჩოლოყაშვილს, რომ ამბოხებისათვის მზადებას მაინც განვაგრძობდით“ (10. 65-66).

ს. ზალდასტანიშვილი XX საუკუნის 30-იან წლებში ემიგრაციაში გამოცემულ მოგონებებში აღნიშნულ ფაქტს ასე იხსენებდა: „ვინაიდან ამ აჯანყებაში გადამწყვეტი როლი უნდა ეთამაშა ქაქუცა ჩოლოყაშვილს თავისი შეფიცულებით, ამიტომ, საჭიროდ ვცანით, პირადად ქაქუცასთან მოგველაპარაკა. გადავწყვიტეთ ქაქუცას ჩამოყვანა თბილისში და აჯანყების გეგმა და დრო მასთან შეთანხმებით მიგვეღო და დაგვენიშნა. ამ საქმის მოწყობა მე ვიკისრე. 1923 წლის ქრისტეშობის თვეში, ერთი მანდილოსნის საშუალებით, ქაქუცა თავისი ორი შეფიცულით: სერგო მაისურაძით და გაბო ოზიაშვილით თბილისში ჩამოვიდა.

პირველი ღამე ერთ ოჯახში გავატარეთ, მეორე დღეს, საღამოთი, „სამხედრო კომისიის“ კრება მოისმინა. „სამხედრო კომისიის“ მიერ დამუშავებული გეგმა მთლად გაიზიარა. ქაქუცა თბილისში რვა დღე დარჩა. ამ ხნის განმავლობაში ბევრი სამხედრო პირები ინახულა, რომლებიდანაც თანხმობა მიიღო, რომ გამოსვლის წინა დღეებში მას შეუერთდებოდნენ. რვა დღის შემდეგ, ქაქუცა თავისი შეფიცულებით ტყვია-წამლით დატვირთულნი საღამოს 9 საათზე ვერიდან დუშეთის მიდამოებში გადავიდნენ“ (43. 21-22).

ს. ზალდასტანიშვილის ცნობით, 1924 წლის თებერვალში „აჯანყება უნდა დაწყებულიყო მთელ საქართველოში ერთ დღეს, ერთ საათს; უეცრივ და შეუჩერებლად უნდა ემოქმედათ, სანამ მტრის რიგებში დემორალიზაცია არ მოხდებოდა“ (43. 22), მაგრამ, როგორც მისი მოგონებებიდან, აგრეთვე, იასონ ჯავახიშვილის ჩვენებიდან ირკვევა, დაგეგმილი აჯანყება 1924 წლის დამდეგს გოგიტა ფაღავასა და გიორგი წინამძღვრიშვილის დაპატიმრების გამო გადაიდო.

სანამ 1924 წელს მომხდარი მოვლენების აღწერას განვაგრძობდეთ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ვისაუბროთ უშუალოდ „შეფიცულთა“ რაზმის შესახებ – მისი მოწყობის სტრუქტურაზე, საცხოვრებელ ბანაკზე, ყოველდღიურ საქმიანობაზე, ახალი წევრების მიღებაზე, ამასთან დაკავშირებულ რიტუალზე, რაზმის დამხმარეებზე (მეკავშირეებზე, სურსათ-სანოვაგით მომმარაგებლებზე და ა. შ.), ქაქუცას მიერ შეფი-

ცულთა შორის დამკვიდრებულ მაღალ ზნეობრივ პრინციპებზე, „ჩეკას“ მიერ რაზმში შეგზავნილ აგენტებზე და სხვ.

პარტიზანული ბრძოლის სისტემა, სწრაფი გადაადგილების აუცილებლობა, საშუალებას არ იძლეოდა, ქაქუცა ჩოლოყაშვილს თავისთან მუდმივად მრავალრიცხოვანი რაზმი ჰყოლოდა – მისი წევრების რაოდენობა 15-დან 60-მდე მერყეობდა. ავკანყების დროს, რაზმს ემატებოდნენ სხვადასხვა სოფლის გლეხები, რომლებიც წინასწარ იყვნენ შერჩეულნი და გაფრთხილებულნი. პარტიზანული ბრძოლისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა კარგად მოწყობილ კავშირს: სურსათ-სანოვაგისა და იარაღის მოწოდებას, პოლიტიკურ და სამხედრო წრეებთან ურთიერთობას და ა. შ. ამ საქმეს კახეთის თითქმის ყველა სოფელში ქაქუცას მიერ საგანგებოდ გამოყოფილი მეკავშირეები, ე. წ. „სანდო კაცები“ ასრულებდნენ. მაგ., სოფელ წინანდალში ასეთი ორგანიზატორი ალექსანდრე ბადურაშვილის მამა შაქრო ბადურაშვილი იყო (11. 2).

ნინო ავალიშვილის მოგონების მიხედვით, შეფიცულებს არა მარტო ცალკეული პირები და ოჯახები, არამედ ზოგჯერ მთელი საგვარეულოებიც უწევდნენ დახმარება-მფარველობას, მაგ., უთალიშვილები და ცუცუნაშვილები სოფელ კონდოლიდან, გოგნიაშვილები – ხოდაშნიდან, აზაურაშვილები და სპარსიაშვილები – წინანდლიდან და სხვ.; ავადმყოფ ან დაჭრილ რაზმელებს სანდო ოჯახებში, სრული საიდუმლოების პირობებში, მოწვეული ექიმები მკურნალობდნენ. ნინო ავალიშვილის თქმით, როდესაც ქაქუცას ძველი ჭრილობა გაეხსნა და მის ოჯახში მკურნალობდა, ავადმყოფის გასასინჯად საგანგებოდ მოიწვიეს ექიმები გიორგი ავალიშვილი (თელავიდან) და სანდრო იმერლიშვილი (წინანდლიდან) (4. 5).

„შეფიცულთა“ რაზმი, რომლის მნიშვნელოვან ნაწილს რუსეთის იმპერიისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში ნამსახური ოფიცრები და ჯარისკაცები შეადგენდნენ, სამხედრო საწყისებზე იყო მოწყობილი. ე. ვაჩნაძის ცნობით, რაზმი სამეულებად, ათეულებად და ოცეულებად იყოფოდა. ქაქუცა ჩოლოყაშვილს ჰყავდა ე. წ. „შტაბი“, რომელშიც მისი თანაშემწეები (მოადგილეები) შედიოდნენ. 1922-1924 წლებში, სხვადასხვა დროს, ქაქუცას თანაშემწეები იყვნენ: შალვა ფავლენიშვილი, სოსო ლოსაბერიძე, ელიზბარ ვაჩნაძე, ალექსანდრე სულხანიშვილი, ივანე (ვანიჩკა) ყარანგოზიშვილი, ილარიონ იაშვილი და ვასო თამაზაშვილი. გარკვეული დროის განმავლობაში, „შტაბის“ შემადგენლობაში ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი სვიმონ ყიფიანიც შედიოდა (42; 67. 49-50; 115. 301).

ქაქუცა ჩოლოყაშვილი დასაბანაკებლად ყოველთვის გეოგრაფიულად ყველაზე საიმედო ადგილს არჩევდა, რომელსაც მუდმივად საგანგებოდ

გამოყოფილი მორიგე ყარაულები იცავდნენ. როდესაც რომელიმე ადგილას შედარებით დიდხანს რჩებოდნენ (განსაკუთრებით, ზამთრობით), რაზმის წევრები ცდილობდნენ, თავიანთი დროებითი საცხოვრისი რაც შეიძლება უკეთესად მოეწყოთ; სურსათ-სანოვაგეს, შეძლებისდაგვარად, წინასწარ იმარაგებდნენ. ბინების მომზადებასა და მზარეულობაში ყველაზე დახელოვნებული მალაქია მაისურაძე იყო.

„შეფიცულთა“ რაზმის ბანაკის აღწერა რამდენიმე წყაროში გვხვდება. ელიზბარ მაყაშვილის თქმით, „შუა ტყეში ლამაზად წარმოდგმული, კარგად მოზრდილი, ორთვალა სახლი ამართულიყო. ამ ორ ოთახში დაედოთ ბინა ქაიხოსროს, ბელადად წოდებულს, და მის პატარა, თავდადებულ ქართველების ჯგუფს. 30 კაცი იქნებოდა. ყველა ახალგაზრდა; ერთი მეორეზე უკეთესი ვაჟკაცი და თავდადებული ქართველი. მიეტოვებინათ ოჯახი, სახლ-კარი და გაჭრილიყვნენ ტყეში. ურთიერთ შორის დადებული ფიცით გადაეწყვიტათ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა საქართველოს თავისუფლების აღსადგენად. თავზეხელაღებული რაზმი ებრძოდა დამპყრობელ რუსთ, უშიშრად, ვაჟკაცურად და დაუნდობლად. პატარა, სამფეროვანი დროშა აღმართული იყო მათი ბინის თავზე“ (75. 5).

„როცა ჩვენ რაზმს, უმეტესად ზამთარში, ხანგრძლივად ერთ ადგილზე ყოფნა მოუხდებოდა, ჩვენი ბანაკი შედარებით კარგად იყო მოწყობილი. გვქონდა მიწაში ჩათხრილი ქოხები და ამათში ერთი სპეციალურად ქაქუცასთვის და მისი თანაშემწეთათვისაც. პირველ ხანებში ქაქუცას თანაშემწე სოსო ლოსაბერიძე იყო. ზამთარში ასეთ ბანაკებში ჩვენ ბევრად უფრო მომარაგებული ვიყავით სანოვაგით, ვიდრე ხშირად ადგილის გადანაცვლების დროს.

ჩვენი სანოვაგის მთავარი შემადგენლობა ფქვილი იყო. მის შესანახავად მალაქია მაისურაძემ დიდი ხის მორისაგან შუაგულის ამოჭრით კარგა მოზრდილი კასრის მსგავსი ჭურჭელიც კი გააკეთა, რომელშიაც რამდენიმე კოდი ფქვილი ჩადიოდა. ხოლო როცა საკლავს ვიშოვიდით, ძროხაც რომ ყოფილიყო, ყინვიან ზამთარში ხეზე დაკიდებული დიდხანს ინახებოდა.

ჩვენი კერძი ან ხაშლამა, ე. ი. მოხარშული ხორცი ან ხინკალი იყო. უფრო ხშირად ხინკალი გვქონდა, რადგან უფრო გემრიელი იყო. დანიშნული მზარეული ჩვენ არა გვყავდა, მაგრამ ყველაზედ მარჯვე მზარეულობაში და სხვა საქმეშიაც მალაქია იყო. იგი იყო ჩვენი დურგალი, არქიტექტორი, მკურნალი, მზარეული და სხვა“ (ალ. ბადურაშვილი) (11. 11).

მიუხედავად იმისა, რომ „შეფიცულთა“ რაზმში შესვლის მსურველი ბევრი იყო, ქაქუცა ჩოლოყაშვილი ახალ წევრებს მხოლოდ უაღრესად

სანდო პირების რეკომენდაციის, ან პირადი ნაცნობობის საფუძველზე იღებდა. მთავარ წინაპირობას კანდიდატის ვაჟკაცობა და პატიოსნება წარმოადგენდა. შესაძლოა, ესა თუ ის პირი ყოფილი ან მოქმედი ყაჩაღიც კი ყოფილიყო — მთავარია, მას თავის საქმიანობაზე ხელი აელო. როგორც წესი, აქ გადამწყვეტი ფაქტორი ქაქუცა ჩოლოყაშვილის უდიდესი ავტორიტეტი იყო.

ალ. ბადურაშვილისა და ალ. სულხანიშვილის მოგონებებში დაცულია ცნობები ამგვარ ყოფილ, „მოთვინიერებულ“, ყაჩაღთა — „ქიმბარის“ (იოსებ ქიმბარიშვილი) და ლადო ოზანელის შესახებ, რომლებიც „შეფიცულთა“ რაზმის ღირსეულ წევრებად იქცნენ.

ალ. ბადურაშვილი: „ეს ქიმბარი უკვე დიდი ხნის ნაყაჩაღარი იყო, იგი რევოლუციამდეც ყაჩაღობდა თურმე. ძალიან თვითნება და თავისებური კაცი იყო, რომლის მოთვინიერება მხოლოდ ქაქუცას სახელს, საქმეს და პიროვნებას თუ შეეძლო. ქაქუცასთან მისი ყაიდის ხალხი სხვაც იყო, მაგრამ ჩვენთან მათ ყაჩაღობის არც ნება ჰქონდათ და, მგონი, სურვილიც კი ჰქონდათ დაკარგული. რუსებთან ბრძოლაში კი სხვებს თუ არა სჯობდნენ, არც ჩამოუვარდებოდნენ“ (11. 6-9).

ალ. სულხანიშვილი გვაწვდის დაწვრილებით ცნობებს, მისი თქმით, „უცნაური ტიპის“ — ლადო ოზანელის შესახებ: „ეს გახლდათ უსწავლელი მწყემსი კაცი, თუმცაღა უაღრესად ამაყი. ჰყავდა ერთი მოხუცი დედა და გაუთხოვარი და. იგი არასგზით არ ემორჩილებოდა კომუნისტებს. ამისთვის გადაეკიდნენ და აუწიოკეს სახლ-კარი; სასტიკად სცემეს მისი ბებერი დედა და და, რადგან ავეჯის წაღებას არ ანებებდნენ სახლიდან. აი, ამის გამო მოკლა მან ერთი მათგანი და გავარდა ყაჩაღად.

ვისი ჯავრიც სჭირდა, უთვლიდა, ფული გამომიგზავნე, თორემ მოგკლავო. რა თქმა უნდა, უგზავნიდნენ. გარდა ამისა, რომ გაიგებდა, დღეს სოფელში კრებაა და აგიტატორი ილაპარაკებსო, მიეპარებოდა ხოლმე მახლობელ მაღლობს, დაწვებოდა, გვერდზე სავაზნეებს მოიწყობდა და პირდაპირ კრებას უტეხავდა საშინელ სროლას. ამნაირად იშლებოდა კრება და აგიტატორები თავქუდმოგლეჯილები გარბოდნენ. ამასაც რომ თავი დავანებოთ, ის ხალხს უთვლიდა, კრებაზე ნუ დადიხართ, თორემ არავის დავზოგავო“.

აი, ამ ლადო ოზანელს გაუწია რეკომენდაცია და „შეფიცულთა“ რაზმში მიღება სთხოვა ქაქუცას მისმა უახლოესმა თანამებრძოლმა — ვასო თამაზაშვილმა, თანაც აღუთქვა, რომ აღარასდროს იყაჩაღებდა. „ლადო რომ რაზმში მოიყვანეს, ქაქუცამ აუხსნა, თუ რას ეებრძოდით და უთხრა, ჩვენს რაზმში ყაჩაღობას ადგილი არა აქვს; რადგან ჩვენი რაზმელი ხდები, იმედია, რომ დღეის იქით რაზმისთვის სამარცხვინო

საქმეს ალარ ჩაიდენო. „აი, შენი ღმერთის ჭირიმე, მეც ეგ მინდა“-ო, წამოიძახა ლადომ და მუხლებზე მოეხვია ბელადს. ქაქუცამ წამოაყენა და მხოლოდ ეხლა უთხრა: აბა, შენ იცი და შენმა ვაჟკაცობამაო. საწყალ ლადოს სიხარულისაგან ცრემლები გადმოსცვივდა თვალებიდან. მან პირნათლად შეასრულა დაპირება და პირნათლადაც შესწირა თავი პატრიოტულ საქმეს“ (106. 101-102).

„შეფიცულთა“ რაზმში ახალი წევრის მიღება საგანგებო რიტუალის თანხლებით ხდებოდა, რასაც ე. მაყაშვილი, ერთ-ერთი შეფიცულის – შამილ იქაიძის მაგალითზე შემდეგნაირად აღწერს: „აღტაცებული შეჰყურებდა შამილი ბელადს, და პირზე ღიმილით მიიღო იგი ბელადმა. ცალ მუხლზე დაჩოქილმა შამილმა მიიღო ფიცი ერისადმი ერთგულებისათვის. ფიცის მიღების შემდეგ შამილმა ბელადისაგან მიიღო საჩუქრად აბრეშუმის სამფერი პატარა დროშა. შამილი ფეხზე წამოდგა, მოწიწებით ემთხვია სამფეროვან დროშას, დანარჩენ შეფიცულთ მხურვალედ ჩამოართვა ხელი და მათ შეუერთდა. ამიერიდან იგიც ჩაითვალა შეფიცულ მეომართა ოჯახის წევრად“ (75. 22).

ქაქუცა ჩოლოყაშვილის თითოეული სიტყვა, მოქმედება უდიდეს ზნეობრივ გავლენას ახდენდა შეფიცულებზე, მათ სულიერ სიმხნევეს, სიცოცხლის ხალისს უბრუნებდა. ერთხელ, მამის და ძმის დახვრეტისა და სატრფოს ციხეში ტრაგიკულად დაღუპვით სასოწარკვეთილმა შამილ იქაიძემ ქაქუცას შესჩივლა: „ვინღა დამრჩა, ბელადო, ვინღა? სიკვდილი მირჩევნია, ღვთის მადლმა და კიდეც შევაკლავ მტერს თავს“.

ქაქუცამ მას ასე უპასუხა: „ვინ დაგრჩენია? ვინ და შენი სამშობლო; მისთვის არის საჭირო ფხიზლობა. განა მე არ გავიღე მსხვერპლი? განა მე არ გავწირე ცოლ-შვილი, დღესაც გამომწყვდეული ციე საკნებში? განა არ ემსხვერპლნენ მტერს ჩემ შეფიცულთა ნაწილი? განა მე ჩემის ხელით არ მივაბარე შავს მიწას, შუა ტყეში, ჩემი საყვარელი ძმა? თუ დავეცი სულით? ვაჟკაცობა განა იმაში გამოიხატება, რომ მტერს თავი შეაკლა?! არა, შამილო! ვაჟკაცობა ის არის, მტერი მოსპო და თვითონ კი შეინარჩუნო სიცოცხლე. რაც მეტს იცოცხლებ, მით უფრო მეტს შურს იძიებ ჩვენ დაუძინებელ მტერზე“ (75. 30).

მიუხედავად იმისა, რომ იყვნენ დევნილები საკუთარ სამშობლოში, მოწყვეტილნი მშობლიურ კარ-მიდამოებს, ოჯახებს, შეფიცულები მაინც ცდილობდნენ, გული არ გაეტეხათ, სიცოცხლის წყურვილი და ხალისი არ დაეკარგათ. ალ. სულხანიშვილის თქმით, „მიუხედავად იმისა, რომ ტყეში ვიყავით გაჭრილნი და მოკლებულნი ნამდვილ, ოჯახურ მყუდროებას, თავისებურად მაინც გვალაღებდა ბუნების მზრუნველი კალთა: ვცხოვრობდით ძმურად, შეხმატკბილებულად, როგორც ერთი ოჯახის შვილები. ბინაში არ გვაკლდა ხუმრობა და სიცილი; საკმარისად გვყავ-

და კარგი ხმები და განუწყვეტლივ გაისმოდა სიმღერა; უკრავდა ფანდურიც და არცთუ ცეკვას ვაკლებდით ხელს მის ტკბილ ჰანგებზე. ასე თენდებოდა და ღამდებოდა ზამთრის დღეები იმის მოლოდინში, თუ როდის გაიფოთლებოდა ტყეები“ (106. 159).

შეფიცულებს განსაკუთრებულად ახალისებდათ რაზმის ახალგაზრდა წევრი, ფშაველი პოეტი მიხა ხელაშვილი (ავტორი ლექსისა „ბინდისფერია სოფელი“ – გ. ს.), რომელმაც ქაქუცას და თავის მეგობრებს რამდენიმე ლექსი მიუძღვნა. მათში დაცულია ძვირფასი ცნობები „შეფიცულთა“ რაზმის მიერ წარმოებული ბრძოლების შესახებ. ქაქუცა ჩოლოყაშვილს მიხა ხელაშვილი ძალიან უყვარდა, მას ბოლომდე ენდობოდა, ხუმრობით „კარის პოეტს“ უწოდებდა და ჰპირდებოდა, რომ გამარჯვების შემთხვევაში, კარგ სწავლა-განათლებას მიაღებინებდა. სამწუხაროდ, მოვლენები ისე განვითარდა, რომ ქაქუცამ თავისი დანაპირების შესრულება ვერ მოახერხა (14. 95).

მიხა ხელაშვილის ერთ-ერთ ლექსში ვკითხულობთ:

„ჯერ ისევ არის ზაფხული,
არ დათოვლინან მთანია,
ფშავ-ხევსურეთის კლდეებსა
შავნივა ჰქონდა ფხანია.
შიგ ვცხოვრობთ ფშაველ-ხევსურნი,
სალი კლდის შვილნი – ძმანია,
უნდა მივიღოთ ამბავი –
დროების მონატანია,
ქაქუცა ჩოლოყაშვილი
მოჰქროლავს, როგორც ქარია,
თან ახლავს ქართველთ შვილები,
თითო ლომების დარია.
ბინას დასდებენ ფშაშია,
სადაც მაღაროს-ყარია.

ტფილისით მოჰყვა ლაშქარი,
რომელიც მუხლით მალია,
პურის ჭამაზედ ნასხდომებს
დახვიეს თოფის ალია,
ჰა, გიდი, ჩოლოყაშვილო,
გულად გდებია ტალია,
პატარა რაზმის უფროსო –
ხარ მარდი კამანდარია!

მკვდარი შეჰყარე მკვდარზედა,
როგორც მტრის საბანდარია,
წითლად შელებე არაგვი,
ფშავ-ხევსურეთის წყალია.

ფშაველებს გადაეც ნადავლი
იმათვან ანაყარია,
ზენაისაკენ წამობველ,
მკვდრები რომ გადასთვალია,
თან ექვსი პოლკი შემოგყვა
პულემენტ-ზარბაზანია!
სიკვდილზედ ნუ დალონდებით,
ყველა იქ მიმავალია,
იქ დაგხვდებიან გმირები
სამშობლოსათვის მკვდარია —
ბიძინა ჩოლოყაშვილი,
დიდ-მოურავი გიორგი,
ქეთევან დედოფალია“ (119. 29-30).

1922 წელს შექმნილ ლექსში მიხა ხელაშვილი წერდა:

„ბელადი ჩოლოყაშვილი,
შეუდრეკელი გულითა,
ფიქრით მჭევრი და ამაყი,
მაღალი ზნით და სულითა,
რაზმელებს მოგვიალერსებს
მშობლიურ სიყვარულითა.

ჩვენც მასთან სალხინოდა ვთქვით
თუნდაც სიკვდილის წამებსა,
იმისი წინამძღოლობით
ქვეყანას ვარგებთ რამესა,
არ მივსცემთ თავის სამშობლოს
ჩვენის სისხლ-ხორცის მჭამლებსა.

სამშობლოს დამხსნელ რაზმებით
კაცი გასული ველადა,
ქვეყნისთვის გამეტებული
სისხლ-ხორცის შემწირველადა,

მზად არი ყოველ წამიერ
მტრის თავზე დასასხმელადა.

ჩვენის ბელადის სიკეთეს
ყოველდღე განვიცდიდია,
სრულად ვხედავდი ყოველსა,
მცირე იყო თუ დიდია" (67. 218).

აი, მიხა ხელაშვილის კიდევ ერთი, 1923 წელს შეთხზული, ლექსი:

„ყველამ გავიგეთ ამბავი
— სამშობლოს გასაჭირია,
რაზმი შევყარეთ, ქაქუცა
უძღვის ჩოლოყაშვილია.
აღმოსავლეთის მთა-კლდენი
აქვს სრულად შემოვლილია.

თანაშემწედ ჰყავს ელიზბარ,
ეგ ჩვენი რაზმის გმირია.
ვორონცოვის ძეგლს ტან უგავ,
არაბეთელებს პირია,
ნეტავი თვალით მენახა,
როგორ დედ-მამის შვილია.
ორ უნდა დაჰბადებიყო,
ერთად ჰყავს გაჩენილია.

კი თუნდა სამიც გამოვა,
არი იმოდნად მსხვილია.
გაზრდითაც საუცხოოა,
უცხოდვე შემოსილია,
კინტოურ ჩექმის ყელები,
მაუზერ შავერცხლილია,
თავისი ზომის შინელი,
ფრიად გრძელი და თბილია.

ეს ლექსი ყველას ეკუთვნის,
სუყველას უძე წილია.
არც მიშა დამავიწყდება,
ჩვენ მიშა ნაცვლიშვილია.

ჩვენ ათეულის უფროსი,
საომრად გამოცდილია,
შეუკრელი აქვს საყელო
არ ებადების ღილია,
წინ გაგვიძღვება ათეულს,
რო ძველი დროის გზირია.

მეორე ათეულშიაც
ხო დამიწვდება პირია,
იქ გიორგია უფროსი
მკალიასავით წვრილია,
სუმუდამ გაცინებული,
ხმა უძე, როგორც სტვირია,
ყბაზე რო წვერი არ ესხას,
იტყვი, წელს გაჩენილია.
ამ ათეულის უფროსებს
თანაშემწენიც სჭირია,
მაგრამ ეს იყოს ისევა,
ხვარ მიძე ლექსის მილია.

იქნება კიდეც იწყინონ,
გამხადონ განდევნილია.
ამ ლექსს ნურავინ ნუ იწყენს,
მე მქონდეს თქვენი ჭირია,
მდარე ვარ სუყველაზედა,
ყველაზე დავარდნილია,
მარტო მზადა მაქვს, რო გითხრათ,
საჭმელისათვის პირია.
მათქომი ემაგ ლექსისა
გახლავართ ფშაველის შვილია,
დიაკვნადა ვარ ნამყოფი,
ტაბლაზე გაგეშილია“ (67. 185-187).

იყო მხიარული კურიოზებიც, რომელთა მთავარი მომწყობი, როგორც წესი, ალექსანდრე სულხანიშვილი იყო. აი, მის მიერ მოთხრობილი ერთ-ერთი ასეთი სახალისო ფაქტი: „გაზაფხულმაც მოატანა; ტყემ საყვარლად დაიწყო გაჩითვა; თითქმის ჭალებიც გაიფოთლა. ახლა იწყებოდა ჩვენი მოქმედების დრო. დაინიშნა დღეც, რომ ბინა დაგვეტოვებინა და ბარისკენ წავსულიყავით. რასაც თან ვერ წავიღებდით,

დანიშნულ დღეს სოფელში გავგზავნეთ შესანახად. თუმცაღა ამგვარ გაწამაწიაში გაჭირვებაც ბევრი გვადგა, მაგრამ სიცილსა და ხუმრობას თავს მაინც არ ვანებებდით. ხუმრობის საგნად, რა თქმა უნდა, მეტნაწილად ჩვენივე რაზმელები გვყავდა ამოჩემებული.

მაგალითისთვის ასეთ შემთხვევას მოგიყვებით: რაზმში ერთი რაფიელ ერისთავი გვყავდა... ეს გახლდათ ერთი ხერხერა, შუა ტანის კაცი, ძალიან მაგარი ვაჟკაცი, უაღრესად პატიოსანი და გულუბრყვილო ადამიანი... როცა ჩვენ ბინას ვტოვებდით, რაფოსთან მივედი და ვუთხარი: „ბელადმა მითხრა გადმოგცე: ჩემს მიწურ ქოხს კარები ჩამოხსენი და წამოიღე“-ო. ეს იყო მალაქიას ხელით გათლილი, წიფლის ხის საშინლად ტლანქი კარები, რომელიც, ალბათ, ფუთ-ნახევარი გამოვიდოდა.

ამასობაში შეფიცულები გამოსულიყვნენ და ქაქუცა ათვალიერებდა, ყველანი გარეთ არიან თუ არაო. მე იქვე შორიახლოს ვიდექი და სიცილს ძლივ ვიმაგრებდი, რადგან ვიცოდი, რაც უნდა მომხდარიყო. ქაქუცამ შეამჩნია, რომ რაფო არ ჩანდა შეფიცულებს შორის და დაიძახა: „რაფო, სადა ხარ? რა დაგემართა?“, რაზეც პასუხად მოისმა: „ემ საათში, ბელადო“-ო, და პატარა ხანში თვითონაც გამოჩნდა ზურგზე კარებწამოკიდებული!

ამის დანახვაზე ქაქუცამ შეუტია: „რა არის? რას მოათრევ?“-ო, და თან სიცილი წასკდა. რაზმელებს ხომ, ნუღა იტყვით: მეტის მეტი ხარხარისაგან ზოგიერთები დედამიწაზე გორაობდნენ. სახტად დარჩენილმა რაფომ მხოლოდ ესლა ამოღერღა: „აკი, თქვენ გიბრძანებიათ, ჩემი ქოხის კარები წამოიღეო“. „გადააგდე, რა ეშმაკად გინდა“-ო, მიუგო ქაქუცამ მას და მერე კი მე მომიბრუნდა: „ეს სულ შენი ეშმაკობაა“-ო. ამ მხრივ, მე იმდენად მჭონდა სახელი გატეხილი რაზმში, რომ ვისაც რა არ უნდა ეხიმანკლა, კაკალი მაინც ჩემზე ტყდებოდა ხოლმე!“ (106. 168-169).

ალ. სულხანიშვილი აღნიშნავს, თუ როგორი მკაცრი დისციპლინა ჰქონდა დამყარებული ქაქუცა ჩოლოყაშვილს თავის რაზმში, უპირველეს ყოვლისა, ალკოჰოლთან და ქალებთან დამოკიდებულებაში: „ფიცი გვქონდა დადებული, რომ საერთოდ არ უნდა გვესვა სასმელი. ჩვენ ეს წესი მტკიცე ტრადიციად დავდეთ და, მიუხედავად იმისა, რომ იმდენი ღვინის მიღება შეგვეძლო, რამდენსაც მოვისურვებდით, ის იშვიათად თუ მოჰქონდათ ჩვენთან, ისიც მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ჩვენ თითონ შევუთვლიდით. ღვინოს რომ მოგვიტანდნენ ხოლმე, მეტწილად დღესასწაულებზე, თითო ან ოროლა პაწია ყანწის მეტს არ შევსვამდით. ისეთნაირად გავატარეთ მთელი ჩვენი ბრძოლები, ეს ფიცი თითქმის არავის გაუტეხია...

ასევე იყო ქალებთან დამოკიდებულებაშიც. შეფიცულებს ხშირად

უხდებოდათ ოჯახებში შესვლა სანოვაგის ან საცვლების გამოსატანად. ვაი, იმის დღეს, თუ რომელიმე მათგანი ცუდის თვალით შეხედავდა ვისიმე ცოლს, ქალიშვილს, ანდა დას. ამნაირად, ჩვენს რაზმში რიგიანად იყო დაცული დისციპლინა“ (106. 95).

მართალია, ალ. სულხანიშვილი ამბობს, „ქალებთან დამოკიდებულებაშიც... ჩვენს რაზმში რიგიანად იყო დაცული დისციპლინა“-ო, და, დარწმუნებულნი ვართ, რომ ეს ასეც იქნებოდა, მაგრამ ნათქვამია – „ერთი მახინჯი ყველა გვარში გამოერევაო“. როგორც ჩანს, „ერთი მახინჯი“ „შეფიცულთა“ რაზმშიც გამოერია, რაზეც ნათლად მეტყველებს სოფელ აწყურის მკვიდრის ბაბე ქიტაშვილის შემდეგი შინაარსის მოგონება: „სრულიად ახალგაზრდა ვიყავი, როცა ქაქუცა ჩოლოყაშვილის შვილების – თამარისა და ქეთევანის ძიძად ვმსახურობდი. ეს ის პერიოდია, როდესაც ქაქუცა თავის რაზმთან ერთად ტყეში იყო გასული. ქაქუცამ იარაღიდან სროლა მასწავლა. მან იარაღი დამიტოვა იმ მიზნით, რომ ჩემი თავი და ქაქუცას შვილები საჭიროების შემთხვევაში დამეცვა.

ქაქუცას რაზმი სოფელ აწყურის მახლობლად ტყეში იყო დაბანაკებული. ამ რაზმისათვის ქაქუცას ოჯახში ვამზადებდით საჭმელს. მოდიოდა მისი წარმოგზავნილი და მიჰქონდა. ერთ დღესაც მოვიდა რაზმის ერთ-ერთი წევრი საჭმლის წასაღებად. ამ დროს სახლში მარტო მე ვიყავი. ისარგებლა რა ამ მომენტით, ჩემი გაუპატიურება განიზრახა. მე მივუხვდი მის საწადელს, მარჯვედ გავეცალე, ვიძრე ქაქუცას მოცემული იარაღი და მიზანში ამოვიღე. იგი მიხვდა, რომ არაფერი გამოუვიდოდა და სწრაფად გამეცალა.

როდესაც ქაქუცა ცოლ-შვილის სანახავად მოვიდა, მოვუყევი მომხდარის შესახებ. ქაქუცა ძალიან გაბრაზდა. მეორე დღეს, თურმე, ეს პიროვნება დააყენა რაზმის წინაშე და მოუყვა მისი ნამოქმედარის შესახებ. ბოლოს, ქაქუცას თავისი ნათქვამი ასეთი სიტყვებით დაუმთავრებია: „კაცი, რომელიც მე და ჩემს ოჯახს არ დაინდობს და ღალატს გაივლებს, ის სანდო არ არის“-ო. რაზმის წევრებს ამ მოღალატე მოძალადისათვის სიკვდილის განაჩენი გამოუტანიათ და ყველას, ვინც იქ ყოფილა, თითო ტყვია დაუხლია“ (84. 41).

ჩვენი აზრით, ბაბე ქიტაშვილის მოგონებაში დაცული ცნობის სანდოობა, მიუხედავად მოძალადის ვინაობის მოუხსენებლობისა, ეჭვს არ იწვევს, იმდენად დეტალურადაა გადმოცემული ფაქტი; პირიქით, დარწმუნებულნი ვართ, რომ ალ. სულხანიშვილმა დამალა ისტორიული სიმართლე და შეეცადა, ერთი უღირსი თანამებრძოლის (რომლის გვარს და სახელს, ალბათ, ვერასდროს გავიგებთ) გამო, მთელი რაზმის პრესტიჟი და კეთილი სახელი არ შეელახა; შემთხვევითი არც მისი მრისხანე – „ვაი, იმის დღეს“ – უნდა იყოს!

ზემოთ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ქაქუცა ჩოლოყაშვილი „შეფიცულთა“ რაზმის ახალ წევრებს მხოლოდ უაღრესად სანდო პირების რეკომენდაციის, ან პირადი ნაცნობობის საფუძველზე იღებდა. შესაბამისად, მის მიერ წარმოებული ანტისაბჭოთა ბრძოლის განმავლობაში, დიდი მცდელობის მიუხედავად, „ჩეკამ“ რაზმში მხოლოდ თითო-ოროლა აგენტის შეგზავნა-შეპარება თუ შეძლო; ისიც იმის წყალობით, რომ ამ მოღალატეების რეკომენდატორები ქაქუცას წინაშე ისეთი პიროვნებები იყვნენ, რომლებსაც ეს უკანასკნელი ძალიან ენდობოდა.

ალ. სულხანიშვილისა და ალ. ბადურაშვილის მოგონებებში დაცულია ცნობები „ჩეკას“ აგენტების — ტარასი ჩხეტიანის და რომან ყანჩაველის „შეფიცულთა“ რაზმში შეგზავნის შესახებ. 1923 წლის მარტის დასაწყისში, როდესაც შეფიცულები ახმეტის ტყეებში იყვნენ დაბანაკებულები, ერთმა სანდო პიროვნებამ, „პატიოსანმა კაცმა და კარგი ოჯახის პატრონმა“, სოფ. იყალთოს მკვიდრმა ანდრია ყურაშვილმა, ალექსანდრე სულხანიშვილის მეშვეობით, ქაქუცა ჩოლოყაშვილს რაზმში დაახლოებით 20 წლის ტარასი ჩხეტიანის მიღება სთხოვა, რომელსაც „ვიღაც კომუნისტი შემოკვდომოდა“. ქაქუცამ ანდრია ყურაშვილს თხოვნა შეუსრულა და ტარასი „გახდა ვითომ შეფიცული“.

ტარასი ჩხეტიანმა „შეფიცულთა“ რაზმში დაახლოებით თვენახევარი დაჰყო. ამ ხნის განმავლობაში ის ერთგულად და დაუზარებლად ასრულებდა მისთვის მიცემულ ყველა დავალებას, რითაც შეფიცულების ნდობა მოიპოვა. 1923 წლის მაისში ტარასი ჩხეტიანი გაიპარა და თელავის „ჩეკას“ უმნიშვნელოვანესი ცნობები მიაწოდა „შეფიცულთა“ რაზმისა და მისი დამხმარე-მეკავშირეების შესახებ, „დააბეზღა ყველა, ვინც შეეძლო... დაიწყო ჩეკამ ხალხის დატუსაღება, აწიოკდა სოფლები“.

მალე „ჩეკამ“ თვითონ ტარასი ჩხეტიანი დანიშნა იმ სპეციალური რაზმის მეთაურად, რომელსაც ქაქუცა ჩოლოყაშვილისა და მისი შეფიცულების შეპყრობა-განადგურება ევალებოდა. 1923 წლის ივნისში, ქაქუცას დავალებით, რამდენიმე რაზმელი ჩაუსაფრდა პანკისის ხეობაში მყოფ მოღალატე ჩხეტიანს, „რომელსაც უკვე ძაბრულა ქუდი ეხურა“, და მოკლა იგი (106. 170-173).

ალ. სულხანიშვილისგან განსხვავებით, ალ. ბადურაშვილი აღნიშნავს, რომ „ჩეკას“ მიერ შემოგზავნილი მოღალატე ტარასი ჩხეტიანი რაზმში მალაქია მაისურაძემ მოიყვანა. გაპარვის შემდეგ, ტარასიმ „მრავალი ზიანი მოგვაყენა მით, რომ ბევრი ჩვენი კაცი დაიჭირეს და დახვრიტეს მისი მითითებით“. მალე, ქაქუცას ბრძანებით, რაფიელ ერისთავი, საშა სულხანიშვილი, ალექსანდრე ბადურაშვილი, სერგო მაისურაძე, გაბო

ოზიაშვილი და სხვები ტარასის ჩაუსაფრდნენ, რომელიც „მაშინ უკვე სპეციალურ რაზმს მეთაურობდა“ და მოკლეს (11. 10).

მკვლევარმა ივანე ლიქოკელმა გამოაქვეყნა საქართველოს რესპუბლიკის უახლესი ისტორიის არქივში (ფონდი 600, აღწ. 2, საქმე 21, ფურც. 29) დაცული დოკუმენტი, რომელშიც ტარასი ჩხეტიანი „შეფიცულთა“ რაზმის წევრების ვინაობებს ასახელებდა. მისი განცხადებით, 1923 წლის გაზაფხულზე რაზმში შემდეგი პიროვნებები იყვნენ: „1) ჩოლოყაშვილი ქაქუცა; 2) გვერდწითელი გიორგი; 3) კახაშვილი იოსებ; 4) ნაცვლიშვილი მიშა; 5) სულხანიშვილი საშა; 6) მაისურაძე სერგო; 7) მაისურაძე მალაქია; 8) ოზიაშვილი გაბო: 9) ციხისთავი ლონგო; 10) ხელაშვილი მიხეილი; 11) კანდელაკი შალიკო; 12) ბადურაშვილი საშა; 13) ყანჩაველი რომანა; 14) ერისთავი რაფიელი; 15) ჩიქოვანი ლევანი; 16) დუშელი გიორგი „კურდღელა“, გვარი არ ვიცი; 17) რაზმაძე კოლა; 18) სოსო, გვარი არ ვიცი; 19) ხუთნი არიან ქიზიყელები, რომლების გვარი და სახელები არ ვიცი; 20) ცხრა ქისტები: 1) დათიკო, 2) ქოსა, 3) ჩირა, 4) მახმადა, 5) ზაქარა, 6) ლევანა, 7) უქო, 8) კუნა – არც ერთის გვარი არ ვიცი, დანარჩენი ორის არც სახელი, არც გვარი არ ვიცი“ (67. 205).

იმავე ალ. სულხანიშვილსა და ალ. ბადურაშვილს მოეპოვებათ ცნობები „შეფიცულთა“ რაზმში „ჩეკას“ აგენტების: ვასო კანდელაკის, შაშვიაშვილისა და ჭავჭანიძის შეგზავნის შესახებ, რომლებსაც ქაქუცა ჩოლოყაშვილის მოკვლა ჰქონდათ დავალებული. მათ როგორღაც მოახერხეს და მოიპოვეს ქაქუცას უახლოესი მეგობრის – ივანე (ვანიჩკა) ყარანგოზიშვილის ნდობა და მისი მეშვეობით რაზმის წევრებიც გახდნენ. როდესაც 1923 წლის მაისში ვანიჩკა ყარანგოზიშვილი „შეფიცულთა“ რაზმს შეუერთდა, მას თან ზემოაღნიშნული მოღალატეებიც ახლდნენ.

ალ. სულხანიშვილი ამ ფაქტის გამო წერს: „ვანიჩკას გულითადი მეგობრობა აკავშირებდა არა მარტო ქაქუცასთან, არამედ ჩემთანაც... ვინც ვანიჩკა ყარანგოზიშვილს მოჰყვა, სათითაოდ ეჭვგარეშენი იყვნენ, იმდენად ვენდობოდით მათ თავკაცს... ვანიჩკა ყარანგოზიშვილში, როგორც საკუთარ თავში, არავის ეპარებოდა ეჭვი“ (98. 63-64; 106. 172).

ალ. ბადურაშვილის თქმით, მალე კანდელაკი, შაშვიაშვილი და ჭავჭანიძე მიხვდნენ, რომ „ჩეკას“ ხელმძღვანელობის მიერ მათთვის მიცემული მთავარი დავალების – ქაქუცა ჩოლოყაშვილის მოკვლის – განხორციელება „შეუძლებელი იყო, თუ თვითონაც არ დაიღუპებოდნენ. ამიტომ ისინი შემთხვევას უცდიდნენ, რომ როგორმე თავი დაეღწიათ ჩვენთან ყოფნისაგან“. ცოტა ხანში „სამეული“ ლაჩრულად გაიპარა.

სამწუხაროდ, მათ ერთ-ერთი რაზმელის, დაახლოებით 18-20 წლის მატნელი ყმაწვილის (რომლის ვინაობასაც არცერთი წყარო ასახელებს) მოკვლა მაინც მოახერხეს (11. 10).

ალ. სულხანიშვილის ცნობით, როდესაც ეს ამბავი „შეფიცულებმა" გაიგეს, „ვანიჩკა ყარანგოზიშვილი საშინელ მდგომარეობაში ჩავარდა, რადგან მან მოიყვანა ის სამი კაცი, მაგრამ ჩვენთვის ხომ ცხადი იყო, რაც მოხდა და აქ მას არავითარი ბრალი არ მიუძღვოდა. ამ მუხანათების შეპარება ასე მომხდარა: როდესაც თბილისში „ჩეკას" გაუგია, რომ ვანიჩკა ქაქუცასთან აპირებდა წასვლას, არ დაუტუსაღებიათ და ის სამი კაცი მიუჩენებიათ მისთვის დავალებით, მოეკლათ ქაქუცა" (98. 64; 106. 174-175).

გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე უხუცესმა ქართველმა მანდილოსანმა, ქალბატონმა ბაბო დადიანმა, რომელიც პირადად იცნობდა ქაქუცა ჩოლოყაშვილს და ვანიჩკა ყარანგოზიშვილს, ჩვენთან საუბარში გაიხსენა: „ვანიჩკა ყარანგოზიშვილი შესანიშნავად ცეკვავდა. საუკეთესო მოცეკვავეები იყვნენ ვანიჩკა და ქაქუცა ჩოლოყაშვილი — უახლოესი მეგობრები. ერთხელ ქაქუცამ გაიხუმრა, ერთი შეხედეთ, რა ჩემსავით უსვამს ფეხსო" (98. 64).

აქვე გვსურს, მკითხველის ყურადღება კიდევ ერთ მნიშვნელოვან საკითხზე გავამახვილოთ: როგორც უკვე აღვნიშნეთ, საბჭოთა ხელისუფლება „შეფიცულთა" რაზმს „ყაჩაღთა ბანდას", „მძარცველებს", „ავაზაკებს", „ხალხის მტრებს" და ა. შ. უწოდებდა. ცხადია, ამ უმძიმეს ბრალდებებს დამტკიცება-დადასტურება დოკუმენტურადაც სჭირდებოდა. ეს საქმე უნდა შეესრულებინა ჩვენს მიერ ზემოთ უკვე რამდენჯერმე ნახსენებ, 1925 წელს შედგენილ (როცა ქაქუცა ჩოლოყაშვილი უკვე ემიგრაციაში იმყოფებოდა და ახალ „დანაშაულს" ვეღარ ჩაიდენდა — გ. ს.), „საბრალმდებლო დასკვნას" „საქართველოს ანტისაბჭოთა პარტიების პარიტეტული კომიტეტის შესახებ".

მართლაც, სად, თუ არა ამ დოკუმენტში, უნდა მოეყარათ „ჩეკას" გამომძიებლებს თავი ყველა იმ დანაშაულისთვის, რომელიც 1922-1924 წლებში „ჩოლოყაშვილის ბანდამ" ჩაიდინა. მოუყარეს კიდეც — რა ფაქტიც დააფიქსირეს, „საბრალმდებლო დასკვნაში" ყველა კეთილსინდისიერად აღნუსხეს. ჩეკისტების ბრალდებები დამყარებულია „შეფიცულთა" რაზმის დაპატიმრებული წევრების — სვიმონ ყიფიანისა და გიორგი გვერდწითელის შემდეგი შინაარსის ჩვენებებზე:

„სიმონ ყიფიანი დაწვრილებით ლაპარაკობს ჩოლოყაშვილის ბანდის ყველა (ხაზგასმა ჩვენია — გ. ს.) მოქმედებაზე, რასაც ადგილი ჰქონდა როგორც მის შესვლამდე ბანდაში, ისე ამის შემდეგ: „1922 წლის მარტში ჩოლოყაშვილმა სიღნაღის მაზრაში შემოიკრიბა შეიარაღებული

თანამგრძნობები და დაიწყო ტყეებში მალვა. მას იმ თავითვე მოუხდა შეტაკება სიღნაღის სამაზრო მილიციასთან. ამ შეტაკებაში მოკლულ იქნა სამაზრო მილიციის უფროსი და ათ კაცამდე მილიციონერი და კომუნისტი ტყეულ იქნა წაყვანილი. უპარტიოები გაათავისუფლეს, კომუნისტები კი დახვრიტეს".

„ჩოლოყაშვილის მომხრეებმა სოფ. წინანდალში ითხოვეს ჩამოშორება ზოგიერთი კომუნისტისა, რომლებიც ხელს უშლიდნენ მათ პარტიული მუშაობის გატარებას. ერთხელ, წარმოდგენის გათავების შემდეგ, წინანდალში გაჩნდა ჩოლოყაშვილის ბანდა, რომელმაც სიით გაიწვია 5-6 კომუნისტი, გაიყვანა ტყეში და დახვრიტა".

„გომბორის რაიონში ბანდა დაეცა წითელარმიელებს, რომლებიც ცხენებს აძოვებდნენ, წაართვა მათ ცხენები და წაიღო წითელარმიელების ნივთები".

„დუშეთის მაზრაში ჩოლოყაშვილის განკარგულებით ბანდამ დახვრიტა ს. მუხრანიდან დუშეთში ფეხით მიმავალი ამხ. კორზუნი, პოლიტბიუროს გამომძიებელი".

„ამის შემდეგ მეორე დღეს დახვრეტილ იქნა ბანდის მიერ შეპყრობილი კომუნისტი მილიციონერი, ხოლო რამდენიმე ხნის შემდეგ საქართველოს საგანგებო კომისიის რწმუნებული იაკოვლევი, რომელიც ცხენით დუშეთში მიდიოდა" (10. 55-56).

„გიორგი გვერდწითელმა ჩამოთვალა ჩოლოყაშვილის ბანდის მიერ ჩადენილი ყველა (ხაზგასმა ჩვენია — გ. ს.) დანაშაული: 1923 წლის თებერვლის 5-ს ბანდა თავს დაეცა თელავის რკინის გზის სადგურს და სალაროდან გაიტაცა 105 მილიონი მანეთი ბონებით.

იმავე თებერვალში თიანეთ-თელავის გზაზე ბანდა ჩაუსაფრდა და თავს დაეცა თელავში მიმავალ ფოსტას. წაიღო 95 მილიონი მანეთი ბონებით და 3 მილიონი წაართვა ფოსტალიონს.

იმავე წლის ივნისში პანკისის ხეობაში ბანდა თავს დაეცა მილიციონერებს, მოკლა მთავრობასთან შერიგებული ბანდიტი ჩხეტიანი, დაჭრა ერთი მილიციონერი და წაართვა 8 ცხენი.

იმავე 1923 წლის ივლისში ყვარლის გზაზე ბანდამ გაძარცვა 4 სომეხი ვაჭარი — წაართვა მათ თამბაქო, ყველი, პაპიროსები და ტიკჭორა ღვინო; ერთი თუში — წაართვა ქამარი, ხანჯალი და ქულაჯა.

იმ დროსვე გაძარცვეს ვაჭარი ხმალაძე ცოლით, რომლებსაც წაართვეს ორი ოქროს ბეჭედი.

იმავე წლის ივნისში ფშაველებსა და ხევსურებს ბანდამ წაართვა 11 ცხენი.

ივლისის დამლევს თიანეთის გზაზე სხვადასხვა პირებს — 8 კაცამდე — წაართვეს ტანსაცმელი და სხვ. (10. 85-86).

ესაა და ეს! დღეს უკვე საყოველთაოდაა ცნობილი, თუ რა არაადამიანური წამების მეთოდებით ხდებოდა „ჩეკას“ ჯურღმულებში პატიმრებისგან ჩვენებების გამოძალვა და, დარწმუნებულნი ვართ, გამონაკლისს არც სვიმონ ყიფიანი და გიორგი გვერდწითელი წარმოადგენდნენ და მათ იძულებით ათქმევინეს ყველაფერი, რაც იცოდნენ. ახლა გავაანალიზოთ მათი ჩვენებების შინაარსები.

სვიმონ ყიფიანის ჩვენებაში არცერთი წმინდა კრიმინალური ხასიათის ფაქტი დასახელებული არაა, საუბარია მხოლოდ „შეფიცულთა“ რაზმის წევრების საბჭოთა ხელისუფლების სამართალდამცავ სტრუქტურებთან მომხდარ შეტაკებებზე, კომუნისტების, ჩეკისტების დახვრეტაზე, უპარტიოების გათავისუფლებაზე და ა. შ., ანუ სამხედრო მეთოდებით ბრძოლაზე საძულველი, მტრული რეჟიმის წინააღმდეგ, რომელმაც მათი სამშობლო დაიპყრო, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა დააკარგვინა და იძულებით ჯერ საბჭოთა რუსეთის, ხოლო შემდეგ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შეიყვანა.

რაც შეეხება გიორგი გვერდწითელის ჩვენებას, მასში მოტანილ ფაქტებს, მართლაც, შეიძლება მიეცეს ყაჩაღობის კვალიფიკაცია, მაგრამ... თუ რატომ მოკლეს შეფიცულებმა „მთავრობასთან შერიგებული ბანდიტი“ (სინამდვილეში თავიდანვე „ჩეკას“ აგენტი — გ. ს.) ტარასი ჩხეტიანი, ზემოთ უკვე ვისაუბრეთ და აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. სომეხი ვაჭრების, თუშის, ვაჭრისა და მისი მეუღლის, ფშავლების და ხევსურების გაძარცვის ფაქტები ძალიან ჰგავს „შეფიცულთა“ რაზმის სახელის გასატეხად ჩეკისტების მიერ მოფიქრებულ მეთოდს, რომელზეც ზემოთ ალექსანდრე სულხანიშვილი მოგვითხრობდა.

ჩვენ ვერ შევძელით მოგვეძიებინა დამატებითი ინფორმაცია თელავის რკინიგზის სადგურის სალაროს გაძარცვის შესახებ; სამაგიეროდ, ალექსანდრე სულხანიშვილის მოგონებებში დაცულია დაწვრილებითი ცნობები 1923 წლის თებერვალში თიანეთ-თელავის გზაზე მიმავალი ფოსტის გაძარცვასთან დაკავშირებით, საიდანაც მომხდარი ფაქტი სულ სხვა ჭრილში წარმოგვიდგება.

გიორგი გვერდწითელის ჩვენებაში მოკლედ აღნიშნულია: „თებერვალში თიანეთ-თელავის გზაზე ბანდა ჩაუსაფრდა და თავს დაეცა თელავში მიმავალ ფოსტას. წაიღო 95 მილიონი მანეთი ბონებით და 3 მილიონი წაართვა ფოსტალიონს“.

ალ. სულხანიშვილის ცნობით, ზამთრის ერთ დღეს რაზმელებმა შეიტყვეს, რომ „ახმეტის რევკომის თავმჯდომარე თიანეთში აპირებდა წასვლას თორმეტი მილიციონერით“. შეფიცულებს დიდი ხანია უნდოდათ ამ პიროვნების თავიდან მოშორება, რადგან მან „ძლიერ შეაწუხა ახლომახლო სოფლები“. ქაქუცა ჩოლოყაშვილმა მის მოსაკლავად რამ-

დენიმე რაზმელი გაგზავნა თვითონ ალ. სულხანიშვილის მეთაურობით. გზის პირას ჩასაფრებული რაზმელები საღამომდე ამაოდ ელოდნენ რევკომის უფროსის გამოჩენას.

„უცებ, ჯერ კიდევ შორით შევნიშნეთ, რომ თიანეთიდან რაღაც ამალა მოდიოდა ახმეტის მიმართულებით. ჩვენ ყურადღებით დავაკვირდით დურბინდებით და გავარჩიეთ რაღაც ორცხენიანი ჩასაჯდომი, რომელსაც ზურგში ცხენებზე ამხედრებული 6 თუ 8 მილიციონერი მოსდევდა. ჩვენ უმალ გადავწყვიტეთ მათი გაჩერება და, სასროლ მანძილზე გაგვისწორდნენ თუ არა, მაშინვე ავამოქმედეთ იარაღი. ამ სროლას ემსხვერპლა ერთი მილიციონერი, ორი დაიჭრა, ხოლო დანარჩენებმა კი ჩვეულებისამებრ უკან მოჰკურცხლეს.

ჩვენ, რასაკვირველია, აზრზეც არ ვიყავით, თუ რა მიჰქონდათ იმ მიტოვებული ოთხთვალათი. გასინჯვისას, თითქოსდა ზღაპარში ხდებაო, მასში გადასახადებში აკრეფილი, ჯერ ისევ დიდრონ, ქართულ ტომრებში ჩატენილი ფული აღმოჩნდა! ეს ხომ მართლაც მოულოდნელი წყალობა იყო და, აბა, ხელს როგორა ვკრავდით...

შინ მისვლისას, ყეენივით შემჯდარი რომ დამინახეს ფულით დატვირთულ ცხენზე, შეფიცულებმა სიცილი ასტეხეს. აბა, ვინ მოელოდა, რომ სრულიად სხვა საქმეზე წასულნი ასე ხელდამშვენებულნი დავბრუნდებოდით! საწყენი იყო მხოლოდ ის, რომ ჩვენი ძირითადი ამოცანა ვერ მოვიყვანეთ სისრულეში.

ალბათ, იკითხავთ, რა მოხდა, რომ ასე შეიცვალა გეგმა? რევკომის უფროსს დილით უნდა გამოევლო. როგორც ჩანს, მან შეცვალა იგი და ამის გამო ვეღარ შევხვდით ერთმანეთს. მერეღა გამოირკვა, თუ რა მიზეზით მომხდარა ეს: როცა ჩვენ მილიციასთან მოგვიხდა იარაღით შებმა, იგი თურმე სწორედ იმ საღამოთი მოდიოდა თავის მილიციონერებით. ბათქა-ბუთქის ხმა რომ შესმიათ, შეჩერებულან... აი, ამნაირად გადარჩა მაშინ ის საძაგელი ქართველი, ახმეტის რევკომის უფროსი...

ფული ჩვენ ცოტა რამეში თუ გამოვიყენეთ, მაგალითად, თამბაქოს ან რაღაცა წვრილმანების სასყიდლად, თორემ დანარჩენი ჩვენს მოკავშირეებს დავურიგეთ სოფლებში“ (106. 165-170).

ვფიქრობთ, ყველაფერი ნათელია – კომუნისტების მიერ შეთხზული მითი ქაქუცა ჩოლოყაშვილისა და მისი „შეფიცულთა“ რაზმის ყაჩაღობის შესახებ, მართლაც, მხოლოდ მითია და რეალურ სინამდვილესთან საერთო არაფერი აქვს! კიდევ ერთი მეტად საინტერესო ფაქტი, რომელიც 1923 წელს მოხდა: შეფიცულებმა დაატყვევეს დიდი ილიას მკვლელი გიგლა ბერბიჭაშვილი. რაზმელებს მისი მოკვლა უნდოდათ, მაგრამ ქაქუცამ ნება არ დართო და ცალკე დასაკითხად წაიყვანა. მკვლელის დაკითხვის ამბავი მას შემდგომ ალექსანდრე სულხანიშ-

ვილისთვის მოუყოლია. თურმე, დაკითხვის დროს ბერბიჭაშვილი მთლად ცახცახებდა და სიკვდილის შიშით სრული სიმართლე უთქვამს.

ქაქუცას გამოურკვევია, რომ ბერბიჭაშვილისთვის ილიას მკვლელობა თვით ფილიპე მახარაძეს დაუვალებია, თანაც სამი თუმანი მიუცია სახარჯოდ, დანარჩენს კი სამომავლოდ შეჰპირებია; გარდა ამისა, აღუთქვამს, თუ ამ საქმეს გააკეთებდა, მთელი ცხოვრება პენსიით იქნებოდა უზრუნველყოფილი. მგოსნის წიწამურში გამოვლის დრო კი მისთვის ილიას მეეტლე თედო ლაბაურს შეუტყობინებია. ქაქუცას ბერბიჭაშვილი გაუშვია, როცა დრო მოვა, მისი ჩვენება გამოგვადგებაო, მაგრამ ამ დროს დადგომა, სამწუხაროდ, არასოდეს ეწერა... (96. 15-16).

1923 წლის სექტემბრიდან „შეფიცულთა" რაზმი თელავის მახლობლად მდებარე ციცის ტყეებში ბინადრობდა. წლის ბოლოს ქაქუცა ჩოლოყაშვილმა ქართლში გადასვლა გადაწყვიტა. ამ შედარებით საიმედო ადგილიდან შეფიცულების წასვლის უმთავრეს მოტივს მათი მიზეზით ადგილობრივი მოსახლეობის რბევა-აწიოკება წარმოადგენდა. ქაქუცამ თავის რაზმელებს უთხრა: „ჩვენი აქ გაჩერება აღარ შეიძლება, ხალხს მთლიანად ამოწყვეტავენო" (67. 182).

1923-1924 წლების ზამთარი შეფიცულებმა ქართლსა და დუშეთის მაზრებს შორის მდებარე რაიონების ტყეებში გაატარეს. ალ. სულხანიშვილის თქმით, „ზამთარი საშინლად მძიმე გამოდგა ჩვენთვის, მაგრამ მაინც გავუძელით" (106. 221).

როგორც აღვნიშნეთ, ანტირუსული აჯანყება უნდა მომხდარიყო 1924 წლის 9 თებერვალს, მაგრამ ჯერ ნოე ხომერიკის, ხოლო შემდეგ გოგიტა ფაღავას და გიორგი წინამძღვრიშვილის დაპატიმრებებმა (გოგიტა ფაღავა 1924 წლის 14 იანვარს დააპატიმრეს, ხოლო გიორგი წინამძღვრიშვილი – 28 იანვარს) ამბოხების დაწყების თარიღის გადაწევა გამოიწვია (43. 23).

ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმი ამ პერიოდში კვლავ ქართლში, ძირითადად, დუშეთის მაზრის ტყეებში ბინადრობდა. 1924 წლის გაზაფხულზე მათ მოძებნეს მანგლისის მახლობლად ერთ-ერთ სოფელში დამალული მიხეილ ლაშქარაშვილი, რომელიც 1922 წლის აჯანყების შემდეგ მუდმივად იმალებოდა, და ქაქუცასთან მიიყვანეს. ამ უკანასკნელმა იგი „შეფიცულთა" რაზმში ჩარიცხა (106. 224-227).

თვითონ მ. ლაშქარაშვილი თავის მოგონებებში მიუთითებს, რომ 1924 წლის გაზაფხულზე მეუღლესთან ერთად ემიგრაციაში წასვლას აპირებდა, როდესაც მას ქაქუცა ჩოლოყაშვილი დაუკავშირდა. „1924 წლის მარტში ვიყავი მანგლისის რაიონში სოფელ ბოტისში და ვცხოვრობდი ფარულად... სწორედ ამ პერიოდში თბილისში ცენტრალურ პარიტეტულ კომიტეტს დაედგინა, რომ ჩოლოყაშვილი თა-

ვისი რაზმელებით ქართლში გადმოსულიყო და მომხდარიყო ჩემი და ქაქუცას ერთმანეთთან დაკავშირება“.

1924 წლის აპრილის დასაწყისში მიხეილ ლაშქარაშვილი შეხვდა ქაქუცა ჩოლოყაშვილს, დათანხმდა მის წინადადებას, მონაწილეობა მიეღო 1924 წლის აჯანყებაში და შეუერთდა „შეფიცულთა“ რაზმს. ამ დროიდან მოყოლებული, აგვისტოს დამდეგამდე, რაზმი დაბანაკებული იყო მანგლისის მახლობლად, სოფელ ბოტისის ტყეში. არავითარ ტერაქტებს არ აწყობდნენ, რათა კომუნისტები წინასწარ არ გაეღიზიანებინათ. მაისში კახეთიდან გადმოვიდა მანამდე ჯერ კიდევ იქ მყოფი თორმეტი შეფიცულიდან თერთმეტი. ერთ-ერთი — „ძია“ (ლონგინოზ ციხისთავი) გზაში, შეტაკებისას, დაიღუპა.

მ. ლაშქარაშვილის ცნობით, მაისში, რაზმის გაერთიანების დროს, მასში 16 კაცი ირიცხებოდა: „ორნი ძმები ოზიაშვილები — გაბო და იოსები სოფელ ახატენელი; მიშა ნაცვლიშვილი — ყოფილი აფიცერი; რაფო ერისთავი; ქიმბარიშვილი — არაგვისპირელი იოსებ ჯოპორტი; ალექსანდრე ბადურაშვილი — ჯერ კიდევ უწლოვანი ყმაწვილი, მამამისმა მიჰგვარა ჩოლოყაშვილს რაზმში; ალექსი ფეიქრიშვილი — სოფელ მატანელი, ჩოლოყაშვილის დიდი ერთგული დამხმარე, ყოფილი კომისარი, სოფელ მატანის გლეხი; მაისურაძე მალაქია გლეხი; კურდღელა გლეხი მეწისქვილის შვილი; ქისტი მახმად-ელჩი; საშა სულხანიშვილი, ლელო ჩიქოვანი, ელიზბარ ვაჩნაძე, სერგო მაისურაძე, მიშა ლაშქარაშვილი — სულ 16 კაცი ვიყავით მუდმივ შემადგენლობაში აჯანყების დაწყებამდის“ (66. 11).

აქედან ქაქუცა ჩოლოყაშვილს მუდმივი კავშირი ჰქონდა „დამკომთან“ და „სამხედრო კომისიასთან“,რომლებსაც თავის ყველა მოქმედებას უთანხმებდა. ალ. სულხანიშვილი აღნიშნავს, რომ „კახეთში, თიანეთის, დუშეთისა და გორის მაზრებში ჩვენ კარგა გვყავდა დარაზმული ხალხი ამბოხებისათვის და მხოლოდღა დროის შეტყობინება იყო საჭირო, რაც „დამკომმა“ იკისრა. ამის გარდა, „დამკომის“ ვალდებულებას შეადგენდა რაზმების ჩამოყალიბება სხვა მხარეებშიც, ვინაიდან ჩვენ არ შეგვეძლო მუშაობა მთელი საქართველოს მასშტაბით მხოლოდ იმიტომ, რომ სიშორის გამო ვერ ვწვდებოდით შორეულ რაიონებს“ (106. 227).

გაზაფხულზე ქაქუცა სოფ. კავთისხევში საიდუმლოდ შეხვდა მასთან მოსალაპარაკებლად ჩასულ ს. ზალდასტანიშვილს, რომელიც აღნიშნულ შეხვედრას შემდგომში ასე იხსენებდა: „ცოტა დაგვიანებით მოკავშირემ ქაქუცა მოიყვანა. მას ახლდა თავისი შეფიცული ლელო ჩიქოვანი. ამათაც იმ დღეს ბევრი განცდები გადაეტანათ. სოფელში ჩეკისტები დათარეშობდნენ და რამდენჯერმე იმ ვენახსაც მისდგომოდ-

ნენ, სადაც ამათ თავი შეეფარათ. სანამ კარგად არ დაბნელდა, ვენახიდან არ გამოსულიყვნენ".

მოლაპარაკება ერთ-ერთი ციხის ნანგრევებში გაიმართა. „გავაცანი ქაქუცას მდგომარეობა და „დამკომის" სახელით ვთხოვე, მოთმინება გამოეჩინა, რადგანაც გამოსვლა საქართველოსა და მთიულეთში ერთად უნდა მომხდარიყო, და ეს საჭიროებდა ზოგიერთი საკითხის მოგვარებას. გამოსვლის გადადება ბევრად არ ესიამოვნა ქაქუცას, მაგრამ რას იზამდა?! საქმე მორჩილებას მოითხოვდა. აქვე გადავწყვიტეთ მთავარსარდლის კანდიდატურა წამოგვეყენებინა. ბევრი ლაპარაკის შემდეგ, გენ. ს. ჭავჭავაძე ავირჩიეთ.

საქმის მოთავების შემდეგ ქაქუცამ მთხოვა, თავის ბინაზე წავყოლოდი და დანარჩენი რაზმელებიც მენახა. სიამოვნებით დავთანხმდი და მაშინვე გზას გავუდექით. მაისის პატარა ღამე იყო; სიბნელით უნდა გვესარგებლა და ჩქარა გვეველო, რომ დილით ბინაზე ავსულიყავით. მე, ორივე ფეხში დაჭრილს, სიარული მიძნელდებოდა. შუა გზაში ქაქუცას თანაშემწე კაპ. ვაჩნაძე და სერგო მაისურაძე დაგვხვდნენ, ტყიდან გზის დასაზვერად ჩამოსულიყვნენ. ეხლა ხუთნი ვიყავით. წინ, ოცდაათი ნაბიჯით, სერგო მაისურაძე მიგვიძღოდა, უკან ლელო ჩიქოვანი გვფარავდა, სანამ ტყეში შევიდოდით.

უცებ ს. მაისურაძემ თოფი მხარზე მიიბჯინა და ვიღაცას შეჰყვირა: „უკან მიბრუნდით!". ჩვენ რომ მივუახლოვდით, შემდეგი სურათი დავინახეთ: სოფლიდან მომავალი ხალხი, 15 კაცამდე, გაეჩერებინა, გზის ნაპირას გადაეყვანა, ზურგი ჩვენსკენ ექნევინა და, სანამ ჩვენ არ გავცილდით კარგა მოშორებით, არ გაათავისუფლა, თითონ კი მარდად დაგვეწია და ისევ თავის ადგილი დაიჭირა. დილით დაღლილ-დაქანცულები ბინაზე ავედით. ახლო სოფელში გაეგოთ, რომ ბელადს ქალაქიდან საიდუმლო მთავრობის კაცი მოსვლია და რამდენიმე გლეხკაცი ძღვენით ამოვიდნენ.

მთელი დღე იმათთან გავატარე და საღამოს იქაურ გლეხკაცთან ერთად სადგურისაკენ დავეშვი. გლეხკაცმა სხვა გზით სადგურ ქსანში ამომიყვანა. თბილისში დილით 10 საათზე ჩამოვედი. სადგურთან ახლო საიდუმლო ბინაზე თავი შევაფარე. „დამკომის" წევრებს ვაცნობე ჩემი დაბრუნება და იმავე საღამოს მოწვეულ კრებაზე მოხსენება გავაკეთე" (43. 24-26).

„დამკომის" და „სამხედრო კომისიის" მიერ შედგენილი გეგმის მიხედვით, აჯანყება 1924 წლის 17 აგვისტოს ერთდროულად საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიაში უნდა დაწყებულიყო. ამბოხებულებს მთავარი დარტყმა თბილისისთვის უნდა მიეყენებინათ, რომლისთვისაც სამი მიმართულებიდან უნდა შეეტიათ: კოჯრის მხრიდან — ქაქუცა

ჩოლოყაშვილს (ამ მიზნით იგი აგვისტოს დასაწყისში თავისი რაზმით თბილისს 20 კილომეტრზე მიუახლოვდა და სოფელ ნახშირგორასთან დაბანაკდა), დუშეთიდან – მიხეილ ლაშქარაშვილს, ხოლო ვაზიანიდან – ირაკლი ცაგურიას (128. 568-570; 135).

ს. ზალდასტანიშვილის თქმით, „ამ ხანში ვაზიანის მიდამოებში დაბანაკდა მთელი ამიერკავკასიის არტილერია 120 ზარბაზნით (ი. ცაგურია 98 ზარბაზანს ასახელებს – გ. ს.). ამ ძალის ხელში ჩაგდება ნახევრად მაინც წყვეტდა თბილისის ბედს. ამისათვის საჭაროდ ავმუშავდით. დავამუშავეთ გეგმა, რომლითაც მთელი არტილერია ხელში გვეკარდებოდა. ამ რაიონის სარდლად დაინიშნა არტილერისტი პოლკ. ირაკლი ცაგურია. მის განკარგულებაში იყო ამ რაიონის სოც.-დემ. რაზმი. დამუშავებული გეგმით მათ უნდა ჩამოერთმიათ რუსებისათვის ზარბაზნები და მოსდგომოდნენ თბილისს ნავთლუღის მხრივ“ (43. 30).

თბილისზე შეტევის დაწყების შემდეგ ამბოხებას შეუერთდებოდნენ უშუალოდ დედაქალაქში მყოფი „დამკვრელი რაზმები“. ასეთი ვითარება იყო აგვისტოს დასაწყისში, როდესაც 6 აგვისტოს ჩეკისტებმა თბილისში შეიპყრეს აჯანყების ერთ-ერთი ხელმძღვანელი, სახალხო გვარდიის სარდალი ვალიკო ჯუღელი. მის დაპატიმრებას გეგმის შეცვლა და აჯანყების ცუდ პირობებში დაწყება მოჰყვა.

ს. ზალდასტანიშვილი თავის მოგონებებში დაწვრილებით აღწერს, თუ როგორ ვითარდებოდა მოვლენები ვალიკო ჯუღელის დაპატიმრების შემდეგ. „შეცვლილმა მდგომარეობამ დამუშავებული გეგმის შეცვლა გამოიწვია“. „დამკომმა“ გადაწყვიტა, აჯანყების დაწყება, 17 აგვისტოს ნაცვლად, სხვა დღისთვის გადაედო, აჯანყების ცენტრად კი ქაქუცა ჩოლოყაშვილის ბანაკი გამოეცხადებინა. „საჭაროდ გაიგზავნა ყველგან შიკრიკები, რომ აჯანყება შეეჩერებინათ“. ქაქუცასთან, რომელიც 17 აგვისტოს აჯანყების დასაწყებად ემზადებოდა, აღნიშნულ საკითხზე მოლაპარაკება „დამკომმა“ სოლომონ ზალდასტანიშვილს დაავალა. ეს უკანასკნელი 16 აგვისტოს, გამთენიისას, მეამბოხეთა ბანაკში მივიდა, სადაც „ქაქუცასთან უკვე თავი მოეყარათ მანგლისისა და დიღომის რაიონების წარმომადგენლებს და ბელადისაგან, ე. ი. ქაქუცასაგან, განკარგულებას ელოდნენ“.

ახლომახლო სოფლებიდან შეიარაღებულმა ხალხმა მოსვლა დილიდან დაიწყო. თავდაპირველად, ელიზბარ ვაჩნაძემ მოიყვანა საბრძოლველად მომზადებული რაზმი, რომელსაც მოხუცი მღვდელიც ამოჰყვა. მან ქაქუცას შემდეგი სიტყვებით მიმართა: „ვიცი, შვილო, უკვე ბრძოლის დღეები დადგა, მებრძოლნი საკმარისად გყავს, მე კი თქვენ დასალოცად ამოვედი“. იმ წუთისათვის ქაქუცას 200 შეიარაღებული მეომარი ჰყავდა; 17 აგვისტოს დამატებით 400 კაცს ელოდებოდა, რომლებიც ამ მიზნით

რამდენიმე დღის წინ წასულ შეფიცულებს: მიხეილ ლაშქარაშვილს, მიხეილ ნაცვლიშვილს, გაბო ოზიაშვილს, სერგო მაისურაძეს, იოსებ ქიმბარიშვილს, ალექსანდრე ბადურაშვილს, ილია ქარუმიძეს და სხვებს უნდა მოეყვანათ. მთლიანობაში, 17 აგვისტოსთვის ქაქუცა ჩოლოყაშვილს „600 კაცამდე უგროვდებოდა და ეს ძალა თბილისზე იერიშის მისატანად მთლად საკმარისი იყო, მით უმეტესად, რომ თბილისში სხვა რაზმები უნდა დაჰხვედროდა. ქაქუცა დარწმუნებული იყო, რომ ერთ ღამეში რუსებს თბილისიდან გარეკავდა“ (43. 32).

„საბრალმდებლო დასკვნაშიც“ მითითებულია, რომ აგვისტოს აჯანყების დაწყების წინ „ჩოლოყაშვილს ჰყავდა 600 შეიარაღებული კაცი, რომლებსაც უნდა მიეღებინებინათ ამბოხებაში მონაწილეობა კახეთისთვის, დუშეთის მაზრისათვის და მანგლისის რაიონისათვის“ (10. 65-66).

ალ. სულხანიშვილის თქმით, „ჩვენმა გაგზავნილმა კაცებმა ათეულებად და ოცეულებად დაყოფილი მოიყვანეს დანიშნულ ადგილას როგორც მთელი ჩვენი რაზმი, ასევე მეამბოხეებიც. ელიზბარის მეთაურობით ყოველ ოცეულს ჰყავდა უფროსი. ესენი იყვნენ მიშა ნაცვლიშვილი, რაფიელ ერისთავი, მიშა ლაშქარაშვილი და სხვები“ (106. 229).

როცა ს. ზალდასტანიშვილმა ქაქუცა ჩოლოყაშვილს აჯანყების დაწყების თარიღის გადაწევის შესახებ „დამკომის“ და მთავარსარდლის — გენერალ სპირიდონ ჭავჭავაძის გადაწყვეტილება გააცნო, იგი ძალიან აღელდა და ამბოხების 1924 წლის ოქტომბრისთვის გადადება მოითხოვა, რაც შემდეგნაირად დაასაბუთა: „ხომ ხედავ, ხალხი თავს იყრის და თუ დროზე გამოვედით, იმედი მაქვს, რაზმს უფრო გავაძლიერებ. თუ გამოსვლა 20 აგვისტოს არ მოხდა, მაშინ თბილისთან ახლო ტყეში ამდენ ხალხს ვერ შევინახამ, სანოვაგის საკითხი ამისათვის მოგვარებული არა მაქვს და იძულებული გავხდები, რამდენიმე დღის შემდეგ ხალხი სოფელში დავაბრუნო. ახლო მომავალში მათი თავის მოყრა ადვილი აღარ იქნება. მინამ გლეხკაცი პურს და ღვინოს არ დააბინავებს, აღარ გამოვა. რადგან გადადება აუცილებელია, მაშინ გონიერება მოითხოვს, აჯანყება ოქტომბრისათვის გადაიდოს“.

ს. ზალდასტანიშვილი მოგონებებში მიუთითებს, რომ მან ქაქუცას მოსაზრება, შექმნილ ვითარებაში აჯანყების რამდენიმე თვით გადადების შესახებ, მთლიანად გაიზიარა და დარწმუნებული იყო, „რომ „დამკომი“ და მთავარსარდალი ამ შეხედულებას მხედველობაში მიიღებდა“. უფრო მეტიც, შეფიცულთა ბანაკში ს. ზალდასტანიშვილის ყოფნის დროსვე ქაქუცამ შიკრიკები დაგზავნა, რომ „მ. ლაშქარაშვილისა და მ. ნაცვლიშვილის რაზმები თავიანთი რაიონებიდან არ დაძრულიყვნენ და მის განკარგულების მოლოდინში ყოფილიყვნენ“.

კიდევ ერთგან ს. ზალდასტანიშვილი წერს, რომ რადგანაც გადაწყდა აჯანყების სამი თვით გადადება, იმავე დღეს კაცები დაუგზავნა, რომ მხოლოდ მესამე თვეს გამოცხადებულიყვნენ.

აღნიშნული წინადადებიდან ისე გამოდის, რომ „პარიტეტული კომიტეტის" წევრმა ს. ზალდასტანიშვილმა, კომიტეტის სხვა წევრებთან შეთანხმების გარეშე, გადაწყვეტილება მიიღო აჯანყების სამი თვით გადადების შესახებ. როგორც ჩანს, მას სწამდა, რომ თბილისში დაბრუნების შემდეგ, „დამკომის" წევრებს ამ გადაწყვეტილების მიღების აუცილებლობაში დაარწმუნებდა. ასეთი განწყობით დაბრუნდა ს. ზალდასტანიშვილი თბილისში, სადაც აღნიშნულ საკითხზე „დამკომის" სხდომაზე მოხსენება გააკეთა. „პარიტეტული კომიტეტის" ხელმძღვანელობამ ქაქუცა ჩოლოყაშვილის მოსაზრება არ გაიზიარა. „სამწუხაროდ, აჯანყება გადაიდო არა სამი თვით, როგორც ქაქუცა ჩოლოყაშვილი მოითხოვდა, არამედ თერთმეტი დღით" (43. 33-34, 51-52).

მრავალი წლის შემდეგ შეფიცული ალ. ბადურაშვილი მიუთითებდა: „ამბობენ, რომ ქაქუცას აჯანყების გადადება განუზრახავს, მაგრამ „დამკომის" წევრებს სხვა აზრი გამოუთქვამთ" (11. 15).

1924 წლის 20 აგვისტოს გაიმართა „დამკომის" კრება, რომელზეც აჯანყების საკითხზე მსჯელობდნენ. კრების დასრულების შემდეგ „დამკომის" თავმჯდომარის მოადგილე იასონ ჯავახიშვილი მეამბოხეთა მთავარ ბანაკში წავიდა. „ქაქუცამ და მისმა რაზმმა მშვენიერი შთაბეჭდილება მოახდინა ი. ჯავახიშვილზე და გამხნევებული და დიდი იმედით 22 აგვისტოს უკან დაბრუნდა" (ს. ზალდასტანიშვილი) (43. 35).

აღნიშნულ მოვლენებთან დაკავშირებით, 1925 წლის 17 იანვარს პარიზში გამართულ „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის საზღვარგარეთის დელეგაციის" სხდომაზე გაკეთებულ მოხსენებაში ს. ზალდასტანიშვილი აცხადებდა: „მითხრეს, რომ ძალები არ შეუგროვდეს ქაქუცას, მაგრამ გვიან იყო, რადგან მე რომ მივედი, ხალხი უკვე გროვდება – ელიზბარი მოდის, ხალხი მოსდევს, მღვდელიც არის მათ შორის – ლოცავს მათ... ხალხი გაიძახის „საქართველოს გაუმარჯოს", „ჩვენ ბელადს გაუმარჯოს". მომენტი მეტად ამაღლებული. მანგლისი გვპირდება 300 კაცს. დიღომიდან მოდის შეიარაღებული ხალხი. დრო არ ითმენს, ხალხი ტყეში არ გაჩერდება, სიძნელე დიდი არის. დავბრუნდი თბილისში. იმ დღესვე კრება „დამკომის" – აჩქარებით. გამოსვლა არის საჭირო..." (105. 214).

როგორც ვხედავთ, ს. ზალდასტანიშვილი თავის მოგონებებში დაბეჯითებით ამტკიცებს, რომ მან მთლიანად გაიზიარა ქაქუცა ჩოლოყაშვილის მოსაზრება, შექმნილ ვითარებაში აჯანყების რამდენიმე თვით გადადების შესახებ, და შეეცადა ამაში „დამკომის" ხელმძღვანელობაც

დაერწმუნებინა, მაგრამ ამაოდ. მის საპირისპიროდ, ალ. სულხანიშვილი დარწმუნებულია, რომ სწორედ ს. ზალდასტანიშვილმა აიძულა ქაქუცა, თანხმობა განეცხადებინა აჯანყების აგვისტოს ბოლოს დაწყების თაობაზე. მისი ცნობით, ს. ზალდასტანიშვილმა „დაიწყო მოლაპარაკება ქაქუცასთან იმის თაობაზე, თუ როდისთვის გადადებულიყო გამოსვლები. როგორც შემდეგ გამოირკვა, ზალდასტანიშვილს მითითება ჰქონია მიღებული, ისე წარემართა მოლაპარაკება, რომ დაახლოებით აგვისტოს ბოლო რიცხვებში მომხდარიყო გამოსვლები.

ქაქუცა დიდ უარზე იდგა იმ საბაბით, რომ ცუდი ადგილების გამო არასგზით არ შეიძლება ამოდენა ხალხის შენახვა თითქმის ორი კვირაო. ამას გარდა, ყოველ მეამბოხეს მხოლოდ სამი დღის საგზალი ჰქონდა წამოღებული სახლიდან, და მერე როგორ უნდა გვეკვება ისინი? ამისათვის, ქაქუცას აზრით, უკეთესი იყო, თუ გამოსვლები ოქტომბრის პირველი ნახევრის შემდეგ შედგებოდა, მაგრამ „დამკომის“ წარმომადგენელი რიღას თავკაცი იყო, თუ თავისას ვერ გაიტანდა! ამგვარად, დიდი სჯა-ბაასის შემდეგ ქაქუცაც დაიყაბულეს, რომ გამოსვლები აგვისტოს ბოლოს მომხდარიყო“ (106. 234).

ასეა თუ ისე, ქაქუცა ჩოლოყაშვილის დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, „პარიტეტული კომიტეტის“ ხელმძღვანელობამ (კოტე ანდრონიკაშვილმა, იასონ ჯავახიშვილმა, დავით ონიაშვილმა, შალვა ამირეჯიბმა) და მთავარსარდალმა სპირიდონ ჭავჭავაძემ 24 აგვისტოს მაინც დაადგინეს, რომ აჯანყება 29 აგვისტოს, ღამის 2 საათზე მთელ საქართველოში ერთდროულად უნდა დაწყებულიყო. ს. ზალდასტანიშვილის თქმით, აჯანყების მთავარ შტაბად ქაქუცა ჩოლოყაშვილის „შეფიცულთა“ რაზმი გამოცხადდა, სადაც 25 აგვისტოს თვით „დამკომის“ ზემოაღნიშნული მეთაურებიც დაბანაკდნენ (სხვა ადგილას ს. ზალდასტანიშვილი „დამკომის“ წევრების შეფიცულთა ბანაკში მისვლის თარიღად 26 აგვისტოს უთითებს, ხოლო ალ. სულხანიშვილი — 27 აგვისტოს) (43. 35; 106. 233).

ალ. სულხანიშვილი პირდაპირ, დაუფარავად აღნიშნავს, რომ „დამკომის“ წევრების „მოსვლამ ძალიან შეგვიშალა ხელი: სიარული იმათ არ შეეძლოთ და ღამით სიცივით კანკალებდნენ. ერთი სიტყვით, ყველანაირად გვაბრკოლებდნენ“ (106. 234).

საველე პირობებში ყოფნა განსაკუთრებით კოტე ანდრონიკაშვილს გაუჭირდა. იმავე ალ. სულხანიშვილს თავის სხვა ნაშრომში: „რა ხდებოდა მეტეხის ციხეში ქართველებს შორის 1923 და 1924 წლებში და ილიას მკვლელობის სინამდვილე“, ამასთან დაკავშირებით, საყურადღებო ცნობა მოეპოვება: „დამკომის“ შემადგენლობის გადმოსვლამ ჩვენთან ძალიან ხელი შეგვიშალა, ჩვენ მათ მოვლას ვუნდებოდით. ამის

გარდა, ძნელი იყო მათთვის თბილ ლოგინში შეჩვეულ მოსვენებას, და ეხლა მიწაზე წოლა და ღამით სიარული, რა თქმა უნდა, ვერ აიტანეს. ნამეტნავად, კოტე ანდრონიკაშვილმა, რომელიც უკვე ხანში შესული იყო და, როგორც გამოირკვა, სუსტი გული ჰქონია. ერთ დილას ღამე სიარულის შემდეგ, გულს შემოეყარა. მოვასვენეთ, მოვუარეთ კარგა, გამოკეთდა. ამის შემდეგ ცხენით ვატარებდით.

როდესაც კოტე გამოკეთდა, ამოიღო ჯიბიდან პატარა პარკი ოქროს ფულებით და აძლია ქაქუცას, როგორც გინდა, ისე მოიხმარეო. ქაქუცამ ეს ოქრო არ გამოართვა, არა, ბატონო, თქვენა გქონდეთ, თუ დამჭირდა, გეტყვითო, მაგისთვის არა მცალიანო. კოტე ანდრონიკაშვილი როდესაც დაატუსაღეს, ეს ოქრო წითლებმა წაიღეს, ცხადია! ჩვენ კი სამზღვარგარეთ რომ გამოვედით, ხუთი ჩერვონეცი გვქონდა მთელ რაზმს" (107. 19).

27 (ზოგი ცნობით — 28) აგვისტოს ბედენის მთაზე „დამკომის" თავმჯდომარემ — კოტე ანდრონიკაშვილმა ქაქუცა ჩოლოყაშვილს აჯანყების დროშა გადასცა. ალ. კარგარეთელი ამ ფაქტს შემდგომში ასე იგონებდა: „უკვე ბლომად ხალხი მოგროვდა. საღამოს გაიმართა აღლუმი. ბ. კოტე ანდრონიკაშვილმა წარმოსთქვა სიტყვა ქაქუცას მოქმედებაზე; მიულოცა ეროვნული გმირობა, გადასცა დროშა და უსურვა გამარჯვება. ყველამ „ვაშა! გაუმარჯოს ქაქუცას! გაუმარჯოს საქართველოს!" შევძახეთ. მაშინვე გამოვიდა მღვდელი და გადიხადა პარაკლისი" (54. 18-19).

აჯანყების წინ „შეფიცულთა" რაზმში და, ზოგადად, საქართველოში არსებული განწყობის შესახებ, ს. ზალდასტანიშვილი მიუთითებდა: „ჩრდილოეთ კავკასიას საქართველოსთან ერთად უნდა დაეწყო აჯანყება 29 აგვისტოს 2 საათზე (განთიადზე). 27 აგვისტოს ქაქუცას ბანაკიდან იასონ ჯავახიშვილის წერილი მივიღეთ, რომელიც გვატყობინებდა, რამდენად კმაყოფილი იყო ქაქუცას რაზმით. ამ დღეს თბილისშიც ყველანი ამოძრავდნენ: ხალხს გამბედაობა მოემატა, ოფიცრობაც აღარაფერს ერიდებოდა, თხოულობდნენ ქაქუცასთან გაგზავნას, ან რომელიმე რაზმში ჩაწერას. „ჩეკა" შიშობდა, ორჭოფობდა და თავის გადასარჩენად უფრო იოლ გამოსავალს ეძებდა. 28 აგვისტოს კი დილით ზომების მისაღებად გამბედაობა დაკარგა" (43. 36).

ყველა ავტორი, ვინც კი 1924 წლის აჯანყების შესახებ წერს (ს. ზალდასტანიშვილი, რ. დიუგე, ალ. სულხანიშვილი, ი. ცაგურია და სხვ.), ერთხმად აღნიშნავს, რომ საბედისწერო გამოდგა ჭიათურაში აჯანყების 24 საათით ადრე, 28 აგვისტოს, დაწყება. „ნებით თუ უნებლიეთ, ეს იყო ნამდვილი ღალატი, ზურგში ხანჯლის ჩაცემა! იმავე დილით... ხელისუფლებამ ხელი მიჰყო შენიშნული პირების დაჭერას

და ადგილზევე დახვრეტას მთელ აღმოსავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით, კახეთში“ (ალ. სულხანიშვილი) (106. 234); „დანიშნულ დროზე 24 საათით ადრე... ჭიათურის ნაადრევმა გამოსვლამ საშუალება მისცა საბჭოთა უფროსებს, დროზე მიეღოთ ენერგიული ზომები აჯანყების ჩასაქრობად... ჭიათურის გამოსვლამ არ მოგვცა საშუალება მტრის მოულოდნელად ჩაჭერისა და მისი დამარცხებისა“ (ი. ცაგურია) (135); „ჭიათურაში 24 საათით ადრე გამოსვლამ დრო და ინიციატივა მოქმედებისა „ჩეკას“ და ხელისუფლებას გადასცა. იმავე დღეს, ე. ი. 28 აგვისტოს გამოაცხადეს სამხედრო წესები... ხელისუფლება იერიშით ქართველი ხალხის წინააღმდეგ გამოვიდა. მაგალითად, კახეთის ყველა ორგანიზაციების ხელმძღვანელები 29 აგვისტოს ღამე დაიჭირეს და სუყველანი დახვრიტეს... ხელისუფლებამ ტერორს მიჰყო ხელი და ასობით გაჰყავდა ხალხი დასახვრეტად“ (ს. ზალდასტანიშვილი) (43. 36-37).

სამწუხაროდ, ამ დროისთვის ქაქუცა ჩოლოყაშვილს, დაგეგმილი 600 მეომრის ნაცვლად, მხოლოდ დაახლოებით 100-150 კაცი მოუგროვდა. ალ. სულხანიშვილის ცნობით, „გამოსვლების დღედ 29 აგვისტო დაინიშნა, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში სულ მთლად შემოგვეფანტა მოგროვილი ხალხი. ზოგნი სახლებში წავიდნენ იმ პირობით, რომ 27 აგვისტოს დაბრუნდებოდნენ და ჩვენსკენ აღარც მოუხედიათ“ (106. 230).

ალ. კარგარეთელიც აღნიშნავს, რომ ქაქუცა ჩოლოყაშვილმა ბანაკიდან „დუშეთში გაგზავნა ჩემი ბიძაშვილი პეტიკო კარგარეთელი გაბო ოზიაშვილთან, რომელიც დუშეთის მაზრაში აგროვებდა ხალხს. ორი დღის შემდეგ პეტიკო დაბრუნდა და მოუტანა არასასიამოვნო ამბავი. გაბო აბარებდა: ორასი კაცი მყავდა მოგროვილი და თითქმის ყველა დაბრუნდაო, რადგანაც აჯანყება გაიცაო. შემატყობინე, როგორ მოვიქცეო“ (54. 18).

ყველაფერ ამას ისიც დაერთო, რომ პოლკოვნიკმა ირაკლი ცაგურიამ ვაზიანის ბაზის აღება ვერ მოახერხა. არახელსაყრელი ვითარების მიუხედავად, ქაქუცა ჩოლოყაშვილმა მაინც სცადა აჯანყების ბედის შეტრიალება, თუმცა როგორც ალ. სულხანიშვილი აღნიშნავს, გრძნობდა, რომ „გამოსვლები წაგებული იყო“. 29-30 აგვისტოს ღამეს, მისი ბრძანებით, ელიზბარ ვაჩნაძემ შეფიცულთა ერთი ნაწილით მანგლისის სამხედრო სასწავლებელს შეუტია, სადაც დაბანაკებული იყო რუსული ჯარის ბატალიონი 300 კურსანტთან ერთად. იმავე ალ. სულხანიშვილის ცნობით, „შუაღამისას მივუახლოვდით კურსანტების ყაზარმებს. სულ 70 კაცი ვიყავით, რადგან მეამბოხეთაგან ძალიან ცოტა დაბრუნდა ჩვენთან. გარდა ამისა, მანგლისის რაიონი სრულიად არ შემოგვიერთდა.

და, აი, ამ მცირე ძალებით მივადექით საბრძოლველად ბატალიონს, კურსანტებზე რომ არა ვთქვათ რა“ (106. 235).

ბრძოლის უშუალო მონაწილე – ალ. კარგარეთელი მანგლისის სამხედრო სასწავლებელზე თავდასხმას შემდგომში ასე იგონებდა: „რაზმის უფროსმა ელ. ვაჩნაძემ დაგვაწყო, რიგებში სამ-სამი კაცი, და გაგვიძღვა წინ. შუაღამე გადასული იყო, რომ მივადექით მანგლისს. ქალაქის განაპირას დაბანაკებული იყო რუსული სამხედრო სკოლა. მოგვიხდა დიდი ბრძოლა მათ კაზარმებთან. პირველი სართულის ფანჯრებიდან დაგვიშინეს ტყვიამფრქვევები. ელ. ვაჩნაძემ და რ. ერისთავმა მალე ჩააჩუმეს მათი სროლა. უკვე თენდება, კაზარმაში ჩვენ თავისუფლად დავდივართ და ვკრეფთ ვაზნებს. ყველა გაიქცა საცვლების ამარა. ერისთავმა ტყვიამფრქვევები დაშალა და ნაწილები აქეთ-იქით გადაყარა“ (54. 20).

იმავე ღამით „შეფიცულთა“ რაზმის მეორე ნაწილით ლელო ჩიქოვანმა მანგლისის მახლობლად მდებარე სოფელი პრიუტი დაიკავა, მაგრამ ძალების სიმცირის გამო, ამბოხებულებმა შეტევა ვერ განავითარეს და იძულებულნი გახდნენ, უკან დაეხიათ. ისინი, სოფ. თონეთის გავლით, კავთისხევისკენ გაემართნენ; ფერდობებზე ტყე-ტყე დაეშვნენ. 30 აგვისტოს, საღამოს, სოფ. წინარეხში ჩავიდნენ. აქედან ქაქუცა ჩოლოყაშვილმა რაზმის ნაწილი კავთისხევის ასაღებად გაგზავნა, თვითონ კი, შეფიცულთა სხვა ჯგუფთან და „დამკომის“ წევრებთან ერთად, გზა ძეგვისკენ განაგრძო.

31 აგვისტოს, გამთენიისას, შეფიცულები სოფ. ძეგვთან მდებარე ტყეში დაბანაკდნენ, საიდანაც საღამოს ნავებით მდ. მტკვარზე გადავიდნენ და შიო მღვიმის მონასტერში ავიდნენ. ბერებმა ქაქუცას რაზმელები გულთბილად მიიღეს. ღამე მონასტრის მახლობლად, პატარა ტყეში გაათიეს. ალ. კარგარეთელი იგონებს, რომ მეორე დილით იგი მარტო მივიდა შიო მღვიმის მონასტერში, სადაც ერთ-ერთმა ბერმა ახალი გაზეთი გადასცა. გაზეთში დაბეჭდილი იყო ინფორმაცია საბჭოთა ხელისუფლების მიერ ხალხის მასობრივი დახვრეტების შესახებ. საშიკომ გაზეთი ქაქუცას და „დამკომის“ წევრებს მიუტანა. გაზეთში დასტამბულმა ცნობამ მათზე დამთრგუნველი შთაბეჭდილება მოახდინა (43. 53; 54. 20-21;).

1 სექტემბერს ქაქუცა ჩოლოყაშვილმა შიო მღვიმის მონასტერში დატოვა „დამკომის“ რამდენიმე წევრი, მათ შორის, კოტე ანდრონიკაშვილი, რომლებსაც ასეთ რთულ პირობებში ყოფნა და გადაადგილება უჭირდათ (აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ალ. სულხანიშვილი „დამკომის“ წევრების დატოვების ადგილად შეცდომით ქვათახევის მონასტერს უთითებს – 106. 234), თვითონ კი შეფიცულებთან ერთად დუშეთის

მიმართულებით გაემართა. რაზმში მხოლოდ მთავარსარდალი სპირიდონ ჭავჭავაძე და შალვა ამირეჯიბი დარჩნენ.

შუაღამისას რაზმელები მდ. არაგვს მიადგნენ. ერთ-ერთმა თანმხლებმა მთიულმა, რომელმაც ცურვა არ იცოდა, მდინარეში შესვლა ვერ გაბედა. „ბელადმა შესძახა: ვინ გავა მის გამოსაყვანად? არავინ აღმოჩნდა მოხალისე. მაშინ თვითონ ქაქუცა მოახტა ცხენს და შეიჭრა არაგვში. კარგა ხნის შემდეგ, მთიული ცხენზე უკან შემოსმული გამოიყვანა“ (ალ. კარგარეთელი) (54. 22).

2 სექტემბრის ღამეს ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმი მოულოდნელად თავს დაესხა დუშეთის სატუსაღოს და დასახვრეტად განწირული ათეულობით ადამიანი, მათ შორის, შეფიცულები – შალვა ნებიერიძე და მერაბ ჯორჯაძე გაათავისუფლა (106. 238).

3 სექტემბერს შეფიცულებს დიდი ბრძოლა მოუხდათ ქალაქში დაბანაკებულ წითლების ჯართან. ალ. კარგარეთელის თქმით, „შიგ ქალაქში ორი კაზარმა სავსე ყოფილა ჯარით. კაზარმის სახურავზე დადგეს ტყვიისმფრქეველები და იქიდან არ გვაძლევდნენ საშუალებას. საღამოს შვიდ საათამდე გვეჭირა ქალაქი. საღამოს მოვიდნენ ჰაეროპლანები, ზარბაზნებმა დაიწყეს სროლა, კაზარმებიდან ჯარი გამოვიდა. ჩვენ იძულებული ვიყავით, დაგვეტოვა ქალაქი“ (54. 22).

დუშეთიდან „შეფიცულთა“ რაზმი თიანეთისკენ გაემართა. გზაში, სოფელ სვიმონიანთხევში, მას გზა გადაუჭრა ბოლშევიკების საკმაოდ მოზრდილმა სამხედრო შენაერთმა, რომელშიც შედიოდა ცხენოსანი პოლკის ესკადრონი, დაახლოებით 200 მილიციონერი, აგრეთვე, ბევრი აქტივისტი კომუნისტი. „მოგვიხდა დიდი ბრძოლა; გავაიარაღეთ ჯარი. ცხენოსანი ნაწილი გაიქცა, დანარჩენები ტყვედ ჩავიგდეთ ყველა, ორას კაცამდე რუსი და ქართველი ცხენოსანი რაზმი... ქაქუცამ მოიკითხა მათი უფროსი. მოუყვანეს დაჭრილი კაპიტანი, რომელმაც მოახსენა, რომ თბილისიდან ოფიციალური ცნობა მივიღე, რომ თქვენ მოხვიდოდით დღეს საღამოსო. ქაქუცამ უპასუხა: მეც ეგრე ვიანგარიშე და იმიტომ მოვედი წუხელისო. მიუბრუნდა დამსხდარ ჯარისკაცებს და რუსულად სიტყვა უთხრა, თუ რისთვის იბრძოდა. თქვენ, ჯარისკაცები, არაფერ შუაში ხართო და სხვა ბევრი რამეები უთხრა. რუსებს ეს ისე მოეწონათ, რომ „ურა!“ იძახეს. ყველა განაიარაღა და გაანთავისუფლა“ (ალ. კარგარეთელი) (54. 22).

ალ. კარგარეთელის გარდა, სვიმონიანთხევში 6 სექტემბერს გამართული ბრძოლის შესახებ ცნობები დაცულია მისი მონაწილეების: შალვა ამირეჯიბის და ალექსანდრე სულხანიშვილის მოგონებებში, აგრეთვე, რემონ დიუგეს ნაშრომში „მოსკოვი და წამებული საქართველო“ (9. 36-37; 33. 124; 106. 239-243).

შალვა ამირეჯიბი აღნიშნავს, რომ სწორედ სვიმონიანთხევში ყოფნის დროს შეიტყვეს მათ „დამოუკიდებლობის კომიტეტის“ მიერ გამოცემული პროკლამაციის შესახებ, რომელიც აჯანყებას დამარცხებულად თვლიდა და ხალხს იარაღის დაყრისაკენ მოუწოდებდა. „ეს არასასიამოვნო ამბავი შეგვეძლო არ დაგვეჯერებინა და ბოლშევიკურ ფანდად მიგვეჩნია, მაგრამ, სამწუხაროდ, შემოწმების შემდეგ ცნობა მართალი გამოდგა“ (9. 36-37).

სვიმონიანთხევიდან ქაქუცა ჩოლოყაშვილი, თიანეთის გავლით, კახეთისკენ გაემართა, სადაც აჯანყების შემოტრიალების იმედი კიდევ ჰქონდა. შეფიცულები პატარა მდინარე ხევგრძელასთან მდებარე ტყეში დაბანაკდნენ, სადაც მათ მოულოდნელად თავს არტილერიით შეიარაღებული წითელი არმიის ნაწილები დაესხნენ. ბოლშევიკების მიზანს ქაქუცა ჩოლოყაშვილის მოკვლა ან ტყვედ ჩაგდება წარმოადგენდა, მაგრამ ამ უკანასკნელის ბრწყინვალე სამხედრო-ტაქტიკური ნიჭის და გამოცდილების წყალობით, ეს ბრძოლაც რუსების სამარცხვინო დამარცხებით დამთავრდა.

შალვა ამირეჯიბის ცნობით, „მოვედით ხევ-გრძელაზედ. ეს პატარა მდინარე ერწოსა და თიანეთის მიჯნაზედ ჩამოდის და ერთვის უფრო მოდიდო მდინარეს — ილტოს, რომელიც ალაზანში ჩადის. ადგილი მაგარი, მთიანი და ტყიანი იყო. ხალხიც რამდენიმე დღის უჭმელი და უძილო. არავითარი საბუთი არ იყო, რომ მტერი ასეთ ადგილებში შემოვიდოდა და ქაქუცამ გადაწყვიტა რაზმი აქ დაესვენებინა. საჭმელზედ კაცები გაგზავნა, ხოლო დანარჩენებს ნება მისცა ცხენებისათვის უნაგირი მოეხადათ. მალე ცხვარი და ხმიადიც მოიტანეს და რაზმი დანაყრდა. ზოგი მიწვა, ზოგმა მდინარეში საცვალის რეცხვა იწყო, ზოგმა ცხენების ბანვა. ცხენები სულ დარჩეული, კომუნისტური, იყვნენ და თავისი დავლა ბიჭებს დიდად ახარებდა. ქაქუცას, სპირიდონ ჭავჭავაძესა და მე ნაბადი გაგვიშალეს და მივწექით.

ჯერ რული არ მოგვკიდებოდა, რომ თოფი გავარდა. ქაქუცა წამოიჭრა. მოირბინა ყარაულმა და მოახსენა, რომ რუსები ტყეში შემოსულიყვნენ, მაგრამ ტყეში შემოსვლა არაფერია. რუსები უკვე თოფსა და ტყვიამფრქვეველებს გვიშენდნენ და მათ თავებს ოცდაათ ნაბიჯზედ ვხედავდით. ტყვიისმფრქვეველი ისე ლეწდა ხშირი ტყის ტოტებს, თითქოს წალდით სჭრიანო. ჩვენი ბანაკი შეინძრა. მძინარენი, თუ განზედ გასულები, ერთად მოგროვდნენ. მოულოდნელმა თავდასხმამ პირველში ჩოჩქოლი შექმნა, მაგრამ ეს ჩოჩქოლი ერთ წუთზედ მეტს არ გაგრძელდა. რუსები ორი ადგილიდან ისროდნენ. ქაქუცამ უბრძანა რაზმს უკან გადაენაცვლა, ხაზი დაეჭირა, ხოლო ერთ ჯგუფს ტყვიისმფრქვეველისათვის მოევლო.

მერე ეს დარაზმული ხალხი სროლით და ყიჟინით წითელ არმიელებზედ მიუშვა და, ოსტატურად, შემოპარული მტერი, ქვევით, ხევგრძელაზედ, დააქანა. ჩვენებმა კარგა მანძილზედ სდიეს. დაგვეჭრა მხოლოდ ერთი ცხენი, რუსის სალდათებს კი რამდენიმე კაცი. მთელი ეს ამბავი, მათი ჩვენზედ თავდასხმა, ჩვენგან მათი გარეკვა, დევნა და სწორედ ხევ-გრძელაზედ დაშვება, თხუთმეტ წუთზედ მეტი არ გაგრძელებულა. ქაქუცამ ბრძანა ცხენების შეკაზმვა და ამ ადგილიდან წასვლა. ამ დროს გაისმა ზარბაზნების გრიალი. ჩვენ ყური მივუგდეთ — ჩვენსკენ ხომ არ ისროდნენ და ვიცინოდით, რომ მათი ყუმბარა ჩვენ ვერ გვწვდებოდა და მალე სულ სამშვიდობოს ვიქნებოდით.

ნამდვილად კი, იქვე ჩვენს ახლოს, დიდად საყურადღებო ამბავი ხდებოდა. წითელი ჯარის ნაწილები, იმ წუთში, ჩვენთვის არაფერს წარმოადგენდა, რადგან იმ დღეებში ღმერთი ჩვენ მხარეზედ იყო და ქაქუცა კომუნისტებს ყველგან ერეკებოდა. აღსანიშნავი იყო მხოლოდ ის გარემოება, რომ წითელ არმიელები ტყეში შემოვიდნენ. უნდა ვაღიაროთ, რომ მათი საქციელი ფრიად თამამი იყო და არც უბრალო ავანტურა. მხოლოდ შემდეგ შევიტყვეთ, რომ ეს იყო ფრიად ოსტატური გეგმა ქაქუცას ხელში ჩასაგდებად განზრახული და თამამად წარმოებული.

ეს გეგმა შემდეგი იყო: მანგლისზედ თავდასხმის შემდეგ კომუნისტებმა ქაქუცას კვალი დაკარგეს. ის აღმოაჩინეს მხოლოდ დუშეთში და ამის შემდეგ კვალ-და-კვალ დასდევდნენ. პირველი ბარიერი სვიმონიანთხევში გაუმართეს, მაგრამ ქაქუცამ გაჰფანტა ისინი. რადგანაც მათ კარგად იცოდნენ, რომ ერწოდან კახეთში გადავდიოდით, ამიტომ ქვეითი ჯარი და არტილერია გზაში დაახვედრეს. მათი რაზმის დანიშნულება, რომელიც ტყეში შემოგვეპარა, იყო ქაქუცა თავისი რაზმით ხევ-გრძელაზედ დაექანებინა, სადაც, მოხერხებულ ადგილას, მთავარი ძალები იყვნენ ჩასაფრებული. დამარცხებული ავკანყების, ან მკვდარი, ან ცოცხალი მის მეთაურის ასე ხელში ჩაგდება, გამარჯვებული კომუნისტებისათვის დიდი დავლა და ტრიუმფი იქნებოდა. გეგმა ოსტატური და გაბედული იყო, მაგრამ ქაქუცამ ეს გეგმა გადაუყირავა და თითონ ეს რუსის რაზმი დაუშვა, მოხერხებული ტაქტიკით, ხევგრძელაზედ.

იქ მომლოდინე რუსის ჯარმა იფიქრა, რომ მორბოდა ქაქუცას რაზმი და ზარბაზანი დაუშინა. რადგან ზარბაზნის სროლა დიდხანს ისმოდა, ადვილად წარმოსადგენია, რა ზარალს მიაყენებდნენ ისინი თავის რაზმს. მოკლედ, ამ დღეს რუსის წითელმა ლაშქარმა ერთმანეთი ულიტა. ეს ამბავი ჩვენ მაშინვე გავიგეთ და შემდეგ, კიასხევში რომ ჩავედით, სხვებმაც დაგვიმოწმეს. ბოლშევიკებს ფარდაგგადაფარებული ურმით ჩამოჰქონდათ თელავში თავისი მკვდრები და დაჭრილები და სოფლის ხალხს ეუბნებოდნენ, რომ ქაქუცას რაზმელები არიანო. ასეთი

მარცხის შემდეგ იყო, რომ ჩეკისტი მიასნიკოვი საჯარო ლექციაზედ ტფილისში ამბობდა: თავის მოქმედებაში ჩოლოყაშვილი ისეთ პარტიზანულ ტაქტიკას მიმართავს, რომ მასთან რეგულარული ჯარის ბრძოლა უშედეგოაო. ქაქუცამ რომ ამ თავისი ტაქტიკით ბოლშევიკებს იმ დღეს ერთმანეთი აულეტინა, მიასნიკოვს, რა თქმა უნდა, არაფერი უთქვამს" (9. 36-37).

ხევგრძელაზე გამართული სახელოვანი ბრძოლის აღწერილობა, მცირეოდენი სახეცვლილებებით, მოიპოვება მისი სხვა მონაწილეების — ალექსანდრე სულხანიშვილის და ალექსანდრე კარგარეთელის მოგონებებში, აგრეთვე, რემონ დიუგეს ნაშრომში. მათი ცნობები ერთმანეთს ავსებს და ისტორიული სინამდვილის აღდგენაში გვეხმარება (33. 125-126; 54. 23-24; 106. 243-244).

სამწუხაროდ, 1924 წლის სექტემბერში ხევგრძელასთან გამართული ბრძოლა „შეფიცულთა" რაზმისთვის უკანასკნელი აღმოჩნდა. ქაქუცამ დაიწყო თბილისის დაზვერვა, რათა გაეგო, შეიძლებოდა თუ არა ქალაქის აღება, მაგრამ უკვე გვიან იყო — ბოლშევიკებს ყველგან ზომები მიეღოთ. მან მდგომარეობის გამოსარკვევად თბილისში შალვა ამირეჯიბი გაგზავნა.

სწორედ იმ დროს, როდესაც ქაქუცა ჩოლოყაშვილი თავის შეფიცულებთან ერთად გმირულად იბრძოდა რუსი დამპყრობლების წინააღმდეგ, საქართველოში წითელი ტერორის მანამდე უმაგალითო ტალღა აგორდა — როგორც შემდგომში თვითონ სერგო ორჯონიკიძემ აღიარა სსრკ ცენტრალური კომიტეტის 1924 წლის ოქტომბრის პლენუმზე ლევ ტროცკის შეკითხვის პასუხად, „მივმართეთ მასობრივ დახვრეტებს, იქნებ ცოტა გადავაჭარბეთ, მაგრამ ამას ახლა რაღა ეშველება" (1. 8; 18. 19; 91. 54; 140; 141. 103-107).

საქართველოს კომპარტიის ცკ-ის მაშინდელი მდივანი მიხეილ კახიანი გაზეთ „კომუნისტში" აღფრთოვანებით წერდა: „უხერხემლო მენშევიკებმა დატუსაღებული ერთი ჩვენი ამხანაგის დასჯაც ვერ გაბედეს, მაშინ როდესაც ჩვენ მათი ამხანაგები ათასობით დავხვრიტეთ" (22. 25; 58. 5;).

სენაკის მაზრის კომუნისტური რაზმის მეთაური დავითაია აღნიშნავდა: „თითოეულ კომუნისტს გვწყუროდა ღვინოსავით გვესვა აჯანყებულთა სისხლი" (111. 255).

აჯანყების პირველსავე დღეს თბილისის სატუსაღოებიდან გამოიყვანეს და დახვრიტეს პოლიტიკური პატიმრები, რომლებიც რამდენიმე თვით ადრე იყვნენ დაპატიმრებულები და, ცხადია, აჯანყებაში მონაწილეობასაც ვერ მიიღებდნენ (24 კაცი). კახეთის ყველა ორგანიზაციის

ხელმძღვანელი 29 აგვისტოს ღამით დაიჭირეს და მაშინვე დახვრიტეს (3; 55; 104;).

ვალიკო ჩუბინიძე თავის მოგონებებში აღნიშნავდა: „დღისით ჩეკას სარდაფებს ავსებენ ციხეებიდან გადაყვანილ პატიმრებით, ქუჩებში და ბინებზე ახლად დატყვევებულ უდანაშაულო მოქალაქეებით. ღამ-ღამობით კი სერგიევის და პეტრე დიდის ქუჩებიდან სამი მიმართულებით ეზიდებიან საბარგო ავტომობილები ხელ-ფეხ გაკრულ მამულიშვილთა ჯგუფებს. საბურთალოს, ორთაჭალის და კოჯრის მხარეზე მათ მოელის უწმინდურ ხელით გათხრილი წმინდა და საძმო საფლავები. 30, 31 აგვისტოს მეტეხის ციხიდან წაიყვანეს და წინასწარ სასჯელის გამოუცხადებლად დახვრიტეს 146 პოლიტპატიმარი. ამიერკავკასიის, საქართველოს და რკინიგზის საგანგებო კომისიებიდან (ჩეკა) გაყვანილ და დახვრეტილ იქნა 120 ადამიანი, რომელთა შორის რამდენიმე ქალიც იყო. საგუბერნიო ციხიდან 7 კაცი. ციხეების საავადმყოფოებიდან გაიყვანეს მძიმე ავადმყოფები რიცხვით 14 კაცი.

სხვადასხვა კუთხეებში დახვრიტეს: ქ. ბათუმში – 100-მდე კაცი; ქ. სამტრედიის რაიონში (ახლომდებარე სოფლებით) – 90-მდე; ქ. ფოთში – 20 კაცი; ქ. ოზურგეთში – 8 კაცი; სამეგრელოში (ზუგდიდის და სენაკის მაზრებში) – 800 კაცი. დიდი უმრავლესობა (90 პროცენტი) ამათი იყო სოფლის მშრომელი გლეხკაცობა; ქუთაისში – 300 კაცი, მათ შორის, ბევრი გამოჩენილი ქართველი მოღვაწეები, ექიმები, ინჟინრები, მასწავლებლები და მოწინავე მუშები, აგრეთვე, დასავლეთ საქართველოს არქიეპისკოპოსი მიტროპოლიტი ნაზარი; ქუთაისის მაზრა (ხონი, ბაღდათი და მათი რაიონები) – დამსჯელმა ექსპედიციებმა მოახდინეს საშინელი განადგურება. გადაწვეს სახლები, წაართვეს გლეხობას სარჩო-საბადებელი და დახვრიტეს 150 კაცი; ჭიათურასა და ზესტაფონში – 200; რაჭა-ლეჩხუმში – 300; ზემო სვანეთში ბრძოლა 25 სექტემბრამდე გრძელდებოდა და დიდი მსხვერპლი იყო. 14 კაცი კი სვანეთიდან წაყვანილ და დახვრეტილ იქნენ სამეგრელოში; ქ. ხაშურში – 29 კაცი; ქ. გორში – 400-მდე; გორის მაზრაში (ქალაქის გარდა) – 500-მდე, რომელთა შორის 26 მღვდელი, 2 ქალი, დანარჩენი მშრომელი გლეხკაცობა და ინტელიგენცია; დუშეთსა და დუშეთის მაზრაში – 150; კახეთში (თელავისა და სიღნაღის მაზრა) ამოწყვეტილია დიდი ნაწილი თავად-აზნაურობისა – 300 კაცამდე; ბორჩალოს მაზრაში მაჰმადიანთა და ქართველთა შორის – 70; მანგლისსა და სართიჭალაში – 200-მდე.

აფხაზეთიდან და ახალციხე-ახალქალაქის რაიონებიდან დაპატიმრებულები აქ, მეტეხში, არ ჩამოუყვანიათ, ამიტომ ჩვენ შეძლება არ გვქონდა, გამოგვერკვია იქ დახვრეტილთა რიცხვი. ამრიგად, მთელ

საქართველოში დახვრეტილთა და დახოცილთა რიცხვი, რამდენათაც ჩვენ შევძელით აქ მოყვანილ პატიმართა ცნობებით გამოგვერკვია, აღწევს სამი ათას ცხრაას თვრამეტ კაცს, თუმცა დახვრეტილთა რაოდენობა მნიშვნელოვნად მეტია“ (2. 21; 133. 241-243, 249).

1924 წლის აჯანყების ჩახშობის დროს საბჭოთა ოკუპანტების მიერ ჩადენილ დანაშაულთაგან რამდენიმე საგანგებოდ უნდა გამოვყოთ და დავასახელოთ:

ხელისუფლებამ ჭიათურისა და საჩხერის მეამბოხენი შეირიგა, იარაღაყრილი ხალხი, დაახლოებით 150 კაცი, თბილისში გასაგზავნად ოთხ საბარგო ვაგონში ჩაკეტა. ვაგონებში ისეთებიც იყვნენ, რომლებსაც აჯანყებაში არავითარი მონაწილეობა მიუღიათ. გზაში, კერძოდ, ზესტაფონის სადგურში, არგვეთის ჩიხში, მატარებელი გააჩერეს და დაკეტილ ვაგონებში ხალხი ტყვიამფრქვევებით ამოჟლიტეს. შემთხვევით გადარჩა მხოლოდ გვამების ქვეშ მოყოლილი ზურაბ წერეთელი, მაგრამ ისიც ფსიქიურად დაავადდა. ამ ოპერაციას ხელმძღვანელობდა ცნობილი სადისტი, 1924 წლის აჯანყების დროს ჭიათურისა და საჩხერის რაიონებში მოქმედი დამსჯელი რაზმის უფროსი ილარიონ (ვალიკო) ტალახაძე (22. 24;).

1924 წლის რეპრესიების დროს ყველაზე მძიმე დღეში ისედაც უკიდურესად შევიწროებულ მდგომარეობაში მყოფი ქართველი თავადაზნაურობა აღმოჩნდა — კომუნისტურმა ხელისუფლებამ მათ შეუსია დეზინფორმირებული და ეგზალტირებული გლეხობის ნაწილი, რომლის მთავარ მიზანს სხვისი ქონების მითვისება წარმოადგენდა. ისინი მოქმედებდნენ საბჭოთა საქართველოს ერთ-ერთი ლიდერის — ლევან ღოღობერიძის შემდეგი მოწოდების შესაბამისად: „თქვენ იცით, ამხანაგებო, რომ საქართველოში 6 პროცენტი თავად-აზნაურობისაა. ეს არაჩვეულებრივი პროცენტია, რომელიც არც ერთ ქვეყანაში არ არის. თუ გინდ პოლონეთის პანების სამეფოშიც, სადაც თავადაზნაურობის პროცენტი ოთხ პროცენტს აღწევს. ჩვენ უნდა შევამციროთ საქართველოში თავად-აზნაურობის პროცენტი“ (31. 406-408;).

მართლაც, როგორც თვითონ ს. ორჯონიკიძე აღიარებდა, აგვისტო-სექტემბრის მოვლენების დროს დახვრეტილთა 95% თავადაზნაური იყო. ყველაზე დიდი ტრაგედია გორის მაზრის სოფელ რუისში დატრიალდა, სადაც თითქმის მთლიანად ამოწყვიტეს თავადაზნაურთა რამდენიმე საგვარეულო: ფანიაშვილების, კლიმიაშვილების და მამაცაშვილების. ფანიაშვილების ოჯახი შედგებოდა ოთხი მამაკაცის, ხუთი მანდილოსნის და თხუთმეტი ბავშვისგან — სამიდან თოთხმეტ წლამდე. ბავშვები ზოგი აკვანში ჩასრისეს, ზოგი სარებზე ჩამოაცვეს და ზოგსაც

აივნიდან ისროდნენ. ქალები ჯერ გააუპატიურეს, შემდეგ კი ხანჯლებით დახოცეს (58. 5; 60. 72-73;).

ამ ტრაგედიის დროს სასწაულებრივად გადარჩენილი ფანიაშვილების ოჯახის მცირეწლოვანი წევრი – ზურაბ ფანიაშვილი შემდგომში იგონებდა: „ფანიაშვილები რუისის თავადები ვიყავით. ერთ დღესაც გაგვიყვანეს და ფანიაშვილების მთელი უბანი დაცხრილეს. მერე ამბობდნენ, ამ მასობრივ ხოცვა-ჟლეტას ლევან ღოღობერიძე ხელმძღვანელობდაო. იმ დაჭრილებიდან ბევრი ცოცხალ-მკვდარი დამარხეს. ერთ-ერთი ასეთი 106 კაციდან მეც ვიყავი. გვამები ერთად ჩაყარეს სამი მეტრის სიღრმის სარკოფაგში და ზემოდან მიწა დაგვაყარეს“ (32. 4).

კახეთში, სოფელ ბაკურციხეში, ყველა ადგილობრივი თავადი დაიჭირეს. შეჰყარეს საბჭოს შენობაში. მერე დაიწყო მიტინგი, რომლის დასრულების შემდეგ მისი მომწყობნი – მილიციელები და კომკავშირლები შეიჭრნენ თავად ადამ ვაჩნაძის მარანში და საშინლად გამოთვრნენ. შემდეგ მათ დაპატიმრებულები გამოიყვანეს საბჭოს შენობიდან და ქვებით ჩაქოლეს (12. 13).

თავადაზნაურთა გარდა, ოკუპანტებმა საქართველოში დახვრიტეს არა ერთი ცნობილი პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე, მუშა, გლეხი და სხვ, მათ შორის, ვასილ ცაბაძე, ვიქტორ ცენტერაძე, დავით (დათიკო) დვალი, გაბრიელ ცისკარიშვილი, დავით ქარცივაძე („მეჩონგურე“), ილიკო კოპალეიშვილი, აღთი გორდელაძე, გენერლები ყარალაშვილი, ფურცელაძე, პოლკოვნიკი ნესტორ გარდაფხაძე, მუშნი და ოთარ დადიანები და სხვ. (33. 122; 133. 236).

და არა მარტო საქართველოში ანადგურებდნენ კომუნისტები პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს, არამედ მათ დახვრიტეს რუსეთის ციხეებში მყოფი 29 ქართველი პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე, რომლებსაც 1924 წლის აჯანყებაში არანაირი მონაწილეობის მიღება შეეძლოთ. აჯანყების დაწყებამდე მძევლებად აყვანილი ცნობილი მოღვაწეები: ნოე ხომერიკი, ვალიკო ჯუღელი, ბენია ჩხიკვიშვილი, ვასილ ნოდია, გოგიტა ფალავა და გიორგი წინამძღვრიშვილი სუზდალის ციხეში ჰყავდათ ჩამწყვდეული, ხოლო აჯანყების დაწყებისთანავე კავკასიისაკენ დააბრუნეს და გზაში, სადღაც – მოსკოვსა და როსტოვს შუა, რომელიღაც სადგურზე დახვრიტეს (22. 25; 69. 2; 74. 71; 87. 12;).

რეპრესიები მთელ საქართველოში აჯანყების ჩახშობის შემდეგაც გაგრძელდა. აჯანყების ბევრი მონაწილე, თუ ეჭვმიტანილი ყოველგვარი გამოძიებისა და გასამართლების გარეშე დახვრიტეს. წითელი ტერორის მსხვერპლთა ზუსტი რაოდენობა, გასაგები მიზეზების გამო, ცნობილი არაა, თუმცა არსებობს სავარაუდო ციფრები. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ვალიკო ჩუბინიძე მიუთითებს 3918 დაღუპულს, მაგრამ

იქვე უმატებს, რომ „დახვრეტილთა რაოდენობა მნიშვნელოვნად მეტია“ (2. 21; 133. 241-243); „საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მოკლე ისტორიაში“ მითითებულია, რომ „რამდენიმე დღის განმავლობაში საქართველოში დახვრეტილ იქნა 4000-ზე მეტი ადამიანი“ (101. 37); 1924 წლის აჯანყების ერთ-ერთმა მეთაურმა, საბჭოთა ხელისუფლებისაგან უკვე მსჯავრდებულმა „დამკომის“ თავმჯდომარემ – კოტე ანდრონიკაშვილმა მსხვერპლის შესახებ შემდეგი ცნობები მიაწოდა 1925 წელს თბილისში მყოფ საფრანგეთის მუშათა პროფკავშირულ დელეგაციას: „აჯანყებასთან დაკავშირებით, ჩვენი მონაცემებით, გაუსამართლებლად სიკვდილით დასჯილია ოთხი ათასზე მეტი ადამიანი, რამდენიმე ასეული გასახლებული რუსეთში... ბევრია კიდევ მსხვერპლი, რომლის რაოდენობა ჩვენ ჯერ არ ვიცით (58. 5; 60. 72-73); ნოე ჟორდანია თავის სტატიაში „რა მოხდა?!“ ასახელებს 5000 დაღუპულს (22. 25); იოსებ ირემაშვილის თქმით, „1924 წლის 29 აგვისტოს აჯანყებაში 6000 კაცი დაიღუპა“ (51. 95); რემონ დიუგე წერს: „ზუსტად არავინ იცის, მაგრამ ამბობენ, ამ ველური რეპრესიების შედეგად 7000 ადამიანი დაიღუპაო“ (33. 121); დაღუპულთა შესახებ სრულიად განსხვავებულ ციფრს მიუთითებს სერგო ორჯონიკიძე: „აჯანყების ჩახშობის დროს სულ დახვრეტილი და მოკლულია 980 კაცი“ (36. 3).

ამჟამად ქართულ ისტორიოგრაფიაში 1924 წლის აჯანყების მსხვერპლთა სავარაუდო რაოდენობად მიჩნეულია 4-7 ათასი ადამიანი (138. 45).

აქვე გვსურს მოვიტანოთ ამონარიდი სსრკ საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის – გიორგი ჩიჩერინის განცხადებიდან, საქართველოს შესახებ „ერთა ლიგის“ მიერ 1924 წლის სექტემბერში მიღებულ რეზოლუციასთან დაკავშირებით, საიდანაც ძალიან კარგად ჩანს ტრადიციული რუსული პოლიტიკური ცინიზმი: „ე. წ. „ერთა ლიგის“ წმინდა აგიტაციური გამოსვლა და წმინდა ბუტაფორიული ე. წ. აჯანყება საქართველოში ერთი და იგივე გეგმის შემადგენელ ნაწილებს წარმოადგენს. უიმედო, სრულიად დეკორატიული აფეთქება საქართველოში შეკვეთილია მათ მიერ, ვინც მას შემდგომში საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ მიმართული საავიტაციო კამპანიის და, კერძოდ, მასთან შეთანხმებების წინააღმდეგ იყენებდა. მთელი რიგი დოკუმენტები დამაჯერებლად ამტკიცებს, რომ უიმედო ქართული აფეთქება შეკვეთილი, მომზადებული და მხარდაჭერილი იყო ბურჟუაზიული მთავრობების მიერ. ერთა ლიგის სრულიად დაუშვებელმა რეზოლუციამ, რომელიც სსრ კავშირის საშინაო საქმეში უხეშ ჩარევას წარმოადგენს, საბოლოოდ გახსნა ჩვენი მოწინააღმდეგეების კარტები. ისინი განგებ ცდილობენ, შექმნან ცრუ

აჯანყება იმისათვის, რათა გამოიყენონ ის თითქოსდა მრავალრიცხოვან სახელმწიფოთა აგიტაციური გამოსვლებისათვის და დარტყმა მიაყენონ საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობას, მოახდინონ მისი დისკრედიტაცია და იზოლირება“ (116. 533).

ქაქუცა ჩოლოყაშვილი სამი კვირის განმავლობაში ელოდა დედაქალაქიდან ცნობებს... საუბედუროდ, ბოლოს შეიტყო ქართველი ხალხის დამარცხების ამბავი. აუცილებლად იქნა მიჩნეული საქართველოს დატოვება, რადგანაც უამისოდაც დიდი მსხვერპლის კიდევ უფრო გამრავლება იყო მოსალოდნელი. ელიზბარ მაყაშვილი წერს, რომ ქაქუცამ შეკრიბა შეფიცულები და შემდეგი სიტყვებით მიმართა: „უნდა დავტოვოთ, ძმებო, საქართველო. ჩვენი აქ ყოფნით დაიღვრება უდანაშაულო სისხლი მცხოვრებთა. ათასობით დატყვევებულნი მძევლებად არიან გამოცხადებულნი, გამომწყვდეულნი საპატიმროებში. უნდა დავტოვოთ ჩვენი მიწა-წყალი. მტერთან ბრძოლა არ გათავებულა. ვიმედოვნებ, კვლავ დავუბრუნდებით ჩვენს მიწა-წყალს და საერთო ყიჟინით ვეკვეთებით მტერს, მოვიპოვებთ სამუდამო გამარჯვებას და ავაფრიალებთ ქართულ სამფეროვან დროშას!“ (75. 30).

„შეფიცულთა“ რაზმის ემიგრაციაში წასვლის იგივე მოტივს ასახელებს ნიკო ნაკაშიძეც: „რათა ქართველი ხალხის ჟლეტა ცოტა მაინც შესუსტებულიყო, ქაქუცას უნდა დაეტოვებინა საყვარელი სამშობლო და უცხოეთს გადახვეწილიყო. მტერი ვერ ითმენდა მის იქ ყოფნას და უიარაღო ხალხსა ჟლეტდა. ყოველი ქართველი იმ იმედით სცხოვრობდა, რომ ქაქუცა მალე დაბრუნდებოდა და ერს უხელმძღვანელებდა“ (125. 617).

კახეთიდან წასვლის წინ ქაქუცამ უკანასკნელად ნახა თავისი ახლობლები, გამოემშვიდობა ოჯახის წევრებს. ამასთან დაკავშირებით, არსებობს მისი მეზობლის, ჩვენს მიერ ზემოხსენებული ბაბე ქიტაშვილის მოგონება: „ქაქუცამ აჯანყების დამარცხების შემდეგ, გადაწყვიტა უცხოეთში წასულიყო თავის შეფიცულებთან ერთად. იგი გამოემშვიდობა რა ოჯახს, გამომემშვიდობა მეც და მითხრა: „ბაბალე, მე რომ წავალ, ჩადი თქვენს ვენახში..., მოჭრილი კაკალი რომ დგას, მის ბაყილოში (მოჭრილი კაკლიდან ამოყრილი ყლორტი) ჩემი იარაღი იქნება დამალული. შენ ვითომ შემთხვევით ნახე, მაშინვე ადგილობრივ ხელისუფლებას შეატყობინე“. ასეც მოვიქეცი, მოვიდნენ ხელისუფლების წარმომადგენლები. ერთ-ერთმა თქვა: „ეს იარაღი ქაქუცასი იქნება“-ო. დაუდეს ცხენის ურემზე და წაიღეს“ (84. 42).

კახეთიდან თურქეთის სახელმწიფო საზღვრისკენ მიმავალმა შეფიცულებმა გზად გარე კახეთი, დავით გარეჯის მონასტერი, ყარაიაზის ველი, ქვემო ქართლი და თრიალეთი გაიარეს. მგზავრობის დროს მათ

უამრავი ხიფათის გადატანა მოუხდათ, რადგან მდევარი კვალდაკვალ მისდევდათ.

ალ. სულხანიშვილის ცნობით, ამ პერიოდში მთელი რაზმი უსახსროდ იყო. ზოგიერთებს ქაქუცა ჩოლოყაშვილისთვის უთხოვიათ, ნება მოგვეცი, რომელიმე სახელმწიფო დაწესებულება გავძარცვოთო, რაზეც ქაქუცას ასე უპასუხია: „ხომ იცით, რომ კომუნისტები ყაჩაღებს გვეძახიან ჩვენ; ცდილობენ, ხალხი დაარწმუნონ, რომ ჩვენ მართლა ყაჩაღები ვართ და არა პოლიტიკური მებრძოლები. ჩვენ რომ ახლა, ამ წასვლის წინ, სადმე დავეცეთ და ფული გავიტაცოთ, მაშინ კომუნისტები ხალხს ეტყვიან: აი, ხომ გეუბნებოდით, რომ ეგენი ყაჩაღები არიან, ფული გაიტაცეს და საზღვარგარეთ გავიდნენო! ამას ნუ გავაკეთებთ. აქამდისინ გაჭირვებით, მრავალჯერ შიმშილითაც ვემსახურეთ სამშობლოს ინტერესებს და ახლა თავს ნუ გავიჭუჭყიანებთ“. ბოლოს, ყველა დაყაბულდა ქაქუცას აზრს. ასე აღმოჩნდით სამშობლოს ფარგლებს მიღმა ღვთის ანაბარა“ (106. 254-255).

ბოლოს, თურქეთიც გამოჩნდა. „ჯერ კიდევ საქართველოს მიწა-წყალზე მყოფმა ბელადმა ერთი მუჭა საქართველოს მიწა პატარა ტოპრაკში გამოჰკრა, მოწიწებით ემთხვია დედამიწას და ძაფით ყელზე ჩამოიკიდა. ეხლა იქით, იწყებოდა უცხოეთის მიწა“ (ე. მაყაშვილი) (75. 31).

ს. ზალდასტანიშვილის შეფასებით, რომელსაც ჩვენ მთლიანად ვეთანხმებით, „სამი წლის განმავლობაში შიშველ-ტიტველმა, მშიერ-მწყურვალმა ქაიხოსრო ჩოლოყაშვილმა პირნათლად შეასრულა თავისი მოვალეობა სამშობლოს წინაშე. ქართველი ერი ამაყობს მისი სახელით“ (43. 38).

ქართულ საზოგადოებრიობაში იმთავითვე წინააღმდეგობრივი აზრი არსებობდა (და დღესაც ასეა) 1924 წლის აჯანყების მოწყობის მიზანშეწონილობის თაობაზე. ამასთან დაკავშირებით, საყურადღებოა გერმანელი პროფესორის – ერიხ ობსტის მოსაზრება, რომელიც 1924 წლის შემოდგომაზე თბილისში იმყოფებოდა და იმავე წლის დეკემბერში გერმანულ ჟურნალში „Zeitschrift fuer Geopolitik“ დაბეჭდა სტატია სახელწოდებით „საქართველო – გეოპოლიტიკური ნარკვევი“. მისი თქმით, „ქართულმა ინტელიგენციამ, 1924 წლის ზაფხულში, გლეხებთან და მუშებთან ერთად, იარაღს ხელი სტაცა – ჩაიდინეს ეს მათ სამშობლოს მიმართ წმიდა და თავდადებული სიყვარულისა გამო. მათ მიმართეს ამ უკიდურესობას იმ შეგნებით, რომ სხვაგვარად, მთელი ქართველი ხალხის მიერ ნანატრი ეროვნული დამოუკიდებლობა მიუღწეველი არისო“ (83. 7-8).

III თავი — ქაქუცა ჩოლოყაშვილი და „შეფიცულთა“ რაზმი ემიგრაციაში (1924 წ. სექტემბერი-1930 წ. ივნისი)

ქაქუცა ჩოლოყაშვილმა სამშობლო 1924 წლის სექტემბრის ბოლოს (ზუსტი თარიღი არცერთ წყაროში მითითებული არ არის — გ. ს.) დატოვა და „შეფიცულთა“ რაზმის ნაწილთან ერთად თურქეთის სასაზღვრო სოფელ ზურზუნაში (იგივე ძურძუნა, თანამედროვე ქალაქი ჩილდირი — გ. ს.) გადავიდა. „გავაკეთეთ თეთრი ბაირაღი, გადავედით საზღვარს და... ჩავედით ამ სასაზღვრო დასახლებაში“ (ალ. სულხანიშვილი) (11. 15; 106. 253).

როგორი განწყობით გადაჰკვეთდა ქაქუცა ჩოლოყაშვილი თურქეთის სახელმწიფო საზღვარს, ძნელი წარმოსადგენი არ არის. ტყვეობაში მყოფ სამშობლოს გარდა, მის გულს მოურჩენელ იარად აწვა ძვირფას ადამიანებზე დარდი. ქაქუცამ კარგად იცოდა იმ სასტიკი დევნის შესახებ, რომელიც მისი ახლობლების წინააღმდეგ წარმოებდა. ენით აუწერელია ის ტანჯვა-წამება, რაც ქაქუცას საფიცარმა ადამიანებმა: დედამ, მეუღლემ, შვილებმა და სხვ. გამოიარეს „ჩეკას“ ხელში. მათ დაიჭირეს ქაქუცას მეუღლე ნინო, 7 წლის თამარი და 3 წლის ქეთევანი. მაშინ იყო, თელავის მილიციის უფროსი ჭურღულია რომ უპირებდა მათ კასრში ცეცხლში დაწვას, მაშინ დახვრიტეს ქაქუცას სიმამრი ილია მელვინეთუხუცესი, მაშინ ჰქონდა დახვრეტის მუხლი მიყენებული ნინოს და რაღაც სასწაულით გადაურჩა სიკვდილით დასჯას. რომელი ერთი ჩამოვთვალოთ... ცხოვრება წამებად უქციეს ქაქუცას ქალიშვილებს: დევნა, გადასახლება, შიმშილი — აი, მათი ცხოვრების მუდმივი თანამდევი იმ წლებში.

ქაქუცა ჩოლოყაშვილთან ერთად საქართველო დატოვეს: სპირიდონ ჭავჭავაძემ, ელიზბარ ვაჩნაძემ, რაფიელ (რაფო) ერისთავმა, ალექსანდრე (საშა) სულხანიშვილმა, სერგო მაისურაძემ, ალექსანდრე ბადურაშვილმა (”ბადურამა”), ილია (ილიკო) ქარუმიძემ, ალექსი ცხვედაძემ, გიორგი (გოლა) პაულიაშვილმა, მერაბ ჯორჯაძემ, შალვა (შალიკო) ნებიერიძემ, ლევან (ლელო) ჩიქოვანმა, მიხეილ (მიშა) ლაშქარაშვილმა, დავით რევაზიშვილმა, გაბრიელ (გაბო) ბერბიჭაშვილმა, ვასილ (ვასო) მარჯანიძემ (ზოგიერთი წყაროს მიხედვით — მარჯანიშვილმა), ალექსი ფეიქრიშვილმა „ბათირამ“, სვიმონ (სიკო) (ზოგიერთი წყაროს მიხედვით — სოლომონ) ალიმბარაშვილმა, ზაქარია (ზაქრო) ალიმბარაშვილმა, შალვა (შალიკო) ჯავრიშვილმა, ლევან ჯავრიშვილმა, თომა ბექაურმა, ალექსანდრე (საშიკო) კარგარეთელმა და შამილ იქაიძემ.

მოგვიანებით მათ შეუერთდნენ სამეგრელოს აჯანყების მეთაურები: დავით მხეიძე, ჯონდი დადიანი და სარდიონ კუჭავა, აგრეთვე, ელიზბარ მაყაშვილი.

აქვე ჩამოვთვლით იმ პიროვნებებს, რომლებიც 1922-1924 წლებში, სხვადასხვა დროს, „შეფიცულთა“ რაზმის წევრები იყვნენ, მაგრამ, სამწუხაროდ, ან ბრძოლებში დაიღუპნენ, ან ტყვედ ჩავარდნენ და დახვრიტეს, ან რაიმე სხვაგვარი ფორმით (ვითომ შემორიგების დროს მოკვლა, გადაბირებული მეგობრების მიერ ღალატით მოკვლა და ა. შ.) საბჭოთა ტოტალიტარული სისტემის მსხვერპლნი გახდნენ: სოლომონ (სუსლიკ) ანდრონიკაშვილი, ირაკლი ბაკურაძე, მიხა ბალიაშვილი, თომა ბალიაური, გიორგი ბიძინაშვილი („კურდღელა“), გიორგი გვერდწითელი, აბიკა გიგაური (ალ. სულხანიშვილის მიხედვით — ჭინჭარაული), არჩილ ვაჩნაძე, ივანე (ვანო) ვაჩნაძე, ვასილ (ვასო) თამაზაშვილი, ილარიონ (ილიკო) იაშვილი, შალვა (შალიკო) კანდელაკი, იოსებ კახაშვილი, ბაღდუა კახუაშვილი, ლუკა კვალიაშვილი, კოხტაშვილი, სოსო ლოსაბერიძე, მალაქია მაისურაძე, მარგალიტაშვილი, ქარუმა მაძღარაშვილი (“ქიზიყელი ბიჭი”), მახმად-ელჩი, მოლაშვილი, მიხეილ (მიშა) ნაცვლიშვილი, ლადო ოზანელი, გაბრიელ (გაბო) ოზიაშვილი, იოსებ ოზიაშვილი, კოლა რაზმაძე, შალვა ფავლენიშვილი, დავით (დათიკო) ფარეულიძე, იოსებ ქიმბარიშვილი („ქიმბარი“), ივანე (ვანიჩკა) ყარანგოზიშვილი, სტეპკო ჩითინაშვილი, კონსტანტინე (კოტე) ჩოლოყაშვილი, სვიმონ (სიკო) ჩოლოყაშვილი, დიმიტრი ცისკარაული (ალ. სულხანიშვილის მიხედვით — ჭინჭარაული), ლონგინოზ ციხისთავი („ძია“), მიხეილ (მიხა) ხელაშვილი, დიმიტრი (მიტო) ხმალაძე, შალვა ჯამასპიშვილი და ის 18-20 წლის უცნობი ყმაწვილი, რომელიც ღალატით მოკლეს „ჩეკას“ მიერ „შეფიცულთა“ რაზმში შეგზავნილმა აგენტებმა.

ამ შეფიცულებმა სამშობლოს წინაშე თავიანთი ვალი პირნათლად მოიხადეს! ღმერთმა ნათელში ამყოფოს მათი სულები!

ზემოთ, სხვადასხვა ადგილას, მოვიხსენიეთ კიდევ რამდენიმე ადამიანი, რომელიც „შეფიცულთა“ რაზმში იმყოფებოდა, მაგრამ ან თავიდანვე „ჩეკას“ მიერ იყო იქ შეგზავნილი, ან შემდგომში უღალატეს თანამებრძოლებს: ქერიმა ქისტი, რომან ყანჩაველი, ტარასი ჩხეტიანი, შაშვიაშვილი, ვასო კანდელაკი და ჭავჭანიძე. ამ უკანასკნელთ, რასაკვირველია, ღირსეულ შეფიცულთა რიგში ვერ დავაყენებთ! მათ თვითონ გამოუტანეს განაჩენი საკუთარ თავს ისტორიის წინაშე!

ოსმალეთში გადასვლის შემდეგ ქაქუცა ჩოლოყაშვილმა და მისმა რაზმელებმა, საერთაშორისო კანონმდებლობის შესაბამისად, თურქ მესაზღვრეებს თავიანთი იარაღი ჩააბარეს, რის შემდეგაც ის ცნობილი

ფოტოსურათი გადაიღეს, რომელზეც, ქაქუცასთან ერთად, სპირიდონ ჭავჭავაძე, ალექსანდრე სულხანიშვილი, რაფიელ ერისთავი, ელიზბარ ვაჩნაძე და ლელო ჩიქოვანი არიან აღბეჭდილნი.

ალ. კარგარეთელისა და ალ. ბადურაშვილის მოგონებების მიხედვით, მეორე დღეს შეფიცულები ჯერ არტაანში (არდაგანში) გაემგზავრნენ, ხოლო იქიდან ართვინში გადავიდნენ (ალ. სულხანიშვილი ლტოლვილების მარშრუტში არტაანს არ ახსენებს და აღნიშნავს, რომ შეფიცულები ზურზუნადან პირდაპირ ართვინში ჩავიდნენ — გ. ს.). ალ. სულხანიშვილის თქმით, „ფული ყველას ერთად მხოლოდ 5 ჩერვონეცი" ჰქონდათ, ამიტომ, იძულებულნი გახდნენ, თავიანთი ცხენები გაეყიდათ.

ალ. ბადურაშვილის ცნობით, ართვინში ჩასულ შეფიცულებს 1924 წლის აგვისტო-სექტემბერში დასავლეთ საქართველოში მოწყობილი აჯანყების მეთაურები: პოლკოვნიკი სვიმონ წერეთელი, გიორგი წერეთელი, მირიან მელუა, შიო ქურიძე, შალვა ბერიშვილი, პროკოფი ინწკირველი და ილია სალუქვაძე შეხვდნენ.

ართვინში ქაქუცამ და მისმა რაზმელებმა იქირავეს რამდენიმე ოთახი ადგილობრივი ქართველის, ვინმე აიუბას, სასტუმროში, სადაც ორი კვირა დაჰყვეს. ე. მაყაშვილი წერს: „ქალაქ ართვინში დაბინავებულნი ელოდნენ ევროპას გამგზავრებას. მუდმივ მოძრაობასა და ბრძოლას შეჩვეულნი, მოწყენილობას გრძნობდნენ, ნაღვლიანად გამოიყურებოდნენ. გადმომსხდარნი ხშირად ართვინის პატარა ქედზე, გაჰყურებდნენ მთებს იქით მოფარებულს სამშობლოს. თითქოს, კიდევაც გრძნობდნენ საქართველოს მთების ნიავს. ბაასობდნენ, იგონებდნენ გადახდილ ბრძოლებს, ფიქრობდნენ დახოცილებზე სამშობლოსათვის, დაიმღერებდნენ ტკბილ მამა-პაპურ სიმღერებს, ანდა უსმენდნენ ხოლმე ბელადის სჯა-ბაასს" (75. 31).

„ორი კვირის განმავლობაში რაზმელებმა კარგად დაისვენეს და პატარა ნორმალური ცხოვრების ფერი დაედოთ. ცხენების გაყიდვიდან მეორე, თუ მესამე დღეს ხოფაში წასასვლელად გავემზადეთ, ქაქუცამ ყველას თანაბარწილად გაუყო ჩვენი ნავაჭრიდან გამორჩენილი ფული და ახლა ერთნაირად გამდიდრებულნი, დავიძარით ხოფისაკენ" (ალ. სულხანიშვილი) (106. 253-257).

ართვინიდან ფეხით წამოსულმა შეფიცულებმა გზად ქართული დასახლება ბორჩხა გაიარეს, რის შემდეგაც უღელტეხილის გავლით შავიზღვისპირა ქალაქ ხოფაში ჩავიდნენ. აქედან ისინი ჯერ რიზეში, შემდეგ — ტრაპიზონში, ბოლოს კი სტამბულში წავიდნენ, რათა იქიდან გემით საფრანგეთში, მარსელში, გამგზავრებულიყვნენ.

ალ. სულხანიშვილი დაწვრილებით აღწერს ამ მგზავრობის პერიპ-

ეტიებს: აღნიშნავს, რომ სტამბულში ჩასვლის შემდეგ თურქეთის ხელისუფლებამ ორი კვირის განმავლობაში მათ ხმელეთზე გადმოსვლის ნება არ მისცა; თურქეთში საქართველოს მთავრობის წარმომადგენელმა, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრმა კონსტანტინე გვარჯალაძემ შეფიცულების ერთმანეთისგან გაყოფა და მათი ერთი ნაწილის ორი-სამი წლით სამხრეთ ამერიკაში (ურუგვაიში თუ პარაგვაიში) არხების გასათხრელად გაგზავნა სცადა, „რომ იქ ჩავხოცილიყავით“. ამის მიზეზად კ. გვარჯალაძე საფრანგეთში არსებულ უმუშევრობას და უცხოელი ლტოლვილებისადმი ადგილობრივი ხელისუფლების ცუდ განწყობას ასახელებდა.

შეფიცულების მხრიდან გამოთქმული სასტიკი პროტესტის შემდეგ, კ. გვარჯალაძემ თავისი იდეის განხორციელებაზე ხელი აიღო; „გამოირკვა, რომ თურმე საფრანგეთში ყველას უშვებდნენ“; „ეს, რა თქმა უნდა, ტყუილი გამოდგა, ვინაიდგან მსოფლიო ომის შემდეგ, ფრანგებს, თურმე, მუშა დიდათა სჭირდებოდათ“; სოც.-დემოკრატები ბევრს ეცადნენ, რომ შეფიცულები არ შევეშვით საფრანგეთში, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ და ჩვენ მაინც შევედით საფრანგეთში“; „ძალიან უნდოდათ ქაქუცას მარტო წაყვანა პარიჟში, ეგონათ, უფრო ადვილად დაიმორჩილებდნენ მას. ასეთი გეგმის შემდგენელნი ბრძანდებოდნენ პარიჟში ერთი ნაწილი ყოფილი ჩვენი მთავრობისა“; „სტამბოლში დაგებულ ხაფანგს, როგორც იყო, თავი დავაღწიეთ“ (106. 260-261; 107. 2, 7; 108. 3).

ალ. კარგარეთელის ცნობით, თავდაპირველად „მოვიდა მხოლოდ თვრამეტი კაცის ნებართვა. მოგვიხდა ხელმეორედ გაყოფა. ქაქუცა და ჩვიდმეტი კაცი წავიდნენ, ჩვენ კიდევ ერთი თვე დავრჩით“ (54. 26).

ქაქუცა ჩოლოყაშვილი, შეფიცულების ნაწილთან ერთად, სტამბულიდან მარსელში ბერძნული გემით „პროპონტისით“ გაემგზავრა. მგზავრობას დაახლოებით 5-6 დღე დასჭირდა. მარსელის ნავსადგურში ლტოლვილებს პარიზში საქართველოს საელჩოს პირველი მდივანი სოსიპატრე (ჭიჭიკო) ასათიანი და ქაქუცას ახლო მეგობარი თენგიზ დადეშქელიანი დახვდნენ. მრავალი წლის შემდეგ ალ. ბადურაშვილი იგონებდა: „მახსოვს იშვიათი სურათი: როგორ ჩაიკრა დევკაცმა თენგიზმა გულში ქაქუცა – თითქოს სრულ ვაჟკაცს მოზარდი ჭაბუკი მოექციოს მკლავებში“ (11. 16;).

ალ. სულხანიშვილი თავის მოგონებებში მიუთითებს, რომ სოსიპატრე ასათიანი მათ მარსელში ზუსტად ისევე მოექცა, როგორც კონსტანტინე გვარჯალაძე – სტამბულში: „ჭიჭიკო ასათიანმა განაცხადა: „ფრანგები პარიზში არ უშვებენ ლტოლვილებს, თუ მათ ბანკში ფული

არა აქვთ. ჩვენ ქაქუცას სახელით კი შევიტანთ, მაგრამ ამდენი ხალხის მაგივრად არ შეგვიძლია ფულის შეტანა ბანკში!“-ო.

ასათიანის ასეთმა განცხადებამ მთლად გადაგვრია სულ ყველა. ახლა უკვე აშკარა იყო, რომ ვიღაცას არ მოსწონდა ჩვენი პარიზში ჩასვლა! აღარავის სჯეროდა ჭიჭიკოს ასეთი განცხადება. დათიკო შალიკაშვილმა სასტიკად გალანძღა ჭიჭიკო: „თქვე მამაძაღლებო, ეს ხალხი სამი წელიწადი ტყეში ცხოვრობდა. ამათ ახლა უნდა მოვლა, ხოლო თქვენ, დახმარების მაგივრად, პარიზშიც არ გინდათ ჩაუშვათ“-ო...

ისევ იგივე კონსტანტინოპოლის ამბავი გამეორდა მეორე დღესაც. ქაქუცამ აღარ გააჭიანურა კამათი და ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე განაცხადა: „რადგან მთელი რაზმის შეშვება არ შეიძლება პარიზში, მაშინ მეც აქ დავრჩები ამათთან“-ო. ახლა კი მართლაც ძალიან დატოკდა ჭიჭიკო: „როგორ შეიძლება, რომ თქვენ არ წამოხვიდეთ პარიზში“-ო, რაზეც ქაქუცამ უპასუხა: „მაშ, რაღას წუხდებოდით, რომ დაგეხვდით, თუ რაზმის შეშვება არ შეიძლება პარიზში“-ო.

ბევრი ხვეწნა-მუდარის შემდეგ, მან ქაქუცას გადააფიქრებინა მარსელში დარჩენა ჩვენთან ერთად, რადგან, როგორც გაირკვა, თურმე, პარიზში ყველას შეეძლო ჩასვლა ისე, რომ ბანკში არავითარი ფულის დადება არ ყოფილა საჭირო. ამგვარად, მეორე დღეს, საღამოთი, ჩვენ უკვე პარიზისაკენ გავემგზავრეთ“ (106. 263-264).

ალ. სულხანიშვილის აღნიშნულ მოსაზრებას ალ. ბადურაშვილიც ეთანხმება: „ჭიჭიკოს ჰქონდა ინსტრუქცია, არ გაეშვა შეფიცულები პარიზში, ქაქუცას გარდა. მაშინ ქაქუცამ თქვა: ან ერთად წავალთ, ან მეც ამათთან დავრჩებიო. გაუშვეს ერთად“ (11. 17).

პარიზში ჩასვლიდან რამდენიმე დღის შემდეგ, ჭიჭიკო ასათიანის წინადადებით, შეფიცულები ლა-მანშის სრუტის მახლობლად მდებარე „დიორის“ სასუქის დამამზადებელ ქარხანაში სამუშაოდ გაემგზავრნენ. ალ. სულხანიშვილი დაწვრილებით აღწერს ქარხანაში არსებულ უმძიმეს პირობებს, რომელშიც მათ მუშაობა უწევდათ: „პირველი სამუშაო ჩვენ ამოგვიჩინეს ლა-მანშის პირას დიორის ქარხანაში, სადაც მზადდებოდა ხელოვნური მიწის პატიმარი. სამუშაო ძნელი გამოდგა. შიგ ქარხანაში შემოდიოდა რკინისგზის ლიანდაგი. ორივე მხარეს ლიანდაგისა დიდი საწყობები იყო. შემოდიოდა ვაგონები, დატვირთული ტომრებით დაახლოებით ხუთ ფუთიანები სხვადასხვა პროდუქტი, რომელნიც ერეოდა ერთმანეთში. ეს ტომრები უნდა გადმოგვეტვირთა და დაგვეწყო საწყობებში ჭერამდის, რომელნიც კარგა მაღლები იყვნენ.

ვიდექით ორ-ორნი კიბე – კიბე და ვისროდით ტომრებს მაღლა ჭერამდის. საშინელი ცუდი სამუშაო იყო, რადგან ტომრები მთლიანად ზეთიანები იყო და მუდამ დათითხნილები ვიყავით. მერე ვაზავებდით და

ისევ ტომრებს ვავსებდით. აქა ვმუშაობდით ოც კაცზე მეტი, ვცხოვრობდით ყველანი ერთ პანსიონში, ჭამა-სმით. ვიხდიდით სულზე რვა ფრანკს. ჩვენი ხელფასი იყო თორმეტი ფრანკი დღეში. ვმუშაობდით ექვს დღეს კვირაში“ (108. 1).

ალ. სულხანიშვილი, შეფიცულების სახელით, ხშირად უგზავნიდა წერილებს პარიზში მყოფ ქაქუცა ჩოლოყაშვილს, რომლებშიც თავიანთ მძიმე მდგომარეობას აღუწერდა. ეს უკანასკნელი მათ პირდებოდა, რომ რაიმე უკეთეს სამუშაოს მოუძებნიდა. მართლაც, ცოტა ხანში, ქაქუცამ გაიცნო პოლკოვნიკი კოკე, რომელსაც ქართველი მეუღლე ჰყავდა და სთხოვა, დახმარება აღმოეჩინა მისთვის შეფიცულებისთვის სამსახურის მოძებნის საქმეში.

პოლკოვნიკმა კოკემ ქაქუცა ჩოლოყაშვილის თხოვნა გულთან მიიტანა და მას თავისი მეგობარი, ცნობილი საავტომობილო ქარხნის მეპატრონე პეჟო გააცნო. პეჟომ ქაქუცა დიდი პატივით მიიღო და დაჰპირდა შეფიცულების მოწყობას თავის ქარხანაში, რომელიც ქალაქ ოდენკურში მდებარეობდა. ალ. სულხანიშვილის ცნობით, ეს ამბავი შეიტყო საქართველოს სრულუფლებიანმა ელჩმა საფრანგეთში აკაკი ჩხენკელმა და „ქაქუცასა სთხოვა, რომ ჩვენი ხალხიც მოვაწყოთო, ესე იგი, სოციალ-დემოკრატებიო. ქაქუცამ უპასუხა, ბატონო აკაკი, რასა ჰქვიან ჩვენი ხალხიცაო: ქართველი ხალხი უნდა მოვაწყოთ განურჩევლათ პარტიისაო. ასე, ჩვენ მანამ დიორის ქარხანას თავს დავანებებდით და მოვიდოდით ოდინკურში, სოციალ-დემოკრატების ჯგუფმა უკვე დაიწყო მუშაობა პეჟოს ავტომობილების ქარხანაში თითქმის 50 კაცმა“ (108. 1).

იუნკრები ნიკოლოზ მათიკაშვილი და მიხეილ კვალიაშვილი თავის მოგონებებში მიუთითებენ, რომ საქართველოს ემიგრანტულ მთავრობას ანალოგიური დამოკიდებულება ჰქონდა გენერალ გიორგი კვინიტაძისა და მისი იუნკრების მიმართ, რომლებმაც 1921 წლის თებერვალში კოჯორ-ტაბახმელასთან გამართულ სასტიკ ბრძოლებში ისახელეს თავი. მათი თქმით, „იუნკერთა კავშირი არსებობდა დამოუკიდებლად, ვისიმე ზეგავლენის გარეშე... საქართველოს პარიზში მყოფ მთავრობას და მის წარმომადგენელს პოლონეთში გენ. ზაქარიაძეს იუნკერთა კავშირისა და მისი ორგანოს „მხედრისადმი“ არავითარი მზრუნველობა არ აღმოუჩენიათ და არც დახმარება გაუწევიათ. პარიზში გადმოსახლებულთ პროლეტართა შეერთებისკენ სწრაფვა არ შეუწყვეტიათ: პატრიოტულად განწყობილთ თავიანთ მტრებად თელიდნენ და მათთან თანამშრომლობის ნაცვლად, სიცოცხლეს უმწარებდნენ.

ასე იყო გენერალ კვინიტაძისადმი. ოჯახით დატვირთულ მთავარსარდლისათვის არ შეუთავაზებიათ გატაცებული სახსრებით ნაყიდ

ლევილის მამულში დასახლება, არც დაინტერესებულან, როგორ ინახავდა საკუთარი შრომით ოჯახს. ღირსეულად არ მოექცნენ ნაომარ, ნაწვალებ ქაქუცა ჩოლოყაშვილსა და მის შეფიცულებს ემიგრაციაში ყოფნისას. ნაცვლად იმისა, რომ პატივი ეცათ მათი გმირობისათვის და დახმარებოდნენ სამუშაოს შოვნაში, ფიზიკურ შეურაცხყოფასაც არ იშურებდნენ“ (70. 37).

აქამდე ქაქუცა ჩოლოყაშვილისა და „შეფიცულთა“ რაზმის სხვა წევრების თურქეთში ყოფნაზე, მათ საფრანგეთში ჩასვლასა და იქ ცხოვრების პირველ პერიოდზე მეტი არაფერი იყო ცნობილი. ცოტა ხნის წინ, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ჩვენ ახალ, დღემდე სრულიად უცნობ, საარქივო დოკუმენტებს მივაკვლიეთ, რომლებიც წინამდებარე ნაშრომში პირველად შემოგვაქვს სამეცნიერო მიმოქცევაში. ეს მასალები დაცულია ცნობილი ქართველი ემიგრანტი მეცნიერის და საზოგადო მოღვაწის – კარლო ინასარიძის (1919-2007 წწ.) პირად არქივში, რომელიც 2008 წელს მისმა ოჯახმა საჩუქრად გადმოსცა საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს.

კარლო ინასარიძის პირად არქივში ინახება საქართველოს ემიგრანტული მთავრობის არქივის გარკვეული ნაწილიც, მათ შორის, საარქივო მასალა 1921-1933 წლებში პარიზში არსებული საქართველოს საელჩოს მუშაობის შესახებ. როგორც ცნობილია, საფრანგეთში საქართველოს საელჩოს ხელმძღვანელები საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი აკაკი ჩხენკელი (1874-1959 წწ.) და საელჩოს პირველი მდივანი სოსიპატრე (ჭიჭიკო) ასათიანი (1876-1971 წწ.) იყვნენ.

ზემოაღნიშნული საარქივო დოკუმენტები შეიცავს ქართველი ემიგრანტების ოფიციალურ განცხადებებს საელჩოს სახელზე მათთვის დოკუმენტების დამზადების, საფრანგეთის ვიზის მიღების და ა. შ. შესახებ, და, უმთავრესად, სოსიპატრე ასათიანის პასუხებს აღნიშნულ თხოვნებზე, საქმეების მსვლელობის ამსახველ მასალებს და სხვ. მათ შორის გვხვდება 1924 წლის შემოდგომაზე საქართველოდან თურქეთში, ხოლო იქიდან საფრანგეთში (ჯერ მარსელში, შემდეგ კი – პარიზში) ქაქუცა ჩოლოყაშვილისა და მისი „შეფიცულების“, აგრეთვე, აგვისტოს აჯანყების მონაწილე რამდენიმე ათეული ლტოლვილის (ძირითადად, დასავლეთ საქართველოს გამოსვლების მონაწილეების) ჩასვლისა და ემიგრაციაში მათი ცხოვრება-მოღვაწეობის საწყისი პერიოდის ამსახველი დღემდე უცნობი არაერთი დოკუმენტი. მათი ძირითადი ნაწილი ქართულ, ხოლო გარკვეული ნაწილი – ფრანგულ ენაზეა შესრულებული (ფრანგულენოვანი მასალების თარგმნაში დაგვეხმარა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის თანამშრომელი, ქალბატონი ეთერ ბერუაშვილი, რისთვისაც მას გულითად მადლობას მოვახსენებთ – გ. ს.).

აღნიშნული დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ კონსტანტინე გვარჯალაძე ნამდვილად აპირებდა „შეფიცულთა“ რაზმის წევრების მძიმე სამუშაობზე გაგზავნას; სოსიპატრე (ჭიჭიკო) ასათიანი სულაც არ იყო მარსელში „გამოგზავნილი სპეციალურათ ჩვენი გზების ასარევათ“, როგორც ამას ალ. სულხანიშვილი და ალ. ბადურაშვილი ამტკიცებდნენ; პირიქით, აკაკი ჩხენკელის დავალებით, იგი შეძლებისდაგვარად ცდილობდა ლტოლვილებისთვის დახმარების აღმოჩენას; უტყუარად დგინდება ისიც, რომ საფრანგეთში საქართველოს საელჩოს ფინანსური მდგომარეობა, მართლაც, მეტად მძიმე იყო და მისი წარმომადგენლები თითოეულ ფრანკს უფრთხილდებოდნენ და ზოგავდნენ. თუმცა ამავე საარქივო მასალიდან ისიც კარგად ჩანს, თუ როგორ ყოფდნენ ემიგრანტ ქართველებს „ჩვენიანებად“ და „სხვისიანებად“ საქართველოს ემიგრანტული მთავრობის წარმომადგენლები; როგორ შესტკიოდათ განსაკუთრებით გული მენშევიკური პარტიის წევრ ქართველ ლტოლვილებზე და სხვ.

საარქივო დოკუმენტები ჩვენ ქრონოლოგიური თანმიმდევრობით დავალაგეთ და ასე შემოგთავაზებთ. 1924 წლის ნოემბრის დასაწყისში (როდესაც ქაქუცა ჩოლოყაშვილი და სხვა ქართველი ლტოლვილები ჯერ კიდევ თურქეთში იმყოფებოდნენ — გ. ს.) საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა აკ. ჩხენკელმა თხოვნით მიმართა საფრანგეთის წითელი ჯვრის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდენტს, გ. პოს, თურქეთში მყოფი ქართველი ლტოლვილებისთვის დახმარების აღმოჩენის (სამსახურით, სურსათით, ტანსაცმლით) თაობაზე. ასეთივე თხოვნით მიმართა მან ჟენევის მუშათა ინტერნაციონალური შრომის ბირჟის წარმომადგენელს — ალბერ თომასს.

1924 წლის 15 ნოემბერს ალბერ თომასმა აკ. ჩხენკელს შეატყობინა, რომ შრომის ბირჟაზე ქართველი ლტოლვილების წარდგენა შესაძლებელი იქნება მხოლოდ 1925 წლის 1 იანვრიდან; ამავე დროს იგი სტამბულში მყოფი ლტოლვილების ზუსტი რაოდენობით დაინტერესდა.

1924 წლის 20 ნოემბერს სტამბულში საქართველოს წარმომადგენელმა კონსტანტინე გვარჯალაძემ საფრანგეთის ქართულ საელჩოს შემდეგი შინაარსის ტელეგრამა გაუგზავნა: „დაპირებული კონტრაქტები არ მოსულა. დააჩქარეთ. ოცი კაცი ქაქუცა ჩოლოყაშვილის, სპირიდონ ჭავჭავაძის, გიორგი წერეთლის, სიმონ წერეთლის მეთაურობით უკვე აქ არიან. ამ ოთხი კაცისთვის საჩქაროდ გამოაგზავნიეთ პარიზის ვიზა. თურქები მხოლოდ რამდენიმე დღით აჩერებენ. დანარჩენებისათვის ცუდი პირობიანი კონტრაქტები (ხაზგასმა ჩვენია — გ. ს.) მიშოვეთ. ორი კვირის განმავლობაში მოველით ოთხმოც კაცს ორ ჯგუფად. გვარჯალაძე“.

1924 წლის 28 ნოემბერს კ. გვარჯალაძემ საელჩოს კიდევ ერთი ტელეგრამა გაუგზავნა: „20 კაცი ჭავჭავაძის, ჩოლოყაშვილის, გიორგი წერეთლის, სიმონ წერეთლის მეთაურობით, რადგან სტამბულში არ გადმოუშვეს, გამოვიდენ მარსელისაკენ გემ „პროპონტისით“ 26 ნოემბერს. ყველანი მოდიან ქარხნების კონტრაქტებით. უთუოთ შეახვედრეთ ვინმე მარსელში ვიზებით, რომ ოთხი მაინც გაიყვანოთ პარიზში. მარსელში საჭირო იქნება დახმარება სურსათით და ტანისამოსით. გვარჯალაძე“.

1924 წლის 2 დეკემბერს აკაკი ჩხენკელმა თხოვნით მიმართა საფრანგეთის წითელი ჯვრის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდენტს, გ. პოს, პირველი 20 ქართველი ლტოლვილისთვის, რომლებიც დეკემბრის დასაწყისში ჩავლენ მარსელში, ტანსაცმლით და ფეხსაცმლით უზრუნველყოფაში დახმარების აღმოჩენის თაობაზე. 3 დეკემბერს გ. პომ აკ. ჩხენკელს თხოვნის შესრულების საქმეში დახმარება აღუთქვა.

4 დეკემბერს თურქეთიდან მომავალი ქართველი ლტოლვილების პირველი ჯგუფის დასახვედრად პარიზიდან მარსელში ს. ასათიანი ჩავიდა, რომელმაც იმავე საღამოს აკ. ჩხენკელს შემდეგი შინაარსის წერილი გაუგზავნა: „ბატონო ელჩო! როგორც კი გიახელი მარსელში, გავეშურე სააგენტოში, რომ გამეგო, თუ როდის მოვიდოდა გემი „პროპონტისიდი“. გამოირკვა, რომ ხსენებული გემი იქნება მარსელში შაბათს ან კვირას (6-7 დეკემბერს). თუ რომელ საათზე მოადგება გემი ამ ორ აღნიშნულ დღეს, ამას მეტყვიან შაბათ დილას (6 დეკემბერს), რადგანაც შაბათ დილისთვის ელიან რადიოს. მას აგვიანდება იმ მიზეზით, რომ ყველა ნავთსადგურებში უნდა გამოიაროს.

გემის შემდეგ საჭირო იყო გამომერკვია, თუ როგორ და სად იქნებიან მოწყობილნი ჩვენი ლტოლვილები. ამ მიზნით შევიარე სამინისტროს განყოფილების მარსელის ბიუროში (შრომის სამინისტროს). ბიუროს დირექტორმა უკვე იცოდა ქ. აილოსგან, რომ მე მოვდიოდი მარსელში ლტოლვილების დასახვედრად.

სწორედ აღსანიშნავია განსაკუთრებით მის მიერ ჩემი მიღება: ხალხი ეხვია ირგვლივ, ყველა გარეთ გამოისტუმრა, ჩაკეტა კარები და ბრძანება გასცა, რომ არავინ შემოეშვათ მასთან. ლაპარაკიდან გამოირკვა, რომ ქალბატონ აილოსაგან ის მომზადებული ყოფილა და ჩვენი საკითხიც კარგათ სცოდნია; აგინა ბევრი ბოლშევიკები და თათრებიც — პირველნი, როგორც ჩვენი ამწიოკებელნი, და მეორენი კი, როგორც ჩვენი ამ შემთხვევისათვის ხელის არ შემწყობნი.

250 კაცისათვის მე უკვე მზად მაქვს სამუშაო; როგორც კი ჩამოვლენ, თქვენთან ერთად მეც შევხვდები მათ გემზე და წავიყვან მათთვის გამზადებულ ბარაკში, სადაც ისინი დაისვენებენ და შემდეგ დავგზავნი

სამუშაოებზე. მათ საწოლი ექნებათ ბარაკებში, დუშიც კი არის, ასე რომ, დაბანაც შეუძლიათ. ინჯრა დაუჯდებათ 4,50-იო. ამის გაგონება რომ არ მეჯაშნიკა, შემატყო და მაშინათვე დასძინა: თქვენ ნუ სწუხართ, ფულს გადიხთის სამუშაოს მიმცემი ან უკანასკნელ შემთხვევაში, მთავრობა. ასე რომ, თქვენ აქ საფიქრალი არა გაქვთ რაო...

მათ გაგზავნიან მიწის სამუშაოზე და მითხრა, რომ თუ ისინი დააკმაყოფილებენ მემამულეს, მაშინ რამდენიც უნდა მოვიდეს, აიყვანებენ. ასე რომ, თქვენ აღნიშნეთ საკითხის ასეთი მდგომარეობა, რადგანაც ბევრია დამოკიდებული იმაზე, თუ როგორი მომუშავენი აღმოჩნდებიან თქვენი ლტოლვილებიო.

ეს შენიშვნა მივიღე მხედველობაში, რასაც ჩვენ ლტოლვილებს გადავსცემ მისაღებ ფორმაში. მე აქ განუმარტე, რომ პირველად მათთვის ძნელი იქნება მუყაითობა გამოიჩინონ, როგორც დაღლილ-დაქანცულებმა-მეთქი. რასაკვირველია, მე ვლაპარაკობ იმ დროიდან, როდესაც ისინი კარგათ დაისვენებენ და მოსულიერდებიანო... იმასვე ვსთხოვე, თუ ნამეტანი ბოროტმოქმედება არ გამოდიოდა ჩვენის მხრით მისი ყურადღების ჩვენდამი, დაგვხმარებოდა „პაკესთან“ (სანაოსნო კომპანია, რომელმაც გადმოიყვანა ქართველი ლტოლვილები თურქეთიდან მარსელში — გ. ს.).

დიდი სიამოვნებით, თუმცალა არ მგონია, რომ ბევრი რამე გამოვიდეს იქიდან. მე თქვენ გაგყვებით ხვალ მეორე კომპანიაში (ბერძნების) და შევადაროთ, ვინ უფრო მეტს დაგვითმობსო. ვნახოთ, რას მივაღწევთ ხვალ ამ საკითხში. ამ კაცის მეცადინეობა ჩვენთვის ყოველ მოლოდინს აჭარბებს. კმაყოფილი ვარ, რომ ამ გზობისად მე ...(?) მოსვლა...

ბიუროდან მივადექი „პაკეს“. თვითონ პაკე უძლებათ არის. გადავეცი წერილი მის რწმუნებულს საჭირო განმარტებით და წინასწარ მადლობით. მომისმინა დიდი ყურადღებით და აღმითქვა ყოველგვარი დახმარება... შეიძლება დაკლებულ ფასებში, ხოლო როგორი იქნება ეს დაკლებული ფასები, მან ვერ მითხრა, სანამ თითონ პაკეს არ მოელაპარაკება.

საერთოდ, ძნელი ხთება ამ საკითხის გამორკვევა აქ იმ მიზეზით, რომ არ ვიცით, რამდენია და სად, მაგალითად, ისინი რომ ყველანი სტამბოლში იყვენ, მაშინ ამ საკითხის გამორკვევაც ადვილი იქნებოდა. მე შევნიშნე, რომ თუ მათ მიერ ჩვენი თხოვნა დაკმაყოფილებული იქნება ნაწილობრივად მაინც, მაშინ მათი დახმარების ფორმა გამოიხატებოდა იმაში, რომ ისინი, მიუხედავად მანძილისა, ე. ი. თუ რომელი ნავთსადგურიდან მოდის ჩვენი ლტოლვილი — სტამბოლიდან, თუ ტრაპიზონიდან, გვიკლებთ საფასურის იმ ნაწილს, რომელსაც თქვენ დაინახავთ შესაძლებლად; თქვენ ბრძანებას აძლევთ თქვენ გემებს, წამოიყვანონ ჩვენი ლტოლვილი, სადაც კი შეხვთებიან-თქო.

ეს შენიშვნა მისთვის მიუღებელი დარჩა, რადგანაც მათ წარმომადგენელს მხოლოდ სტამბოლში შეუძლია მოაწყოს და ფულიც იქ უნდა იქნეს გადახთილი. აქ მან ბევრ უხერხულობაზე მიმითითა, რაც ჩვენ არ გვცოდნია და კომპანიას არ შეუძლია ანგარიში არ გაუწიოს, მიუხედავათ ჩვენი დახმარების დიდი სურვილისა. მან ისიც კი მითხრა, რომ შეიძლებოდა ეს საქმე მოწყობილიყო ლიგათა ნაციის ჩვენთან დაკავშირებით; ასეთ შემთხვევებს ხშირად აქვს ადგილი სომხის და რუსის ლტოლვილების გადმოსაყვანადო და სხ...

გთხოვთ, მომაწოდოთ ასლი იმ წერილის, რომელიც ალბ. თომამ გამოგიგზავნათ ამის შესახებ. ეს წერილი იმყოფება შკაფში, კანცელარიაში, ბაბემ იცის, თუ სად აწყვია ქაღალდები გამზადებული დოსიეში ჩასაკერავად; თითო თვის ცალკეა და აწერია: ოქტომბერი, ნოემბერი და სხ. ეს ქაღალდი უნდა იყვეს ოქტომბრის საბუთებში — ადვილი სანახავია. მე არ მახსოვს მისი შინაარსი და, მგონი, არც კი წამიკითხავს, რადგანაც უკანასკნელ დრომდე თქვენ გქონდათ. შაბათს შევალ „პაკეს“ კომპანიაში გამორკვეული პასუხის მისაღებათ. ხვალ ბიუროს დირექტორთან ერთად შევივლი ბერძნების კომპანიაში.

აი, ბ. ელჩო, დაახლოვებით ის, რის გაკეთებაც დღეს ჩამოსვლის შემდეგ შევსძელი, ხვალინდელი მუშაობის შედეგს შაბათს გაახლებთ. საჭიროა ბ. გვარჯალაძეს დაეკითხოთ ტელეგრამმით, თუ რა გამოირკვა საფრ. მთავრობის ჩარევის შემდეგ ჩვენი ლტოლვილების თავის მოყრის შესახებ. ეს რომ ვიცოდეთ, თუ სად მოიყრიან თავს და რამდენია, მაშინ დახმარების საკითხიც (წამოყვანა) მალე გამოირკვევა.

კარგი იქნება, რომ ამ წერილის მიღებისთანავე ბ. ბაბეს დაარეკიებდეთ შრომის სამინისტროში და დიდ მადლობას გამოუცხადებდეთ ჩვენდამი ასეთი ყურადღებისათვის. უთხრას ბაბემ, რომ მინისტრმა მიიღო ჩემი მოხსენება, სადაც აღნიშნულია დიდი ინტერესი ჩვენი ლტოლვილებისადმი შრომის ბიუროს მხრით და რომ ეს პარიზის შრომის სამინისტროს (ქ. აილოს) მიეწერება და სხ... ღრმა პატივისცემით, ს. ასათიანი. ჩემი ადრესია: Hotel des deut mondes. 32, Cours Belsunee, 32. Marseille.

დ. კ. ვიყავი წითელ ჯვარში. წარმომადგენელი de Ferry სოფელში ყოფილა და ავათ არის. იქ არაფერი განკარგულება არ მოსულა პარიზიდან და ღარიბათაც ყოფილან. არ მგონია, რომ იმათგან რამე გამოვიდეს. ხვალ დილას ვნახავ თავმჯდომარეს, რომელიღაც გენერალს. თუ იქიდან არაფერი დახმარება იქნება, რა ვუყო ამ ტიტველ ხალხს?“

1924 წლის 6 დეკემბერს ს. ასათიანმა აკ. ჩხენკელს მარსელიდან მეორე წერილი გაუგზავნა: „ბატონო ელჩო! წითელ ჯვართან ჩემი მისვლა-მოსვლა გათავდა; დღეს უკანასკნელად გამგზავნეს გენერალ

მონროესთან, რომელმაც დიდი თანაგრძნობა გამომიცხადა თავისა და სხვა ორი თანაბარი დაწესებულებათა სახელით და დასძინა, რომ იმ დიდი სივიწროვის გამო, ფინანსიურად, რომელსაც ეხლა ისინი განიცდიან, არ შეუძლიათ ისე დაგვეხმარონ, როგორც ეს მათ სურთ. ამასთან ერთად, გადმომცა ორასი ფრანკი.

ჭეშმარიტად არ ღირდა ამისათვის არც გენ. პოს და არც თქვენი შეწუხება, ჩემს მისვლა-მოსვლაზე არას ვლაპარაკობ. გენერ. მონროემ მითხრა, რომ თუ მე ვსტოვებ მარსელს, მაშინ ვინმე გვეყოლოს აქ, რომელიც იქნება იმასთანავე „აკრედიტე", როგორც მან მითხრა, რომ შემდეგ „კონვუას" შეძლებისდაგვარად დავეხმაროთ, თუ რამე აუცილებელი საჭიროება მოითხოვსო.

როგორც „იუნიონ დე ლამ"-ის საზოგადოებაში მითხრეს (ამ საზოგადოებაში შევიარე მონროეს შემდეგ), უნდა იყვეს ჩვენთვის გადადებული სულ ათას ფრანკამდე, გენერალ მონროეს კი ამის შესახებ არაფერი უთქვამს. ამ ორასი ფრანკით რა უნდა ვიყიდო, როდესაც უბრალო პალტოს ას ფრანკათაც ვერ ვიშოვნი, და თუ მართლა ისინი ყველა გატყაული მომადგა კარზე, საშინელ მდგომარეობაში ჩავვარდები. მე ვფიქრობ, ამ ორას ფრანკს მივსცე სხვა დანიშნულება; თუ რა, ამის შესახებ ქვემოდ მოგახსენებთ.

ყველაზე უფრო თავსამტვრევი ჩვენთვის და, კერძოთ, ჩემთვის, აქ ეხლა არის ლტოლვილების გადმოყვანის მოწყობა. ეს არის „პაკედან" მოვედი. მასთან დღეს მქონდა დანიშნული რანდევუ, როგორც წინა წერილში გწერდით და ამისათვის გთხოვეთ ტელეგრამმით ალბ. თომას წერილის ასლი. გუშინ ტელეგრამმა მივიღე, წერილს ვაგზავნითო. იმედი მქონდა, დღეს დილას მივიღებდი. მივიღე რვა საათზე საღამოს, როდესაც პაკესთან უკვე ექვსის ნახევარზე უნდა მივსულიყავი...

ამავე დროს ისიც მინდოდა გამეგო, თუ მართლა ჩაერია საფრანგეთის მთავრობა, როგორც ამას შეგვპირდნენ (გაიხსენეთ ჩვენი ლაპარაკი სამინისტროში დენავაისთან). ... ირკვევა, რომ საფრ. მთავრობა ჩარევია და ლტოლვილებს ნებას აძლევენ კონსტანტინოპოლში მოიყარონ თავი. ეს ძალიან ბევრს ნიშნავს, მაგრამ მათი გადმოყვანის საკითხი მაინც მძიმედ დგას. აქ თუ მოაწიეს, არც საჭმელში და არც ბინაში, სანამ სამუშაოდ წავიდოდენ, არაფერი არ გვეხარჯება, ამ მხრით ყველაფერი გაკეთებულია, როგორც წინა წერილში გწერდით. სამუშაოც უზრუნველი ყოფილა.

ამ შემთხვევაში, ჩვენ შეგვიძლია თუ არა რაიმე თანხა გავიღოთ? მაგალითად, იმ ორას ფრანკს, რომელზედაც ზევით მქონდა ლაპარაკი, რომ დაუმატო სამასი ფრანკი და გადავსცე პაკეს იმ თანხის ანგა-

რიშში, რომელიც მოუნდება მათ გადმოყვანას?... ღრმა პატივისცემით ს. ასათიანი“.

1924 წლის 8 დეკემბერს პარიზიდან გაგზავნილ საპასუხო წერილში აკ. ჩხენკელი ს. ასათიანს სწერდა: „ბ. პირველო მდივანო! თქვენი წერილები მივიღე. ამასთანავე გიგზავნით მანდატს „პაკესთან“ პირობის დასადებად... გთხოვთ, ძალიან ეცადოთ შეღავათების მიღწევას, ვინაიდან, იცით, ჩვენი ნივთიერი მდგომარეობა ძალიან მძიმეა...

თქვენ არაფერს იწერებით, მიიღეთ თუ არა გენ. პოს უკანასკნელი წერილის ასლი, გამოგეგზავნათ ალბ. თომას წერილთან ერთად. იქ პირდაპირ სწერია, ლტოლვილთ დაურიგდებათ ტანთ და ფეხსაცმელებიო. რაშია საქმე? არ აჩვენეთ ეს ასლი? 200 ფრანკი პირდაპირ მასხრად აგდებაა! გთხოვთ, მომწეროთ გარკვევით, რაშია საქმე...

ეცადეთ, რაც შეიძლება შეღავათიან პირობებში მოხდეს ყველაფერი, რასაც აკეთებთ. თან იქონიეთ სახეში, როცა პირველი 20 კაცის საქმეს მიალაგებთ, შემდეგ წამოსვლა მოგიხდებათ, და ამიტომ ძლიერ საჭიროა, ისე დააწყოთ მანდ ყველაფერი, რომ შემდეგ მეორეს თქვენს მაგიერს შეეძლოს ნაყოფიერად განაგრძოს საქმე. აკ. ჩხენკელი“.

1924 წლის 7 დეკემბერს ქართველი ლტოლვილების პირველი ჯგუფი მარსელში ჩავიდა. საარქივო მასალებში დაცულია ს. ასათიანის მიერ საკუთარი ხელით შედგენილი ამ ჯგუფის წევრების ზუსტი სია: „სია შეფიცულებისა: 1. ელიზბარ ვაჩნაძე (კაპიტანი); 2. რაფიელ ერისთავი (ლეიტენენტი); 3. სულხანიშვილი ალექსანდრე (ლეიტენანტი); 4. ნებიერიძე შალვა; 5. ბადურაშვილი ალექსანდრე; 6. ქარუმიძე ილია; 7. სერგო მაისურაძე; 8. გიორგი პავლიაშვილი; 9. ალექსი ფეიქრიშვილი; 10. შამილ იქაიძე; 11. მერაბ ჯორჯაძე; 12. შალვა ბერიშვილი; 13. შიო ქურიძე; 14. პროკოფი ინწკირველი; 15. მირიან მელუა; 16. ილია სალუქვაძე; 17. წერეთელი გიორგი; 18. წერეთელი სვიმონი (პოლკოვ.); 19. გენ. ჭავჭავაძე სპირიდონ; 20. ჩოლოყაშვილი ქაქუცა“.

აღსანიშნავია, რომ ს. ასათიანი შეფიცულებად იხსენიებს შალვა ბერიშვილს, შიო ქურიძეს, პროკოფი ინწკირველს, მირიან მელუას, ილია სალუქვაძეს, გიორგი და სვიმონ წერეთლებს, რომლებიც ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმის წევრები არასდროს ყოფილან. სიიდან ისიც ირკვევა, რომ თავდაპირველად საფრანგეთში ჩავიდა „შეფიცულთა“ რაზმის 12 წევრი (და არა 18, როგორც ამას მიუთითებს ალ. კარგარეთელი თავის მოგონებებში), კერძოდ: ქაქუცა ჩოლოყაშვილი, ელიზბარ ვაჩნაძე, რაფიელ ერისთავი, ალექსანდრე სულხანიშვილი, შალვა ნებიერიძე, ალექსანდრე ბადურაშვილი, ილია ქარუმიძე, სერგო მაისურაძე, გიორგი პავლიაშვილი, ალექსი ფეიქრიშვილი, შამილ იქაიძე და მერაბ ჯორჯაძე. დანარჩენი შეფიცულები: ალექსი ცხვედაძე, ლელო

ჩიქოვანი, მიხეილ ლაშქარაშვილი, დავით რევაზიშვილი, გაბრიელ ბერბიჭაშვილი, ვასილ მარჯანიძე, სვიმონ ალიმბარაშვილი, ზაქარია ალიმბარაშვილი, შალვა ჯავრიშვილი, ლევან ჯავრიშვილი, თომა ბექაური და ალექსანდრე კარგარეთელი სტამბულიდან მოგვიანებით გამოემგზავრნენ.

9 დეკემბერს გაგზავნილ ტელეგრამაში აკ. ჩხენკელი ს. ასათიანს ატყობინებდა: „გიგზავნი ტელეგრაფით 1500 ფრანკს აუცილებელი საჭიროებისათვის. შემატყობინეთ სიტუაცია. სთხოვეთ ქაქუცას, სასწრაფოდ პარიზში ჩამოვიდეს“.

იმავე 9 დეკემბერს, საღამოს 9 საათზე, ს. ასათიანმა აკ. ჩხენკელს მარსელიდან მესამე წერილი გაუგზავნა: „ბატონო ელჩო! როგორც იქნა, ბ. ქაქუცა დათანხმდა დღეს, რომ მასთან მყოფნი წავიდენ სამუშაოდ. ამ უკანასკნელზე ის ყოველთვის თანახმა იყო, მაგრამ თხოულობდა ორი კვირის დასვენებას და ჩაცმას, რაც ჩვენთვის ყოვლად მიუღებელი იყო სამწუხაროდ, ერთი, იმისათვის, რომ ჩვენ ამის საშვალება არ გვაქვს და მეორე ის კი, რომ დანარჩენების საქმეს ვღუპავდით და სამინისტროსთან სამუდამოდ თავი გვეჭრებოდა.

დირექტორმა, იმისდა მიუხედავად, რომ ყოველ მხრივად ხელს გვიწყობს, მითხრა შემდეგი: „მეშინია, ტელეგრამმა არ გამაგზავნინოს სტამბოლში ვიზების გასაუქმებლად“-ო. ასე იდგა საკითხი და წარმოდგენილი გექნებათ, თუ რას განვიცდიდი... სამინისტროსაც ველაპარაკე ტელეფონით აქაური დირექტორის კაბინეტიდან და სხვადასხვა მიზეზებით, რომელსაც მანდ გეტყვით, ვსთხოვდი მათ პარიზში მოწყობას, მაგრამ ეს შეუძლებლად დაინახა უმუშევრობის მიზეზით ამ გზობისად და მირჩია, დაჩქარებით მიმელო წინადადება ლა-მანშში იმათი წაყვანის: „პირობები კარგია და ნუ დაკარგავთ ამ შემთხვევას, რადგანაც ეხლა დიდი „შომაჟი“ არის“-ო.

ბ. ქაქუცას განვუმარტე ყველაფერი ეს და ვსთხოვე, მიელო, ერთის მხრით, ჩვენი მდგომარეობა სახეში (რომ ქვეყანა შევაწუხეთ, მათი თავის მოყრა ერთ ალაგას, სათათრეთში, შევსძელით საფრანგეთის მთავრობის ჩარევით, შევსძელით მათთვის სამუშაოს მონახვა) და, მეორეს მხრით, მდგომარეობა იმ ხალხის, ვინც უკან დარჩა და მოუთმენლად მოელის აქეთ გამოსვლას; ვუთხარი ისიც, რომ მისგან, როგორც პასუხისმგებელი პირიდან, მთავრობა და საელჩო მოელის ამ შემთხვევაში მდგომარეობისდა მიხედვით მოქმედებას...

ის ნაწყენია, და მე ეს მესმის, იმაზე, რომ სტამბოლში შეპირებიან: პარიზში ჩახვალთ, მარსელში გამოგაწყობენ, ორ კვირას დაისვენებთო და სხ... რასაკვირველია, ხალხი, რომელიც ოთხი წლის განმავლობაში ტყეში იარაღის ქვეშ არის და შემდეგ გამოქცევისა 24 დღე მთებსა

და ზღვაში ნაწვალებია, ასე ადვილად ვერ შეურიგდებიან იმ პირობებს, რომელშიდაც იძულებული არიან ჩადგნენ და ჩვენ მდგომარეობასაც ჯერჯერობით ვერ იგებენ...

ქაქუცას შევპირდი, რომ მოხერხებისდაგვარად გამოვიყვანთ მის ხალხს (მაგ. არიან სტუდენტები, ოფიცრები და სხვ...), როგორც კი გამოინახება საშუალება მათი სასწავლებელში (სამხედრო სასწავლ. ან სხვა რომელიმე) მოწყობა; ამასობაში მეორე პარტიაც მოაღწევს და შეგვეძლება გამოსაყვანთა (თუ მან ვინმეს დაანებებია თავი მუშაობას) შეცვლა-თქო, ხოლო ეხლა რომ ყველა ესენი პარიზში ჩაიყვანო, რის უფლებასაც ვერ ვიშოვნით, დაგირჩებათ სანანებლად, რადგანაც მათი მოვლა ძნელი იქნება და სამუშაოსაც ველარ იშოვნიან და სხვ. ერთი სიტყვით, ის, რაც მართალია და ჩვენს მდგომარეობას ხატავს.

ასეა თუ ისე, ეხლა წყნარად ვარ ამ მხრით. თუ ხვალ ვინმემ ხელი არ შემიშალა და აზრი არ შეაცვლევინა (ეხლა 9 საათია საღამოს), ისინი გამოვლენ, ალბათ, ხვალ, ოთხშაბათს, საღამოს შვიდის ნახევარზე; პარიზში იქნებიან ხუთშაბათ დილას 9-10 ს. (მიაკითხეთ, თუ რომელ საათზე მოვლენ). სადგურზე, ალბათ, თქვენც შეხვდებით. სადგურზევე იქნება ქაქუცას მხლებელთა წამყვანი სამუშაოზე. იქ სთხოვთ, რომ მუშებს მისცენ ორი-სამი დღე დასასვენებლად, რადგანაც და სხ...

ქაქუცამ შეიძლება დასვას საკითხი მათი მანდ დარჩენის რამოდენიმე დღე. არაფერს შემთხვევაში ასეთი საკითხის აღძრას არ ექნეს ადგილი, თორემ დავიღუპებით — მუშების ამყვანი მუშებს ეძებს, სხვა მოტივები მას არ აინტერესებს. კონტრაქტები 6 თვის არის, მაგრამ შეგვიძლია საჭიროების დროს გავაბათილოთ (ამაზე შემდეგ). საქმე ასე არის მოწყობილი და აწი თქვენ იცით მანდ, ქაქუცამ ეს ყველაფერი იცის...

აქაური დირექტორი პირდაპირ ღვთისნიერი კაცია! გუშინ ძალიან შეწუხებული მივბრუნდი მასთან წითელი ჯვრიდან (საფრანგეთის), სადაც შევიარე ისევ და აუწერე ჩამოსულთა მდგომარეობა, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერაფერი ვერ მოახერხეს. ასე შეწუხებული რომ დამინახა, წამოავლო ტელეფონს ხელი და მთხოვა ნება, დაერეკა რუსის კონსულისათვის — ისინიც ბოლშევიკების წინააღმდეგი არიან და რათ არ უნდა დაგეხმარონო? ამ მოტივით ვითამ მეც შესაძლებლად დავინახე და დავთანხმდი, მეტი რა გზა იყო! და, მართლაც, ჩვენს ბრძოლას ამ მხრით ხომ საერთო ხასიათიც აქვს იმდენად, რამდენათაც მთელი ქვეყნიერობის მტერს ვებრძვით!

სწორედ მეც ამ გრძნობით შევიარე დღეს მასთან (კონსულთან), რომელმაც მიმიწვია საკონსულოში, და ისიც ამ გრძნობით დამხვდა. „ვისაც რამე შეუძლია, თქვენ ყველა უნდა დაგეხმაროს“-ო, — მითხრა

შესვლისას... ასე რომ, ხვალ გვექნება საცვლები, რამდენიც შეიძლება, ფრენჩი და შარვალი, შეიძლება, ფეხსაცმელიც და რამოდენიმე შინელი. ამ ზამთარში და სამუშაოდ დიდათ გამოადგებათ, სხვას თვითონ შეიძენენ შემდეგ.

ამისათვის, გთხოვთ, ტელეგრამმით მომაწოდოთ განკარგულება, რომ ის ფული, რომელიც გამოგიგზავნიათ, 1500 ფრანკი, მოხმარდეს სხვების გადმოყვანის საქმეს, უფრო კი უკან ჩამოვიტან, თუ პაკემ ბევრი არ მომთხოვა. მე მჭირია ეს განკარგულება იმ მიზნით, რომ თუ ყმაწვილებმა გაიგეს ამ ფულის მოსვლა და, ალბათ, ხვალ დილას ვაჩვენებ ტელეგრამას ბ. ქაქუცას, ახალ ტანისამოსს მომთხოვენ და რასაც გვაძლევენ, იმას დაიწუნებენ. ამ ფულით მაინც ვერ შევმოსავ მათ.

გული მეწვის, როდესაც წარმოვიდგენ, რომ დანარჩენებს სათათრეთში არაფერი არა აქვთ და მოუთმენლად მოელიან აქ მოსვლას და მუშაობის დაწყებას... ამ პირველ ჯგუფში ურევია საუცხოო ამხანაგები — გურიის ხელმძღვანელნი, ორის გვარი ვიცი, სადგურზე ნახეთ ისინი აუცილებლად! შიო ქურიძე, პროკოფი ინწკირველი და სხვები... გვარჯალაძეს ვსთხოვე დეპეშით, რომ არ გამოგზავნოს ისეთი ხალხი, რომელსაც მუშაობა არ უნდა, რადგანაც ეს ახთენს იმათ საქმეს, ვისაც მუშაობა სურს და ჩვენც, არას მქონე, ვვარდებით ცუდ მდგომარეობაში. თქვენც მისწერეთ ამის შესახებ. ღრმა პატივისცემით ს. ასათიანი“.

10 დეკემბერს გაგზავნილი ტელეგრამით ს. ასათიანი აკ. ჩხენკელს ატყობინებს, რომ ს. ჭავჭავაძე, გ. წერეთელი და ს. წერეთელი მოემგზავრებიან პარიზში, ხოლო ქაქუცა ჩოლოყაშვილი მარსელში რჩება, რათა თავის თერთმეტ რაზმელს ტანსაცმლით შემოსვაში დაეხმაროს.

იმავე 10 დეკემბერს აკ. ჩხენკელი ს. ასათიანს შემდეგი შინაარსის ტელეგრამას უგზავნის: „თუ შეიძენ ტანსაცმელს, ფულს გაუფრთხილდი“.

11 დეკემბერს ს. ასათიანმა აკ. ჩხენკელს ტელეგრამით შეატყობინა, რომ ქაქუცა ჩოლოყაშვილი თავის რაზმელებთან ერთად პარიზში ხუთშაბათს, 11 დეკემბერს, საღამოს 5 საათზე, ჩავა და სთხოვს, უშუამდგომლოს ქარხნის ადმინისტრაციასთან, რათა მან ქართველ მუშებს 3 დღით დასვენების უფლება მისცეს. მართლაც, სამი დღის შემდეგ, 14 დეკემბერს, ქართველი ლტოლვილები გრანვილში, „დიორის“ ქიმიურ საწარმოში, სამუშაოდ გაემგზავრნენ.

ს. ასათიანს „დიორის“ ქარხანაში მომუშავე ქართველების რამდენიმე სია აქვს შედგენილი. თავდაპირველად, აქ მუშაობდნენ: „1. სულხანიშვილი (ოფიცერი); 2. მაისურაძე (ცხენოსანი); 3. ფეიქრიშვილი (სლესარი); 4. ჯორჯაძე მერ.; 5. იქაიძე (სოფლის მუშა); 6. პავლიაშვილი (სოფლის მუშა); 7. ქარუმიძე (ფერშალი); 8. ნებიერიძე (სტუდენტი);

9. ერისთავი (ოფიცერი; განთავისუფლებულია თვალის ავადმყოფობის გამო); 10. ბადურაშვილი (მოსწავლე); 11. ინწკირველი (მუშა); 12. ქურიძე (მუშა); 13. მელუა (მუშა); 14. სალუქაძე (მუშა)". მომდევნო სიას ელიზბარ ვაჩნაძე დაემატა.

ცოტა ხანში ს. ასათიანმა „დიორის" ქარხანაში მომუშავე ქართველი ლტოლვილების მესამე სიაც შეადგინა, რომელსაც გამოაკლდა მერაბ ჯორჯაძე (სავარაუდოდ, როგორც შეფიცულთა შორის ფრანგული ენის ერთადერთი მცოდნე, ქაქუცა ჩოლოყაშვილმა ის პარიზში წაიყვანა — გ. ს.), სამაგიეროდ, დაემატნენ: ლელო ჩიქოვანი, აგრეთვე, კაკო ალშიბაია, გახოკიძე და კარგინსკი. აღსანიშნავია ისიც, რომ აქ მოცემულია „შეფიცულთა" რაზმის წევრების დაბადების ზუსტი თარიღებიც, რასაც მათი ბიოგრაფიების შესწავლისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. აი, ეს სიაც: „გრანვილში, დიორის" ქიმიურ საწარმოში, მომუშავე ქართველების სია: 1. ელიზბარ ვაჩნაძე (კაპიტანი; 29 წლის; დაბადებული 5/I. 1896); 2. რაფიელ ერისთავი (ლეიტენანტი; 24 წლის; დაბადებული 8/III. 1901); 3. ალექსანდრე სულხანიშვილი (ლეიტენანტი; 29 წლის; დაბადებული 8/II. 1896); 4. სერგო მაისურაძე (24 წლის; დაბადებული 5/VII. 1901); 5. ალექსანდრე ბადურაშვილი (22 წლის; დაბადებული 3/VIII. 1903); 6. ალექსი ფეიქრიშვილი (28 წლის; დაბადებული 10/XII. 1897); 7. შამილ იქაიძე (27 წლის; დაბადებული 6/VII. 1898); 8. გიორგი პავლიაშვილი (43 წლის; დაბადებული 9/V. 1882); 9. შალიკო ნებიერიძე (24 წლის; დაბადებული 2/I. 1901); 10. კაკო ალშიბაია (22 წლის; დაბადებული 10/III. 1903); 11. გახოკიძე ივანე (22 წლის; დაბადებული 15/VIII. 1903); 12. ილია ქარუმიძე (34 წლის; დაბადებული 5/IX. 1891); 13. შიო ქურიძე; 14. ილია სალუქაძე; 15. მირიან მელუა; 16. ლევან ჩიქოვანი; 17. კარგინსკი".

როგორც ვხედავთ, ლტოლვილთა პირველი ჯგუფიდან სიებში მოხსენიებული არ არიან ქაქუცა ჩოლოყაშვილი, სპირიდონ ჭავჭავაძე, გიორგი წერეთელი, სვიმონ წერეთელი და შალვა ბერიშვილი. თუკი პირველი ოთხი პიროვნებისთვის პარიზში შესასვლელი ვიზების დამზადებას ჯერ კიდევ სტამბულში მყოფი კონსტანტინე გვარჯალაძე ცდილობდა, შალვა ბერიშვილის ბედზე მისმა ბიძამ (დედის ძმამ) — ნოე რამიშვილმა იზრუნა. რაც შეეხება დანარჩენ სოციალ-დემოკრატებს: შ. ქურიძეს, პ. ინწკირველს, მ. მელუას და ი. სალუქაძეს, ისინი შეფიცულებთან ერთად გრანვილში, „დიორის" ქიმიურ ქარხანაში, სამუშაოდ გაამწესეს.

ქარხანაში მუშაობის დაწყებიდან რამდენიმე დღის შემდეგ, 19 დეკემბერს, ერთ-ერთმა მენშევიკმა — ილია სალუქაძემ თანაპარტიელ ს. ასათიანსა და ვინმე იულიანეს თავიანთი უმძიმესი სამუშაო

პირობები შეატყობინა და „დიორის“ საწარმოში მომუშავე ყველა სოციალ-დემოკრატის სახელით, მათთვის სხვა სამსახურის მოძებნაში დახმარების აღმოჩენა სთხოვა (სავარაუდოდ, სწორედ იმავე დროს იგივე თხოვნით ქაქუცა ჩოლოყაშვილს ალ. სულხანიშვილი და სხვა შეფიცულები მიმართავდნენ, ანუ ამ მდგომარეობიდან თავის დაღწევას ყველა თავისი მფარველის დახმარებით ცდილობდა): „ძვირფასო ამხანაგებო ჭიჭიკო და ივლიანე! ჩვენ დღემდე ვერ მოვახერხეთ წერილის მოწერა. აქ პირობები შემდეგია: როგორც მოსალოდნელი იყო, ჩვენ ვმუშაობთ, ჩვენებურად რომ ვსთქვათ, ნაკელის (სასუქის) დასამზადებელ ქარხანაში. წარმოდგენილი გექნებათ, როგორი ჭუჭყიანობა იქნება. მხოლოთ ეს არაფერი, მთავარი ის არის, რომ ვმუშაობთ 10 საათს და ვღებულობთ 18 ფრანკს. ამ მხრივ პირობები ძალიანი ცუდია.

არც ერთი წუთი არა გვრჩება, რომ ცოტა ვიმეცადინოთ და ფრანგული შევისწავლოთ და თუ ასეთ პირობებში დიდი ხანი მოგვიწია ყოფნა, ეს აუტანელი იქნება. ასეთ პირობებში რომ იმუშავებ, ცოტა რაიმე უნდა გრჩებოდეს შავი დღისათვის, თორემ ავათ რომ გახდეს კაცი, ხომ შიმშილით უნდა მოკვდეს და ცოტაც მეცადინეობის საშვალებაც უნდა გქონდეს, რომ მონობას მალე დააღწიო თავი. მე ვფიქრობ, ამხანაგო ჭიჭიკო, ნოე, ვალოდია და სხვები შეასრულებენ თავის სიტყვას, აღასრულებენ და ამოგვიყვანებენ ამ უბედურებიდან.

ამხანაგებო, თქვენ არ იფიქროთ, რომ მე მუშაობა მეზარებოდეს და იმიტომ გწერდეთ. წარმოიდგინეთ ასეთი მდგომარეობა. იმედი, რომ კვირას მაინც დავისვენებდით, ამეღამ გამოირკვა, რომ კვირასაც უნდა ვიმუშაოთ, მეცედინეობას ქე დავანებოთ თავი და დაუსვენებლათ მუშაობას ვერავინ ვერ შესძლებს და ამას მანამ უნდა ანგარიშის გაწევა, სანამ საქმე წახდებოდეს. მე იმედი მაქვს, თქვენ ამ წერილს ნოე რამიშვილს და ვალოდია გოგუაძეს წააკითხვებთ და ყველანი ერთად იზრუნებთ.

ხომ იცით, ამხანაგებო, თქვენ მიერ გაცემულს სიტყვიერს ვექსელს განაღდება უნდა. ჭიჭიკო, სადაც თქვენ გჭიროდათ დახმარება, ჩვენ მზათ ვიყავით და ეხლა გვაქვს იმედი, დაგვიფაცურდები. გვაქვს იმედი!.. ველით პასუხს დაჩქარებით. მარადის თქვენი ილიკო სალუქვაძე“.

1924 წლის 19 დეკემბერს ასეთივე მძიმე სურათს უხატავდა ს. ასათიანს შიო ქურიძეც: „ამხ. ჭიჭიკო! ჩვენ ჩავედით დანიშნულ ალაგზედ. აქაურ ქარხნის დირექტორთან მოლაპარაკებამ გამოარკვია შემდეგი: უნდა ვიმუშაოთ 10 საათი. ხელფასი 18 ფრანკი. გვიჩვენეს ყაზარმები, ნამეტანი სიროსტიანი და იქ ცხოვრება ყოვლად შეუძლებელია. ბინა კი ღირს არა ნაკლები 12 ფრანკისა. ასე რომ, ვალი რომ გადაუხადოთ ხაზეინს, უნდა ვიმუშაოთ არა ნაკლები 6 თვისა... თქვენი შიო“.

1924 წლის 19 დეკემბერს ს. ასათიანმა წერილი სტამბულიდანაც მიიღო. კ. გვარჯალაძე მას ალუწერდა „შეფიცულთა“ რაზმის თურქეთში ყოფნის პერიპეტიებს: „ძმაო ჭიჭიკო! მივიღე დღეს შენი წერილი. იწერები ქაქუცას ჯგუფის შესახებ. მათ აქ კიდევ უარესი დააყენეს. ნახავდი, რომ დიდათ ჯანმრთელები იყვნენ, მაგრამ მაინც დასვენებაზე გაიძახოდნენ. აქ აუხსენით მათ, რომ ამ გზით საფრანგეთში შესვლა ძნელი იყო და, რაც თავი და თავია, შემდეგ ჯგუფების საქმეებს ამით გააფუჭებდნენ, მაგრამ ადამიანი ხომ ეგოისტია და სხვებისათვის იმათ გული მაინცდამაინც არ შესტკიოდნენ.

ბოლოს, როგორც იქნა, დავითანხმეთ ხელი მოეწერათ აქ. დარწმუნებული ვიყავი, რომ მარსელშიდაც ესენი რამე სკანდალს გააკეთებდნენ. გაუკეთებიათ კიდევაც. იმ „კრეტინმა“ (საინტერესოა, „იმ კრეტინში“ მარქსიზმის ბაცილით სამუდამოდ მოწამლული კ. გვარჯალაძე ვის გულისხმობს — ქაქუცა ჩოლოყაშვილს, თუ ვინმე სხვას? — გ. ს.) აქაც ბევრი სისულელე ჩაიდინა. საზოგადოთ, ის ჯგუფი ყველაზე მეტი დაგვიჯდა, ყველაზე მეტს ხმაურობდა და პრეტენზიებს აცხადებდა. იმ ჯგუფში იყვნენ სხვებიც, რომლებსაც ნაკლები ყურადღება ქონდა მიქცეული, მაგრამ მაინც ჩუმათ იყვნენ და ჩვენს მდგომარეობაში შედიოდნენ.

შენ, ჩემო ჭიჭიკო, ამ პირველ ჯგუფთან გქონდა საქმე მხოლოთ. ადვილათ წარმოიდგენ, თუ რამდენი უკმაყოფილება, რამდენი ლაპარაკი და ნერვიულობა იქნებოდა მერმედ. ამ უფულობის დროს განსაკუთრებით ძნელი იყო აქ ჩემი მდგომარეობა, მაგრამ რას იზამ კაცი!.. პრეტენზიების ხალხი იყო პირველი ჯგუფი (არ ვიცი კი, რატომ მათ სხვებზე მეტი პრეტენზიები უნდა ქონოდათ), სხვებს თავი კარგათ ეჭირათ... შენი კ. გვარჯალაძე“.

გავიდა რამდენიმე დღე და 30 დეკემბერს კ. გვარჯალაძემ ს. ასათიანს კიდევ ერთი წერილი გაუგზავნა, რომლის დასაწყისში გულჩათუთქული აღუწერდა მათი თანაპარტიელი ლტოლვილების — კალე ქავთარაძის და სერგო მათითაიშვილის მძიმე მდგომარეობას სამუშაოზე; ძალიან წუხდა, რომ ისინი ცუდ პირობებში აღმოჩნდნენ; სთხოვდა, „თუ შეიძლება რამე დახმარება, დაეხმარეთ“; აგრეთვე, სთხოვდა პარიზიდან მისთვის რამდენიმე ცარიელი, უსახელო ვიზის გაგზავნას იმ მოტივით, რომ, მაგალითად, „ვლასა მგელაძე რომ ჩამოვიდეს, ხომ ვერ გაუშვებ კონტრაქტით სადმე სამუშაოზე?“ უხსნიდა, „ასეთი ვიზები რომ მქონებოდა აქ, კალეს და სერგო მათითაიშვილს ასეთი რამ არ დაემართებოდათ“.

აი, ამას ჰქვია ადამიანებისადმი შერჩევითი, „ჩემიანების“ და „სხვისიანების“, პრინციპით მიდგომა; ნახეთ, როგორ გულწრფელად წუხს

საქართველოს ემიგრანტული მთავრობის ოფიციალური წარმომადგენელი (რომლის ასევე ოფიციალურ მოვალეობასაც ყველა ქართველ ლტოლვილზე, განურჩევლად მათი პარტიულობისა, ზრუნვა წარმოადგენდა) თავის თანაპარტიელების ბედზე, ხოლო სამი წლის განმავლობაში რუს ოკუპანტებთან ნაბრძოლ, ნერვებდაჭიმულ, მორალურად და ფიზიკურად გადაღლილ „შეფიცულებზე“ კი ამბობს, „არ ვიცი კი, რატომ მათ სხვებზე მეტი პრეტენზიები უნდა ქონოდათ“-ო.

უბედურება ის იყო, რომ ასე მხოლოდ კონსტანტინე გვარჯალაძე არ ფიქრობდა, იგივე მენტალიტეტი ჰქონდა, ფაქტობრივად, ყველა ქართველ მენშევიკს, მათ შორის, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წევრებსაც (ქვემოთ ნოე რამიშვილის მაგალითზე ამაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდებით). ამიტომ იყო, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდში მენშევიკები ვერ იქცნენ ქვეყნის მთელი მოსახლეობის ინტერესების გამომხატველ მთავრობად; ისინი ბოლომდე მუშებისა და გლეხების ხელისუფლებად დარჩნენ. სხვა სოციალური ფენის წარმომადგენლებს მენშევიკები ეჭვის თვალით, უნდობლად უყურებდნენ, ყველანაირად ცდილობდნენ, ისინი დაემცროთ „თავისიანების“ აღზევების ხარჯზე. სამწუხაროდ, ქართველმა მენშევიკებმა ემიგრაციაშიც იგივე პრინციპით განაგრძეს მოქმედება.

როგორც საარქივო მასალებიდან ჩანს, 1925 წლის იანვარში სტამბულიდან მარსელში ქართველი ლტოლვილების კიდევ ორი ჯგუფი ჩავიდა, მათ შორის, შეფიცულების დარჩენილი ნაწილი, აგრეთვე, რამდენიმე ათეული მენშევიკი (ძირითადად, დასავლეთ საქართველოდან). ფრანგულ ენაზე შედგენილ დოკუმენტში – „მარსელში მყოფი ქართველი ლტოლვილების სია“ მოცემულია მათი ვინაობები: „1. ლევან ჩიქოვანი; 2. ლევან ჯავრიშვილი; 3. შალვა ჯავრიშვილი; 4. ალექსანდრე კარგარეთელი; 5. ვასო მარჯანიძე; 6. გაბრიელ ბერბიჭაშვილი; 7. ზაქარია ალიმბარაშვილი; 8. სოლომონ ალიმბარაშვილი; 9. ალექსი ცხვედაძე; 10. დავით რევაზიშვილი; 11. სამსონ ყრუაშვილი; 12. დავით ერქომაიშვილი; 13. ექვთიმე კვაშალი; 14. სერგო ტარასაშვილი; 15. სიმონ გოგიბერიძე; 16. მირიან ბარამიძე; 17. ქრისტეფორე იმნაიშვილი; 18. ნიკოლოზ შარაბიძე; 19. გრიგოლ ცინცაძე; 20. ვლადიმერ დოლიძე; 21. გიორგი დოლიძე; 22. თეოფილე მუხაშავრია; 23. პარმენ ჭანუყვაძე; 24. ავთანდილ ურუშაძე; 25. დიომიდე კვერღელიძე; 26. ჯამლეთ ღლონტი; 27. აკაკი ვადაჭკორია; 28. ფილიპე შარაძე; 29. ვალენტინ წილოსანი; 30. გრიგოლ წერეთელი; 31. გრიგოლ ორაგველიძე; 32. ტიტე აფხაზავა; 33. ლევან დადიანი; 34. სარდიონ კუჭავა; 35. გერმანე წივწივაძე; 36. ალექსანდრე მელქაძე; 37. ვარლამ დარსაველიძე; 38. კლემენტ ჭიჭინაძე; 39. სიმონ ჩიკვილაძე; 40. ალფესი ხომერიკი; 41.

თენგიზ ქართველიშვილი; 42. პავლე ვაშაძე; 43. არტემ კიკვაძე; 44. პავლე რუხაძე; 45. ვალერიან გუნია; 46. მიხეილ ლაშქარაშვილი; 47. ივანე ბოცვაძე; 48. სიმონ ბლიაძე; 49. ბასილ ლაბაძე; 50. ვიქტორ ჯიშკარიანი".

ზემოალნიშნული ლტოლვილების დიდი ნაწილი (31 კაცი), თავდაპირველად, სენტ ობენში გაგზავნეს, სადაც მათ მუშაობა უმძიმეს პირობებში უწევდათ. ისინი დახმარებას ს. ასათიანს თხოვდნენ, რის შესახებაც 1925 წლის 17 იანვარს ეს უკანასკნელი აკ. ჩხენკელს ატყობინებდა: „ბატონო ელჩო!... სენტ-ობენში მოწყობილი ხალხი არ შერებიან იქ გაჩერებას, მაგრამ მე მაინც ვერ ვიკისრე მათი მოხსნა, სანამდი „პეჟოს" ტელეგრამმა არ იქნება მუშების მიწვევის შესახებ. ლაშქარაშვილს ასახელებენ (მუხაშავრია და სხვები), როგორც სპეტაკ და ყოველ მხრივად სანდო პიროვნებას. ისინი ღებულობენ, თუ საჭირო იქნება, ყოველგვარ თავდებობას და პასუხისმგებლობას. მიიღეთ ეს მხედველობაში და ქაქუცა დაარწმუნეთ, რომ ისიც იქნეს შეტანილი სიაში (გაუგებარია, რაში სჭირდებოდა „შეფიცულთა" რაზმის ერთ-ერთ ყველაზე გამოცდილ წევრს — მიხეილ ლაშქარაშვილს „მუხაშავრიას და სხვების" რეკომენდაცია ქაქუცა ჩოლოყაშვილის წინაშე? — გ. ს.). ვუცდი თქვენს დეპეშას და ადრესს, თუ სად გავგზავნო ხალხი, ან თუ საჭიროა ჩემი გაყოლა, თუ მათ დახვდებათ იქ ვინმე. მე კიდევ არ მჯერა ეს საქმე (ხაზგასმა ჩვენია — გ. ს.) და მეშინია, „დიორიც" არ დაეკარგოთ და ყველანი არ დაგვაწვეს თავზე. მუხაშავრია საჭიროდ სთვლის, არ მოშორდეს ამ ხალხს. თითქმის ყველანი მიდიან იქ. გამოდის, სიის თანახმად, 50 კაცი. ამ ორმოცდაათ კაცში შედის ყველა, ქაქუცას სიტ-გრანვილის გამოკლებით... ღრმა პატივისცემით ს. ასათიანი".

სოსიპატრე ასათიანის ეს წერილი რამდენიმე საყურადღებო ინფორმაციას შეიცავს: 1) ზემოთ, ალ. სულხანიშვილის მოგონებებზე დაყრდნობით, აღვნიშნეთ, რომ შეფიცულებს ახალი სამსახური ქ. ოდენკურში მდებარე „პეჟოს" საავტომობილო ქარხანაში თვითონ ქაქუცა ჩოლოყაშვილმა მოუძებნა, რომელმაც ცნობილი ფრანგი კაპიტალისტი პეჟო პოლკოვნიკ კოკეს მეშვეობით გაიცნო. როდესაც ეს ამბავი აკ. ჩხენკელმა შეიტყო, ქაქუცას სთხოვა, ეშუამდგომლა პეჟოს წინაშე, რათა მას შეფიცულებთან ერთად სამსახურში რამდენიმე ათეული „მისიანიც" (ე. ი. სოციალ-დემოკრატი მენშევიკი) მიეღო. ქაქუცა ჩოლოყაშვილმა, რომელიც, საქართველოს ემიგრანტული მთავრობისაგან განსხვავებით, თანამემამულეებს „თავისიანებად" და „სხვისიანებად" არ ყოფდა, აკ. ჩხენკელის თხოვნა დააკმაყოფილა — მისი შუამდგომლობით, „შეფი-

ცულთა“ რაზმის წევრებთან ერთად, „პეჟოს“ ქარხანაში მუშაობა ორმოცამდე ქართველმა მენშევიკმაც დაიწყო.

2) ს. ასათიანის 1925 წლის 17 იანვრის წერილი აკ. ჩხენკელისადმი სწორედ ქაქუცა ჩოლოყაშვილსა და პეჟოს შორის საქმიანი ურთიერთობების დამყარების საწყის ეტაპზეა შედგენილი, როდესაც ქართველი ლტოლვილების ოდენკურის საავტომობილო ქარხანაში მუშაობის დაწყების საკითხი ჯერ კიდევ არ იყო საბოლოოდ გადაწყვეტილი, ყოველ შემთხვევაში, ს. ასათიანს ხელთ არ ჰქონდა „პეჟოს“ ტელეგრამმა მუშების მიწვევის შესახებ“.

3) წერილიდან ნათლად ჩანს, რომ პეჟოს წინაშე წარსადგენი მუშების სიას პირადად ქაქუცა ჩოლოყაშვილი ადგენდა („ქაქუცა დაარწმუნეთ, რომ ისიც იქნეს შეტანილი სიაში“), ანუ ალ. სულხანიშვილის ზემოაღნიშნული ცნობა ქაქუცას მიერ, პოლკოვნიკ კოკეს მეშვეობით, პეჟოს გაცნობისა და მისი შუამდგომლობით, ქართველი ლტოლვილების ოდენკურის საავტომობილო ქარხანაში მუშაობის დაწყების შესახებ, სრულიად სანდოა.

4) ს. ასათიანი ერთგან მიუთითებს: „გამოდის, სიის თანახმად, 50 კაცი. ამ ორმოცდაათ კაცში შედის ყველა, ქაქუცას სიტ-გრანვილის გამოკლებით“. ამ ცნობას მთლიანად ეთანხმება მაშინ ჯერ კიდევ გრანვილის „დიორის“ ქიმიურ საწარმოში მომუშავე ალ. სულხანიშვილის მოგონებებში დაცული შემდეგი ინფორმაცია: „ჩვენ მანამ დიორის ქარხანას თავს დავანებებდით და მოვიდოდით ოდინკურში, სოციალ-დემოკრატების ჯგუფმა უკვე დაიწყო მუშაობა პეჟოს ავტომობილების ქარხანაში, თითქმის 50 კაცმა“.

5) საგანგებოდ აღსანიშნავია (თუ რატომ, ამას ქვემოთ ვნახავთ) ს. ასათიანის შემდეგი ფრაზა: „მე კიდევ არ მჯერა ეს საქმე“ (ანუ მას ვერ წარმოედგინა, რომ ქაქუცა ჩოლოყაშვილს შეეძლო ისეთ გავლენიან ფრანგ მეწარმესთან კავშირის დამყარება, როგორიც პეჟო იყო). ამიტომ, იგი ვერ ბედავდა სენტ ობენსა და გრანვილში მომუშავე ქართველი ლტოლვილების სამუშაოდან „მოხსნას“, ეშინოდა, მათ ეს სამსახურებიც არ დაეკარგათ და „ყველანი არ დაგვაწვეს თავზე“.

1925 წლის 18 იანვარს მარსელში მყოფი ს. ასათიანი აკ. ჩხენკელს კვლავ უზიარებდა თავის ეჭვებს „პეჟოსთან“ დაკავშირებით: „ბატონო ელჩო!... სენტ-ობენში მყოფთ ჯერ ვერ ვხსნი, მეშინია „პეჟოსი“. როგორც კი მომივა თქვენგან ცნობა, იმათაც მაშინვე გამოვიწერ... გთხოვთ, დაჩქარებით მაცნობოთ, თუ გამოდის რამე „პეჟოსთან“ მოწყობის შესახებ, თუ არა, მაშინ სხვაზე უნდა ვიფიქროთ... ღრმა პატივისცემით ს. ასათიანი“.

როგორც ჩანს, ს. ასათიანმა აკ. ჩხენკელისგან პასუხი დროულად

ვერ მიიღო, რის გამოც 21 იანვარს მას აღელვებული სწერდა: „ბატონო ელჩო!... სენტ-ობენიდან ნაწილი ჩამოვიდა, ნაწილი ხვალ მომადგება კარზე... როგორც ჩანს, „პეჯოს“ ამბავი ბლეფია და მეტი არაფერი! (ხაზგასმა ჩვენია — გ. ს.) ის ხალხი მაინც გაჩერებულიყო სენტ-ობენში! უმორჩილესად გთხოვთ, დაჩქარებით შემატყობინოთ „პეჯოს“ ამბავი... თუ „პეჯოსთან“ მოეწყოს საქმე, რაც მე მეეჭვება და თავიდანვე მეეჭვებოდა, მაშინ იქ უნდა გაგზავნოთ ვინმე ან მაცნობეთ, თუ მართლა ქაქუცა დახვეთებათ იქ... ღრმა პატივისცემით ს. ასათიანი“.

როგორც ცნობილია, „პეჯოს ამბავი ბლეფი“ არ გამოდგა და 1925 წლის თებერვლის დასაწყისში დაახლოებით 50 ქართველმა ლტოლვილმა იქ საკმაოდ კარგ სამუშაო და საყოფაცხოვრებო პირობებში მუშაობა დაიწყო. მალე მათ გრანვილის „დიორის“ ქარხნიდან წამოსული ოცი მუშაც შეუერთდათ. სამწუხაროდ, უპარტიო (თუმცა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისადმი სიმპატიით განწყობილ) შეფიცულებსა და მარქსისტ მენშევიკებს შორის თავიდანვე ცუდი ურთიერთობა დამყარდა, მათი ჩხუბი და აყალმაყალი თითქმის ყოველდღიურ მოვლენად იქცა. შექმნილ მძიმე ვითარებაში იმის მაგივრად, რომ ორ მტრულ ბანაკად დაყოფილი ქართველი ლტოლვილების შერიგებაზე ეზრუნათ, საქართველოს ემიგრანტული მთავრობის წევრები ცეცხლზე ნავთს ასხამდნენ და „პეჯოს“ ქარხნის მუშებს შორის თავიანთი იდეოლოგიური მომხრეების რაოდენობის გამრავლებაზე ფიქრობდნენ.

ამ თვალსაზრისით უაღრესად საინტერესოა 1925 წლის 17 თებერვალს ნოე რამიშვილის მიერ აკაკი ჩხენკელისადმი გაგზავნილი შემდეგი შინაარსის წერილი: „ძმაო აკაკი! ფირცხალაიშვილი პარმენი და თალაკვაძე როლანდი (იგივე ტარიელი) ჩვენი ამხანაგები ყოფილან, მათ ყველა ჩამოსულები იცნობენ. ორივენი პირდაპირ გააგზავნეთ პეჯოსთან სამუშაოზე.

რაც შეეხება მერაბაშვილს, უკეთესია, ის გაგზავნოთ სადმე სხვაგან. რაკი ნაციონალ-დემოკრატების (ანუ შეფიცულების — გ. ს.) ნაწილი ამხედრებულია და ჩვენს ამხანაგებს მარქსისტობას აბრალებენ და სხვა, სახიფათოა, ასეთი კაცი ამ ჯგუფს მივაკედლოთ. ასე ფიქრობენ აქაურები. როგორმე აქ ნუ დავტოვებთ. სულ დაიკარგება. ამაზე იფიქრეთ. შენი ნ. რამიშვილი“.

როგორც ვხედავთ, ქართული პოლიტიკის ერთ-ერთი აღიარებული ლიდერი — ნოე რამიშვილი, სამწუხაროდ, მოვლენებს მხოლოდ ვიწრო პარტიული ჩარჩოებიდან უყურებდა და აფასებდა! ის პირდაპირ მოუწოდებდა თანაპარტიელ აკაკი ჩხენკელს, გაეძლიერებინა ოდენკურის ქარხანაში ქაქუცა ჩოლოყაშვილის წყალობით მომუშავე სოციალ-დემოკრატების ჯგუფი ქაქუცასავე შეფიცულების (ნოე რამიშვილის სი-

ტყვებით, ნაციონალ-დემოკრატების) დასუსტების ხარჯზე.

ზემოთ ჩვენ ს. ასათიანის მიერ აკ. ჩხენკელისადმი 1925 წლის 17, 18 და 21 იანვარს გაგზავნილი წერილები გამოვაქვეყნეთ, რომლებიდანაც კარგად ჩანს, თუ როგორი ეჭვის თვალით უყურებდა ბატონი ჭიჭიკო ქაქუცა ჩოლოყაშვილსა და კაპიტალისტ პეჟოს შორის ურთიერთობას. კიდევ ერთხელ გავიხსენოთ მისი ფრაზები: „მე კიდევ არ მჯერა ეს საქმე"; „მეშინია „პეჟოსი"; „პეჟოს" ამბავი ბლეფია და მეტი არაფერი!"; „თუ „პეჟოსთან" მოეწყოს საქმე, რაც მე მეეჭვება და თავიდანვე მეეჭვებოდა"...

ბოლოს, გაგაცნობთ ნაწყვეტს „პეჟოს" ქარხანაში მომუშავე ერთერთი ქართველი სოციალ-დემოკრატის — ვალენტინ წილოსანის მიერ სოსიპატრე ასათიანისადმი 1925 წლის 23 თებერვალს გაგზავნილი წერილიდან, საიდანაც ირკვევა, თუ ვის ემადლიერებოდნენ მენშევიკი მუშები ოდენკურის საავტომობილო ქარხანაში მუშაობის დაწყებას: „ღრმად პატივცემულო ბ-ნო ჭიჭიკო!.. რაც თქვენ დაგვტოვეთ, მას შემდეგ არავითარი ცვლილება არ მომხდარა, ემუშაობთ და ააშენა ღმერთმა ეს პეჟო, კარგათაც გვეპყრობა და ჯამაგირსაც სამყოფათ ვღებულობთ. ეს კარგათ აქვთ ამხანაგებს შეგნებული და აკი მიტომაც თავიანთ მხრივ სასურველათ იჭერენ თავს შინ და გარეთ. ისე, ყველა ამბობს (ვისაც სხვა ქარხნებში უმუშავნია), ასეთი იოლი და თან კარგ ჯამაგირიანი სამსახური ჩვენ სიზმრადაც არ გვქონდა წარმოდგენილიო... დიდი და დიდი მადლობა ჩვენს მთავრობას! ყველა ამას ამბობს (ხაზგასმა ჩვენია — გ. ს.). ერთი სიტყვით, არამც თუ კმაყოფილნი არიან, არამედ ამ სამუშაოს ბავშვების სათამაშოს ეძახიან!.. პატივისცემით, ვალენტინ წილოსანი".

როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია! დარწმუნებულნი ვართ, სოსიპატრე ასათიანი „ღირსეულად" შეიფერებდა ვალენტინ წილოსანის გულწრფელ მადლობას, თითქოს, მართლაც, მან და საქართველოს ემიგრანტულმა მთავრობამ მოაწყო 70-ზე მეტი ქართველი ლტოლვილი „პეჟოს" ქარხანაში და არა — ქაქუცა ჩოლოყაშვილმა! რასაკვირველია, აღარც ის გაახსენდებოდა, როგორ ჩიოდა და წუწუნებდა ცოტა ხნის წინ, „პეჟოს" ამბავი ბლეფია და მეტი არაფერი"-ო.

დავუბრუნდეთ ქაქუცა ჩოლოყაშვილის ცხოვრება-მოღვაწეობის აღწერას... 1924 წლის 24 ოქტომბერს პარიზში პირველი ქართული ემიგრანტული პატრიოტული ორგანიზაცია „თეთრი გიორგი" დაარსდა. მისთვის ამ სახელწოდების მინიჭება ქაქუცა ჩოლოყაშვილის იდეა ყოფილა. „თეთრი გიორგისთან" ქაქუცას კავშირის შესახებ ორი ცნობა მოგეპოვება: პირველის მიხედვით, რომელიც ცნობილ ქართველ მეცნიერს, პოლიტიკოსსა და საზოგადო მოღვაწეს, „თეთრი გიორგის"

ერთ-ერთ დამფუძნებელს – კალისტრატე სალიას ეკუთვნის, „საქართველოს უკანასკნელი რაინდი ქაქუცა ჩოლოყაშვილი პირადად დაესწრო „თეთრი გიორგის“ პირველ კრებას, მხურვალედ მიესალმა მის დაარსებას და გამარჯვება უსურვა“ (125. 403).

კალისტრატე სალიას ეს ცნობა, რა თქმა უნდა, მცდარია, რადგანაც, როგორც ზემოთ ვნახეთ, 1924 წლის 24 ოქტომბერს ქაქუცა და შეფიცულები ჯერ თურქეთიდან გამოსულებიც კი არ იყვნენ და ისინი მარსელში მხოლოდ 1924 წლის 7 დეკემბერს ჩავიდნენ.

რაც შეეხება მეორე, ჩვენი აზრით, სრული ისტორიული სიმართლის შემცველ, ცნობას, მისი ავტორიც „თეთრი გიორგის“ აქტიური წევრი შალვა ბერიძეა. მან 1933 წელს გაზეთ „თეთრი გიორგიში“ (№69-71, გვ. 8) დაბეჭდა მოგონება ორგანიზაციის დაარსების შესახებ, რომელშიც წერდა: „1924 წლის ბოლოს პარიზში ჩამოდის ქაქუცა ჩოლოყაშვილი თავის 40-მდე შეფიცულით. მას იწვევენ „მომავლის“ ერთ-ერთ კრებაზე დასასწრებლად „Institut Catholique“-ში, მაგრამ უქეიფობის გამო, კრებას ვერ ესწრება და ანდობს ერთ თავის წარმომადგენელს, გადასცეს სრული თანაგრძნობა ქართველ არასოციალისტთა ახალ ორგანიზაციას, მაგრამ სახელად მას ეწოდოს „მომავალის“ მაგიერ „თეთრი გიორგი“. კრება დასტურს სცემს მის ამ წინადადებას და უთვლის მადლობას. ამის შემდეგ „მომავალი“ გადაიქცევა „თეთრ გიორგად“ და ეს სახელი შერჩება მას სამუდამოდ“ (131. 156).

1924-1925 წლების მიჯნაზე პარიზში „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის საზღვარგარეთის დელეგაციის“ რამდენიმე სხდომა გაიმართა, რომლებზეც 1924 წლის აგვისტოს აჯანყებაზე, მის მიმდინარეობასა და დამარცხების მიზეზებზე მსჯელობდნენ. მათში მონაწილეობდნენ: ნოე ჟორდანია, კარლო ჩხეიძე, აკაკი ჩხენკელი, ევგენი გეგეჭკორი, სპირიდონ კედია და სხვ. ამ შეკრებებს ესწრებოდნენ და დამსწრეთა დასმულ შეკითხვებს პასუხობდნენ საფრანგეთში ცოტა ხნის წინ ჩასული აჯანყების უშუალო ხელმძღვანელები: ქაქუცა ჩოლოყაშვილი, შალვა ამირეჯიბი, სპირიდონ ჭავჭავაძე, სოლომონ ზალდასტანიშვილი, დავით მხეიძე, გიორგი და სვიმონ წერეთლები.

1924 წლის 20 დეკემბრის სხდომაზე ნოე ჟორდანიამ ქაქუცა ჩოლოყაშვილის ხელმძღვანელობით წარმოებულ პარტიზანულ ბრძოლებს მაღალი შეფასება მისცა და აღნიშნა: „ჩვენი მტერნი ხმებს აურცელებდნენ, თითქოს ჩვენ ვგმობდეთ მათ საქციელს, რადგან იგი არ გათავდა გამარჯვებით. თუ იგი არ გათავდა გამარჯვებით, ეს მებრძოლთა ბრალი არ არის, ამის მიზეზი სხვაგან უნდა ვეძიოთ“.

სპირიდონ კედიას მიერ დასმულ შეკითხვაზე, „როცა პირველი გეგმა (17 აგვისტოს გამოსვლისა) ჩაიშალა, ხელმეორედ რათ გადასწყვიტეთ

გამოსვლა?“, ქაქუცა ჩოლოყაშვილმა უპასუხა: „მიტომ, რომ ხალხის გაჩერება არ შეიძლებოდა“ (138. 71-72).

1925 წლის 17 იანვარს კარლო ჩხეიძის თავმჯდომარეობით გამართულ სხდომაზე მოისმინეს ს. ზალდასტანიშვილის მოხსენება, რომელშიც იგი 1924 წლის აჯანყების მთავარ პერიპეტიებს იხსენებდა. მის ნათქვამს ქაქუცამ დაამატა: „ეს კოტემაც (ანდრონიკაშვილმა — გ. ს.) სთქვა გამოსვლის წინ ტყეში — ხალხის წინ. პარაკლისი გადავიხადეთ და კოტემ უთხრა: თქვენ კარგად იცით, რომ ქაქუცა ჩოლოყაშვილი ოთხი წელიწადი არ დამარცხებულა და ეხლა რა დაამარცხებს, როდესაც მთელი ხალხი მას მიჰყვებაო... წერილი მომაწერია ნოე ჟორდანიასთან. ვუთხარი, რომ ოთხ დღეს რა უნდა მოვახერხო, ხალხი ხომ კაზარმაში არ არის მეთქი... პირველად უნდა გამოვსულიყავი 9 მაისს, მერე უფრო გვიან. საქმე იყო ფულზე დამოკიდებული“ (105. 217).

1925 წლის 31 ივლისს თბილისში გაიმართა „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის“ წევრების სასამართლო პროცესი, რომელზეც გაბედულებითა და გულწრფელობით გამსჭვალული ისტორიული სიტყვა წარმოთქვა „დამკომის“ წევრმა, 1924 წლის აგვისტოს აჯანყების ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა იასონ ჯავახიშვილმა. ქაქუცა ჩოლოყაშვილის მეთაურობით წარმოებული პარტიზანული მოძრაობის შესახებ, მან აღნიშნა: „ხალხის გამოსვლებს პირველ ხანებში ჰქონდა სტიქიური ხასიათი: ხალხმა დაინახა მტრის შემოსევის საშინელება და მისი შედეგები და დაიწყო სხვადასხვა კუთხეებში თავისით აჯანყებანი... ბევრ ადგილას ტყეში პარტიზანული რაზმები გავიდნენ, სხვათა შორის, ქაქუცა ჩოლოყაშვილიც...

ჩოლოყაშვილი ხელისუფლებამ აიძულა, რომ ეს ნაბიჯი გადაედგა... სახელმწიფო ბრალმდებელი შეეცადა, წარმოედგინა ჩოლოყაშვილი, როგორც მძარცველი, კაცისმკვლელი; გაიხსენა მისი წარსული: წინად ადიუტანტი იყო, შემდეგ სასურსათო კომისარიატის რწმუნებულიო (განმარტებისათვის: ტერმინ „ადიუტანტში“ იგულისხმება პერიოდი, როდესაც, ბენია ჩხიკვიშვილის ხელმძღვანელობით, ქაქუცა ჩოლოყაშვილი ბათუმში განსაკუთრებულ მინდობილობათა ოფიცრის თანამდებობაზე მსახურობდა; ტერმინ „სასურსათო კომისარიატის რწმუნებულში“, ალბათ, უნდა ვიგულისხმოთ პერიოდი 1921 წლის შემოდგომიდან 1922 წლის დამდეგამდე, როცა ტყეში გასვლის წინ, კომუნისტებისთვის თვალის ახვევის მიზნით, დავით ვაჩნაძის და ივანე ციციშვილის ინიციატივით, ქაქუცამ თელავის მაზრაში „წარმოკავშირის“ განყოფილება გახსნა — გ. ს.). ჩვენი ზნეობრივი მოვალეობაა განვაცხადოთ, რომ ქაქუცა ჩოლოყაშვილი სამი წლის განმავლობაში მხოლოდ ეროვნული მებრძოლი და საუკეთესო პარტიზანი იყო. შიშველ-ტიტველი, მშიერ-

მწყურვალი ის სამი წლის განმავლობაში იბრძოდა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის და როცა დამარცხდა, გახსნილი ალმით დასტოვა ჩვენი მიწა-წყალი. მან პირნათლად შეასრულა მოვალეობა სამშობლოს წინაშე“ (129. 136).

დრო გადიოდა... ქაქუცა ჩოლოყაშვილი და „შეფიცულთა“ რაზმის წევრები ცდილობდნენ, როგორმე შეგუებოდნენ მათთვის სრულიად უცხო გარემოს, ახალ ემიგრანტულ ყოფას. ამ პერიოდში მათ მთავარ საზრუნავს სამუშაოს მოძებნა წარმოადგენდა, რათა შიმშილით არ მომკვდარიყვნენ. აქ გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ შეფიცულების აბსოლუტურმა უმეტესობამ, მათ შორის, ქაქუცამაც, ფრანგული ენა არ იცოდა.

ალ. კარგარეთელი რაზმის წევრების საფრანგეთში ყოფნის პირველ ხანებს შემდგომში ასე იხსენებდა: „დაიწყო ჩვენი დუხჭირი ცხოვრება საფრანგეთში. გაჭირვებულებმა დავიწყეთ სამუშაოს ძებნა. ზოგი სხვადასხვა საფრანგეთის ქალაქებში გავიფანტენით; მაღაროებში თუ ქარხნებში დაიწყეს მუშაობა. ჩვენი ჯგუფის ერთი ნაწილი მოეწყო ქ. ოდენკურში, „პეჟოს“ ავტომობილის ქარხანაში, სადაც უკვე ბევრი წინანდელი ჩამოსული ქართველები დაგვხვდა“ (54. 26).

რადგან ქაქუცას არ უნდოდა თავისი შეფიცულების დაფანტვა, მან პარიზის მახლობლად, ვიროფლეიში, იქირავა სახლი, ყველა შეფიცული ჩამოიყვანა და ერთად დაასახლა. ამ სახლში ცხოვრობდნენ ყველანი ერთად, ქაქუცა თავს ევლებოდა მათ, არიგებდა, თუ როგორ მოქცეულიყვნენ, ყველანაირად ცდილობდა, გაეადვილებინა მათთვის მძიმე ემიგრანტული ცხოვრება.

შეფიცულების ცხოვრება-მოღვაწეობის აღნიშნულ პერიოდზე ცნობები დაცულია ალექსანდრე სულხანიშვილის, ალექსანდრე კარგარეთელისა და ელიზბარ მაყაშვილის მოგონებებში.

„საფრანგეთში ჩასვლისას რაზმი ჯერ კიდევ ერთსულოვანი იყო. ამიტომ მოისურვა ქაქუცამ, რომ საერთო ბინა გვქონოდა. ამ თვალსაზრისით, ამოვარჩიეთ პარიზის ახლოს ვიროფლე და იქ, დიდი პარკის გვერდით, დავიქირავეთ მშვენიერი სახლი კარგა მოზრდილი ეზოთი... თითქმის ყოველ შაბათ-კვირას მოდიოდა ჩვენთან ახალგაზრდობა პარიზიდან. იყო სიმღერა, ცეკვა და ამბების თხრობა ჩვენი ცხოვრებიდან, რითაც ძალიან იყვნენ დაინტერესებული“ (ალ. სულხანიშვილი) (106. 273-275).

„ქაქუცა პარიზში დაბინავებულიყო. რადგანაც ქაქუცას არ უნდოდა თავის შეფიცულების დაქსაქსვა სხვადასხვა ქალაქებში, მან გადასწყვიტა მათი ერთად ყოფნა; პარიზის მახლობლად ვიროფლეიში იქირავა სახლი, სადაც ყველა შეფიცულები ჩამოიყვანა და ერთად დაასახლა...

ამ სახლში ვცხოვრობდით ქაქუცასთან ერთად, რომელიც დიდ ყურადღებას გვაქცევდა, გვარიგებდა ყველას, როგორ მოვქცეულიყავით, გვიამბობდა ყველაფერს, რაც ქვეყანაზე ხდებოდა, ჩვენი ძმა და დამრიგებელი იყო. მასთან აუარებელი ხალხი მოდიოდა სანახავად საქმეებზე, თუ მოსაკითხად“ (ალ. კარგარეთელი) (54. 26).

„გადიოდა დღეები, გადიოდა თვეები. წლებმაც გაიარა. ნელ-ნელა ეჩვეოდა შეფიცულთა ჯგუფი საფრანგეთში ცხოვრებას. ყველა მუშაობდა. ბევრს უკვე შეესწავლა ავტომობილის ტარება. მუშაობდნენ ტაქსისტებად. იმედი საქართველოში დაბრუნებისა და მისთვის ხელახალი ბრძოლისათვის არ გამქრალიყო; ბელადი ბელადად დარჩენილიყო და თავისებურად ამხნევებდა მათ, ანუგეშებდა და იმედს უსახავდა... ხშირად მიპატიჟებული ბელადი, თავისი შეფიცულებით რომელიმე ქართულ ოჯახში, ივიწყებდნენ უცხოელობას; შუბლ-გახსნილნი და მხიარულნი, ბაასობდნენ თავიანთ წარსულზე, საქართველოს მომავალზე. ხშირად გაისმოდა მათი სიმღერა, დაწყებული ბელადის მიერ“ (ე. მაყაშვილი) (75. 33).

თუ რაოდენ კეთილი გულის ადამიანი იყო ქაქუცა ჩოლოყაშვილი, როგორ ზრუნავდა თავის შეფიცულებზე, კარგად ჩანს ალ. სულხანიშვილის შემდეგი სიტყვებიდან: „ქაქუცას ფული არა ჰქონდა, ანდა საიდან უნდა ჰქონოდა! ხანგამოშვებით მეგობრები უგზავნიდნენ მას სახარჯოს ინგლისიდან, გერმანიიდან და შიგ საფრანგეთიდანვე. ათასი ფრანკი რომ მიეღო, შეიძლება ორმოცდაათი აეღო თავისთვის, დანარჩენს ავადმყოფ და უმუშევარ რაზმელებს ურიგებდა. ჩვენს მთავრობას, კაპიკი რა არის, კაპიკიც არ მიუცია მისთვის!“ (106. 274).

ქაქუცა ჩოლოყაშვილს განსაკუთრებით ახლო მეგობრობა აკავშირებდა გამოჩენილ ქართველ სამხედრო მოღვაწესთან, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალთან, გენერალ გიორგი კვინიტაძესთან. ქაქუცა ხშირად სტუმრობდა გენერლის ოჯახს პარიზის მახლობლად – შატუში. საყოველთაოდაა ცნობილი შატუში გადაღებული მათი ერთობლივი ფოტოსურათი. კვინიტაძის ოჯახშია აგრეთვე 1925 წელს გადაღებული ფოტო, რომელზეც, გენერლის ოჯახის წევრებთან ერთად, გამოსახულნი არიან: ქაქუცა ჩოლოყაშვილი, შალვა ამირეჯიბი, სპირიდონ ჭავჭავაძე, მერაბ ჯორჯაძე და გიორგი ოდიშელიძე.

2007 წლის 12 ოქტომბერს საფრანგეთში მცხოვრებმა ჩვენმა თანამემამულემ, ქართული ემიგრაციის თვალსაჩინო წარმომადგენელმა, წლების მანძილზე საფრანგეთის ქართული სათვისტომოს თავმჯდომარემ, ბატონმა ოთარ პატარიძემ საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს უსახსოვრა მამის, ემიგრაციაში საქართველოს ეროვნულ-დე-

მოკრატიული პარტიის თავმჯდომარის (1953 წლიდან), ჟურნალ „ივერიას“ რედაქტორის (1949 წლიდან), უცხოეთში მოღვაწე ქართველ მწერალთა და ჟურნალისტთა კავშირის თავმჯდომარის – ელისე პატარიძის პირადი არქივი.

ელისე პატარიძის პირად არქივში, სხვა საინტერესო მასალებთან ერთად, აღმოჩნდა XX საუკუნის 20-იან წლებში გადაღებული ფოტოსურათი, რომელზეც გამოსახულია ქაქუცა ჩოლოყაშვილი პოლონეთის არმიაში მომსახურე ქართველ ოფიცრებთან (მათ შორისაა გამოჩენილი სამხედრო მოღვაწე, გენერალი ალექსანდრე ჩხეიძე) და ემიგრაციის სხვა წარმომადგენლებთან ერთად.

ქაქუცა ჩოლოყაშვილსა და საქართველოს ემიგრანტული მთავრობის წევრებს, კერძოდ, ნოე რამიშვილს, შორის არსებული დაძაბული ურთიერთობების შესახებ საინტერესო ცნობა მოეპოვებათ მკვლევრებს ალ. დაუშვილსა და კ. წენგუაშვილს. მათი თქმით, „ეს დაძაბული ურთიერთობა შეუმჩნეველი არ დარჩენია საბჭოთა კავშირის აგენტურას პარიზში და ერთ-ერთ თავის ცნობაში საბჭოთა მთავრობას ატყობინებდნენ, რომ ქართველი სოციალ-დემოკრატები ცდილობდნენ ქაქუცას დაყოლიებას ერთობლივი თანამშრომლობისათვის და ამ მიზნით არაერთი შეხვედრაც კი შემდგარა. აგენტურული ცნობით: „ნოე რამიშვილთან ჩოლოკაევის შეხვედრა, როგორც ჩანს, უშედეგოდ დამთავრდა. განრისხებულ ჩოლოკაევს უთქვამს, რომ მასსა და ყოფილ მთავრობას შორის შეიძლება სისხლიც კი დაიღვაროსო“ (30. 37).

1927 წლის 8 აგვისტოს 39 წლის ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელზე პარიზში სამი წლის ვადით 32-გვერდიანი საგარეო პასპორტი (№ 3898) გაიცა. მას ხელს საფრანგეთში საქართველოს საელჩოს პირველი მდივანი სოსიპატრე ასათიანი აწერდა. პასპორტში ქართულ და ფრანგულ ენებზე ეწერა: „ვსთხოვთ, ყველა მთავრობის პირთ, ვისაც მინდობილი აქვს საზოგადო მშვიდობიანობისა და წესიერების დაცვა, თავისუფლად და დაუბრკოლებლივ გაატარონ და დახმარება და მფარველობა აღმოუჩინონ ბ. ქაქუცა ჩოლოყაშვილს, მოქალაქეს საქართველოსას“. აქვე იყო ქაქუცას საპასპორტე ფოტოსურათი და მისი ხელმოწერა (96. 16).

როგორც აღვნიშნეთ, ქაქუცა თავს ევლებოდა თავის შეფიცულებს, ყველანაირად ცდილობდა, გაეადვილებინა მათთვის მძიმე ემიგრანტული ყოფა... და ამ დროს თვითონ, სამშობლოს ხილვას დანატრებული, სანთელივით ილეოდა. „გახსოვს, თამარ, ალავერდობა? 26 მაისი, ის პირველი 26 მაისი? შუამთის დღესასწაული გახსოვს, ჩვენი საქართველო? კარგად გახსოვს? კრულიც იყოს აქ სიცოცხლე! იქ სიკვდილი განა ბედნიერება არ არის?“ – ეუბნებოდა ქაქუცა თამარ პაპავას. ტკბი-

ლად აგონდებოდათ მეგობრებს ის ალავერდობა, როცა საღამო ხანს ქაქუცა თავისი რაზმით ეკლესიის გალავანში შემოვიდა, იქ მყოფი უამრავი ხალხი ერთბაშად მუხლზე დაეცა და ერთხმად — „საქართველოს გაუმარჯოსო“ — შესძახა (85. 64; 86. 13).

საბოლოოდ, სამშობლოზე ფიქრმა, დედის, მეუღლის, შვილების ნახვის სურვილმა და მათზე დარდმა გატეხა ქაქუცა ჩოლოყაშვილი. ამას ისიც დაერთო, რომ ძველი, ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის დროს მიღებული, ჭრილობა გაეხსნა, რაც მალე ტუბერკულიოზში გადაიზარდა. დაახლოებით 1929 წლის დასაწყისში მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა საგრძნობლად გაუარესდა.

ამის შესახებ ცნობებს ვხვდებით ელიზბარ მაყაშვილის ნარკვევში „შეფიცული“: „ბელადი უკვე რამოდენიმე ხანი იყო, ვერ გრძნობდა თავს კარგად. ხშირად ახველებდა, ძველებური სიმხიარულე აღარ ჰქონდა. აღარც ისე ხშირად ბაასობდა თავის შეფიცულებთან; ხანგამოშვებით სიცხეც ჰქონდა. ხველების დროს ხშირად იდებდა გულთან ხელს. ძველად დაკოდილი, ფილტვებში ჭრილობაც აწუხებდა, თუმცა კი მხნეობა ავადმყოფობის მიმართ არ აკლდა. ამას ხედავდნენ შეფიცულნი, სწუხდნენ, თავზე ევლებოდნენ, აძალებდნენ საჭმელს.

— მიირთვი, ბელადო! ჭამა-სმა ჯანზე მოგიყვანს — ეხვეწებოდა მას შამილი.

— არა, არა მშია, ჩემო შამილო! ცოტა მაცალე და გამოვკეთდები. ნუ გეშინია. მრავალი ამიტანია. კიდევ მრავალს ავიტან. არ დაღონდე, თუშო, კიდევ დაგატარებ პანკისის ხეობას — აძლევდა პასუხად, ნაღვლიანი ღიმილით ბელადი.

— ღმერთმა გისმინოს, ღმერთმა.

— ნახავ კიდევ შენს ლამაზ ხეობას; შესაძლებელია, უჩემოდ, მაგრამ ნახავ!

— უშენოდ ღმერთმა არ მაცოცხლოს, ბელადო! — შესძახებდა შამილი. ბელადს ყოველ დღეს სისუსტე ემატებოდა. ნახველს ხშირად სისხლი ამოსდევდა. ერთ დღეს დაარღვიეს შეფიცულებმა ბელადის ნაბრძანები სიტყვა და მის დაუკითხავად მიჰგვარეს ექიმი, რაზედაც ის მუდამ უარს ამბობდა. არ ესიამოვნა ბელადს ექიმის ნახვა:

— ჰაა! ექიმი მომგვარეთ? გგონიათ, რომ მოახლოვდა ჩემი სიკვდილი? სცდებით. მე ჯერ კიდევ ცოცხალი ვარ და არც ვაპირებ საიქიოსკენ გამგზავრებას. ჯერ არ გადამიხდია ჩემი ვალი სამშობლოს წინაშე!..

დიდხანს სინჯა ფრანგის გამოცდილმა ექიმმა ბელადი; წამლებიც გამოუწერა, გაამხნევა და ოთახიდან გავიდა. შეწუხებულნი შეფიცულნი ელოდნენ ექიმის აზრს.

— არ დაგიმალავთ, სიმართლეს გეტყვით, — დაიწყო დაბალი ხმით

ექიმმა, — მეტად მძიმე მდგომარეობაშია ავადმყოფი. ძველი ჭრილობა ფილტვებში გახსნილი უნდა იყოს; მისი შეხორცება შეუძლებელია; სისხლის ნთხევაც მისი შედეგია. არაჩვეულებრივი მაგარი ორგანიზმის პატრონია; ამიტომაც გაუძლო ამდენ ხანს ტუბერკულოზს და საჭიროა მისთვის სპეციალური სანატორიუმი“ (75. 34).

ალ. სულხანიშვილის თქმით, „ქაქუცა თავს ჩინებულად გრძნობდა ჩვენს ბრძოლებში. ვერავინ ვჯობდით მას სიარულში, მაგრამ ევროპაში შემოსვლა გადაეცა მას საბედისწეროდ. საშინლად ცუდად იმოქმედა მასზე პარიზის ჰავამ... ჭრილობისგან მარჯვენა ფილტვის თავი ჰქონდა დაზიანებული. აი, ის გადაეცა კაჟივით მაგარ ვაჟკაცს მომაკვდინებელ ჭლექად“ (106. 273).

ემიგრანტულ მთავრობას ქაქუცა ჩოლოყაშვილის სამკურნალოდ არაფერი გაუკეთებია, ერთი ფრანკითაც არ დახმარებია. მისმა მეგობრებმა შეაგროვეს ფული და მთებში, სანატორიუმში, გაგზავნეს. რამდენიმე თვის მკურნალობა ქაქუცას ძალიან მოუხდა და იგი პარიზში დაბრუნდა. ცოტა ხნის შემდეგ ეროვნული გმირის ჯანმრთელობის მდგომარეობა კვლავ გაუარესდა.

1929 წლის 28 ნოემბერს ქაქუცა ჩოლოყაშვილს ოპერაცია გაუკეთეს, რის შემდეგაც სამკურნალოდ ოტსაუას რეგიონში მდებარე პრასკუდანის სანატორიუმში გაგზავნეს. სიცოცხლის უკანასკნელი პერიოდი მან სწორედ აღნიშნულ სანატორიუმში გაატარა. 1930 წლის 12 აპრილს ქაქუცა ერთ-ერთ შეფიცულს — ალექსანდრე კარგარეთელს სწერდა: „მე ხან კარგა ვარ, ხან ცოტა შეუძლოდ. ასეთი ყოფილა ეს მუდრეგი ავადმყოფობა. თუ ცუდი ამინდია, მაქცევს, თუ კარგი — მე ვერევი. ვართ ჭიდილში, ბოლოს რომელი წავაქცევთ, ვნახოთ“.

სამწუხაროდ, ქაქუცას მდგომარეობა დღითიდღე უარესდებოდა... ქართული ემიგრაციის ღირსეული წარმომადგენლები გრძნობდნენ, რომ გარდაუვალი უბედურება სულ უფრო და უფრო ახლოვდებოდა... ზემოთქმულს ნათლად მოწმობს 1930 წლის 25 მაისს მიხაკო წერეთლის მიერ სპირიდონ კედიასადმი გაგზავნილი წერილი: „ქაქუცას წერილი მეც მივიღე ამ რამოდენიმე კვირის წინად. ძალიან პესიმისტური ტონით იყო აღსავსე. ცრემლები მომადგა თვალზედ. გეელუპება ეს საწყალი ბიჭიც — დიდი კაცი! ეჰ, სპირიდონ, ვიღუპებით, მერწმუნე, რაღაც ულმობელი ბედი მუშაობს ჩვენს წინააღმდეგ, ბრმა და დაუნდობელი! სად არის ხსნა? მიწერე ჩემ მაგივრადაც მოკითხვა ქაქუცას, როდესაც მისწერო წერილი. მეც პასუხი კაი ხანია გაუგზავნე საოიეში“ (105. 75).

საბედნიეროდ, ჩვენამდე მოაღწია ქაქუცა ჩოლოყაშვილის მიერ ავადმყოფობის დროს, 1929-1930 წლებში, სპირიდონ კედიას, ალექსან-

დრე (საშიკო) კარგარეთელის, ალექსანდრე ბადურაშვილის, ალექსი ფეიქრიშვილისა და ვალიკო ჩუბინიძისადმი გაგზავნილმა 17 წერილმა, სადაც დაცულია უძვირფასესი ცნობები საქართველოს ეროვნული გმირის ცხოვრება-მოღვაწეობის უკანასკნელი პერიოდის შესახებ, რომელიც უმძიმესი ავადმყოფობის მიუხედავად, ისევ სხვების ბედზე წუხდა, ფიქრობდა და ზრუნავდა. მართლაც, ძნელია ეს წერილები აღელვების გარეშე წაიკითხო. ჩვენ ისინი ქრონოლოგიური თანმიმდევრობით დავალაგეთ და ასე შემოგთავაზებთ.

ქაქუცა ჩოლოყაშვილის წერილი ვალიკო ჩუბინიძისადმი (1929 წლის 3 მარტი): „ძვირფასო ძმაო ვალიკო! ვიზიარებ შენს უბედურებას, ჩემო ძმაო. მარტო მამას შეუძლიან შენი ღრმა მწუხარების გაზიარება. მე ღმერთსა ვთხოვ, შენი შვილის დაკარგვა, რომელიც შენი იქ არ ყოფნის დროს მოხდა, შეგვეცვალოს ჩვენი სამშობლოს ბედნიერებით, როგორც შენი გული მოითხოვდა ბედნიერებას ძისთვის. იყავი მაგრად და გულგაუტეხელად მტრის გულის მოსაკლავად. შენი კეთილის მოსურნე სულმუდამ, ძმა და მეგობარი ქ. ჩოლოყაშვილი“ (133. 406).

ქაქუცა ჩოლოყაშვილის წერილი ალექსანდრე კარგარეთელის, ალექსანდრე ბადურაშვილისა და ალექსი ფეიქრიშვილისადმი (1929 წლის 24 ივლისი): „ჩემო მეგობრებო და გულიდან განუყრელო ალექსი, საშიკო და საშიკო! მივიღე თქვენი წერილი, საცა მწერთ ბიჭების თაობაზე, თუ უსაქმოდ არიან, ალაგი არისო. ჯერჯერობით უადგილო არავინ არის. ამათი წამოსვლა კი არა, ძალიანა ვცდილოფ, რომ სამთავენი ჩამოხვიდეთ, რომ ცოტა შეგისუფთქდეთ მუშაობა. ალეკი (ალექსი// ალეკ ამილახვარი, ოფიცერი, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ახლო მეგობარი — გ. ს.) ძალიან ცდილობს.

ახლა ისეთი გარემოებაა, სუყველა ზაოდებში ითხოვენ ყველა მუშებს. ხუთმეტი დღით, ენკენისათვის დაპირდნენ. აი, ასეთი გარემოებაა ჯერჯერობით. დარწმუნებული ვარ, იმ დროისათვის მოწყობილები იქნებით, ხოლო ყველას კარტიდანტიტები უნდა ქონდეთ უეჭველად. მოიწერეთ ხოლმე ხშირადა — ან სახლიდგან, ან ისე რა ამბავს მიიღებთ.

ეხლა მეორე: ჩვენებმა დაიჭირეს გამოცდები, უკვე დაიწყეს ტაქსიზე მუშაობა. თქვენ, ორთავე საშიკოებს, გინდათ მოემზადოთ, თუ არა, მოიწერეთ. გარემოება ასეა: ერთ-ერთი ჩამოხვალთ, რომელიც უფრო მოწადინებული ხართ ან კენჭი ყარეთ ორში. იცხოვრებთ კვინიტაძესთან, დაეხმარებით მაწვნის საქმეში, ჩვენ დაგეხმარებით ფულით და ნელა შეისწავლით რუქას. შემატყობინეთ წერილით, თუ აზრი მოგეწონათ, რომელი ჩამოხვალთ. შეფიცულებმა სალამი და კოცნა. დაგკოცნით სამთავეს. თქვენი უფროსი მეგობარი ქ. ჩოლოყაშვილი“ (54. 58).

ქაქუცა ჩოლოყაშვილის წერილი ვალიკო ჩუბინიძისადმი (1929

წლის 4 ოქტომბერი): „ძვირფასო ძმაო ვალიკო! ბოდიშს ვიხდი, რომ გაწუხებ, მაგრამ ხომ იცი, ისევ შინაური, თორე გარეული რას გააკეთებს. ვალიკო, ლეგაციაში ინახავთ ყველა ნომრებს „დამოუკ. საქართვ.“. თუ ძმა ხარ, არ დაიზარებ, მომიძებნე 17 და 18 ნომრები, გაზეთად რომ გამოდიოდა „დამოუკიდებელი საქართველო“ და გადმომიგზავნე, რაზედაც წინასწარ დიდ მადლობას გიძღვნი. მომიკითხე თქვენი ლეგაციის შემადგენლობა. იყავი კარგა. მარად შენი პატივისმცემელი ქ. ჩოლოყაშვილი“ (133. 406).

ქაქუცა ჩოლოყაშვილის წერილი სპირიდონ კედიასადმი (1930 წლის 21 იანვარი): „ძვირფასო ძმაო სფრიდონ, ვისურვებ შენს კარგა ყოფნას და დიდხან სიცოცხლეს შენი პატარა კარგი ცოლ-შვილით, გამარჯვება და სიცოცხლე ნუ მოგიშალოთ ღმერთმა. იყავით ბედნიერ, როგორც თქვენი გული ისურვებს მრავალჟამიერ.

ჩემს ამბავს მოკლედ მოგწერ: ვიმყოფები მთებში, რომელ მთებსაც თეთრი ჯუბა აქვთ ჩაცმული უკვე და ძალიან მომაგონებენ ჩვენ ტურფა სამშობლოს. მაგრამ იცოდე, ჩემო სფრიდონ, ყველა ბუზი ბზუის, ფუტკართან კი ყველა ტყუის. ასეა შედარებით, ლამაზი მხარეა, საცა მე ვარ, მაგრამ ჩვენ მთებთან სილამაზით არაფერი შედარება არ არის. ეჰ, ჩემო ძმაო, ღმერთმა კარგა მოახმაროს თავის პატრონს, ოღონდ ჩვენი დაგვიბრუნონ. ის მთები უფრო კარგა გაკურნაონ ყველა ქართველის ავანტყოფობას, სანამ აქაური მთები.

დღევანდელი ცხოვრება მიდის ასე, ჩემი ტყვეობისა: დღეში ოთხჯერ უნდა გავიშინჯო სიცხე, ოთხჯერ უნდა ვჭამო, სულ ხდება ზარის დარეკვაზე. მომაგონეს ჩვენი ქართული გიმნაზია. ვიძინებთ 9 1/2 საათზე საღამოთი. არაფრისთანა არაფერ წამალს არ იძლევიან, მკურნავენ მარტო ჰაერით. დღე და ღამე ოთახის კარები სულ ღიაა, მარტო იკეტება ჭამის დროს. აი, ჩემო სფრიდონ, ასე მიდის ყველა დღეები ჩემი და ჰქრებიან, ვითარცა რთვილი. ისე, თავს უკეთა ვგრძნობ ცოტათ თუ ბევრად, სუნთქვა ნელ-ნელა თავისუფალი მიხდება, ამას ვატყობ. მეტი წილი სულ ჩუმადა ვარ და ვწევარ, არაფრის ნებას არ მაძლევენ, რომ გავაკეთო. წერასაც მიშლიან ჯერჯერობით.

რას შვრება ჩვენი თეო, ჩიტმა ამბავი მომიტანა, დედა გააჯავრაო. აბა, ეგ როგორ შეიძლება, ბელადმა ქალმა დედა გააჯავროს. მომიკითხე ქ-ნი სონა, დაუკოცნი ხელებს. ისე, ჩემო სფრიდონ, ახალი არა მაქვსრა, რომ მოგწერო. გაზეთიც ვერ გადმომიგზავნეს, რომ ჩვენ ვეფხვიასთვის (სავარაუდოდ, აქ ქაქუცა ჩოლოყაშვილი შალვა ქარუმიძეს და მის წინააღმდეგ გამართულ სასამართლო პროცესს გულისხმობს — გ. ს.) თვალი მედევნა, თოთხმეტს აქეთ არაფერი ვიცი. მომიკითხე ყველა ჩვენი მეგობრები, იყავი კარგა. მარად შენი პატივისმცემელი სულ

მუდამ ქ. ჩოლოყაშვილი. Village-Sanatorium de Passy-Praz-Coutant (Haute-Savoie)“ (105. 62).

ქაქუცა ჩოლოყაშვილის წერილი სპირიდონ კედიასადმი (1930 წლის 21 თებერვალი): „გამარჯვება ძვირფასო სფრიდონ, როგორღაც მიჰყურჩდი ცოლ-შვილში, მერე ხაზეინი (გიორგი მაჩაბელი, რომლის ფირმაშიც მუშაობდა ს. კედია — გ. ს.) ჩამოგვივიდა და, ალბათ, ბევრი საქმეები გაქვს, რომ შენი ხმა აღარ ისმის მოძახილისა. რა არის, კაცო, როგორ გასჩუმდი ასე, რომ წერილი არც კი მომწერე და არ გამაგებინე შენი და შენი ცოლ-შვილის ამბავი. ქ-ნი სონა როგორა გრძნობს ბოლო ხანებში, ან ბელადის ბელადი ხომ აღარა ავანტყოფობს.

ჩემ ამბავს თუ იკითხავ, მე მგონი, ნელ-ნელა გაჯანსაღების გზაზე დავდექი, უკეთესობას ვგრძნობ უფრო და უფრო. ჯერჯერობით ნება მომცეს კარიდორში სიარულისა შუადღისას და საღამოთი, ისე სულ ვწევარ და ვიზომავ სიცხეს დღეში ოთხჯერ. ჩემი დროს გატარება სულ ეგ არის, რას იტყვი, ზედ სწორეთ ჩემზეა მოგონილი ამისთანა რეჟიმი. ჩემი სიცოცხლე წოლა მეზარებოდა და ახლა, მგონი, შემაჩვიეს.

მერე ძალიანა ცივა, ნამეტნავათ, როცა ფეხზე ვარ, და ისევ ვირჩევ ხოლმე, მალე ჩავწვე ლოგინში და ჩავითბუნო, სანამ ფეხზე ვიარო და ვიკანკალო. წერილების წერა ჩემთვის ძნელია, ხელი ვერ უძლებს კალმისტარის დიდხან ჭერას, პატარა წერილის დაწერას კარგი შრომა უნდა, რამდენჯერმე ხელები უნდა გაითბო და ისე შეუდგე ახალის ძალით აზრების წერას. ამ წერილს გწერ დილის 6 საათზე, რადგანაც გარიჟრაჟისას ჰკეტენ კარებს რვა საათამდე, მაშინ ოთახში თბილა და შეიძლება რისიმე გაკეთება.

სფრიდონ, მომივიდა თელავის მაზრიდგან წერილი, ხელს არ აწერს, მაგრამ ხელზე და ნიშნებით მივხვდი, ვინც არის. კარგა გრძელი წერილია, დაწვრილებითა მწერს ყველასფერს; იწერება, რომ ამისთანა მომენტი არა დროს არა ყოფილაო. დიდძალი ხალხი გავიდა ტყეში. მატყობინებს კიდე რამდენი მეთაური კომუნისტები დაუხოცნიათ კახეთში, კოლხოზების სულის ჩამდგმელები. მეხვეწება, რომ დავბრუნდე, მთელი ჩვენი მხარე შენ გელისო, და იძახიან, ყველა დანაშაულს გავასწორებთ, ოღონდ ის ჩამოვიდესო.

მივწერე ჩემ ცოლს, რომ დაიბაროს და მოელაპარაკოს ჩემ გარემოებაზე; უთვლი, რომ რაწამს გამოვკეთდები და დრო დადგება, თქვენთან ვიქნები-მეთქი. აი, ასეთი გარემოებაა, ჩემო სფრიდონ, ახალი ეს არის ჩემ მიდამოებში. შენ რაღა იცი, მომწერე. მომიკითხე ქ-ნი სონა თავისი მოუსვენარი თეთი, გიორგის სალამი და კარგა ყოფნა. იყავით გამარჯვებულნი. მარად შენი მეგობარი ქ. ჩოლოყაშვილი“ (105. 63).

ქაქუცა ჩოლოყაშვილის წერილი ვალიკო ჩუბინიძისადმი (1930

წლის 23 თებერვალი): „ძვირფასო ძმაო ვალიკო! მივიღე შენი წერილი და გაზეთი, რაზედაც დიდ მადლობას გიძღვნი, ჩემო ვალერიან-ბეი. ჩემო ძმაო ვალიკო, ისეთ ძნელ შეკითხვას მაძლევ, რომ მაგაზე ყველას გაუძნელდება, გადაჭრილი პასუხი მოგცეს. მე შემიძლიან მარტო ჩემი აზრი გაგიზიარო.

რასაკვირველია, შენ მართალი ხარ იმაში, რომ შერჩეთ ეგ ოინი, თარეშობას უფრო დაიწყებენ. მე მგონი, მარტო რუსებზე, ჩვენზე ესე ადვილად ვერ გაჰბედენ, რადგანაც იციან, არ შერჩებათ, როგორც რუსები შეარჩენენ ყველასფერს ადვილად. ჩვენ მაინც გვმართებს მაგის იმედზე დავდგეთ, რომ არაფერს გვიზამენო.

კუტეპოვისთვის რომ გეკითხნა, ბოლშევიკებს მარტო მე დავანგრევო, და აკი დაანგრია კიდეც. სულ მუდამ ანგარიშგასაწევია და საფრთხილობელია მტერი, რაც გინდა სუსტი იყოს ის, ეგენი კიდე ძველისძველი გამოცდილი ორგანიზაცია არის, და დაამტკიცეს კიდეც კუტეპოვის გატაცებით. მე მგონი, არ შერჩეთ ეგ სიმამაძაღლე, დიდი სირცხვილია საფრანგეთისათვის, თუ შეარჩინეს.

მაგას თავი დავანებოთ, ჩვენ ჩვენს თავს უნდა მოვუაროთ. ჩვენ დიდი სიფრთხილე და ფხიზლობა გვინდა, რომ მარცხი არა მოგვივიდეს რა და სირცხვილი არა ვჭამოთ კიდე. ყველა ქართველმა ემიგრანტმა კარგათ იცის, ბოლშევიკებს რა უნდათ უპირველეს ყოვლისა. ბოლშევიკები ყველა ზომებს ხმარობენ, არაფრის წინ არა დგებიან, რომ როგორმე მოგვისპონ ლეგაცია პარიზში, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენ დამოუკიდებლობის საკითხში.

დღეს ერთადერთი მედროშე გვყავს ბ-ნი აკაკი ჩხენკელი, რომელსაც ამაყად უჭირავს ჩვენი დამოუკიდებელი დროშა. ყველა ნამდვილი ქართველი მოვალეა, განურჩევლად პარტიისა, დაიცოს აკაკი ყველა უბედურებისგან, როგორც თავისი პირადი არსებობა. აი, ჩემო მეგობარო, ჩემი აზრი. დღეს ერთადერთი კაცი გვყავს, რომელსაც სიფრთხილე და გუშაგობა უნდა ჩვენის მხრიდგან, სხვას მე ვერავისა ვხედავ.

იყავი კარგა. მე უფრო და უფრო უკეთობასა ვგრძნობ და ბრძოლისთვის კიდე მგონი ვივარგო. მომიკითხე და გადაეცი სალამი: ქ-ნ მაკრინეს (აკაკი ჩხენკელის მეუღლე — გ. ს.), ბ-ნ აკაკის, ბ-ნ ჭიჭიკოს და დანარჩენებს, ვისაც შენ გინდა. მარად შენი კეთილის მდომი ქ. ჩოლოყაშვილი“ (133. 406-407).

ქაქუცა ჩოლოყაშვილის წერილი სპირიდონ კედიასადმი (1930 წლის 28 თებერვალი): „ძვირფასო ძმაო სფრიდონ, ეს არის ვაპირებდი წერილის მოწერას და შენი წერილიც მივიღე, რომელიც დიდი სიამოვნებით გადავიკითხე, თავიდან ბოლომდის და მერე გარდიგარდმოთ, რადგანაც იცი ხოლმე მიწერა გვერდებზე.

ჩემო სფრიდონ, საქმე შემდეგშია: ეს მესამე წერილი მომივიდა ნესტორ ფილიასი, საცა მეხვეწება და მემუდარება, რომ გიორგის მივწერო და ვთხოვო მისთვის ალაგი. სწორე გითხრა, ერთხელ მივწერე ფილიას და ვწერდი, თითონ ენახნა გიორგი და პირადათ ეთხოვნა, უფრო ესიამოვნება, სანამ მე მივწერო-მეთქი. მინდოდა თავიდან ემეცდინა ყველაფერი თხოვნა გიორგისთან, მაგრამ ისეთ გარემოებაში ჩამაგდო წერილების წერით, რომ გადავწყვიტე მოგწერო და გთხოვოთ შენ და გიორგის, იქნებ რაშიმე გამოგადგეთ, ფეხზე მოვაჭრეთ მაინც, მაგრამ უბედურება ეგ არის, ძაან რომ გთხოვო, შენ ჩემზე კარგა იცნობ და იცი რაშიაც გამოდგება, ყველაფერი მაგისი ბედი შენთვის მომინდვია. მართლა თუ რამეს გამოდგება, მოუხერხეთ მეწვრიმალეობა მაინც, ფეხზე ივაჭროს ჩამადნით, ბერიკაცია, იქნებ მუშტარზე იმოქმედოს და გაყიდოს რამე საწვრიმალო. გწერ მის მისამართს. შედეგი შეატყობინე, ერთი ოთხი დღის შემდეგ მივწერ, რომ მოგწერეთ წერილი. რა პასუხს მიიღებს, მერე გვეცოდინება...

ახლა გადავიდეთ ბელადზე. რას იზამ, მოუცდით მაგის უსტარსაც. ადვილი ხომ არ არის ბელადის გადაწყვეტილება, მაგას კარგი გადაწყვეტილება უნდა. დედაც უნდა დეეხმაროს თათბირში, მამას ხმა არა აქვს გადაწყვეტილებაში მონაწილეობა მიიღოს.

ჩემს ამბავს თუ იკითხავ, მგონი, ნელ-ნელა წინ იწევს ჯანი. ძალიან კარგი ამინდები დაიჭირა. მეექვსე დღეა ისეთი მზე დგას, იტყვი მაისიაო, კარგა აცხუნებს ბალკონზე, ჩდილში. მთელი დღე სულ ბალკონზე ვწევარ, ღამე ოთახში და მაგარი მშრალი ცივი ღამეებია. ამისთანა ამინდმა ძალიან კარგა იმოქმედა ჩემზე. ექიმი დიდი კმაყოფილია ოპერაციის შედეგით.

დღეს შესრულდა სწორეთ სამი თვე, რაც ოპერაცია გამიკეთეს. ექიმმა გულდადებით გამშინჯა სწორეთ დღეს და შემდეგი სიტყვები მითხრა: ახლა ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ სულ გამორჩებით ორ-სამ თვეშიო, სიცხემ დაგიკლოთ, წონაში იმატებთ, ანალიზი კარგ შედეგებს მაძლევსო და დღევანდელმა ჩემმა გაშინჯვამ კიდე სულ დამარწმუნაო.

ასეთია, ჩემო სფრიდონ, ექიმის დასკვნა. მეც ვატყობ უკეთობას, მუხლი მიმაგრდება, რომელიც აქამდის სუსტობდა. გედეეცი ჩემი გულწრფელი სალამი ქ-ნ სონას და გიორგის. ბელადის-ბელადს და შენ დაგკოცნით. იყავით დღეგრძელნი. შენი მეგობარი მარად ქ. ჩოლოყაშვილი.

P.S. სფრიდონ, მიხაკოს მისამართი მომწერე; როცა დრო მექნება, მინდა წერილი მივწერო“ (105. 64-65).

ქაქუცა ჩოლოყაშვილის წერილი სპირიდონ კედიასადმი (1930 წლის

19 მარტი): „ძვირფასო ძმაო სფრიდონ, მივიღე შენი წერილი, მაგრამ უმთავრესი დაგვიწყებია, მიხაკოს მისამართსა გთხოვდი, სწორედ ის გამოგრჩენია. დანარჩენი წერილი ჩაკროჭინებულია. რასაცა მწერდი, ყველას გიპასუხებ: პირველი, შენ რა გგონია, უნივერსიტეტში გამომისტუმრე, თუ რა არის, რომ მწერ, დარწმუნებული ვარ, ახლა გაფრანგებული იქნებიო და, ალბათ, ფრანგულ გაზეთებსაც ჰკითხულობო.

ასე არ არის, ჩემო სფრიდონ, ისე მჩატეთ არა ვყოფილვარ ავათ, როგორც მე უყურებდი ავანტყოფობას. თურმე, ძალიან ვყოფილვარ დაბარგული და გაკვირვებას არის ექიმი. დასუსტებულს გამიკეთეს ოპერაცია და შეძელი უშედეგოთ გადატანა.

ჩემო სფრიდონ, ორი დღეა, რაც ნება მომცა გავლისა დღეში საათნახევარი, ოღონდ შიგ შენობაში. ეს გეგმაც შემუშავებულია. დილით უნდა ჩავიცო, ყავა დავლიო, მერე ერთი გავლა შენობაში ნელა და დავწვე ჩაცმული კრავატზე საბან ზემოდან. უნდა ვიწვე საუზმის შემდეგ ისევ. ერთი ჩარექი ვიარო, მერე აივანზე შაზლონში ჩავწვე და დავიცვა სრული სიჩუმე: არც კითხვა, არც ლაპარაკი და არც ფიქრი რაზედმე.

ძალიან ძნელია, რომ ყველაფერი შეასრულოს კაცმა. ცოცხალი კაცი იწვეს, ძილის ნება არა, კითხვისა არა და არ იფიქროს შეუძლებელია! მაგაში ვერა ვრიგდებით სანატორიუმი და მე. ყავის შემდეგ 4 1/2 საათიდგან კიდე უნდა დავწვე აივანზე 6 1/2 ნახევრამდის, მერე გავისეირნო ჩარექი და შვიდზე ვისადილო. სადილის შემდეგ გავიხადო ტანისამოსი და ჩავწვე ლოგინში დილამდის.

აი, ჩემო სფრიდონ, როგორ უნივერსიტეტში ვარ. მერე ექიმი სულ იმის თხოვნაშია, რომ არ ვილაპარაკო და მეტი წილი გაჩუმებული ვიყო, კითხვით არ დავიღალო. დღეში დრო გამოშვებით შემიძლიან ვიკითხო, ან ვწერო ორი საათი. რამდენიმე დღეა ნება მომცა საერთო სასადილოში ვისადილო, ეგ უკვე პროგრესია დიდი, ავანტყოფებს რომ ჰკითხო, თორე აქამდის სულ ვიწექი, მარტო საჭიროებისთვის შემეძლო გასვლა, დანარჩენ დროს გაჭიმული წელზე წოლა.

მთაზე მწერ, მთამ გშობა, გაგკურნავს ისევ მთაეო. სფრიდონ, მაგაში შენ მართალი ხარ, მაგრამ მაგარი ის არის, რომ მთამ წელიწადში ერთხელ იცის ხოლმე გაჯავრება და, აი, სწორედ ეხლა ის დროა. დაიწყო თოვლი. ხან დღეში შვიდჯერ იცვლება ჰაერი: ხან მზეა, ხან წვიმა და ხან თოვლი. ნახევარზე მეტი ავანტყოფები სულ დააწვინა, ვინც ფეხზე დადიოდა. რამდენიმე გემეემშვიდობა სააქაოს ამ რამდენიმე დღეში. ჩემზე ყოფილიყო ექიმი ცოტა შეფთხალი, რომ ამისთანა ამინდი დაასუსტებსო. ძალიან ვერ იმოქმედა, მარტო ძველი და ახალი ჭრილობა რომ ერთმანეთშია არეული, ის მჩხვლეტს და მტკივა, სხვა,

მადლობა ღმერთს, ჯერჯერობით არა უშავს რა, ვნახოთ რა იქნება.

ოთხი წელიწადია, თურმე, ეს სანატორიუმი და ამისთანა ამინდი არ გვახსოვსო; მოთოვა, მაგრამ ასე ძლავრი არ ყოფილაო. აი, ჩემო სფრიდონ, ზოგჯერ მთამაც იცის არევა, ან კიდევ, ალბათ, ბოლშევიკებზე ჯავრობს. აქამდის მშვენიერზე მშვენიერი აშლილი მთა თავისი მზის სხივებით, რომელიც აშრობდა ჩვენ ფილტვების სენს და ჰკურნავდა, დროებით შეაჩერა, ალბათ, ფიქრობს ყველა თავისი თვისებების სიმკაცრის ცხრილში გატარებას. ასეცა სჯობია, რას იტყვი? კაცმა ყველაფერი უნდა ნახო ცხოვრებაში, რომ ცხოვრებისთვის გამოდგეს.

სფრიდონ, მაისის თვეში რომ გამოისეირნო შენი კარგი ცოლშვილით მთების კალთებისკენ, არ გაწყენს, სისხლს გასწმენდს, ხალისს შეგმატებს ახალი მუშაობისთვის, კაი ჰაერით ნასუნთქი უფრო მაგრა შეუდგები. თეთრ ნაწილაკებს სპობს სისხლში და წითელს გაგიმრავლებს, რომელიც მეტ ხალისს აძლევს ადამიანს.

მომივიდა ვეფხვიას წერილი, რასაკვირველია, სულ ლათაიებით. მერე მარტოკა არასდროს იწერება, უეჭველად მეორე გვერდზე წერილისა დააწერინოს ვისმე, ახლაც ისეა. ტიტე მარგველაშვილი მწერს იმასთან ერთად, მთხოვენ, რომ შევერთდეთ და დავიწყოთ წყობრისად მუშაობა. მე პასუხი არ გამიცია, რადგანაც მისამართი არ ვიცი და ამისათვის გთხოვდი მიხაკოს მისამართს.

ზოგჯერ ჭირიც მარგებელიაო. მართალია, ჩემმა ფრანგული ენის უცოდინობამ ბევრი დამაკლო, მაგრა დღეს მიშველა ჩემ ავანტყოფობაში. ლაპარაკი არ ვიცი და ვარ სულ გაჩუმებული, რომელიც საჭიროა ჯამთელობისთვის. გული ნუ გაგიტყდება, ჩემო სფრიდონ, ვეცდები, რომ ვისწავლო და ჩაგიფრანგულო, რომ ჩამოვალ. ამ თვის ბოლოში გადავალ სოფელში და ნება მექნება კითხვისა თავისუფლად.

ეს სანატორიუმი იყოფა სამ ნაწილად: ცენტრალური, სადაც მე ვარ, ბარის და მთის სოფელი. გადამიყვანენ ჯერ ბარის სოფელში, საცა ცოტა თავისუფლება მომეცემა. ბარის სოფელი მდებარეობს ცენტრალურის გარეშემო, მთისა კიდე ცოტა მოშორებით, საცა უფრო მეტი თავისუფლება აქვთ ავანტყოფებს.

ქ-ნი სონას ჩემი გულწრფელი სალამი და ხელზე კოცნა, ბელადის ბელადი კიდო ემზადება წერილის მოწერას; მინამ მოიწერებოდეს, დამიკოცნე. გიორგისა და შენ სალამსა და მოკითხვას მოგახსენებთ. ჩემი ახალი ამბავი გათავდა, გიძღვნი ძმურ სალამს. მარად შენი მეგობარი ქ. ჩოლოყაშვილი“ (105. 65-67).

ქაქუცა ჩოლოყაშვილის წერილი ალექსანდრე კარგარეთელისადმი (1930 წლის 26 მარტი): „ძვირფასო ჩემო საშიკო, გუშინ მივიღე შენგან გამოგზავნილი სუხარი, ყორჩაღ და ბარაქალა. რომ მწერ, ნერვი-

ული მუშაობა ყოფილაო, ახლა ნუ მიაწყებით ქიზიყის ვირებსავით და განუწყვეტლივ ნუ იმუშავებთ. აიღეთ თქვენთვის ოთახები, რომ ხეირიანად მოისვენოთ. აბა, მეგობრებთან როგორ უნდა მოისვენოთ. თქვენ კარგი მოსვენება და სიდინჯე გინდათ პირველში. ჩქარა ნუ დაიწყებთ სიარულს, რაც დინჯად შეეჩვევით, ის კარგია თქვენთვის. რაფომ რა ქნა, კუდში წაავლო, თუ ისევ მისდევს ელიზბართან ერთად. საშიკო მომიკითხე და დამიკოცნე ყველა ჩვენები. იყავი ყოჩაღად! დაგკოცნით ბევრს. შენი უფროსი ძმა ქ. ჩ.“ (54. 58-59).

ქაქუცა ჩოლოყაშვილის წერილი ვალიკო ჩუბინიძისადმი (1930 წლის 2 აპრილი): „ძვირფასო ძმაო ვალიკო! მივიღე შენი გადმოგზავნილი ორი გაზეთი და ერთი წერილი, საცა უკმაყოფილებას მწერ. მე ღრმად ვიყავი დარწმუნებული დღევანდლამდი, რომ რაწამს შენგან მომივიდა დათიკოს წიგნი და გაზეთი, მაშინვე მოგწერე მადლობა ყურადღებისათვის. თუ არ მომიწერია და რაღაცა გაუგებრობაა, იმას კი არ ნიშნავს, რომ სოციალისტური გაზეთები და წიგნები არ მესიამოვნება.

შენ, კარგო ქართველო, შენ თუ სოციალისტი ხარ, ქართველად არ ვარგიხარ, თუ რა არის? შენ თუ, როგორც სოციალისტი, ქართველობაზე უარს იტყვი, მეც ყველა ქართველ სოციალისტებზე უარს ვიტყვი. ჩემთვის საღი და დაკვირვებული წერილი ძვირფასია, რომელიც იცავს ჩვენი სამშობლოს ინტერესებს და ვისგან არის დაწერილი, რა მიმდინარეობის მომხრეც გინდაც იყოს, მაინც ბოლოს ქართველია, კომუნისტების გარდაია.

აბა, ჩემო ვალიკო-ბეი, მაგაზე შენ არადროს არ იფიქრო, რომ ყველა სოციალისტი მძულს და იმისათვის პასუხი არ მოგაწოდე აქამდის. მე ვინცა მძულს, აშკარად აღარც ველაპარაკები და აღარც არაფერი კავშირი მაქვს, ის მემარცხენეა, თუ მემარჯვენე, „ლამემშოს“.

მომიკითხე მთელი ჩვენი ლეგაციის შემადგენლობა ბ-ნ აკაკის, ქ-ნი მაკრინეს მეთაურობით. მიიღე ჩემი სალამი და გამარჯვება. მარად შენი კეთილის მდომი ქ. ჩოლოყაშვილი“ (133. 407-408).

ქაქუცა ჩოლოყაშვილის წერილი ალექსანდრე კარგარეთელისადმი (1930 წლის 12 აპრილი): „ძვირფასო ჩემო საშიკო, მივიღე შენი წერილი და გამოგზავნილი სუხარი. სწორედ კარგ დროს მომივიდა, ხვალ, ხვალზეით ძველ სუხარს გავასაღებ და ახალს შეუდგები. უნდა გითხრა, პირველად რომ გამომიგზავნე, მეტი წილი დაფხვნილიყო, ისე კარგი სუხარი იყო. მეორეზე რომ იწერები, ჟესტის ყუთით გამოვგზავნეთო, აქ ჟესტი არსად არის, ორი პაკეტი ერთად არის გახვეული; ჯერ არ გამიხსნია, იქნებ შიგნით არის ყუთი. გუშინ და გუშინისწინ ალეკი ჩემთან იყო, ძაან გამიხარდა, სწორე გითხრა, ამ უდაბნოში ჩვენი კაცის ნახვა.

მე ხან კარგა ვარ, ხან ცოტა შეუძლოდ. ასეთი ყოფილა ეს მუდრეგი ავადმყოფობა. თუ ცუდი ამინდია, მაქცევს, თუ კარგი – მე ვერევი. ვართ ჭიდილში, ბოლოს რომელი წავაქცევთ, ვნახოთ. ჩემი დარდი ნუ გექნებათ, თქვენ ყოჩაღად იყავით და გაუფრთხილდით თავს. აქსიდანებს თავი დაანებეთ, კარგი ხელობა არ არის. აბა, თქვენ იცით, როგორ კარგ დროს გაატარებთ სააღდგომოთ. რაფო იმდენს იჩერჩეტებს, რომ მუშაობის დროს გაუშვებს და მერე დაიწყობს მუშაობას, როცა აღარ იქნება.

დამიკოცნე და მომიკითხე ყველა ჩვენები. დაგკოცნი ბევრს. შენი უფროსი ძმა და მეგობარი ქ. ჩოლოყაშვილი.

P. S. სურათში ნამდვილი პოჟარნი კუჩრები ხართ. ბადური ძალიან ჰგავს გრიშა ცხაკაიას“ (54. 59).

ქაქუცა ჩოლოყაშვილის წერილი ალექსანდრე კარგარეთელისადმი (1930 წლის 20 აპრილი): „ძვირფასო ჩემო საშიკო, გილოცავ კიდე დღევანდელ ბრწყინვალე აღდგომას, დეესწარი მრავალ ბედნიერ დღესასწაულებს და ჩვენი სალოცავების დღეობებს ბედნიერად და ყველა მხრივ გულით და სულით სამსე. წლებს წაეღოთ შენი დარდი და სიმგლოვიარე. მომავალში შენ გაცოცხლოს ღმერთმა დიდხანს ჯამთელად და მედგრად, შენი წინაპრებისა და მახლობლების მოსაგონებლად.

საშიკო, იწერები პანაშვიდის გადახდა მინდავო, ჩემი დის მიცვალების გამოვო. აი, ჩემო საშიკო, რაშია საქმე? გადახდით მოვალე ხარ, გადიხადო; რომ დროზე ქცოდნიყო, აქამდეც უნდა გადაგეხადა, ოღონ მაგას განსაზღვრული დღეები აქვს: მეშვიდე ან მეცხრე დღეს დამარხვის შემდეგ შეიძლება პანაშვიდის გადახდა, მერე არის მეორმოცე, ნახევარი წლისა და ერთი წლის დღე, როდესაც შეგიძლიან კანონიერად გადაუხადო მოვალეობა.

არის კიდევ კვირაცხოვლობის შემდეგი კვირა, რომელსაც მიცვალებულების კვირას ეძახიან, კოლიოსაც უკეთებენ სწორედ იმ კვირას, დამავიწყდა რომელი კვირა არის. შეგიძლია გაიგო ბაბალესგან, მე მგონი ეხსომება. აი, სწორედ ამ ანგარიშით ეცი შენს დაუვიწყარ დას პატივი. შეიტყვე, როდის მიაბარეს მიცვალებული მიწას და იმის ანგარიშით იმოქმედე. ძალიან კარგი აზრი მოგსვლია და შეასრულე კიდეც.

საშიკო, სუხარს ნუღარ გამომიგზავნი, რადგან გზაში ძალიან იფხვნება და აღარც საჭიროა ჯერჯერობით. რამდენიმე დავალება მაქვს: პირველი – შეიარე რედაქციაში „პოსლედნი ნოვოსტში“ და გამიახლეთ გაზეთის გადმოგზავნა კიდევ ორი თვე. გუშინდელიდან აღარ მოდის, ესე იგი, ხუთმეტიდან, შეეკითხე რაშია საქმე, გაზეთი ოცდახუთიდან (25) იყო, მგონი, გამოწერილი სამი თვით, ვადა გაუვიდოდა ხუთ დღეში. უგაზეთოდ არ დამტოვოთ.

მეორე — გიგზავნი ჩემ სადარბაზო ბარათს. აი, სწორეთ ამისთანა სადარბაზო ბარათები შემიკვეთინე ასი-ორასი ცალი და გადმომიგზავნე.

მესამე — ჰკითხე შუშუს, სადა ყიდულობს საპარს დანებს. შეუკვეთე მაღაზიაშივე 30 ცალი, მიეცი ჩემი მისამართი და მაღაზიამ თითონ გადმომიგზავნოს დაზღვეული; ფულს აქ გადავიხდი ფოსტაში, ესე იგი, რუსები რომ იტყვიან, „ნალოჟენი პლატეჟით“. ექიმს მოეწონა და ზოგი მისთვის მინდა, უფრო ის გადიხდის ფულს, ერთ ათს მე დავიტოვებ.

ამ დღეებში ოფიციალურად მოგწერ, დაგნიშნამ შეფიცულების მოლარეთ, სიასაც გადმოგიგზავნი, ვის გადაახდევინო ყოველ თვე გადასახადი ფული. ეხლა ხომ ყველამ დაიწყეს მუშაობა და დროა შეუდგეთ სერიოზულად. იყავით კარგა, მომიკითხე და დამიკოცნე ყველანი. შენი ძმა და მეგობარი ქ. ჩ.

პ. ს. სოფელში გადამიყვანეს გუშინ, ესე იგი, 19 ამ თვეს. ახალი ჩემი მისამართი: ვილაჟ სანატორიუმ; პრაზ-კუტანტ (პოტ-სავუა)“ (54. 55-56).

ქაქუცა ჩოლოყაშვილის წერილი სპირიდონ კედიასადმი (1930 წლის 14 მაისი): „ძვირფასო ჩემო მეგობარ სფრიდონ! გუშინ მივიღე შენი წერილი, რომელმაც დავარდნილი კაცი გამათბო. ჩემო სფრიდონ, ბოლო დროს გულთმისანიც გამხდარხარ, სწორეთ უგრძვნია შენ სულს და გულს ჩემი ასე გაჩუმება. გძლად ვერ მოგწერ, რადგანაც ძაან მისუსტებული ვარ, ისე კი, რასაც შევძლებ, ვეცდები დაწვრილებით შეგატყობინო.

...ჩემო სფრიდონ, რაც უბედურება და ტკივილები გადავიტანე ოპერაციისგან ამ ხუთი თვის წინეთ, სულ ფუჭათ ჩაიარა. რაზედ? მკითხავ, რასაკვირველია. მე ალარ ვიცი, მაღლობა ვის უთხრა, ვინც ფულს იხდის, იმას, თუ იმ სანატორიუმის გამგებლობას, რომელიც მითომდა 30 ფრ. მკურნამენ და ცოტა რამეზე მაშინვე მოგახლიან, 30 ფრ. სახლებს ვერ აგიშენებთო.

ჩემო სფრიდონ, ეს სანატორიუმი არ არის, დემერწმუნეთ. რაწამს ჩამოვედი, მაშინაც მოვიწერე, ყურადღება რომ არავინ მომაქცია. ამინდებმაც ხელი შემიწყეს, ცოტა მოვკეთდი. მე თითონ გადავწყვიტე, დავმორჩილებულიყავ ლუარსაბ თათქარიძესავით ბედს. ეს სანატორიუმი ავანტყოფებისთვის კი არ არის, ავანტყოფები ამ სანატორიუმისთვის არიან...

საჭმელზე რა გითხრა, საძაგელზე საძაგელია. სანამ ფული მქონდა, სუყველაფერს ვყიდულობდი და ვჭამდი, კარგაც ვიყავი. ფულიც გამომელია. ამინდებიც, ღმერთმა დასწყევლოს, როგორი არეულია. 10 მარტიდგან დღევანდლამდე დღეში ხუთჯერ იცვლება. გუშინწინ კიდე მოვიდა თოვლი, ჯერ გაზაფხული არ მინახავს. მე მგონი, ამინდები რომ

მობრუნდება, მოვბრუნდე მეც, მაშინ შევძლებ ადგილიდგან დაძრომას და დავიძვრები საითკენმე.

მე ორ-სამ თვეს კიდე მომიხდება ლოგინში წოლა. რაწამს შევძლებ მოძრაობას, უნდა მოუხერხო რამე ჩემ თავს და ამ ყაზარმის ანაბარას არ დავრჩე... ჰაი-ჰაი, ცოტა დროზე რომ ჩამოვსულიყავი სადმე, გინდა პატარა პანსიონში და მთელი ზამთარი გემეტარებინა, დღეს ეს უბედურება არ დემემართებოდა. თითონ უფროსმა ექიმმა მითხრა, როგორ შეიძლება თქვენისთანა სერიოზული ავანტყოფი ამისთანა სანატორიუმშიო.

აი, ჩემო სფრიდონ, მე არ ვიცი: გიორგი, ხოშტარია, თუ გრიშა ბერიძე იხდიან ჩემს შესამნახოს, უთხარი ყველაფერი. ვაი დედასა, რომ ავანტყოფობამ ამ დღეში ჩამაგდო, თორე მე სათხოვარი არა გამიხდებოდა რა. რა ვუყოთ, თუ გამოვრჩი როგორმე, სამშობლოსაც გამოვადგები, მეგობარსაც და ჩემ თავსაც, თუ არა და ჯანაბას ჩემი თავი, უეჭველად დამწვით, რადგანაც ჩემ ჩამომავლობაში ჭლექით არავინ მომკვდარა, და რადგანაც მე პირველი ვარ, ყველაფერი უნდა მოისპოს ჩემი ნეშთისა, რომ სხვა ჩოლოყაშვილებზე არ გადავიდეს, ისეც არავინ დარჩა.

გედაეცი გულწრფელი ჩემი სალამი ქ-ნ სონას, დაუკოცნი ხელებს. თეოსა და შენ უთვალავად დაკოცნი. მარად შენი მეგობარი ქ. ჩოლოყაშვილი“ (105. 67-68).

ქაქუცა ჩოლოყაშვილის წერილი ალექსანდრე კარგარეთელისადმი (1930 წლის 15 მაისი): „ჩემო ძვირფასო საშიკო, დიდი ხანია, მინდოდა შენთვის წერილის მოწერა, მაგრამ შეუძლოთ ვიყავი ამინდების გამოთ. ეს მუდრეგი ლამის ჩამოიქცეს 10 მარტიდან, რაღაცა სამი დღე იყო კარგი, დანარჩენი დრო სულ წვიმები და წვიმები. გუშინწინ თოვლიც მოგვივიდა კიდე და, აი, ამისთანა უბედურმა ამინდებმა მეორეთ ჩამაწვინეს ლოგინში და ცოტა სისხლიც ამოჰყვა ნახველს. თვრამეტი დღეა ვწევარ, წვიმა კი სულ უშხაპუნებს. დასუსტებული ვარ, ისე, არა მიშავს რა.

საშიკო, შენი გადმოგზავნილი დანები და სადარბაზო ბარათები მივიღე. დიდი მადლობელი. საშიკო, წინათცა გწერდი და ახლა დაბეჯითებით გიმეორებ — შეუდექი შეფიცულთა დამხმარე კასის შედგენას. მოლარე იქნები შენ. ეხლა ყველანი მოწყობილები არიან და ყველას შეუძლიანთ შემოიტანონ თვიური საწევრო ფული, შოფერებს გამოართვი რამდენიმე ფრანკი. შეუკვეთე წიგნები და კვიტანციები, რომ ყველას მისცე მიღების ბარათი, როცა საწევროს გადაახდევინებ.

სუყველაფერი კანონიერად და კარგა უნდა მოაწყო. შოფერებს გადაახდევინე 25 ფრანკი თვეში საწევრო და დანარჩენებს, რომლებიც მუშაობენ ზაოდებში და მამულებში — 10 ფრანკი. მერე ახალგაზრდობა,

რომელიც ოწკის ჩვენ შეიცილებისკენ და კარგათ იცხოვრო, ცდილა უნდა შეიტანო სიაში – შიფერი იქნება, თუ ბაკალის ჩემს. დაიწყე ეხლავე შენ მავის განსხორციელება, შეიყვარე სია ცდილა შეიცილებას და მიმდევრების, რომლებიც გაფიქრების მიმავალში შეიცილად და გადმოგზავნეთ სია, მეც ვაუსტრ და ლაგიტასტერებ ჩვენის მოწერით.

ფულის გასესხებაზე საკუთრივ მოგწერ, როგორ უნდა გაასესხოთ. საშიკო, მოიქეცი ყოჩაღად, იმეცადინე მაქს, კარგა შეასრულებ მაგ საქმეს შენ. უპროპაგანდოთ, დინჯათ, უყვირალათ და უგინებლათ შეუძენთ ბლომათ მეგობრებს და კასაც ცოტა ხანში სერიოზული გახდება.

ახლა, საშიკო, რადგანაც თითონ არა კადრულობენ და არ ვიცი, დრო არა აქვთ თუ რა არის, შემატყობინე, ელიზბარი მანდ არის, თუ ტყეში წავიდა ალდგომის შემდეგ, ან რას აკეთებს რაფო! საალდგომოთ მოვწერე დიდი წერილი, საცა ჩვენი ექიმის აზრს სწერდი და ეულოცავდი ბედნიერ დღეებს. არც კი იკადრა პასუხი მოეწერნა. გოლა რას შვრება, დაიწყო შოფერობაზე მომზადება თუ არა, ან სად ცხოვრობს. არც ეგ იწერება წერილის პასუხს. შუშუ ხომ დიდი კაცია და სანამ ეგ მოისურვებს წერილის მოწერას სადმე, საუკუნეებით უნდა ელოდოს კაცი.

ასე, ჩემო საშიკო, იყავით კარგა და ყოჩაღათ. ბადური დამიკოცნე. დაგკოცნი ბევრს. შენი ბელადი ქ. ჩ.“ (54. 51).

ჭაქუცა ჩოლოყაშვილის წერილი ვალიკო ჩუბინიძისადმი (1930 წლის 21 მაისი): „ძვირფასო ძმაო ვალიკო! მივიღე შენგან გადმოგზავნილი ჩვენი დამოუკიდებლობის 26 მაისის ბარათი და გაზეთი „ბრძოლის ხმა“. დიდი მადლობელი ვარ, ჩემო ვალიკო, რომ არ მივიწყებ. ვალიკო, შენ რომ გადმომიგზავნე დათიკო შარაშიძის წიგნი ფრანგულ ენაზე, წავიკითხე, მაგრამ საინტერესოა ბარბიუსის წიგნიც წაიკითხოს კაცმა, რაზედაც დათიკო უპასუხებს. თუ იშოვნება მანდ ლეგაციაში, გადმომიგზავნე და მალევე დაგიბრუნებ.

ეგ მამაძაღლი, ვილაც ბარბიუსია, დაჩუმდეს ურჩევნია, თორე ჩვენში არავის არაფერი მოუგია და ვერც ეგ მოიგებს. თუ მოიგოს რამე, ბოლშევიკებს გაუყოს. იაფათ არ დაუჯდება კარლ კაუცკის წინასიტყვაობა, თუ ბარბიუსიც სოციალისტია.

გადაეცი, ჩემო ვალიკო, ჩემი გულითადი სალამი: ქ-ნ მაკრინეს, ბ-ნ აკაკის და ჭიჭიკოს. იყავი კარგა. შენი მარად ქ. ჩოლოყაშვილი“ (133. 408).

ჭაქუცა ჩოლოყაშვილის წერილი ალექსანდრე კარგარეთელისადმი (1930 წლის 23 მაისი): „ძვირფასო ჩემო საშიკო, მივიღე შენი წერილი, რომელმაც ძალიან გამახარა. შენის მეტს არავის არ მოუწერნია

ჯერ ჩვენებს, და არც ის შემისრულეს, რაც დავავალე. რა ხალხია, იციან მარტოკა ვარ, მერე იციან, რომ ძალიან მაინტერესებს პროცესი ქარუმიძესი და აქამდის გაზეთი ვერ გადმომიგზავნეს, რომ ყურადღება მიმექცივნა. დავავალე ორთავ უფროს ვირებს, საშას და რაფოს. გელეცი, მე მაგათი აღარა მინდა რა, და არც ის სია, რაფოს რომ მივეცი.

შენ მიდი, ჯიბო ნახე, გამოართვი 30 ფრანკი და ორი თვით გამომიწერე „პასლედნი ნოვოსტი“, ოღონდ ამ თვის ხუთმეტიდგან იყოს, რადგანაც ხუთმეტამდე უკვე ვიცი, წაკითხული მაქვს. რაც დასავალებელი მექნება, სუყველასფერს შენ მოგწერ. მეორე, საშიკო — რასაც გამოართმევთ ილიკოს, ანგარიში შენ აწარმოვე, რადგანაც შენ დაგნიშნავ შეფიცულების ხაზინადრათ. აბა, ერთი საშასა ჰკითხე, მიიღო თუ არა ჩემი წერილი და რატო აქამდი პასუხი არ მომცა ან მაგან, ან რაფომ. ბაისარამ დააჯოთ მაგათ თავზე.

მე უფრო უკეთა ვარ, ყოველდღე ვატყობ უკეთობას, მადაც კარგი მაქვს. აბა, იყავით ყოჩაღათ და არ შემარცხვინოთ. მომიკითხე: ვანიჩკა თავისი ცოლ-შვილით, სვიმონი თავის ცოლ-შვილით. დამიკოცნე სერგო და ბადური. მაგ ორს ხმასაც ნუ გასცემ. მომწერე, რაფომ დაიწყო წამლობა თუ არა. თუ არ დაუწყია, თავში ქვა იხალოს და დაიწყოს, წამოსვლის დროს საწამლებელი ფული მივეცი, თუ მალაგაში არ დახარჯა. დაგკოცნი ბევრს, ჩემო საშიკო. შენი ძმა ქ. ჩ.“ (54. 52).

ქაქუცა ჩოლოყაშვილის წერილი ალექსანდრე კარგარეთელისადმი (1930 წლის 27 მაისი): „ძვირფასო ჩემო საშიკო, გუშინ მივიღე შენი პატარა წერილი და ასი ფრანკი, რაზედაც დიდი მადლობელი ვარ. საშიკო, შენ მწერ, საჭმელსაც გადმოგიგზავნიო. არაფერი საჭმელი და ან ფული აღარ გადმომიგზავნო, რადგანაც ჯერჯერობით მაქვს ყველაფერი. როცა დამჭირდება რამე, მე თითონ მოგწერთ, ისე ჯერჯერობით არაფერი მინდა. საჭმელის საქმე მოვაწყე ასე: აქა მსახურობენ ცოლი და ქმარი რუსები, ისენი მიკეთებენ დროგამოშვებით კარგ საჭმელებს. დროებით ასე მოვეწყე, მერე რა იქნება, ვნახოთ.

ისე, ცოტა გამოვკეთდი და თვალები მიჭყეტია. სერგოს უთხარი, წამლები მივიღე, შაბათ დილას დავიწყე სმა. ვნახოთ, რას იზამს; ამბობენ, ძაან სასარგებლოავო, თევზის ძარღვები და ქონია. აბა, სხვა რაღა მოგწერო, ახალი სულ არაფერი ვიცი, არც არაფერი. მომიკითხე ყველა ჩვენები. დაგკოცნი ბევრს. შენი მარად კეთილის მოსურნე ქ. ჩოლოყაშვილი“ (54. 54).

როგორც ვხედავთ, ჩვენს დრომდე მოღწეული ქაქუცა ჩოლოყაშვილის ბოლო წერილი 1930 წლის 27 მაისით თარიღდება; არადა, ალ. სულხანიშვილის, რომელიც პრასკუდანის სანატორიუმში მის მოსავლელად ივნისის დასაწყისში ჩავიდა, მოგონებებიდან ირკვევა, რომ ქაქუცამ

„არაერთი წერილი მიმაწერინა ამ ხნის განმავლობაში, რადგან ხელს ველარ ხმარობდა“ (106. 277).

ქაქუცას წერილების ერთ-ერთი ადრესატი ნიკო ნაკაშიძე იყო, რომლის მოგონებებში ვკითხულობთ: „გარდაცვალების სამი კვირის წინ (ე. ი. ივნისის დამდეგს – გ. ს.) მწერდა: „ბიჭო, ცუდადა ვარ. ამ საშინელმა სენმა გამტეხა კაცი“. ვინც ქაქუცას იცნობდა, მისთვის ეს სიტყვები ბევრის მეტყველნი იქნებიან. ქაქუცასთვის ცხადი იყო, რომ სიკვდილი უახლოვდებოდა“ (125. 617).

ალ. სულხანიშვილი დაწვრილებით მოგვითხრობს ქაქუცა ჩოლოყაშვილის სიცოცხლის უკანასკნელ პერიოდზე. ირკვევა, რომ მას ექიმებმა აუკრძალეს მეგობრის დაკრძალვაზე დასწრება, უკეთეს სანატორიუმში, გადაყვანა, იმ მოტივით, რომ მისი ადგილიდან დაძერა არ შეიძლებოდა. ბოლო ხანებში ქაქუცა საკვებს თითქმის ველარ იღებდა, სვამდა მხოლოდ ფორთოხლის წვენს.

1930 წლის 27 ივნისს ქაქუცა ჩოლოყაშვილი ცუდად გახდა. იმავე დღეს, მისი თხოვნით, პარიზიდან ჩამოვიდა ცნობილი ექიმი ვახტანგ ღამბაშიძე, რომელთანაც ქაქუცას დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებდა. ავადმყოფს სასთუმალთან ედო ტყავში გამოკერილი ქართული მიწა და ჯვარი, რომელიც ტყეში გასვლის წინ ქალიშვილისთვის გამოურთმევია, რადგან თავისი ვერ უპოვია. 29 ივნისის ღამეს თავისი ქალიშვილი დასიზმრებია, რომელიც სთხოვდა, მამაჩემო, მომეცი ჩემი ჯვარიო. უთქვამს, ახლა კი გათავდა ჩემი ცხოვრებაო.

„იქნებოდა დაახლოებით თერთმეტი საათი, როცა მე და ვახტანგი ქაქუცას პალატაში შევედით. მან რაღაც დაილაპარაკა, ჩვენ მაშინვე მივცვივდით და მე ხელით წამოვუწიე თავი ქაქუცას. მან კიდევ დაიხრიალა. აი, ეს იყო უკანასკნელი დახმაურება ამ დიდი მებრძოლისა, რომელიც ვეფხვივით ებრძოდა თვით სიკვდილსაც კი!“ (ალ. სულხანიშვილი).

ალ. სულხანიშვილის ცნობით, სიკვდილის წინ, მიუხედავად იმისა, რომ საშინლად სძაგდა კრემაცია, უთხოვია, მისი ნეშტი დაეწვათ, ერთადერთი მიზეზის გამო, იქნება ასე მაინც მოვხვდე საქართველოშიო (იყო მეორე მიზეზიც, რომლის თაობაზეც საუბარია ქაქუცას მიერ სპირიდონ კედიასადმი 1930 წლის 14 მაისს გაგზავნილ წერილში – გ. ს.). ალ. სულხანიშვილმა ეს არ გააკეთა, არ უნდოდა ძვირფასი ბელადის ნეშტის დაწვა (96. 17; 106. 277-280).

პრასკუდანის სანატორიუმში 1930 წლის 29 ივნისს გარდაცვლილი ქაქუცა ჩოლოყაშვილის ცხედარი ალ. სულხანიშვილმა და ვ. ღამბაშიძემ პარიზში გადაასვენეს, სადაც მათ უზომოდ დამწუხრებული შეფიცულები და ქართული ემიგრაციის სხვა წარმომადგენლები

დახვდნენ. ეროვნული გმირი პარიზის ბერძნულ მართლმადიდებლურ ტაძარში დაასვენეს, სადაც მას მუდმივად თავს ადგა შეფიცულებისა და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრებისგან შემდგარი საპატიო ყარაული.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მიერ შექმნილმა საგანგებო კომისიამ, ქაქუცა ჩოლოყაშვილის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, პარტიის ყველა წევრისთვის 40-დღიანი მგლოვიარობა დააწესა, დაამზადებინა ქაქუცას ფოტოსურათები, კუბოზე გადასაფარებელი დიდი ეროვნული დროშა, გულზე სატარებელი სამგლოვიარო ნიშნები, რომლებზეც ქაქუცას სურათი იყო გამოსახული და სხვ.

ალ. კარგარეთელი შემდგომში იგონებდა: ქაქუცას „ნეშთი ჩამოსვენებული იქმნა პარიზის ბერძნულ ეკლესიაში. ექვსი დღის განმავლობაში მის კუბოს საპატიო ყარაული არ გამოლევია; ყველა მხედარი, პოლიტიკური მეთაურები, თუ უბრალო ხალხი ერთი მეორეს ეცვლებოდნენ; „სმენაზე“ თავზე ადგნენ ყვავილებში ჩაფლულ ჩვენი ძვირფასი ბელადის კუბოს“ (54. 27).

ქაქუცა ჩოლოყაშვილის დაკრძალვამდე რამდენიმე დღით ადრე მომხდარ ერთ მეტად უსიამოვნო ფაქტს ალ. სულხანიშვილი მრავალი წლის შემდეგ, 1981 წელს სან-ფრანცისკოში გამოქვეყნებულ თავის მოგონებებში, ასე იხსენებდა: „ქაქუცა ბერძნების ეკლესიაში დავასვენეთ. სამი დღის შემდეგ იყო დანიშნული დაკრძალვა. მანამდე მიცვალებულს ჩამოვასვენებდით, პარიზში ხუთი კაცისგან უკვე შემდგარიყო დამკრძალავი კომიტეტი აკაკი ჩხენკელის მეთაურობით. შეფიცულების მხრივ მასში მერაბ ჯორჯაძე შედიოდა. დანარჩენების გვარები არ მახსოვს.

მე მოვიწადინე იმ ადგილის ნახვა, სადაც ქაქუცას დაკრძალვა იყო გადაწყვეტილი. წავედით მე, მერაბი და ილიკო ქარუმიძე. სანტოენის სასაფლაოზე რომ მივედით, სწორედ მაშინ იღებდნენ ძვლებს იქიდან, სადაც ქაქუცას საფლავს ამზადებდნენ. მათ მაჩვენეს ალაგი და მითხრეს: „აი, ეს არის ქაქუცას საფლავი“-ო. მე რომ ვიკითხე: „მერე აკლდამას როდისღა გააკეთებენ“-თქო, მაშინღა მიამბო მერაბმა: „აი, ამ სახით უნდა გაახვიონ კუბო კარავში და ზედ გუდრონს დაასხამენ, ასე გადაწყვიტა კომიტეტმა“-ო.

ეს რომ მითხრა მერაბმა, კინაღამ გადავირიე და ლამის არის იქვე დავახრჩე იგი: „ასე ასაფლავებთ ქაქუცა ჩოლოყაშვილს!“-მეთქი. მე დაუყოვნებლივ შევუდექი მოლაპარაკებას სასაფლაოს დირექციასთან, რომ აკლდამა გაეკეთებინათ. კარგა აღარ მახსოვს, მგონი, 2500 დაჯდა, ხოლო მე კი 45 ფრანკის მეტი არა მქონდა ჯიბეში.

სასაფლაოდან რომ დავბრუნდით, მე, მერაბ ჯორჯაძე და ილიკო ქარუმიძე პირდაპირ აკაკი ჩხენკელთან მივედით საშინლად აღელვებ-

ულნი. ასე მივმართე მე მას: „ბატონო აკაკი, ასე ასაფლავებთ ქაქუცას? გულრონი გინდათ დაასხათ ცხედარს, თითქო შარაგზას აგებენო?! ქართველმა საზოგადოებამ ეროვნულ გმირად აღიარა ქაქუცა. საინტერესოა, სხვებიც ასე ასაფლავებენ თავიანთ ეროვნულ გმირებს, როგორც თქვენ?“-მეთქი.

ეტყობა, ჩხენკელიც შეაწუხა ამ გარემოებამ, რომ მიპასუხა: „როგორც გინდათ, ბატონო ალექსანდრე, ისე დავასაფლავოთ“-ო. ამაზე მე ვუპასუხე: „აი, ბატონო აკაკი, დღეს მე აკლდამა შეუკვეთე, მისამართი თქვენი მივეცი და ფული, როგორც გინდათ, ისე გადაიხადეთ“-მეთქი.

ეს ლაპარაკი მხოლოდ ლაპარაკად დარჩა, რადგან მთავრობას კაპიკიც არ გადაუხდია. მაინც გრიშა ბერიძეს გადაახდევინეს იმის საფასური. მართლაც, უმადურობა იქნებოდა, რომ არ აღნიშნულიყო ქველმოქმედი ადამიანის, თუნდ გულითადი მეგობრის, ამაგი: თავიდანვე გრიშამ იკისრა დაკრძალვის მთელი ხარჯები, ვინაიდან მისი სურვილი იყო, რომ ღირსეულად დაეკრძალა თავის მეგობარი, მაგრამ მთავრობამ აქაც მოინდომა გამორჩენა“ (106. 280-281).

ცოტა ხნის შემდეგ, 1987 წელს, ალ. სულხანიშვილმა აღნიშნული მოგონება რამდენიმე ახალი დეტალით შეავსო: „საფრანგეთში ასეთი კანონია, ხუთი წლის შემდეგ სასაფლაოდამ ამოჰყრიან მძვლებს და იქ დაასაფლავებენ სხვას. აი, ჩვენ მთავრობას ასე უნდოდათ ქაქუცას დასაფლავება. რადგან მე ეს გაგებული მქონდა, წავედი და ვნახე, სადაც უნდა დასაფლავებულიყო ქაქუცა. სწორედ იმ დროს მივედი, როდესაც იქიდან მძვლებს იღებდნენ და ჰყრიდნენ. საშინლად იმოქმედა ჩემზე ამ სურათმა, და მაშინვე წავედი სასაფლაოს ადმინისტრაციაში, შევუკვეთე აკლდამა, რომელიც ღირებოდა დაახლოებით სამი ათასი ფრანკი, თუმცა მე 50 ფრანკის მეტი არ მქონდა ჯიბეში.

საჭირო იყო გამომერკვია, რა გადაწყვეტილება ჰქონდათ ქაქუცას დასაფლავების შესახებ მთავრობას. ამისათვის წავედი და ვინახულე გან. ჩხენკელი. მისვლისთანავე შევეკითხე, რა რიგათ აპირობენ ქაქუცას დასაფლავებას. ასეთი გადაწყვეტილება ჰქონიათ მთავრობას, როგორც გადმომცა გან. ჩხენკელმა, კუბო იქნება გახვეული ბრეზენტში და ზედ დაასხამენ გულრონს, რომ ვითომ კარგად შეინახება კუბოო.

ეს რომ მითხრა, გიჟსავით წამოვვარდი, ბატონო აკაკი, ცუდ რამეს ნუ ჩამადენინებთ, ჩოლოყაშვილი ისე უნდა დაიმარხოს, როგორც მას ეკუთვნის-მეთქი. განს. ჩხენკელმა შემატყო ჩემი საშინელი აღელვება და მითხრა, ბატ. ალექსანდრე, ნუ აღელდებით, ქაქუცა ისე დავასაფლაოთ, როგორც თქვენ გნებავთ და მას ეკუთვნისო. მაშინ მოვახსენე ბატ. ჩხენკელს, რომ მე უკვე შევუკვეთე აკლდამა, და რაც ღირება, თქვენ. როგორც გნებავთ, ისე გადიხადეთ ეს ფული.

ამრიგათ, გადაწყდა ქაქუცას დაკრძალვა 99 წლით სანტ-უენის სასაფლაოზე. ქაქუცას დასაფლავების მთელი ხარჯები იკისრა მის მეგობარმა გან. გ. ბერიძემ. ჩვენ მთავრობას ერთი ფრანკიც არ დაუხარჯნია ქაქუცას დასაფლავებაზე, ან რათ დახარჯავდნენ, ერთი ნაწილი ჩვენი მთავრობისა ხომ ქაქუცასი და მთელი შეფიცულების მტრები იყვნენ, განსაკუთრებით, ნოე რამიშვილი, რომელმაც დაიკვეხა, ქაქუცას სულს ამოვართმევო, იმდენათა ვძაგდით მთელი შეფიცულები და, ნამეტნავათ, ქაქუცა ჩოლოყაშვილი“ (109. 6-7).

საქართველოს ეროვნული გმირის დაკრძალვის დღეს, 1930 წლის 5 ივლისს, პარიზის ბერძნული ეკლესია და მისი მიმდებარე ქუჩა ხალხით იყო სავსე. ქაქუცასთან გამოსამშვიდობებლად და მისთვის უკანასკნელი პატივის მისაგებად მოვიდა ქართული ემიგრაციის უამრავი წარმომადგენელი, განურჩევლად პოლიტიკური მრწამსისა, მათ შორის, საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია; მრავლად იყვნენ სხვა ქვეყნების (საფრანგეთი, უკრაინა, რუსეთი, თურქესტანი, პოლონეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი და სხვ.) საერო და სამხედრო პირებიც.

არაერთმა ცნობილმა უცხოელმა მოღვაწემ (საფრანგეთის მთავრობის ყოფილმა თავმჯდომარემ ერიომ, მარკიზ დე-ბაიმ, გენერლებმა გურომ და პომ, ინგლისის თემთა პალატის წევრმა ალენმა და სხვ.) საფრანგეთში არსებულ ქართულ ლეგაციას სამძიმრის დეპეშები გაუგზავნა; ფრანგულ პრესაში საქართველოს ეროვნული გმირის გარდაცვალებისადმი მიძღვნილი რამდენიმე პუბლიკაცია გამოქვეყნდა.

5 ივლისს, დილით, სასულიერო პირებმა ქაქუცა ჩოლოყაშვილის სულის მოსახსენებელი პანაშვიდი გადაიხადეს; საგალობლებს ასრულებდა ქართული გუნდი პავლე მოსულიშვილის ლოტბარობით; კუბოზე გადაფარებული იყო დიდი ეროვნული სამფეროვანი დროშა; მის გარშემო მრავალი ორგანიზაციისა და მეგობრისგან მიძღვნილი გვირგვინები და თაიგულები ეწყო.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის (ალექსანდრე ასათიანის ფრთის) პერიოდულ ბეჭდვით ორგანოში, ჟურნალ „სამშობლოში“ (1930, № 8) დასტამბულია იმ ორგანიზაციების, თუ პიროვნებების ნუსხა, რომლებმაც ქაქუცა ჩოლოყაშვილს გვირგვინები მიუძღვნეს: „1. ქართული ასოციაცია საფრანგეთში; 2. საქართველოს ეროვნული მთავრობა და პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენლობა — „სამშობლოსათვის თავდადებულ მებრძოლს ქაქუცა ჩოლოყაშვილს“; 3. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისაგან — „ეროვნულ გმირს ქაქუცას“; 4. საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული ორგანიზაციები უცხოეთში — „სამარადისოდ საამაყო ეროვნულ გმირს“; 5. ქართველ მხედართაგან — „ჩვენს ქაქუცა ჩოლოყაშვილს“; 6. ქართველი სტუდენტები — „ეროვნულ გმირს“;

7. პარიჟში მყოფ ქართველ სტუდენტთა კავშირისაგან – „ეროვნულ გმირს"; 8. თეთრი გიორგელებისაგან – „უბადლო მებრძოლ ქაქუცას"; 9. იუნკრებისაგან – „სასიქადულო მამულიშვილს"; 10. საფრანგეთში – საქართველოს კომიტეტი; 11. უკრაინელთა ასოციაცია საფრანგეთში; 12. ქართველ კათოლიკეთა ასოციაცია; 13. მონპელიეს ქართველებისაგან – „დიდ პატრიოტს"; 14. ინტერნაციონალური პოლიტიკური ბიურო; 15. პირველი ქართული ცხენოსანი ლეგიონი; 16. შეფიცულებისაგან – „ძვირფას ბელადს"; 17. ტვერის დრაგუნები – „ძვირფას თანამებრძოლ პოლკოვნიკ თავ. ჩოლოყაშვილს"; 18. საქართველოს მეგობრებისაგან; 19. „უდიდეს პატრიოტს და მებრძოლ საქართველოს ბელადს"; 20. მაკრინე და აკაკი ჩხენკელი – „ჩვენს ძვირფას ქაქუცას"; 21. ვ. და ა. ერისთავებისაგან, მ. და გ. ერისთავებისაგან; 22. ვ. ე. დ. ალლენ (ინგლისის თემთა პალატის წევრი) – „ქაქუცა ჩოლოყაშვილს"; 23. გრ. ბერიძის ოჯახისაგან – „საყვარელ მეგობარ ქაქუცას"; 24. თამარა ერისთავისაგან და სოფიო მელიქიშვილისაგან – „დაუვიწყარ ქაქუცას"; 25. სვიმონ ციციშვილისაგან – „ქაქუცა! ეკლიან გზაზედ ვარდი რომ დარგე – უკვე იხარა... ნეტა, ვინ დამღერს შენს შემდეგ – „სამი რამ მიყვარს ამ ქვეყნად... სამშობლო გენაცვალები!.." 26. ფრიდონ წულუკიძისაგან – „მუდმივი იქნება შენი ხსოვნა და სიყვარული ჩემს გულში"; 27. ერემიევი – „საუკეთესოს საუკეთესო მეგობართა შორის"; 28. კოტე წულუკიძისაგან – „ძვირფას ნათლიას ქაქუცას"; 29. თ-დ დადეშქელიანისაგან – „ჩვენს ძვირფას ქაქუცას"; 30. სერგი, დავითი, რუსუდან, ალექსი მდივნები; 31. სოლომონ, მარიამ, გივი და ოთარ ზალდასტანიშვილებისაგან" (129. 325).

სულის მოსახსენებელი პანაშვიდის გადახდის შემდეგ ქაქუცა ჩოლოყაშვილის ცხედარი ეკლესიიდან გამოასვენეს. ბალდახინი მორთული იყო გვირგვინებითა და ცოცხალი ყვავილებით. მრავალრიცხოვან სამგლოვიარო პროცესიას თავში დამწუხრებული შეფიცულები მიუძღოდნენ. ხალხმა 10 კილომეტრზე მეტი ხელით ატარა ქაქუცას ცხედარი ბერძნების ეკლესიიდან პარიზის სენტ-უანის სასაფლაომდე, სადაც იგი დაკრძალეს. „მრავალი გულწრფელი ცრემლი დაადინეს ქაქუცას კუბოს, გადააყარეს მის კუბოს საქართველოდან წამოღებული ერთი მუჭა დედამიწა და მიაბარეს ქართველი გმირი უცხო მიწას" (ე. მაყაშვილი) (75. 35).

„გათხრილ სამარესთან წარმოითქვა გამოსათხოვარი სიტყვები, რაც საღამოს შვიდ საათამდე გაგრძელდა... ასეთი დიდი პატივისცემით მიებარა უცხოეთში გათხრილ სამარეს ქაქუცა ჩოლოყაშვილი" (ალ. კარგარეთელი) (54. 28).

ქაქუცა ჩოლოყაშვილის დაკრძალვის წინ სენტ-უანის სასაფლაოზე

გამოსამშვიდობებელი სიტყვები წარმოთქვეს ქართული ემიგრაციის სახელით ქართული კოლონიის თავმჯდომარემ დავით სხირტლაძემ, საქართველოს მთავრობის სახელით ევგენი გეგეჭკორმა, აზერბაიჯანის სახელით ალიმ თოფჩიბაშმა, სომხეთის სახელით ალექსანდრე ხატისიანმა (ხატისოვმა), მთიელთა სახელით ჰაიდარ ბამატმა, უკრაინის სახელით ა. შულგინმა, ჟურნალისტმა ფაიემ; საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისა და „დამკომის“ სახელით შალვა ამირეჯიბმა, ქართველ მხედართა სახელით გენერალმა ივ. ჯაფარიძემ, გიორგი გვაზავამ, გრიგოლ ბერიძემ, შეფიცულებმა შალვა ნებიერიძემ, ალექსანდრე სულხანიშვილმა და ლელო ჩიქოვანმა.

ჩვენთვის ცნობილია ქაქუცა ჩოლოყაშვილის დასაფლავების წინ შალვა ამირეჯიბისა და შალვა ნებიერიძის მიერ წარმოთქმული სიტყვების სრული ტექსტები. შალვა ამირეჯიბის გამოსათხოვარი სიტყვა ჯერ გაზეთ „დამოუკიდებელ საქართველოში“ (პარიზი, 1930, ივლისი, № 55, გვ. 5-6) დაიბეჭდა, ხოლო იმავე 1930 წელს ჟურნალ „სამშობლოშიც“ (1930, ოქტომბერი, № 8, გვ. 10-12) გამოქვეყნდა.

რაც შეეხება შალვა ნებიერიძის სიტყვას, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის — სპირიდონ კედიას მეუღლის — სოფიო ჩიჯავაძე-კედიას მოგონებებიდან ირკვევა, რომ ქაქუცას დაკრძალვის წინა დღეს შალვა ნებიერიძე კლამარში მყოფ სპირიდონ კედიას ესტუმრა და გამოსამშვიდობებელი სიტყვის დაწერა სთხოვა, რაც ამ უკანასკნელმა „შეფიცულთა“ რაზმის წევრს შეუსრულა (134. 10). გარდა ამისა, აღნიშნული გამოსათხოვარი სიტყვის პირი თვითონ სპირიდონ კედიას პირად არქივშიც აღმოჩნდა.

შალვა ამირეჯიბი აღნიშნავდა: „დღეს ჩვენა ვმარხავთ ადამიანს, რომელმაც დიდი ღვაწლი დასდო მამულს. ამიტომ, გამოთხოვების დროს, მოვალენი ვართ, ვსთქვათ, რა იყო, რა არის და რა დარჩა სამარადისოდ მის უდიდეს ღვაწლად.

როცა 1921 წელს საქართველოს დიდი ეროვნული კატასტროფა ეწვია, როდესაც საქართველოს მთავრობა იძულებული იყო თავისი ტერიტორია დაეტოვებინა, როდესაც დაშლილი იქნა ქართული ჯარი და დამფუძნებელი კრება გარეკილი, როდესაც დევნილ იქნენ პოლიტიკური პარტიები, ხოლო ეროვნული და საზოგადოებრივი დაწესებულებანი მოსპობილი, როდესაც მტერმა აღკვეთა საზოგადოებრივი ცხოვრება, ხოლო საზოგადოებრივი აზრის გამოთქმის უფლება სავსებით აკრძალა — ჯერი მიდგა პიროვნებაზედ, რომელიც ასეთ მძიმე პირობებში, ერის მისწრაფებას და მის იდეალს საჯარო მოქმედებით გამოხატავდა. ეს მისწრაფება არის საქართველოს დამოუკიდებლობა და ეს პირი იყო თავადი ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი!

მაგრამ რა უნდა ექმნა ერთ კაცს და ისიც ყველას დასანახავად, იქ და ისეთ დროს, სადაც ყველაფერი აღკრძალული იყო? რომელია ის სიტყვა, რომელია ის საქციელი, რომელიც ერს მოუწოდებდა, მას მიიმხრობდა და საბრძოლველად დარაზმავდა? დამოუკიდებელ საქართველოში გაბატონებული იყო ის შეხედულება, რომ ერს დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო ბევრი მიწა და ბევრი უფლება მისცე! ეს იყო მემარცხენე შეხედულება. დღეს ემიგრაციაში ფიქრობენ, რომ ქართველ ერს ის მიიმხრობს, ვინც აქედანვე თავის თავს დიქტატორად გამოაცხადებს და ასე მემარჯვენე წრეები ფიქრობენ.

ჩოლოყაშვილი არაფერს დაჰპირებია ხალხს და ხალხი მაინც გაჰყვა. მან სთქვა: თავისუფლება ბრძოლით მოიპოება! ვისაც დამოუკიდებლობა გინდათ — მომყევითო! და ამ გარემოებამ ნათელჰყო ის მთავარი დებულება, მანამდე მიჩქმალული, მაგრამ რის გამომჟღავნებაც ქართველი ერის თვით ცნობიერებისათვის ასე საჭირო იყო — რომ ქართველ ერს თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობა უანგაროდ უნდა, გარეშე ყოველი რეჟიმული თეორიისა, საზოგადოებრივი დოქტრინების, პარტიული ჭირვეულობის, მიუხედავად ყველა დაბრკოლებისა, წინააღმდეგ ყველა მოწინააღმდეგისა! და ეს გარემოება ნათელი გახადა ჩვენთვის არა პოლიტიკის კაცმა, არამედ ხმლის კაცმა, რომელიც საქმეს საღი ისტორიული ალღოთი მიუდგა.

მაგრამ საქართველო დაამხო არა მარტო გარეშე ძალის ზარბაზანმა და ხიშტმა, არამედ ქადაგებამაც, რომელიც თავის თავს ხალხურს უწოდებდა და ქართველ ერს „ქართული“ რეგალიებით მოევლინა. ბრძოლა ისეთ გარეშე ძალასთან და ისეთ ბოლშევიზმთან, რომელიც ჩვენში „საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის“, „საქართველოს საბჭოთა მთავრობის“, „საქართველოს წითელი ლაშქრის“, „საქართველოს ჩეკისა“ და სხვა ამგვარი სახელწოდებით შემოვიდა, არც ადვილი საქმე იყო! ბოლშევიზმი ყვიროდა: დიახ, მე ბოლშევიზმი ვარ, მაგრამ მე ქართული ბოლშევიზმი ვარო! რა ხერხი უნდა გამოენახა ჩოლოყაშვილს, რომ მისი ბრძოლა ხალხისათვის გასაგები, მისაღები და თანაც უფრო ქართული ყოფილიყო?

და, აი, როგორც ძველ რომში უკმაყოფილო მოქალაქენი ავენტინის ბორცვზედ მიდიოდნენ და იქიდგან უგზავნიდნენ სენატს თავის მოთხოვნილებას, ჩოლოყაშვილი ტყეში წავიდა და იქიდგან იწყო ბრძოლა. ეს იყო არა იმდენად ძველი რომის ჩვეულების გადმოღება, როგორც ჩვენი საკუთარი ქართული ისტორიის გაცოცხლება! აი, ამ გარემოებამ გახადა ჩოლოყაშვილი გასაგები და მისაღები ხალხისათვის, ამან გამიჯნა ეროვნული საქართველო ბოლშევიზმისაგან და მით უნდა

აიხსნას, რომ იმისი ბრძოლის კავშირი იყო არა მარტო ეროვნული, არამედ ხალხოსნურიც.

იმ პოლიტიკურ ვითარებაში, რომელშიც საქართველო იყო, იმ საერთო და გამანადგურებელ ტერორის დროს, რომელსაც ბოლშევიზმი ეწეოდა და იმ საზოგადოებრივ მოსპობილობაში, რომელშიაც ყველაზედ ადრე ბრძოლის ძველმა მეთოდებმა დაჰკარგეს თავისი ნიადაგი, აქტივური ბრძოლის ერთადერთ სახედ ის მეთოდი იქცა, რომელსაც ჩოლოყაშვილი დაადგა. ამ გარემოებამ ჩოლოყაშვილი ბრძოლის ყველა ამბების შუაგულში ჩააყენა, მის სახელთან იყო დაკავშირებული 1922 წლის აჯანყება და მის მოქმედებასთან უნდა ყოფილიყო გადაბმული 1924 წლის აგვისტოს აჯანყების გეგმებიც, და ყოველივე ეს იმ დიდ მნიშვნელობაზედ მიგვითითებს, რომელიც ჰქონდა ჩოლოყაშვილს მთელს ამ ბრძოლის ისტორიაში.

ამ ხალხურ კავშირში და იმ ბრძოლაში, რომელიც მან შეჰქმნა და აწარმოვა — ის იყო ნამდვილი. მეთაური მებრძოლი ქართველების, უდრეკი და მტკიცე მიმყოლი თავისი მიზნისა, ღირსი და საყვარელი გმირი თავისი ხალხისა! ამ ბრძოლაში ბევრი სისხლი დაიღვარა. მოვიხადოთ თავი მათთვის, ვინც საქართველოსთვის აღესრულა! მაგრამ ამ მწუხარე წუთს ჩვენ არ შეგვიძლია, განსაკუთრებით ჩოლოყაშვილის გმირული ოჯახიც არ მოვიგონოთ. ამ ბრძოლაში მას მოუკლეს ძმა, მაგრამ ძმა ტყეში დაფლა და ბრძოლა განაგრძო. მისი მხცოვანი დედა მტერს პატიმრად ჰყავდა. პატიმრად ჰყავდათ და მძევლად — მისი მეუღლე და მისი ორი ასული და, დასასრულ, პატიმრად ჰყავდათ მისი სიდედრი და სიმამრი, რომელთაგან უკანასკნელი აგვისტოს დღეებში იყო დახვრეტილი. და, აი, დღეს აღარც თითონ არის ცოცხალი!

მაგრამ ნუ ვიტყვით, რომ ის მოკვდა სამშობლოს გარეშე და კაცურის ავადმყოფობით. ჩვენ დღეს უნდა ვსთქვათ, რომ ის აქაც იმავე სიკვდილით მოკვდა, რა სიკვდილითაც იქ, საქართველოში, მრავალი ხალხი დაეცა. ეს სიკვდილი სამშობლოსათვის სამსახურია! მათი რიცხვი მრავალია! მაგრამ ეს უამრავი რიცხვი სამშობლოსათვის წამებულთა პირველობას დღეს ქაიხოსრო ჩოლოყაშვილს დაუთმობს, ხოლო ცოცხლები ერთხმად იტყვიან, რომ ჩოლოყაშვილი იყო ის შარავანდედმოსილი ქართველი, რომელმაც ჩვენი დროის საქართველო ყველაზე მეტად ასახელა!

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სახელით, იმ პარტიისა, რომელიც მთელი ამ ბრძოლის განმავლობაში მისი მაღალი მოწოდების ერთ-სული და ერთ-გული თანამოსაგრე იყო, მე ვეუბნები მას საუკუნო მშვიდობითს!“ (7. 5-6; 8. 10-12).

შალვა ნებიერიძე მიუთითებდა: „ჩვენო ბელადო! შენ რომ საქართ-

ველოს შავ ბედს შეები, იარაღი აისხი და ბრძოლად გახვედი, ჩვენ შენთან მოვედით და შემოგფიცეთ.

ერთ ხელში საქართველოს დროშა გეჭირა, მეორეში — ხმალი მამაპაპური...

გითხარით, — განუხრელად შენთან ვიქნებოდით, სამშობლოს დახსნას შევეწირებოდით და ჩვენი სიცოცხლე შენს განკარგულებას გადავეცით.

შენ იბრძოდი და ჩვენც გვაბრძოლებდი. დაე, ამაზე შთამომავლობამ ილაპარაკოს...

ბელადო, დღეს შენ მშვიდი ხარ, წყნარი და უძრავი...

ვინც მოგანიჭა, მანვე მოგტაცა და უკან ჩაიბარა შენი ჯადო-სასწაული. ის, რამაც ერის უკვდავ მისწრაფებათა მებაირაღტრედ გაგხადა, მის საყვარელ გმირად გადაგაქცია; ის, რაც მტერს რისხვას სცემდა, ხოლო შენს შეფიცულებს და მებრძოლ ერს ვაჟკაცობისა და თავდადების შთაგონებას აძლევდა; ის, რამაც ჩვენო ძვირფასო ბელადო, ამიერიდან შენი უკვდავი ხსოვნა გვირგვინად ჩააწნა ქართლის ისტორიას...

და ახლა უკვე შენი ცხედრის წინაშე ვართ თავმოყრილი...

ვაი, ჩვენ, ამ დღის შემსწრეთ...

ბელადო, დღეს განმეორებით ვფიცავთ სამშობლოს წმინდა წარსულს და მის ტანჯულ აწმყოს; განმეორებით ვფიცავთ თავისუფალი საქართველოს მომავალ დიდებას და შენს დაუვიწყარს, ძვირფას ხსოვნას — შენ საქმეს ჩვენ განვაგრძობთ!

ოღონდ, ბელადო, შენი უკვდავი სული ჩვენთან ამყოფე და შენი სიჩუმე ბრძოლის ხმად გამოგვაყოლე, რომ კვლავ ერთად ვიყვნეთ, ერთად ვიბრძოლოთ და ერთად შევძახოთ: დიდება საქართველოს!“ (105. 248).

IV თავი — გარდაცვალების შემდეგ (1930 წ. ივნისიდან დღემდე)

რასაკვირველია, ქაქუცა ჩოლოყაშვილის გარდაცვალებას კომუნისტების ბატონობის ქვეშ მყოფი მისი სათაყვანებელი სამშობლო — საქართველო არ გამოხმაურებია, პირიქით, XX საუკუნის 20-30-იანი წლების მიჯნიდან მოყოლებული, ჩვენს ქვეყანაში ქაქუცას სახელის უბრალოდ ხსენებაც კი — როგორც დადებით, ისე უარყოფით კონტექსტში — სასტიკად იკრძალებოდა. მის ხსოვნასა და ცხოვრება-მოღვაწეობას სამუდამო აკრძალვის ტაბუ დაედო. წესის დამრღვევს მინიმუმ ციხე-გადასახლება არ ასცდებოდა, შესაძლებელია, სიცოცხლესაც გამოთხოვებოდა.

თავდაპირველად, იმ თაობის წარმომადგენლები, რომლებიც ქაქუცას პირადად იცნობდნენ, მართალია, სიკვდილის შიშით ხმამაღლა მისი სახელის ხსენებას ვერ ბედავდნენ, მაგრამ ჩუმად სიყვარულითა და პატივისცემით იგონებდნენ. მაშინ უამრავ ქართულ ოჯახში მოწყობილ სუფრაზე ისმებოდა ჩუმი, საიდუმლო სადღეგრძელო და ყველამ იცოდა, რომ იგი ქაქუცა ჩოლოყაშვილს ეძღვნებოდა.

გავიდა ხანი... უფროსმა თაობამ ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელი და მისი ღვაწლის ამბავი საფლავში წაიღო, მომდევნო თაობებმა კი, ერთეულების გარდა, მის შესახებ უკვე აღარაფერი იცოდნენ... და ის ერთეულებიც ქაქუცას იცნობდნენ, როგორც ბედნიერი საბჭოთა საზოგადოების მტერს, მკვლელს, ყაჩაღსა და მძარცველს...

აი, ასე „მარტივად“ გადაწყვიტა საბჭოთა ხელისუფლებამ მისი ერთ-ერთი ყველაზე დიდი მტრისა და საძულველი პიროვნების — ქაქუცა ჩოლოყაშვილის საკითხი: სრული დუმილი ყველა დონეზე! თითქოს, იგი ამქვეყნად საერთოდ არ არსებულიყო! მიზანი მიღწეული იყო... ასე ეგონათ ბეჩავთ...

და ეს ხდებოდა იმ დროს, როდესაც სიცოცხლეს უმწარებდნენ ქაქუცას ყველაზე ძვირფას და საყვარელ ადამიანებს: მეუღლეს — ნინოს, ქალიშვილებს — თამარსა და ქეთევანს, ყველას, ვისაც კი ოდესმე ქაქუცა ჩოლოყაშვილთან რაიმე სახის ახლობლური შეხება ჰქონია.

ასე გაგრძელდა XX საუკუნის 80-იანი წლების მიწურულამდე, როდესაც ვითარება მთლიანად შეიცვალა. საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი ტალღის დაწყებასთან ერთად ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელზე დადებულ აკრძალვასაც აეხსნა ტაბუ... საქართველოს ეროვნული გმირი სამშობლოს დაუბრუნდა...

ამ პერიოდში შესაძლებელი გახდა თამარ (ციცნა) და ქეთევან

ჩოლოყაშვილების მოგონებების გამოქვეყნება, რომლებშიც ისინი საბჭოთა პერიოდში განვლილი ცხოვრებისეული გზის შესახებ ჰყვებოდნენ. შეუძლებელია, ნორმალურად მოაზროვნე ადამიანი სულით ხორცამდე არ შეძრას ქეთევან ჩოლოყაშვილის მოთხრობილმა ისტორიამ: "...მამა ძალიან ბუნდოვნად მახსოვს. ან კი როგორ მეხსომება... ხუთი წლის ვიყავი. სოფელში ვცხოვრობდით მაშინ, ეზოში შემოვიდა უცნობი კაცი. იდგა და დაჟინებით მაკვირდებოდა, მე თამაში შევწყვიტე და მივუახლოვდი... თურმე, მამაჩემი იყო, ეგეც არ ვიცოდი. ეგ იყო და ეგ, მამაჩემი ჩემთვისაც შორეული და მიუწვდომელი დარჩა.

ოცდასამში იყო ეგ ამბავი, წავიდა და წავიდა მამა, თანამებრძოლებთან ერთად ტყეში გავარდა. ამის გამო ყველა დაგვაპატიმრეს – მეც, ჩემი დაც, საბრალო დედაჩემიც, ბებიაც. ყველა, ვინც კი ქაქუცასთან ნათესაურად იყო დაკავშირებული. დაგვაპატიმრეს და თელავის ციხეში მოგვათავსეს, ბულვართან რომ ციხე იყო. მერე ნადიკვარის მხარეს, კომისარიატში გადაგვიყვანეს. სანამ ჩვენ დაკითხვებით სულს გვხდიდნენ, მილიციელები აღმა-დაღმა დაჰქროდნენ, მამას ეძებდნენ, მაგრამ ამაოდ.

ის საზიზღარი გამომძიებელი ჭურღულია მალი-მალ იტყოდა ხოლმე, „ბოჩკაში" უნდა ჩავსვა ეს ბავშვები და დავწვაო. ბოროტი და დაუნდობელი კაცი იყო ჭურღულია, შებრალება არ იცოდა. ღმერთმა თავისი ავკაცობისათვის სამართლიანად დასაჯა. გვიან, მაგრამ მაინც დასაჯა: შინსახკომში აწამეს და დახვრიტეს მერე...

ჰოდა, იმას ვყვებოდი, ეძებდნენ მამას დღისით, თუ ღამით. დედა ცალკე ჰყავდათ ჩაკეტილი, ჩვენ ცალკე. დაკითხვებით რომ ვერას გახდნენ, თბილისში გადმოგვიყვანეს. ჯერ მეტეხში ჩაგვსვეს, მერე შინსახკომში მოგვიყვანეს. ბერია იყო მაშინ უფროსი. მტირალი ბავშვები რომ გვიხილა, დედაჩემს უღრიალა:

– საბავშვო ბაღი კი არ მაქვს აქ. ახლავე ბავშვთა სახლში გადავაყვანინებ ამათ (ჩემი და რვა წლის იყო მაშინ, მე – ხუთის). დედაჩემმა ბევრი იტირა, არაფრით დაანება ჩვენი თავი...

ოცდაოთხში ყველა გაათავისუფლეს, დედაჩემის გარდა. დედა დაიტოვეს, იმიტომ, რომ დაეხვრიტათ, მაგრამ სულზე მოუსწრო საწყალ ქალს ლენინის ბრძანებამ, ეგ საქმე შეაჩერეთო. დავბრუნდით ყველანი სოფელში, მაგრამ მშვიდი ცხოვრება არ დაგვცალდა. ერთ დღეს პაპა წაიყვანეს ჭურღულიამ და იმისმა დამჭაშებმა და დახვრიტეს. დიდი ორმო იყო, ჩაყრიდნენ იქ დატუსაღებულებს და ტყვიებს უშენდნენ. ო-ო, რამდენი ადამიანის სიცოცხლე შეიწირეს იმ არაკაცებმა. დედაჩემის ნათესავები თითქმის ყველა დახვრიტეს – ავალიშვილები, მელვინეთუხუცესები, რა ვიცი, რა ვიცი...

სახლი კი გვქონდა, მაგრამ დედა ციხეში იყო, პატარა ბავშვებს დამოუკიდებლად ცხოვრება კი არ შეგვეძლო. თელავში ყველა ცხვირწინ გვიხურავდა კარს. ერთი უბადრუკი საქათმე ვიშოვეთ და იქ შევაფარეთ თავი. მერე, როდის-როდის, დედა გამოუშვეს ციხიდან, თუმცა გვიბრძანეს, სასწრაფოდ გავცლოდით თელავს და თბილისში გვეცხოვრა. რაღას ვიზამდით, ძალა აღმართსა ხნავსო, ხომ გაგიგონიათ? ფეხით წამოგვიყვანეს, დედაც ტიროდა, ჩემი დაც, მეც. ან კი გასახარი რა გვქონდა, წერეთელი სულ ლანძღვა-გინებით მოგვერეკებოდა. სახელი ახლა აღარ მახსოვს მხეცისა. მერე ეგეც დახვრიტეს, ჭურღულიასთან ერთად.

მერე იყო საშინელი წლები, წლები იმედების მსხვრევისა და გულგატეხილობისა. სკოლაში ჩვენს მიღებას ვერავინ ბედავდა, სალამს ვერავინ გვაძლევდა, ყველა გვერიდებოდა. ბოლოს, როგორც იქნა, ისევ დედაჩემის ყოფილმა მასწავლებელმა, მე-18 სკოლის დირექტორმა სოფიო ვახვახიშვილმა შეგვიბრალა და ოთხწლედი დაგვამთავრებინა. მაგრამ რად გინდათ, პედაგოგიურ ტექნიკუმში შევედი და ჩემი წამებაც დაიწყო.

ერთი კვაჭაძე იყო პედაგოგი, როგორც კი შემთხვევა მიეცემოდა, სისხლს მიშრობდა. ბოლოს ისე გამომიყვანა წყობიდან, გამწარებულმა სტალინს მივწერე წერილი. დამიბარა ფილიპე მახარაძემ, ეგ რა ხეირს დამაყრიდა. ჩავიქნიე სწავლაზე ხელი...

ორმოცდაორში დედაჩემი და ჩემი და ისევ დაიჭირეს. მიზეზი? – მამაჩემის მარჯვენა ხელს, ელიზბარ ვაჩნაძეს, წერილი მოეწერა პარიზიდან, მოკითხვას უთვლიდა. ჯერ ჩემი და წაიყვანეს, პირდაპირ ქუჩიდან. საბრალო იმ ხანად მძიმე ავადმყოფი იყო, წყალი უდგებოდა ფერდში. რომ აღარ დაბრუნდა შინ, ახლა დედა წავიდა მის საძებნელად, აღარც ის მობრუნდა. ორწელიწადნახევარი დაჰყვეს საპატიმროში, ნახვის უფლებასაც კი არ გვაძლევდნენ ექვსი თვის განმავლობაში. ამდენმა შიმშილმა და წამებამ მაინც ვერ გატეხა დედა. ომის დასასრულს გაათავისუფლეს, მაგრამ რა... მერე ყაზახეთში გადაასახლეს... (ნინო მელვინეთუხუცესი 1970 წელს გარდაიცვალა – გ. ს.)“ (112. 4).

ასეთივე ტრაგიზმითაა აღსავსე ციცნა ჩოლოყაშვილის მოგონებებიც, რომლებიც მკვლევრებმა მზია ბაქრაძემ და ბელა წვერაძემ ჩაიწერეს და XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოაქვეყნეს (12. 13-14).

აბსოლუტურად განსხვავებული მდგომარეობა იყო XX საუკუნის 30-80-იანი წლების ქართულ ემიგრაციაში. სამშობლოდან იძულებით გადახვეწილი ქართველები ყველანაირად ცდილობდნენ, ეროვნული გმირის ხსოვნისათვის საკადრისი პატივი მიეგოთ. ამ მიზნით იმართე-

ბოდა ქაქუცა ჩოლოყაშვილის ხსოვნის საღამოები, კითხულობდნენ მისი ცხოვრება-მოღვაწეობისადმი მიძღვნილ მოხსენებებს, ჟურნალ-გაზეთებში ქვეყნდებოდა ქაქუცას ხსოვნისადმი მიძღვნილი სტატიები, მოგონებები, ლექსები და ა. შ.

ქაქუცა ჩოლოყაშვილის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, ჯერ კიდევ 1930-1931 წლებში, ემიგრაციაში გამომავალ არაერთ ქართულ პერიოდულ გამოცემაში დაიბეჭდა გამოსათხოვარი წერილები, მოგონებები, თუ ლექსები მის შესახებ.

„ქართველ იუნკერთა კავშირის" (შემდგომში „ქართველ მხედართა საზოგადოების") ბეჭდვით ორგანოში, ჟურნალ „მხედარში" (პარიზი, 1930, № 6) გამოქვეყნდა სტატია „ქაქუცა ჩოლოყაშვილი", რომელშიც ეწერა: „ვინც მტრის წინაშე ქედს არ იხრის და არ ემორჩილება მის ნებას, ის დამარცხებული არ არის და, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება პირობები მძიმე და საშუალებები მცირე ჰქონდეს, განაგრძობს ბრძოლას თავისუფლების მოსაპოვებლად. ეს არის ისტორიის მიერ გამოჭედილი ჭეშმარიტება!..

...რუსის ჯარი 1921 წელს შემოვიდა ტფილისში. იმ დღეს კოჯრის ნიავს ტაბახმელადან თან ჩამოჰქონდა დენთის სუნი და კვამლი... ხოლო როდესაც ქართველმა ხალხმა დაინახა, რომ ბრძოლა წაგებულია, მის მკერდიდან დაიჭექა მტრისადმი შურისძიების რისხვამ და გადმოვარდა, როგორც ალესილი ხმალი. ამ ხმალს პირველმა ქაქუცა ჩოლოყაშვილმა წამოავლო ხელი და გულრკინეულად მიმართა იმ მტრისაკენ, რომელიც მეორედ მოვიდა, რომ ძირფესვიანად ამოეგდო ჩვენი ერის კულტურის საძირკველი, რომელიც პირველ შემოსევას გადაურჩა...

როგორც სოფელში ჩამოვარდნილ მგელს მოაკვდინებენ მცხოვრებლები სადმე ქართაში, ასევე ცუდათ გაათავებს პარტიზანი, რაც უნდა ძლიერი იყოს ის, თუ ხალხში ბინა არა აქვს. ქაქუცა ჩოლოყაშვილი ოთხი წლის განმავლობაში რისხვად ეცლინება მტერს, რომლის დანახვაზე ბრაზი გადმოჰყარა ქართველმა ხალხმა. ეს მან შესძლო, რადგან ის ხალხს უყვარდა და ხალხი აცოცხლებდა მას. მოხუცებს მოჰყავდათ მასთან შვილები და ეუბნებოდენ: ამის სიცოცხლე შესწირე სამშობლოს-ო!

ხალხის ნდობა, ბრძოლის წყურვილი და რისხვა არსებობდა, მაგრამ აგრეთვე საჭირო იყო ღონიერი ქართველი, ინდივიდუალური — მაღალი თვისებების პიროვნება, რომელიც შესძლებდა სიმძიმის აწევას და გატანას. ასეთიც გამოჩნდა — ქაქუცა ჩოლოყაშვილი. მძიმე მოვალეობაში მან გასძლო ოთხი წელიწადი. მას არ შეუქმნია მებრძოლი პარტია და არც დისციპლინით შეკრული დიდი რაზმი; მხოლოდ აღადგინა

ალ. ყაზბეგის „ძმად გაფიცვა“. დღევანდელ პროპაგანდიზმის ეპოქაში, როდესაც „ძმა ძმას აღარ ენდობა, ქვეყანა წამხდარია“.

ეს შეძლო, ვინაიდან მასში ცოცხლობდა დიდი ბუნება, ამ სიტყვაში ქართული ყველა მაღალ ღირსების მოთავსებით, და ბედი, რომელიც გმირობის საყვარელი მეგობარია. უთუოდ ეს ბედი ნათელი ღიმილით ბევრჯერ გადაუარდა სახეზე, როდესაც ის 1923 წელს მთებიდან გამოდიოდა და ტფილისში შედიოდა ქრისტეშობის თვეში. ეს ორი მომენტი: ხალხი და პიროვნება — მასსა და ინდივიდუმი იღბლად შეხვდენ ერთმანეთს საქართველოს ახალი ცხოვრების მამლისყივილზე.

ქაქუცა ჩოლოყაშვილს თან მოსდევდა ჩოლოყაშვილთა ოჯახების ქართული უწინდელი კულტურა. ამ კულტურით იყო მისი სული მონათლული და მასზე ნაზიარები. როგორც განათლებულ პიროვნებას, მუდამ ხალხის გულზე ჰქონდა მიდებული ყური, ესმოდა მისი გულისწადილი და ანგარიშს უწევდა მის სიღრმეში დაგროვილ ძალებს; მიჰყვებოდა და თვითონვე იყენებდა მათ...

ჩოლოყაშვილი არ ისახავდა ცალკე მიზანს. მას არ ჰქონდა დასახული პირადული მიზანი. მტრის ტყვეისაგან მისი ძმა როცა დაეცა, ხის ძირას დამარხა. ციხეში დამწყვდეული მისი სიმამრი გამოიყვანეს და მოჰკლეს. ოჯახი აუნგრიეს და საყვარელი ცოლ-შვილი ციხეში დაუმწყვდიეს. რომელიმე ეს უბედურება სხვა ვინმეზე ტყვიაზე უფრო იმოქმედებდა და სადმე ფეხი დაუცდებოდა. ჩოლოყაშვილი ხედავდა წინდაწინვე ყოველგვარი უბედურების შესაძლებლობას. მან პირადი ბედნიერების წრეს გადააბიჯა... არ არსებობს მზღვარი ჩოლოყაშვილსა და ხალხის მისწრაფებას შორის. ის ერთბაშად ხალხის ალესილი ინსტიქტია, რომლის ძახილი მოისმის, როგორც კლდიდან აფრენილი არწივის ყივილი!

ჩოლოყაშვილს არ ჰქონდა დასახული სოციალური მიზანი და არ წარმოადგენს ილიას გმირების ტიპს. ამ ხანის ქართულ ლიტერატურაში შექმნილ ყველა ამდაგვარი ტიპის გმირზე მაღლა დგას ის, რადგან არის, ცხოვრობს და მოქმედებს. მას არ სწამდა წოდებრივი და პოლიტიკური დაყოფა; გლეხი, ინტელიგენტი, მუშა, თავადი მისთვის თანასწორი ადამიანები იყვნენ, ყველას ქართველს უწოდებდა და როგორც დიდბუნებოვან ადამიანს, ყველა უყვარდა, მაგრამ მსგავსს მოყვრულ სიყვარულს ქართულ ძველ პოემებში თუ ამოიკითხავთ დღეს!..

ასეთი იყო ქაქუცა ჩოლოყაშვილი. მტრის ნებას ხალხმა საკუთარი რისხვიანი ნება დაუპირდაპირა, და ამ აქტის გამოცხადებაა ქაქუცა ჩოლოყაშვილი. აქ არის მისი სიდიადე და ამ ფონზე გამოჩნდება ისტორიაში...“ (128. 571-577).

პარიზში გამომავალ ჟურნალ „კავკასიონში“ (1930, № 5) გამო-

ქვეყნდა იუნკერ პროკოფი აბულაძის (ფსევდ. „რეო ამონი") ლექსი „ქაქუცა ჩოლოყაშვილის სიმღერა":

„მთა-ბევსურეთში ჩავდექი,
ვაჟა, კოხტა და რკინაო,
მტერს რომ ზედ მკერდზე დავარტყი,
სიკვდილით დაიკივლაო.
ზვავად მოწოლილ ჯარებში
ცეცხლის ქარ-თქეშად მოვევარდი,
დედას ვფიცავარ, ვეხეთქე,
როგორც პიტალო ფოლადი.
ბრგე მიუვარდი კარ და კარ,
მაგრად შემომხვდა იგეცა,
მაგრამ, ულმერთოდ დავკარ და
შიგ ხრამში გადაიკეცა.
მაგეც შენ! ველარ გაჰხარდე!
მაშ, რა გეგონა ვერავო!
ღვთის მადლმა, ისე გაგხადე,
საკუთარ თავსაც ვერ არგო!
ჩემს მიწას დავანებებდი?
ეს მიწა-წყალი ჩვენია!
პაპების სისხლით მორწყული,
ბედისგან დანარჩენია!
კიდევ გაბედავ! მობრძანდი,
მკერდს შეგახვედრებ კახურად,
ჯაბანი იყო, სულ-ძაღლო,
თუ არ მოხვიდე კაცურად.
თამარის ძუძუს ვფიცავარ,
ერეკლეს ვაჟკაცობასა,
ისე გაგიხდი სიცოცხლეს,
რომ ვერ მოხვიდე ცნობასა.
თუ ტყვია შემომელევა,
ხანჯალს დაგაგებ რისხვიანს,
გატყდება?! გულს ამოვიგლეჯ,
სახეში გფეთქავ სისხლიანს!
სიმრავლით ვერ შემაშინებ,
ტანში ცეცხლი მაქვს დალვრილი,
თუ ვერ გაგკვეთო მხარდამო,
ცხენზე გამიწყდეს ალვირი!" *(127. 138-139).*

1929-1940 წლებში პარიზში გამოდიოდა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის საზღვარგარეთული ბიუროს ყოველთვიური ორგანო, გაზეთი „ბრძოლის ხმა“. 1930 წელს (№ 8, ივლისი, გვ. 3-4) მასში დაიბეჭდა ქაქუცა ჩოლოყაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი შემდეგი შინაარსის წერილი: „პარიზის ქართველობამ მიწას მიაბარა 5 ივლისს ქაქუცა ჩოლოყაშვილის ნეშთი. ისიც იმავ ჭლექმა იმსხვერპლა, ასე უხვად რომ სცელავს ამ ბოლო დროს ქართველ ემიგრანტებს, თუმცა მას ეს სენი აქ კი არ შეუძენია, არამედ ომში მიღებულ ჭრილობის ნიადაგზე განუვითარდა.

ქაქუცა ჩოლოყაშვილის უდროოდ დაკარგვას — განსვენებული 42 წლის იყო — მწუხარებით გამოეხმაურა მთელი მებრძოლი საქართველო. ჩვენი ქვეყნის გამათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიაში მას უეჭველად თვალსაჩინო ადგილი მიენიჭება. 1922 წლამდე ქაქუცას მხოლოდ მეგობარ-ამხანაგების ვიწრო წრე იცნობდა, როგორც დარბაისელ, რაინდული ხასიათისა და არაჩვეულებრივი მამაცობის მხედარს...

დადგა შავი 1921 წელი. როგორც სხვა მრავალმა ქართველმა მხედარმა, ქაქუცამაც დასაწყისს ახლად შედგენილ „ქართულ წითელ არმიას“ შეაფარა თავი, მაგრამ სულ მოკლე ხანში იძულებული გახდა, სამსახური დაეტოვებია და თავის სამშობლო კუთხეში, კახეთში, გადახიზნულიყო. აი, აქ ათხოვა მან გულისყური თავისი ხალხის სულისკვეთებას და იკისრა მისი ბრძოლაში განსახიერება.

ქაქუცა ჩოლოყაშვილს არაფერი ჰქონდა საერთო ქართველი მხედრის გადაგვარებულ, გარუსების გზაზე მდგომ ტიპთან. მისი მთლიანი ბუნება ერთიანად ქართულს და, განსაკუთრებით, კახეთის მსუყე ნიადაგში იყო ჩაფესვებული. მან მშვენივრად იცოდა ქართული, განსაკუთრებით, ხალხური ენა, ძველი თქმულებებით და ანდაზებით მოქარგული. ის ზედმიწევნით იცნობდა თავის კუთხეს, კახეთ-მთიულეთს, იცნობდა არა მარტო გეოგრაფიულად, არამედ ფსიქოლოგიურადაც, და არა მარტო თავის წრეს, თავადაზნაურობას, არამედ ხალხს, გლეხობას. მას ღრმად უყვარდა ხალხი და იცოდა მისი გულისტკივილის და მისწრაფების შეგრძნობა.

1921 წლის მიწურულში ის ტყედ გაიჭრა არა თავის შესანახავად, არამედ მშობელი ხალხის მტრის წინააღმდეგ ბრძოლის გასამართავად. მან სწორედ აუღო ალღო აღმოსავლეთ საქართველოს სულისკვეთებას და ხალხის ამბოხების გრძნობას გამოსავალი მისცა პარტიზანულ ბრძოლაში. სწორედ აღმოსავლეთ საქართველოში, ფარულ სახალხო ორგანიზაციების შედარებითი სისუსტის გამო, პარტიზანობას გაცილებით მეტი ნიადაგი უნდა ჰქონოდა და პარტიზანს მეტი ინიციატივა და გასაქანი. დასავლეთ საქართველოსაც ჰყავდა ჩოლოყაშვილის ტიპის

ხელმძღვანელები შეიარაღებული ბრძოლისა, მაგრამ აქ ისინი ფართო ორგანიზაციის ჩარჩოებში იყვნენ მოქცეული და მისგან სრულიად დამოკიდებული...

სულ მოკლე ხანში ქაქუცამ ნამდვილი ფრონტი გაუმართა საოკუპაციო ხელისუფლებას კახეთ-დუშეთ-მთიულეთში. მისი პარტიზანების შიშით ბოლშევიკებს აღეკვეთათ საშუალება თავისუფალი მიმოსვლისა და მოძრაობისა კახეთში. ადგილობრივი ჩეკისტ-კომუნისტები ხომ მუდმივ შიშში იყვნენ და იძულებული გახდენ ჩოლოყაშვილის შურისძიებას მორიდებოდნენ. რაზმი რაზმზე იგზავნებოდა კახეთში, ჩეკა სხვადასხვაგვარ ფანდებს აწყობდა პარტიზანების ბელადის „სალიკვიდაციოდ“, მაგრამ ყოველივე ზომა ამაო გამოდგა.

1922 წელს, ზაფხულ-შემოდგომაზე, ჩოლოყაშვილმა ფეხზე დააყენა ხევსურეთი და იქიდან ბოლშევიკები გამორეკა და ოკუპანტს დუშეთის მაზრის გლეხობა დაუპირდაპირა. ამბოხებამ ისეთი ხასიათი მიიღო, რომ ხელისუფლება იძულებული შეიქნა, დიდი ძალები გაეგზავნა მისი მეთაურობით ამდგარი ხალხის წინააღმდეგ და მისთვის რეგულარული ბრძოლები გაემართა. მოძრაობა არ დამარცხებულა, ქაქუცამ მოხსნა ბრძოლა „დამოუკიდებლობის კომიტეტის“ წინადადებით, რომელიც ავჯანყების გაფართოებას უდროოდ მიიჩნევდა.

იმ დროიდან 1924 წლის ავჯანყებამდე, ჩოლოყაშვილი უბრუნდება წმინდა პარტიზანულ მეთოდს ბრძოლისას. სამი წლის განმავლობაში აწარმოა ეს ბრძოლა მან ტყედ გაჭრილმა. ეს ბოლშევიკების მპყრობელობის ხანისათვის არაჩვეულებრივი გამძლეობა უნდა მიეწეროს მის პირად ღირსებებს, გულადობას, წინდახედულობას, მისი სამშობლო კუთხის ზედმიწევნით ცნობას, თავდადებულ და მოუსყიდავი რაზმელების შერჩევის ნიჭს.

1924 წლის ავჯანყების დამარცხებასთან ერთად დასრულდა ჩოლოყაშვილის როლი. შეიარაღებული ბრძოლა დღის წესრიგიდან მოიხსნა და, „დამკომის“ გადაწყვეტილებით, ქაქუცამ უახლოესი რაზმელებით საქართველოს საზღვრები დასტოვა.

ჩვენი ქვეყნის მტერი ცდილობდა, ქაქუცა ჩოლოყაშვილი ძველი რეჟიმის კაცად, თავადაზნაურულ საქართველოს მოტრფიალედ და მისთვის მებრძოლად გამოეყვანა. მტკნარი სიცრუეა, ბოლშევიკების ჩვეულებრივი ცილისწამებაა მოწინააღმდეგის სახელის გასატეხად მოგონილი. ქაქუცას უდიდესი ღირსება სწორედ მის მაღალ პატრიოტიზმში იყო, რამაც მას შეძლება მისცა თავის წრეზე ამაღლებულიყო და ხალხის ეროვნული მიზანი გაეზიარებინა. ამ მიზანში ის იმავ შინაარსს სდებდა, რასაც ხალხი ეტრფიალებოდა: ის იბრძოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის აღსადგენად. პოლიტიკისაგან მუდამ შორს

მდგარი ქაქუცა ამ შემთხვევაში არა ერთ და ორ ჩვენს პროფესიულ პოლიტიკოსზე უფრო გონიერი გამოდგა. ის საქმეს ზომავდა არა პარტიული, არამედ ეროვნული საზომით...

ასეთი იყო ქაქუცა ჩოლოყაშვილი და მისი ბრძოლა. ჩვენი ქვეყნის უბედურებამ გამოიყვანა ის ეროვნულ ასპარეზზე და აქ მან, ბრძოლის ერთ-ერთი მეთაურის როლში, გამოიჩინა მაღალი თვისებები, რომლითაც მისი ბუნება შემკობილი იყო. არა მარტო იშვიათი გულადობა, არამედ, აგრეთვე, პოლიტიკური აზრი და გონიერება, რომელმაც შეძლება მისცა მას ხალხის გარდაუვალ მისწრაფებებს ზიარებოდა. და ჩვენც, მთელ ქართველობასთან ერთად, უკანასკნელ სალამს და პატივისცემას მივუძღვნით საერთო საქმისათვის შეუპოვარ მებრძოლს – ქაქუცა ჩოლოყაშვილს“ (130. 224-225).

1924 წელს პარიზში დაარსებული პატრიოტული ორგანიზაციის – „თეთრი გიორგის“ ამავე სახელწოდების პერიოდული ორგანოს 1930 წლის აგვისტოს ნომერი (№ 3) მთლიანად ქაქუცა ჩოლოყაშვილის ხსოვნას მიეძღვნა.

პირველი წერილის ავტორი, ვინმე „ა.“ ქაქუცას შემდეგი სიტყვებით ეთხოვებოდა: „ქაქუცას ხმალი არ ჩაგებულა... მისი სახელი უკვდავი იქნება ჩვენში, ვითარცა უკვდავია სახელი უკვდავ ალექსანდრე ბატონიშვილისა, ვითარცა ურყევია რწმენა საბოლოო გამარჯვებისა... გმირი არ კვდება! გაივლის დრო და ბრმა მეფანდურე, ცრემლით ღაწვებზე, გადასცემს შთამომავლობას ერის გულიდან მოწყვეტილ ამბავს, თუ როგორ იბრძოდა საქართველოს მთებში შეფიცულების დიდი ბელადი. ქაქუცას სულით აღიზრდება საქართველოს მომავალი მებრძოლი თაობები.

შენ წახველ, მაგრამ შენ ჩვენთანა ხარ. დაე, განისვენოს სათაყვანო შენმა ცხედარმა ჯერ უცხო მხარეს. სული შენი ისევე უგუშაგებს ჩვენს მომავალ ბრძოლებს, როგორც წმიდა საფლავი სოლომონ მეფისა – საქართველოს ძველ საზღვრებს, და როდესაც შემოსეულ მტრის უკანასკნელი წვეთი სისხლი ქართველის ხმალზე დაიწრიტება, ჩვენ მივაბარებთ შენს ძვირფას ნაშთს სამშობლოს კალთებს და იგი ისე გადაეცემა თაობიდან თაობას, ვით დავით და კონსტანტინეს წმიდა საფლავი“ (125. 609).

გაზეთის ამავე ნომერში დასტამბულია ვინმე „თელაველის“ წერილი „ქაქუცას ხსოვნას“: „დატანჯულმა და აწიოკებულმა სამშობლომ დაჰკარგა უდიდესი მფარველი და გმირი, ქაქუცა. ხანგრძლივი და გმირული ბრძოლის შემდეგ, უცხოეთში გადმოხვეწილს, მას არ ეღირსა მიჰბარებოდა სამშობლოს მიწას. მის ძვირფას ნაშთს მხოლოდ შორიდან დასტირის მცხარე ცრემლით ქართველი დედა. ქართველი ერი, მოკლე-

ბული შესაძლებლობას, ღირსეულად იცხოვრეს უცხოეთს შესაძლებლობა ასე უდროოდ დაკარგეს, გულში იტკივებს ბიძებს. უცხოეთში გაძღომილები არა ერთი ვინმის სახელი ღაწერილა საქართველოს საძასო ფურცლებზედ. ძალ ძალზედ ღიდი ქართველის სახელიც.

ქართველის ძალღონეში სიცოცხლე ვინც წინააღმდეგია ვინც სული, ძალა ლაშაზა და სიცოცხლით წახალისებულ ქართველი სახე, სიცოცხლე ღიდი ოვალება, ელასტიური, წერწეტი ტანი, კეთილშობილური, ზღვლობით, ვაჟკაცობით, დიდსულოვნებით ცხოველი ბერძნა – ცოცხალი განძარკვალება იყო უწინდელ საქართველოს ვინც ერთი უძლიერესი შესაძლებელი – ჩილოცოშვილი მახვილით ხელში ვინც მტერს და ოჯახს საქართველოს თავისუფლებას და თავისუფლარობას, ისევე უძლიერესი ქართველი შეიძლებოდა საქართველოს უღიდეს და უსაშიშროეს მტერს – რუსეთს, მაგრამ არა ერთი მარცხი და ომში შერცხვენილ ქართველობას ალუდვინა პატიკი და თავმოყვარეობა.

გონებით უხვად დავსილდოებულმა, გმირის სულის პატრონმა, აღზრდილმა ეროვნულ ტრადიციებით, მებრძოლი საქართველოს ბელადს ქაქუცამ გმირულად დაიცვა ეროვნული დროშა. შეუიცულნი ვაუკაცნი გმირულად იბრძოდნენ გმირი ბელადის ხელმძღვანელობით. მტერი უკუ ძრწოდა. ქართველი ერი არ დამარცხდება. გაჭირვების დროს მან წარმოშვა ქაქუცა, გმირი გმირთა შორის.

მართალია. ქაქუცას ბედმა არ მისცა დრო გმირული ბრძოლა სამოლოოდ გამარჯვებით დაეგვირგვინებინა, მაგრამ მან ახალგაზრდობას გაგვიკაფა გზა მტრის დამარცხებისა. ჩვენს გულში ღრმად ჩაბეჭდა მისი სახე. ქაქუცა ჩვენთვის არ გარდაცვლილა. მისი სული მუდამ იქნება ჩვენი მფარველი და ხელმძღვანელი. მუხლმოდრეკილი, გლოვით სავსე ვიღებთ მის ანდერძს და ფიცსა ვდებთ, რომ გავყვებით მის მიერ გაკაფულ გზასა.

შეფიცულებო, ჩვენც თქვენთანა ვართ და თქვენთან ერთად ვედრებით მივმართავთ ქაქუცას სულს: „ნუ, ნუ დაგვტოვებ უბელადოთ, გაგვიძეხ. გამარჯვება მოგვანიჭე". ქაქუცა უკვდავია. ქართველ ერთან იყო ჭირში და მასთან დარჩება ჭირშიც და მომავალ ლხინშიც" (125. 617-618).

ნიკო ნაკაშიძე „თეთრი გიორგის" ფურცლებიდან თანამემამულეებს შემდეგი სიტყვებით მიმართავდა: „ქართველი ახალგაზრდობის მოვალეობაა, მშობელ ქვეყანას დაუბრუნოს სახელოვანი შვილი და მისი სათაყვანო ნაშთი მშობელთა მიწას მიაბაროს. ქართველთა სუფთა მოცული, დაჩაგრული გული იმედით შეჰყურებს მომავალ მებრძოლ თაობას და სწამს, რომ ქართველი ახალგაზრდობა ამ ერთ იმედს არ გაუმტყუნებს. მარად ატარეთ გულში დიდი ქართველის სიყვარული და ქაქუცა ქართველ ერს დაუბრუნეთ" (125. 617).

ჟურნალ „სამშობლოს“ ერთ-ერთი ნომერი (1930, ოქტომბერი, № 8) მთლიანად ქაქუცა ჩოლოყაშვილის ხსოვნას მიეძღვნა. მასში არაერთი საინტერესო პუბლიკაცია დაიბეჭდა, მათ შორის, კალისტრატე ბერიძის ლექსი „ჩვენს გმირს“, რომელიც მან 1924 წლის ბოლოს, ქაქუცას და შეფიცულების საფრანგეთში ჩასვლის შემდეგ, დაწერა.

ამ ნომერშივე გამოქვეყნდა ედპ-ს ერთ-ერთი ლიდერის — ალექსანდრე ასათიანის უაღრესად საინტერესო სტატია „ქაქუცა ჩოლოყაშვილი“: „გარდაიცვალა ქართველი ერის სასიქადულო შვილი, საქართველოს ეროვნული გმირი ქაქუცა ჩოლოყაშვილი... ქართულმა ემიგრაციამ მეტად მწარედ განიცადა ეს დანაკლისი. ძვირფასი ცხედრის ჩამოსვენებამ პარიზში და ემიგრაციაში არხილულ დიდებით დაკრძალვამ ნათლად გაამჟღავნა ჩვენი საზოგადოების ერთსულოვანი მწუხარება. უდავოა, რომ ასეთსავე განცდებს გამოიწვევდა ჩვენი ეროვნული გმირის გარდაცვალების ამბავი იქ, საქართველოში.

ქაქუცა ჩოლოყაშვილმა ექვსი წლის წინეთ დასტოვა სამშობლო მიწა-წყალი, და ეს წლები საშინელი სიმწარის წლები იყო ჩვენი ერისათვის. ამის გამო გასაგებია, რომ ერმა კიდევ ხელახლა შეაფასა და გადააფასა ჩვენი თაობის ყველა საქმენი, მოვლენანი და მათი მეთაური პიროვნებანი. ამათგან ერმა ბევრი დაივიწყა, ბევრი კიდევ შეიძულა, და ზოგს კიდევ შეუმცირა ხსოვნა და ყურადღება. უთუოდ იშვიათია ისეთები, რომელნიც ასცდენ ასეთს ხვედრს.

ქაქუცა ჩოლოყაშვილი, ყოველს შემთხვევაში, ასეთი იყო. მრავალი უტყუარი საბუთი გვაქვს, და ისიც საქართველოს ყველა კუთხიდან, რომ ამ უმწარეს განცდათა წლების მანძილზედ ქართველი ერის გულში სრულიად არ შემცირებულა ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელი და მისდამი სიყვარული. წინააღმდეგი ამისა, მძიმე მონობის უღლის ქვეშ მგმინავ ერის გულში კიდევ უფრო იზრდებოდა ხსოვნა და სახელი იმ გმირისა, რომელიც ამ საშინელი ეროვნული და პიროვნული მონობის დამსხვრევისათვის იბრძოდა და ამ ბრძოლის მეთაური იყო.

ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელს ყველა იმედით და სიყვარულით იგონებდა საქართველოს კიდით-კიდემდე. მის შესახებ ერი ლეგენდებსა და ხალხურ სიმღერებს ჰქმნის. ბავშვებს მის სახელს არქმევენ და მისი სადღეგრძელონი საყოველთაოდ მიღებული იყო ყოველს ქართველ მამულიშვილთა სუფრაზედ — ეს იყო უხმო სადღეგრძელო და ყველამ იცოდა, თუ ვისი სადღეგრძელო ითქმოდა საიდუმლოდ, თავის გულში, ამ უხმოდ აღებული და უხმოდ წოდებული სასმისით. ქაქუცა ჩოლოყაშვილი გარდაიცვალა და ამიერიდან ასევე უხმო შესანდობარით მოიხსენებს მის სახელს მისი საყვარელი და მისი მოყვარული მშობელი ერი.

ჩვენს ძალზედ დაქსაქსულ საზოგადოებაში ასეთი ერთსულოვნობა ქაქუცა ჩოლოყაშვილისადმი სავსებით გასაგები იქნებოდა, რომ ის ყოფილიყო დიდი მეცნიერი, ხელოვანი, ან სხვა ასევე ნაკლებად სადაო საქმეთა მეთაური. ის კი იყო მებრძოლი, პოლიტიკური მებრძოლი, სავსებით გარკვეული პროგრამით მომქმედი, თავისი გარკვეული არეს მქონე, რომელიც ყველასთვის მისაღები არ იყო. მას ჰყავდა ამ მოქმედების გზაზედ თავისი მომხრენი და მოკავშირენი და, აგრეთვე, ბევრს რამეში მოწინააღმდეგე და მოპირდაპირენიც. და ასე სხვადასხვა ჩარჩოებში მომწყვდეულ მოღვაწეთა შორის ქაქუცა ჩოლოყაშვილი იყო ერთადერთი, რომელსაც ყველა ამ დანაწილებულსა და დაქსაქსულ წრეებში ჰქონდა თავისი დასაყრდენი და ფეხის მოსადგამი, ზოგან მეტი და ზოგან ნაკლები.

საქართველოს განთავისუფლებისათვის მებრძოლ პარტიათა და ჯგუფთა შორის ვერც ერთი ვერ გაიმიჯნებოდა სავსებით ქაქუცა ჩოლოყაშვილისაგან, ვერც ერთი ეს წრე ვერ ჩამოაშორებდა სავსებით თავის მასსას ქაქუცა ჩოლოყაშვილის გავლენას. ეს აიხსნება იმით, რომ ქაქუცა ჩოლოყაშვილი გაიზარდა, გაუსწრო და ასცილდა პოლიტიკურ წრეთა ამ გამყოფ კედლებს, რომელნიც სავსებით ჰფარავენ ყველა დაბალსა და საშუალო ტანის მოღვაწეებს. ქართველი ერის თვალში ის გახდა ეროვნულ გმირად და ეს ხარისხი ანიჭებდა მას დიდს ზნეობრივს გავლენას ერის ყველა წრესა და მიმართულებაზედ.

ქაქუცა ჩოლოყაშვილი ამიერიდან ისტორიას ეკუთვნის და მისი მოღვაწეობის ღირსეული დაფასება ფრიად საჭიროა და სასარგებლო, მაგრამ ახლად გათხრილ საფლავთან გრძნობები ბატონობენ და ამის გამო ბევრი რამ მრუდეთ ჩნდება. შეიძლება, შემდგომი ხანის დამშვიდებულმა და ცივი გონებით მოხდენილმა კვლევამ შესცვალოს და დაარღვიოს ბევრს რამეში ჩვენი შეხედულობა ჩოლოყაშვილის მოღვაწეობის ამა თუ იმ მხარეზედ, მაგრამ როგორიც არ უნდა იყოს ისტორიის მსჯავრი ქაქუცა ჩოლოყაშვილის შესახებ, ის უთუოდ გზას ვერ აუხვევს იმ უდავო ჭეშმარიტების აღიარებას, რომ ქაქუცა ჩოლოყაშვილი შვა 1921 წელს დაწყებულმა საქართველოს განმათავისუფლებელმა ბრძოლამ და მანვე მიანიჭა მას პირველი ადგილი საქართველოს განმათავისუფლებელ დარაზმულობის მებრძოლთა შორის...

საშინელს პირობებში აღმოცენებულსა და განვითარებულ მებრძოლ ეროვნულ დარაზმულობის მოქმედებასთან შეთანხმება და შეგუება საკუთარი მუშაობისა ადვილი არ იყო ქაქუცა ჩოლოყაშვილისათვის. მით უმეტეს, როდესაც შემდეგში ამ დარაზმულობაში ახალი პარტიები და ჯგუფები შევიდნენ. ჩოლოყაშვილის წინადადებები და გეგმები, ბრაყალს შემთხვევაში სავსებით მიზანშეწონილი და სწორი, ხშირად არ ტარ-

დებოდა, მაგრამ ქაქუცა ჩოლოყაშვილი ბოლომდე ამ საერთო ბრძოლის გეზს მისდევდა და მას არ სცილდებოდა. მას კარგათ ჰქონდა შეგნებული, რომ ერის გმირობა და მცირე ჯგუფის ვაჟკაცობა არ იყო საკმარისი დიდი ეროვნული ამოცანების მიღწევისათვის. ამ დიდს საქმეში ის იყო არა მარტო თავგანწირული მებრძოლი, არამედ მეტად ფრთხილი-თავშეკავებული და მოქნილი პოლიტიკოსიც. მისი ხასიათის ეს მეორე მხარე არანაკლებად დაფასდება ამ ბრძოლათა ისტორიაში, ვიდრე მისი გმირობა და თავგანწირვა.

ასეთი გეზის აღებისათვის და მისი მუდმივად დაცვისათვის დიდი გონებრივი გამჭრიახობა და ხასიათის სიმტკიცე იყო საჭირო. 1921 წლის საქართველოს დაპყრობამ წააქცია საქართველოს დამოუკიდებლობასთან ერთად ის პოლიტიკური წყობილება, რომელიც ანტისახელმწიფოებრივი და ანტიეროვნული სულით იყო გამსჭვალული. ახალი დარაზმულობა მთელი ამ სისტემის მოწინააღმდეგე წრეების მიერ იყო შექმნილი და გასაგებია, რომ ამ წრეებში მრავალი იყო ისეთი განცდა და სულისკვეთება, რომელიც დამსხვრეული პოლიტიკის მიერ ამ წრეთადმი უსამართლო და ბოროტი მოქცევისაგან გამოწვეული გრძნობებით იყო შეფერილი.

ასეთს გამწვავებულ განცდათა შებორკვა, განზომიერება არ იყო ადვილი საქმე. ბოლშევიკები კარგად ხედავდნენ, რომ ამ გრძნობათა გაღვივება და ახალი დარაზმულობისათვის ხალხის თვალში ვიწრო ჯგუფური ინტერესებით გამოწვეულ საქმედ მონათვლა ფრიად სასარგებლო იყო მისი ზნეობრივი გავლენის შესუსტებისათვის ქართველს ერზედ, და ისინიც ამ ბრძოლას კონტრრევოლუციად და მემამულეთა რეაქციად ნათლავდნენ. სამწუხაროდ, ასეთს ანკესს ზოგიერთი მენშევიკური წრეებიც წამოეგენ და ქაქუცა ჩოლოყაშვილის მიერ დაწყებულს ბრძოლას პირველს ხანებში მათაც ასეთი დაფასება მისცეს.

ქაქუცა ჩოლოყაშვილმა მოწოდებით მიმართა ქართველ ერს 1922 წლის აგვისტოში, სადაც ის სწერდა, რომ მიწები მეპატრონეებს ჩამოერთვა ჯერ კიდევ მენშევიკური წყობილების დროს და ამის გამო იარაღი ხელში არავის აუღია. ჩვენ მზადა ვართ, გადავსცეთ ქართველ ერს ის მცირეც, რაც დაგვრჩა, უკეთუ ამას ქვეყნის საჭიროება მოითხოვს, ხოლო ჩვენი ეხლანდელი ბრძოლა ისახავს მიზნად არა მიწების დაბრუნებას, არამედ საქართველოს დამოუკიდებლობის დაბრუნებას და ეს ბრძოლა გაგრძელდება, სანამ ეს მიზანი არ იქნება მიღწეული. ასე განმარტა ქაქუცა ჩოლოყაშვილმა თავისი მოქმედების მიზანი და გეგმა.

ქართველ ერს დიდი სამხედრო წარსული აქვს და მასში გმირობა უფრო ხშირი მოვლენაა, ვიდრე თანამედროვე პოლიტიკის პირობათა შეგნება და შეთვისება. ქაქუცა ჩოლოყაშვილს ეს თვისებებიც აღმო-

აჩნდა უხვად და ამან გახადა ის არა მარტო გმირად, არამედ ეროვნულ გმირად... დაუვიწყარი და საამაყო იქნება ქართველის ერის სახელი მისი უკუნითი უკუნისამდე" (129. 325-331).

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთელი ახალგაზრდობის ბეჭდვით ორგანოში, გაზეთ „ახალი ივერიაში" (პარიზი, 1931, ივნისი, № 3) დაბეჭდილი სტატიის — „ქაქუცა ჩოლოყაშვილი" ავტორი აღნიშნავდა: "...ქაქუცა არავის შეუქმნია, არავის უზრუნვია, რომ მისთვის სახელი და გავლენა მოეხვეჭა, „ორგანიზაციული კამპანია" არ უწარმოებია მის განსადიდებლად... ამ მხრივ ნატამალი ხელოვნებისა მას არ გაჰკარებია. მასში ყველაფერი ბუნებრივი და სტიქიური იყო. იგი შინაგანი ძალით გაიზარდა. ეს ზომავს მის სიმაღლესა და სიდიდეს. ქაქუცა შობილი იყო თავის დანიშნულებისათვის! — ასეთია გმირების ბიოგრაფია საერთოდ...

საქართველოს გასაჭირი დაუდგა და ქაქუცაც გამოცხადდა. ელვის სიმარდით დაურბინა საქართველოს საზღვრებს და მთელს ერს თავისი მკლავები შემოაღობა. თავისებური ჯადოთი მოიყიდა ყველას გული და მთელი მათი ჭირი და ვარამი, იმედი და მისწრაფება განუზომელი სიყვარულით გაათბო და თავის სულმნათ არსებაში ჩაიბინავა. სამაგიეროდ, ეს თავისი საკვირველი შობილი, ქართველმა ერმა გულის სიღრმეში ნუგეშად ჩაისვა და მას სიყვარულისა და თაყვანების ტაძარი დაუდგა...

ამ დღიდან საქართველოში მარტო ქაქუცაა. იგი ბატონია, მბრძანებელი მეფეა. უფრო მეტიც, იგი სასოებაა და იმედი ტანჯული ერისა. ყველა მასთანაა და იგი ყველასთან. ქაქუცა და ქართველი ერი ერთმანეთში გაითქვიფა. იშვა გმირი, საყვარელი ეროვნული გმირი. იგი დაუმარცხებელია: სამი მისი შეფიცული სამას მტარვალს ეტოლება. ასი მისი შეფიცული, ხევსურეთის კურთხეულ მხარეში, შვიდ ათასს ურჯულოს ანადგურებს. ერთი ასის წინააღმდეგ! ეს ის გმირია, რომელიც საქართველოს ესაჭიროება. თვით ეს პროპორცია საქართველოს გამარჯვების საწინდარია. სამი მილიონი ქართველი ასობი მილიონი რუსის წინააღმდეგ! რიცხვითი უპირატესობა საქართველოს მხარეზეა. ვაჟკაცობა, სამშობლოს სიყვარული და მისთვის თავდადება — ეს კიდევ ზედმეტი! მაშ, წინ გასწი, საქართველოვ!..

ქაქუცა ჰქმნის საყოველთაო აღფრთოვანებას და მიუძღვნის გამარჯვებას. მისთვის თხზავენ დაფნის გვირგვინებს. მისკენ იწევს მოხუცი და ახალგაზრდა. ხევსურის ქალები, თოფით ხელში, „ბიჭების" რიგში იბრძვიან... რუსის ჯარი და მისი ტყვია ქაქუცას ვერა სწვდება. დამარცხებული მტერი აღიარებს, რომ ჩოლოყაშვილი შეუვალია... ქაქუ-ლეგენდაში გადადის... მას ყველგან ხედავენ, მისი ხმა ყველას ესმის,

მასზედ ყველგან საუბრობენ, ლექსებს თხზავენ, მღერიან... იგი საქართველოს სულ ბოლო დროის ლეგენდაა, წარმტაცი და ეშხიანი ლეგენდა“ (126. 600-603).

ალ. კარგარეთელის ცნობით, 1931 წლის 27 ივნისს ქაქუცა ჩოლოყაშვილის გარდაცვალების წლისთავისადმი მიძღვნილ ხსოვნის საღამოზე, პარიზში, მუზეე სოციალის დარბაზში, უჩვენებიათ კინოფირზე გადაღებული მისი დაკრძალვის ცერემონია. სამწუხაროდ, ამჟამად აღნიშნული უნიკალური კინოფირი დაკარგულად ითვლება (54. 28).

1931 წლის 19 ივლისს, ვიროფლეიში, სადაც ქაქუცა ჩოლოყაშვილი და მისი შეფიცულები ცხოვრობდნენ, სპირიდონ კედიას მეუღლის — სოფიო ჩიჯავაძის თაოსნობით ქაქუცას ხსოვნის საღამო გაიმართა (126. 654).

ჟურნალ „სამშობლოს“ 1932 წლის ერთ-ერთ ნომერში (№ 12, ნოემბერი, გვ. 58) დაიბეჭდა ინფორმაცია „ქაქუცა ჩოლოყაშვილის ძეგლის კურთხევა“: „1932 წლის 23 ოქტომბერს, პარიზში მყოფ მთელ ქართულ საზოგადოების თანდასწრებით ბერძნის მღვდელმა აკურთხა ქაქუცა ჩოლოყაშვილის ძეგლი, დადებული მის საფლავზე ერთ კეთილშობილ ქალის თაოსნობით. თავში, თლილი ქვის გადატეხილი რგვალი სვეტი სდგას ლამაზ პოსტამენტზე, რომელზედაც აწერია: „გარდატყდა სიცოცხლე შენი — გაგრძელდნენ საქმენი შენნი“. ქვევით — თვით საფლავის ქვის ზედა პირზე ამოჭრილ წმ. ნინოს ჯვრის ქვეშ წარწერილია: „ქაქუცა ჩოლოყაშვილი 1888-1930 წწ.“.

ქართული ასოციაც ის თავმჯდომარემ, ბ-ნმა გ. ჟურულმა ქართველობის სახელით მაღ ლობა უძღვნა შემომწირველს, გრძნობიარე სიტყვაში მოიხსენია განსვენებულის დიდი ღვაწლი და მოუწოდა ქართველობას ერთობისათვის და მთლიანობისათვის ქაქუცა ჩოლოყაშვილის საქმის გაგრძელებისათვის. ქართველი ახალგაზრდობის გუნდმა უგალობა ეროვნულ გმირს „საუკუნო ხსენება“ (129. 331-332).

მართალია, ამ პუბლიკაციაში დასახელებული არ არის ქაქუცა ჩოლოყაშვილის საფლავზე ძეგლის დადგმის ინიციატორი (და, რასაკვირველია, დამფინანსებელი) „ერთი კეთილშობილი ქალის“ ვინაობა, მაგრამ, ჩვენი აზრით, აქ თამარ გოგოლაშვილი-პაპავა უნდა იგულისხმებოდეს. ჩვენს მოსაზრებას მხარს ორი გარემოება უჭერს: 1) სენტ-უანის სასაფლაოზე, ქაქუცას საფლავზე არსებულ ძეგლზე, ამოკვეთილი იყო შემდეგი სიტყვები: „გარდატყდა სიცოცხლე შენი, გაგრძელდნენ საქმენი შენნი“. ესაა ოდნავ შეცვლილი ფრაზა თამარ პაპავას მიერ ქაქუცასადმი მიძღვნილი ნარკვევიდან: „ვერ გაგიმართლდა, მეგობარო! გარდატყდა ხრმალი შენი, მაგრამ გაგრძელდნენ საქმენი შენნი...“ (85. 65);

2) გენერალ შალვა მაღლაკელიძის ცნობით, თამარ პაპავას მეულლემ, ცნობილმა ქართველმა პოლიტიკურმა და საზოგადო მოღვაწემ „აკაკი პაპავამ დაუდგა ძეგლი ქაქუცას – „გადატეხილი მუხა“ (74. 74).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ალბათ, არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ პარიზში, სენტ-უანის სასაფლაოზე, ქაქუცა ჩოლოყაშვილის საფლავზე, ძეგლის დადგმის ინიციატორები და დამფინანსებლები თამარ და აკაკი პაპავები იყვნენ.

1934-1936 წლებში შალვა ქარუმიძის რედაქტორობით ბერლინში გამოიცემოდა გერმანიის ქართველ ნაციონალისტთა პერიოდული ორგანო, გაზეთი „კლდე“. 1935 წელს „კლდეში“ (№ 13) დაიბეჭდა ვინმე „ძველი“-ს მიერ ქაქუცა ჩოლოყაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი სტატია, რომელშიც ეწერა: „ჟამი ჟამობს. ყოველდღიურობა, მისი დარდი და ვნებანი, ამყოლობა ამა ქვეყნისა შორდება განსვენებულის სახეს, უბრალოება ადამიანური, დღიური ურთიერთობა დავიწყებას ეძლევა და მით უფრო მკვეთრად და მთელის სიდიადით სდგება ჩვენ წინაშე განსვენებულის პიროვნება.

გრდემლი ისტორიისა მონუმენტალურ ძეგლად ადუღებს ქაქუცას პიროვნებაში ჩვენ დიდ ბრძოლას თავისუფლებისა და არსებობისათვის სადიდებლად წარსულისა და მომავლისაკენ გზის მაჩვენებლად, გვიჩენს მხნეობისა, რწმენისა და ბრძოლაში შეუპოვრობის უშრეტ წყაროს. უკვდავია ჩვენთვის სახელი ესე, ვითა უკვდავია დიდი ბრძოლა მასთან შეერთებული, მისგან ნაწარმოები, ვითა უკვდავ არიან თანამებრძოლნი მისნი, გმირნი, მამულისა და ერისათვის სიცოცხლისა, სისხლისა და ხორცის მიმტანნი, სამშობლოზე შეფიცულნი და სამშობლოს შეწირულნი!“ (130. 385).

1938 წელს ჟურნალ „კავკასიაში“ (№ 2) გამოქვეყნდა გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსის – დიმიტრი ბაქრაძის ვაჟის, გენერალ ზაქარია (შაქრო) ბაქრაძის ლექსი „ქაქუცას“, რომელიც მან 1924 წელს შეთხზა:

„დიდება შენა, სამშობლოს გმირო,
ქება-დიდება, მამულის შვილო,
შენის ეშხითა მინდა გაკიცლო:
„ვაშა, ქაქუცა ჩოლოყაშვილო!“
ვინ იყო იგი, რომ არ გაქებდა,
შენზე იმედებს არ ამყარებდა,
შენ შეფიცულთა დეკური ბრძოლა
დატანჯულ მამულს არ ამხნევებდა!

შენს ქართულ გულში ძალ სდუღდა წმინდა,
რაც ჩვენ გვაკლია, რაც დღეს ჩვენ გვინდა,
რომ მოვიშოროთ მაიმუნობა
და დავიბრუნოთ კვლავ ეროვნობა.
გაუღვიძნია ეროვნულ გრძნობას,
ჩვენ წინაპართა უკვდავ გმირობას,
კვლავ მათი ხმალი მჭრელი ყოფილა!
მაშ, სიხარულის მოგველის დილა!
ქართველნიც უწინ ასეთნი იყვნენ,
მამულისათვის თვის სისხლსა ღვრიდნენ,
ყრმა და ჭაბუკი, მოხუცებული,
ერი და ბერი, მეფე ცხებული!
ქართველი ქალი უძღოდა წინა,
დედაშვილობა იყო მაშინა,
სამშობლოს ერთგულს უზრდიდა შვილებს,
მალამოს სცხებდა ქვეყნის ტკივილებს.
მაგრამ დავშორდით ქართულ კერასა,
გავყევით ავის ბედის წერასა,
სული მივყიდეთ მტერს და ეშმასა,
საწამლავისა მივყეთ შესმასა.
არაფერია ქვეყნად მუდმივი,
წარმავალია იღბალიც ავი:
რა ადგილი აქვს ერის მონებას,
თუ იგი ეტრფის თავისუფლებას!
ერი თვითვეა ბედის მჭედელი,
თვითვე იბრუნებს თავის დიდებას,
რაკი იღვიძებს მის ადრინდელი
სული და იჩენს უძრეკელ ნებას" (132. 512-513).

1940 წლის 30 აგვისტოს შალვა ამირეჯიბმა ბერლინის ქართულ კოლონიაში წაიკითხა მოხსენება 1924 წლის აგვისტოს აჯანყების, ქაქუცა ჩოლოყაშვილისა და „შეფიცულთა" რაზმის შესახებ.

ელისე პატარიძის პირად არქივში ინახება მის მიერ ემიგრაციაში შეთხზული ლექსების კრებული. მასში დაცული, 1941 წლის ივნისით დათარიღებული ერთ-ერთი ლექსი ასევე ეძღვნება ქაქუცა ჩოლოყაშვილის ხსოვნას.

მეორე მსოფლიო ომის დროს, 1942-1945 წლებში, „ქართული ლეგიონის" ბერლინში გამომავალ ყოველკვირეულ გაზეთში – „საქართველო" (1943, № 5) გამოქვეყნდა ქაქუცა ჩოლოყაშვილის შესახებ შე-

ქმნილი ხალხური ლექსები სათაურით „ხალხი უმღერის თავის გმირს“. ლექსები, როგორც წინასიტყვაობაში იყო აღნიშნული, შეკრიბა და ჩაიწერა „შეფიცულთა“ რაზმის ერთ-ერთმა წევრმა ელიზბარ მაყაშვილმა.

გარდა ამისა, წინასიტყვაობაში ეწერა: „ქართველ ხალხს თავისი წიაღიდან არაერთი და ორი შესანიშნავი გმირი წარმოუშვია. ერთი ასეთი გმირია ქაქუცა ჩოლოყაშვილი. ეს ის ადამიანი იყო, რომელიც იწვოდა და იფერფლებოდა სამშობლოს სიყვარულის სამსხვერპლოზე... და უყვარდა ქართველ ხალხს თავისი გმირი, უყვარდა გულწრფელი, ცეცხლოვანი სიყვარულით, და ეს დიდი გრძნობა ჩვენმა ხალხმა თავის მრავალრიცხოვან სიმღერებში გამოხატა.

საქართველოში არ არის ისეთი კუთხე, სადაც არ შეექმნათ უცნობ მგოსნებს მშვენიერი სტრიქონები საქართველოსათვის დაუდგრომელ მებრძოლზე, რომელიც რუსი ჯალათებისათვის ნამდვილ რისხვას წარმოადგენდა. ამ სიმღერაში სჩანს ქართველი გლეხის დიდი პოეტური აღმაფრენა და ის მარადიული ბრძოლის ცეცხლი, რაც ჩაუქრობლად ღვივის და გიზგიზებს თვითეული ჭეშმარიტი ქართველის გულში“.

გთავაზობთ „საქართველოში“ გამოქვეყნებულ რამდენიმე ხალხურ ლექსს, რომლებშიც დაცულია საკმაოდ საინტერესო ცნობები 1921-1924 წლებში ქაქუცა ჩოლოყაშვილის მეთაურობით გმირ „შეფიცულთა“ რაზმის მიერ წარმოებულ ბრძოლებზე რუსი დამპყრობლების წინააღმდეგ; მათ შორის, ისეთებიც, რომლებიც სხვა სახის წერილობით, თუ ზეპირ წყაროებში არსად გვხვდება:

გელად გაჭრილა–

„გელად გაჭრილა ქაქუცა,
ჩოლოყაშვილის გვარისა,
გვერდში ჰყავს ბევრი ვაჟკაცი,
მტრის დამყენები თვალისა.
არ ეშინიან სიკვდილის,
თავი აქვთ გადადებული,
სურთ საქართველო დაიხსნან
რუსთაგან აოხრებული.
თანა ჰყავს მისი გაზდილი
საშა სულხანიშვილია.
გვერდსა უმშვენებს სოსოი,
ისიც ვაჟკაცი გმირია;
ელიზბარ ბევრგან ცნობილი,
ომშიაც გამოზდილია,

კოხტა, ლამაზი მიშაი,
გვარი აქვს ნაცვლიშვილია.
გიორგის, გაბოს, შალიკოს
გადმოულახავთ ქართლია,
ვაჟკაცობა და სიგმირე,
არც კი იმათა აკლია.
პატარა ტანის ლელოი
მარდია, როგორც ქარია,
ბადურაშვილი საშაი
ახალგაზრდების თვალია,
მალაქია და სერგოი,
ერთ დინჯი, მეორ ჩქარია,
კახეთს ჩასახლდნენ რაჭველნი,
არ არის დიდი ხანია.
ღვიძლი ძმა სიკო გვერდში ჰყავს,
დიდ გმირსაც შესადარია,
თოფის სროლაში სწრაფია,
ვით წვიმა ნიალვარია.
მოლექსე ფშავიც ხომა ჰყავს
მუდამ პირმოცინარია,
შეუპოვარი შამილა,
მაგარი, ვით კლდე სალია,
ბათირაც მასთან წავიდა
და სხვებიც წაიტანია.
ერისთვის შვილი რაფოი
სიკვდილთან უშიშარია,
ბევრს მოლალატე, მურდალსა
მან დაუბრმავა თვალია.
და სხვა მრავალი ვაჟკაცი
მთლად საქართველოს გმირია,
სახლში არავინ დარჩება
ვინც კი მამულიშვილია“.

სიმღერა ჩოლოყაშვილზე

„ამბობენ: როცა ქაქუცა
სხვა მიწა-წყალზე კვდებოდა,
საკუთარ შვილის სიკვდილი

სამშობლოს ეყურებოდა.
ია და ვარდი ლამაზი
იმისი ცოდვით სჭკნებოდა,
შემოჰხვეოდა მზეს ნისლი,
ცაზე ვარსკვლავი ჰქრებოდა!
კიდევ ამბობენ: მხედარი
უცხოეთს დაიმარხაო,
ბევრი დარდები წაიღო,
მამული ველარ ნახაო.
გულს მიეყარა სხვა მიწა,
სხვა ცრემლი დაიღვარაო,
მოყვარეს თვალი დაევსო
და მტერმა გაიხარაო.
— ვაჰ, სადა ვკვდები? რა დროსა?
სად დამეხუჭა თვალია?..
ვაი დედასა! რა მომდის!..
ველარ გამიჭრის ხმალია!..
ნუ გეშინია, სამშობლოვ,
მე მოვკვდი, სხვები მოდიან,
მათი თვალების ანთება
ჩემზე ნაკლები როდია!..”

გმირის ხსოვნას

„არწივმა მხრები დაუშვა,
მძიმედ დახუჭა თვალია,
ალარ გვყავს ჩოლოყაშვილი,
ზეცით დარეკა ზარია.
მთებო, იტირეთ ცრემლებით,
ბარო, მოიკალ თავია,
მზეო, დაბნელდი უდროოდ,
კახეთს ჩაცვი შავია.
იგლოვოს ყველა ქართველმა,
ძაძით შემოსოს ტანია,
ლხინი შესცვალოს ჭირადა,
არ არის გასახარია.
დაეკარგეთ ჩვენი ბელადი,
სტირის და გლოვობს ერია,

ასეთ ვაჟკაცთა დაღუპვა,
საქართველოსთვის ძნელია.
მამულიშვილო, შენსავით
დედას ალარ ჰყავს შვილია,
ძნელია შენი დაკარგვა,
ეს ჩვენთვის უფრო ძვირია.
უშენოდ, ვფიცავ ძმობასა,
ჩვენი სიცოცხლე მწარეა,
აქ გელის შენი სამშობლო,
დაღუპულ, განწირულია,
შენ კი უდროოდ უცხოეთს
შავ მიწას მიებარია.
ჩვენ რაღა უყოთ დამრჩალთა,
ვილას მივანდოთ თავია,
ვინ გაგვიძღვება ბრძოლაში,
ვინღა გვიკვლიოს გზანია!
სამშობლო დაღუპულია,
სჭირია ბასრი ხმალია,
იმედის მაღვიძებელი
არ გვესმის შენი ხმანია!
ვართ ასე დაღონებულნი,
ვსტირივართ როგორც ქალია!
შენი ჭირიმე, ბელადო,
რომ მოგიდუნდა მკლავია,
ალარა გვყევხარ ნუგეშად,
დაგვშორდი, განვლე გზანია.
ბუნებავ! უკულმართი ხარ,
ღმერთო! შენც გადევს ბრალია,
რა დაგიშავეთ ცოდვილთა,
რომ გაგვიმწარე დღენია,
სახლს დაგვიჯინე ჯარები
არ მოგვეც გასაქანია,
წაგვართვი ჩვენი ქაქუცა,
სადა გაქვს სამართალია!“

გარდა ამისა, გაზეთ „საქართველოს“ აღნიშნულ ნომერში დაიბეჭდა ქაქუცა ჩოლოყაშვილისადმი მიძღვნილი სხვა ლექსებიც: „ფშაველის ნათქვამი“, „შენი ჭირიმე ქაქუცავ“, „ეს რომ გაიგო“, „იღვიძეთ“, „ქაქუცა“, „რაზმი ჩოლოყაშვილისა“, „სალამს მოგიძღვნი“, „აისხი აბჯარი“, „სწრაფად შეუდება“ და „ხმაი გავარდა“ (100).

შემდგომში ქაქუცა ჩოლოყაშვილის ნეშტი, ქართული ემიგრაციის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის – ლევან ზურაბიშვილის ინიციატივით, ლეგილში გადაასვენეს, სადაც მისი საფლავის ქვაზე ქართულ და ფრანგულ ენებზე ამოტვიფრული იყო წარწერა: „ქაქუცა ჩოლოყაშვილი – ეროვნული გმირი“.

XX საუკუნის 60-80-იან წლებში „შეფიცულებმა“: ელიზბარ მაყაშვილმა, ალექსანდრე სულხანიშვილმა, ალექსანდრე კარგარეთელმა, ელიზბარ ვაჩნაძემ და ალექსანდრე ბადურაშვილმა (ე. ვაჩნაძისა და ალ. ბადურაშვილის მოგონებები სხვადასხვა დროს ჩაიწერა ელისე პატარიძის შემდეგ, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პერიოდული ბეჭდვითი ორგანოს, ჟურნალ „იერიას“ რედაქტორმა მიხეილ ქავთარაძემ – გ. ს.) წიგნებისა, თუ საჟურნალო პუბლიკაციების სახით ზედიზედ გამოაქვეყნეს მოგონებები 1922-1924 წლებში „შეფიცულთა“ რაზმის ანტისაბჭოთა ბრძოლისა და შემდგომში მათი ემიგრანტული ყოფაცხოვრების შესახებ (11. 2-17; 42; 54; 75. 5-35; 106; 107; 108; 109; 110; 115. 294-303).

ალ. კარგარეთელმა თავის წიგნში, მოგონებების გარდა, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი რამდენიმე სხვა პიროვნების წერილი, მოგონება და ლექსიც დაბეჭდა. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, პოლიტიკოსისა და საზოგადო მოღვაწის – მიხეილ (მიხაკო) წერეთლის მიერ ქაქუცას გარდაცვალებასთან დაკავშირებით დაწერილი პუბლიკაცია „დიდი ქართველის ხსოვნას“: „ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი განვიდა ამა სოფლიდგან, თვალთ მიგვეფარა, გამოირიცხა ცოცხალთა რიცხვითგან და შევიდა ისტორიის სფეროში.

მის დიდ პიროვნებას, დიდთა საქმეთა მისთა მომავალი ისტორიკოსი დააფასებს ღირსეულად. მოვლენა მისი მომავალ თაობათათვის მაჩვენებელი იქნება იმისა, რომ ქართველ ერს არც მეოცე საუკუნის დასაწყისში დაუკარგავს ძალა და სურვილი გმირულად ბრძოლისა თავისუფლებისათვის, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში იყო მისი იდეალი, და რომ საქართველოს ამ დროსაც აღმოსჩენია ძლიერი გმირი, ღირსი და შემძლე ერის თავისუფლების დროშის ტარებისა.

ოდეს ვერაგი მტერი, უსაზიზღრესი და უსასტიკესი ყველა მტერთა შორის, რომელთა რისხვასაც საქართველო დაუსუსხავს, – გაბოლშევიკებული რუსი მოტყუებით დაეცა თავს თავისუფალ საქართველოს 1921 წელს, ოდეს მტრის გამხეცებულ ბინძურ ურდოებს სოციალისტური წითელი დროშით შემოუძღვენ სამშობლოს ასაოხრებლად ქართველი მოღალატენი, ეს ამბავი ახალი არ იყო საქართველოს ხანგრძლივ გლოვათა და გოდებათა აღსავსე ცხოვრებაში, მაგრამ არც ის

იყო მოულოდნელი მოვლენა, ოდეს ქართველთა შორის აღსდგა გმირი ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი და მის ძლიერ ყივილს მთელმა ქართველობამ მისცა ხმა, საქართველოს ვაჟკაცები ხმლით ხელში ამოუდგნენ მას გვერდში და ოთხი წლის განმავლობაში მუსრს ავლებდნენ მძვინვარე მტერს, არ შეარჩინეს ნამუსის ახდა სამშობლოისა, სისხლი წამებულთა.

ქაიხოსრო ჩოლოყაშვილის ბრძოლა დიადი იყო და ძნელი გაბოლშევიკებულ რუსის ბატონობის წინააღმდეგ, უძნელესი, ვიდრე ბრძოლა მის წინაპართა შაჰ-აბასის ურდოების წინააღმდეგ XVII საუკუნეში და იმპერატორთა რუსეთის წინააღმდეგ XIX საუკუნის დასაწყისში. მაშინ კიდევ საზღვარს უდებდა მტრის სიმხეცესა და სისასტიკეს სარწმუნოება, კანონი, ან დესპოტის ბრძანება, ქაქუცამ კი სარწმუნოებისა, კანონისა და ზნეობის სრულიად უარმყოფელ, გაპირუტყვებული სკვითების ბრბოს შემართა ხმალი. და ერთი იყო ასეთი ქაიხოსრო მთელს საქართველოში. ერთადერთი! და არ გვეგონოს, რომ ეს რიცხვი მცირეა.

მახსოვს, ერთხელ საქართველოში, შურით აღსავსე ინტრიგანებმა და თვისთა ანგარიშთა მჭონე მტრებმა აწყენინეს და მან გულის სიღრმიდგან აღმოსთქვა: „ჩოლოყაშვილი დღეს საქართველოში ერთია, მეორეს მაგრე ადვილად ველარ იპოვნითო!.. ეს არ იყო ქადილი ქაიხოსროსი! ეს იყო მისი ღრმა რწმენა, რათგან მან მართლა იცოდა, რომ სხვა ვერავინ აღასრულებდა საქართველოში მის საქმეს და მხოლოდ სამშობლოს უღრმესმა სიყვარულმა და ბოროტ მზაკვართა ენამ აიძულეს, ეთქვა ეს ჭეშმარიტება, რომლის ხმამაღლა აღსარება თავმდაბალსა და დიდბუნოვან კაცს შეურაცხჰყოფდა.

— დიახ! ქაიხოსრო ერთი იყო, მასში მოთავსდა მთელი სული ტანჯული და მებრძოლი ქართველი ერისა; იგი ერთი იყო, როგორც ერთი იყო ამ საუკუნის წინად ალექსანდრე ბატონიშვილი, სოლომონ მეფე საქართველოში და როგორც ყოველთვის და ყველგან, ერთი გმირია საკმარისი, რომ მის ირგვლივ შეკრბეს მთელი ენერგია განსაცდელში მყოფ მებრძოლი ერისა, — იგი ერთია, რომლის ხსოვნა საუკუნოდ რჩება, რომელიც იქცევა ბრძოლისა და გამარჯვების სიმბოლოდ. და ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი იყო ნათესავი იმ ძველი გვარისა, რომლის ბევრი წევრი წამებულა საქართველოსათვის წმიდა ჯვარითა, თუ მჭრელი მახვილით ხელში.

აწ საუკუნოდ გვესალმები, დიდო ქართველო, უკეთილშობილეს და უგმირეს წინაპართა შთამომავალო, რომელმაც საქმითა შენითა კიდევ ადიდე შელახული სახელი საქართველოსი. შენ წარსდგები პირნათლად შენს წინაპართა წინაშე, რომელთაც უყვარდათ საქართველო და თავიც დასდვეს მისთვის და რომელთაც გაღმოგცეს სიგმირე და სიყვარუ-

ლი მამულისა, და ეტყვი: „მოვედ მეც აქა, აღვასრულე რა თქვენგან ნაანდერძევი ვალი, და მეც უკვდავ ვყავ სახელი ჩვენი ქართველთა შორის!“ მაგრამ ჩვენ კი, სააქაოს დაშთენილნი, რომელთაც ბრძოლა უნდა განვაგრძოთ, სანამ ჩვენი უბედური ქვეყანა თავისუფლებას არ მოიპოვებს, როდის ვიპოვით სხვა ჩოლოყაშვილს?“ (54. 35-37).

ქაქუცა ჩოლოყაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ წერილში გენერალი ლეო კერესელიძე აღნიშნავდა: „მოკვდა ქაქუცა ჩოლოყაშვილი. უცხოეთში ქართველი გმირის კიდევ ერთი საფლავი გაითხარა: ოსმალეთში საკაძე და მეფე სოლომონ, სპარსეთში ალექსანდრე და, აი, საფრანგეთში ქაქუცა მივაბარეთ სამარეს. როდის დაუბრუნდებით სამშობლო მიწას, მტრის ურჩნო და შეუპოვარნო რაინდნო?!..

1921 წელს ქართველობა დამარცხდა. აი, ამ დროს გამოდის უშიშარი, მედგარი რაინდი, სახელოვან წინაპართა ღირსეული შვილი ქაქუცა ჩოლოყაშვილი, თავის შეფიცულებთან ერთად ქართველ ხალხს შთაბერავს გმირულ ბრძოლის სულს, მოუწოდებს მას ჩრდილოეთ ბარბაროსების წინააღმდეგ საბრძოლველად და თავის სიმამაცით საქართველოს სამხედრო სახელს აღადგენს მთელი მისი ბრწყინვალებით.

ქაქუცამ ვერ იხილა ნაყოფი თავის ბრძოლებისა. ის მოკვდა დევნილი, მაშინ, როდესაც საქართველოს მონობის უღელი ჯერ კიდევ მთელი რუსული სიმძიმით ადგა, მაგრამ ღვაწლი და გმირობა მისი ჩვენი ქვეყნის ისტორიაში სამარადისო მაგალითად დარჩება. ცუდად არ ჩაიცლის მისი განწირული სულისკვეთება; მისი მერანის მიერ გაკაფულ უვალ გზებზედ მომავალნი გააქროლებენ თავიანთ მერნებს და განთავისუფლებულ საქართველოს მიწაზედ თავისუფლების პირველი დროშა ქაქუცას სახელით დაერჭობა.

უცხოეთში დახუჭე თვალები და შენი ცხედარი მივაბარეთ სამარეს, სახელოვანო გმირო, მაგრამ შენი სული, ალბათ, უკვე დაუბრუნდა სამშობლო მხარეს და საუკუნოდ შეუერთდა საქართველოს უკვდავ სულს.

შენ არ დაგეცა ცოლ-შვილის ცრემლი; ძაძამოსილმა ქართველმა ხალხმა სამარემდის ვერ მიგაცილა; საქართველოს კათალიკოსმა ვერ შეგავედრა უზენაესს: განუსვენე, უფალო, სულსა მონის შენისაო, მაგრამ სადმე ბარისახოს, შატილის, არღუნის და არაგვის ნაპირებზედ ვინმე ხევსური დაამღერებს ფანდურს შენზედ გამოთქმულ ნაღვლიან ლექსებს და ამ სიმღერაში იქმნება ცრემლები და იმედები ქართველი ერისა, ხოლო შორეული მომავალი შეთხზავს შენზედ უცნაურ ლეგენდას: ისეთსავე უცნაურს, ვით თვით ბედი ქართლისა“ (54. 37-38).

ალ. კარგარეთელის წიგნში დაიბეჭდა „ი. ო-რი“-ს (ირაკლი ოთხმეზურის? – გ. ს.) წერილი „ბელადო ქაქუცა!“: „ქართველი საზოგადოება, შენგან დაობლებული, დღითიდღე უფრო ერკვევა მომხდარ

მოვლენაში. აზრი შეპყრობილია თავს-დატეხილი უბედურებით. განსაკუთრებულ სისწრაფით სდგებიან ჩვენ თვალთა წინაშე სურათნი ჩვენი ახლო წარსული ცხოვრებისა; შენ რომ იბრძოდი, მოქმედებდი და იღწვოდი...

მთელი ქართველი ერის გულისცემა შენთან იყო, ის განიცდიდა ყველა შენს გრძნობებს. გზა გრძელი და ეკლიანი ბრძოლისა შენ აირჩიე რაღაც მაღალი შთაგონებით. ბედნიერია ის ადამიანი, რომლის წმინდა მისწრაფებას ხალხი გაიგებს, და 1924 წლის 28 აგვისტო ის დღეა, როდესაც ქართველმა ერმა შენ მისწრაფებას თავისი შეუერთა და გამოსთქვა ამიერიდგან განუქრობელი სურვილი თავისუფლებისა. ყოველი საქმე იწყება მამაცობით. შენ დაიწყე დიდი საქმე და მიეცი საქართველოს ახალი ისტორია და შთაბერე მას ახალი სული გამარჯვებისა. და შენ გაიმარჯვებ, დიდო ქართველო! ამის თავდებია წმინდა ცრემლი, წამონადენი ქართველ პატრიოტთა დამდუღრულ გულითგან..." (54. 45-46).

ვინმე „მეგობარი" ასე ეთხოვებოდა ქაქუცა ჩოლოყაშვილს: „ქაქუცა ოთხი წელიწადი ებრძოდა მტერს გაშმაგებით, შეუპოვრად და ამაყად. მასთან იბრძოდა სამშობლოს მოყვარული მთელი ხალხი. ერს უყვარდა ქაქუცა, ენდობოდა, იმედით შესცქეროდა მას. მისი თანამებრძოლი სწირავდა ცოლ-შვილს, ოჯახს, სარჩო-საბადებელს, ათეულ წლობით მწარე შრომით შექმნილ სახლ-კარს და სიცოცხლეს. აი, ამიტომ ქაქუცა ჩოლოყაშვილი არის ეროვნული გმირი, ერის მიერ „ბელადად" წოდებული და მიჩნეული, — არა რომელიმე წოდების, პარტიის ან ჯგუფის, არამედ უკეთილშობილესი და უზენაესი იდეისათვის, ერის განმათავისუფლებელი ბრძოლის მეთაურად..." (54. 46-47).

ამავე წიგნში გამოქვეყნდა ქაქუცასადმი მიძღვნილი ორი ლექსიც: მ. (ალბათ, მიხეილ (მიშა) — გ. ს.) დადიანის „გლოვის ზარი" და სიმონ (სიმონიკო) ბერეჟიანის „შეფიცულებს".

გლოვის ზარი

„მიმქრალა მთვარე, მზე სხივებს მალავს,
მოსთქვამს რიონი, ქვითინებს მტკვარი,
უბედურება ბუნებას ღალავს,
სისხლის ცრემლებად ქცეულა ცვარი.

„ხმელეთ-ზურმუხტი" ყვითლდება, სჭკნება,
„ცა-ფირუზ", შავსა ღრუბლებს იმოსავს,

გულამაყარი გაშმაგებულს ჰგავს,
ცრემლის ტალღებად მყინვარი სდნება.

„ცა-ფირუზ“ მანამ შავს არ გაიხდის,
„ხმელეთ-ზურმუხტსა“ რა გაახარებს?
სანამდის ერი ვალს არ მოიხდის,
ძვირფას ქაქუცას არ ჩააბარებს“ (54. 39).

შეფიცულებს

„თქვენ ამბობთ: „მოკვდა! მივაბარეთ დღეს უცხო მიწას.
არ გვყავს ქაქუცა, დაგვიობლდა შეფიცულთ კერა“.
შეფიცულებო, ნუ ქვითინებთ! თქვენს თავსა ვფიცავ,
ეს ტყუილია, არ მომკვდარა! მე ეს არ მჯერა.
არ დაიჯეროთ, რომ დაჭრილი ვაჟას არწივი
გამოესალმა მთის მწვერვალებს დღეს სამუდამოდ,
რომ მის მაგარ ფრთებს ზედ დაადეს ლოდები ცივი.
არ დაიჯეროთ! ტყუილია, მტერს არ ათმოთ!
მე ამას ვამბობ და ეს მჯერა, ვამბობ იცით რას?
დაჭრილმა მკერდში, დაქანცულმა ბოლოს ინება
ნაბადის გაშლა რბილ მწვანეზე, დიდ მუხის ძირას
და ... მიძინება.
და სძინავს. სძინავს მეფურ ძილით საყვარელ ბელადს...
ჩუმად! ნუ სტირით! მოვასვენოთ გუშაგი ერის.
ჩვენი მამულის ულრან ტყეში, მთაში და ველად
კვლავ გავიგონებთ ამღერებას ცხელ „მაუზერის“.
თქვენ კი, ყოვებო! მთის არწივი გგონიათ მკვდარი,
თავს რომ დასჩხავით, – გინდათ ლეში ნაკუწ-ნაკუწად;
მალე ზარს დაცემთ თეთრ ტაიჭზე მჯდარი მხედარი,
ცივ სამარიდგან ამოსული ჩვენი ქაქუცა“ (54. 43).

თითოეულმა შეფიცულმა თავისი მოგონებები უძვირფასესი მეგობრისა და ბელადის – ქაქუცა ჩოლოყაშვილის ნათელ ხსოვნას მიუძღვნა: „ამ ჩემ მცირე მოგონებებს დაუვიწყარ კეთილ ადამიანს, ჩემ მამასავით საყვარელ ბელადს ქაქუცა ჩოლოყაშვილს ვუძღვნი, მისი ხსოვნის კეთილმოსაგონარად“ (ალ. კარგარეთელი) (54. 28).

„ასე ვამთავრებ „შეფიცულთა“ რაზმის პარტიზანული ბრძოლების ამბავს. ბედნიერი ვარ, რომ შევძელი და პირნათლად შევასრულე

დაპირება და ფიცი, რომლებიც მივეცი ჩვენს ბელადს, ჩემს პირად მეგობარს – ქაქუცა ჩოლოყაშვილს და, აგრეთვე, ჩემს თანამებრძოლ შეფიცულებს, რომ უელფეროდ და უსარგებლოდ არ დაკარგულიყო იმათი თავის განწირვა სამშობლოსათვის!" (ალ. სულხანიშვილი) (106. 280-281).

გარდა ამისა, ქალბატონმა თამარ პაპავამ 1970 წელს პარიზში გამოსცა წიგნი „გაბნეული საფლავები", სადაც დაბეჭდა საქართველოს ეროვნული გმირისადმი მიძღვნილი ნარკვევი „ქაქუცა"; ჟურნალ „კავკასიონში" (პარიზი, 1971, № XV, გვ. 36-37) კიდევ ერთხელ დაიბეჭდა შალვა ამირეჯიბის მოგონება „ქაქუცა ხევგრძელაზედ"; 1976 წლის თებერვალ-მარტში მიუნხენის რადიო „თავისუფლების" ეთერით გადაიცა ორი საუბრის ჩანაწერი, რომელთა ავტორი იყო შ. კალანდაძე, ხოლო ტექსტს გივი იოსელიანი კითხულობდა (აღნიშნული საუბრების ტექსტები დაცულია ალ. სულხანიშვილის პირად არქივში) (53. 4) და სხვ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს, კერძოდ, 1988 წლის სექტემბერში, დავით-გარეჯის სამხედრო პოლიგონის გაუქმების მოთხოვნით, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი ეტაპი დაიწყო. ვითარების შეცვლასთან ერთად, საქართველოს ეროვნული გმირის სახელზე დადებულ აკრძალვასაც აეხსნა ტაბუ... ქაქუცა ჩოლოყაშვილი სამშობლოს დაუბრუნდა... .

მაგრამ ეს იყო 1988 წლის შემოდგომაზე... მანამდე, იმავე წლის ივლისში, კი მოხდა ფაქტი, რომლის ყველა დეტალის გამჟღავნების შემთხვევაში, მის მთავარ მონაწილეს სასტიკი სასჯელი არ ასცდებოდა. საუბარია ცნობილ ჟურნალისტზე, გაზეთ „სამშობლოს" რედაქტორზე – პაატა ნაცვლიშვილზე, რომელმაც აშშ-დან ჩამოიტანა და 27 ივლისს საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმს ჩააბარა ქაქუცა ჩოლოყაშვილის ნაქონი ხმალი და ქამარ-ხანჯალი (რაც იმ დროს საკმაოდ გაბედული ნაბიჯი იყო).

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი ტალღის დაწყების შემდეგ, 1988 წლის ნოემბერში, გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში" გაგრძელებებით დაიბეჭდა მკვლევრების – მზია ბაქრაძისა და ბელა წვერაძის სტატია „სისხლიანი დროის რამდენიმე ამბავი", რომელშიც, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქალიშვილის – თამარის (ციცნას) მოგონებების საფუძველზე, მოთხრობილი იყო მათი ოჯახის ტრაგედიით აღსავსე თავგადასავალი საბჭოთა პერიოდში (12. 13-14, 13).

1989 წლის 18 მაისს გაზეთ „თბილისში" რუბრიკით: „გვეკითხებიან, ვუპასუხებთ", გამოქვეყნდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტე-

ტის სტუდენტების – საბა გუჯეჯიანის, გრიგოლ დავლაძის, სოსო ბერიშვილის და გია მამალაძის შემდეგი შინაარსის თხოვნა გაზეთის რედაქციისადმი: „ჯერ კიდევ შარშან, ნოემბერში, მიტინგებისა და დემონსტრაციების დროს, თბილისის ქუჩებში ვაჟკაცური იერის ქართველის პორტრეტი გამოჩნდა. ვინ არისო, ეკითხებოდნენ ერთმანეთს მიტინგის ბევრი მონაწილეცა და თვალის სეირისათვის გამოსულნიც. უმეტესწილად, არ ვიციო – ისმოდა პასუხად, ხოლო თუ ვინმე იმ ქართველის სახელს და გვარს იტყოდა, იქვე მიაგებებდნენ – „რას წარმოადგენდა?“ აქ კი მოპასუხე უმწეოდ გაშლიდა ხელებს...

პორტრეტზე სულ ცოტა ხნის წინათ საქართველოს ისტორიის ტაბუდადებული ეპოქიდან უეცრად მოვლენილი ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილი იყო გამოსახული... ჩვენთვის კარგად არის ცნობილი ეს პიროვნება, მაგრამ ქართველთა დიდმა ნაწილმა, როგორც ზემოთ აღწერილი სურათი მოწმობს, მისი სახელისა და გვარის გარდა, თითქმის არაფერი იცის. ამიტომ, გთხოვთ, გვიპასუხოთ, ვინ იყო ქაქუცა ჩოლოყაშვილი?“

სტუდენტების შეკითხვის საპასუხოდ, გაზეთ „თბილისის“ რედაქციამ სტატიის დაწერა პროფ. გურამ შარაძეს სთხოვა. ასე შეიქმნა პირველი შედარებით ვრცელი პუბლიკაცია უშუალოდ ქაქუცა ჩოლოყაშვილის ცხოვრება-მოღვაწეობის შესახებ, სახელწოდებით „ვინ იყო ქაქუცა ჩოლოყაშვილი?“ (122. 4).

1989 წლის 14 ივლისს საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერების – მერაბ კოსტავას და ზვიად გამსახურდიას თაოსნობით, ახმეტის რაიონში, ქაქუცა ჩოლოყაშვილის მშობლიურ სოფელ მატანში, პირველად გაიმართა სახალხო დღესასწაული „ქაქუცობა“.

იმავე 1989 წლის დეკემბერში მზია ბაქრაძემ გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოაქვეყნა ქაქუცა ჩოლოყაშვილისადმი მიძღვნილი სტატია „პორტრეტის ესკიზი“ (13. 13).

1989 წელსვე გამოიცა გურამ შარაძისა და გურამ გვერდწითელის მიერ შედგენილი კრებული „ქაქუცა ჩოლოყაშვილი“, რომელშიც მათ შეიტანეს საქართველოს ეროვნული გმირისადმი მიძღვნილი ემიგრაციაში დაბეჭდილი რამდენიმე მოგონება და ლექსი (119). იმავე წელს ხელმეორედ დაისტამბა მიუნხენში 1956 წელს გამოცემული სოლომონ ზალდასტანიშვილის მოგონებები, სადაც მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა 1922-1924 წლებში ქაქუცა ჩოლოყაშვილის „შეფიცულთა“ რაზმის მოქმედებების აღწერას (43). 1989 წელს გაზ. „ლიტერატურულ საქართველოში“ დაიბეჭდა თამარ პაპავას მოგონებები ქაქუცა ჩოლოყაშვილის შესახებ. ეს მოგონებები შესულია გურამ შარაძის რედაქტორობით

1990 წელს გამოცემულ თამარ პაპავას წიგნში „გაბნეული საფლავები“ (85; 86).

მთელი ეს დოკუმენტური მასალა საფუძვლად დაედო როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიულ რომანს „შავი ჩოხა“ (2009 წ).

აქვე საგანგებოდ გვსურს აღვნიშნოთ: მიუხედავად იმისა, რომ უკვე საკმაოდ ბევრია გაკეთებული, ეს მაინც დასაწყისია, კვლევა-ძიება უნდა გაგრძელდეს, არაერთი წყარო ქაქუცა ჩოლოყაშვილისა და მისი შეფიცულების ცხოვრება-მოღვაწეობის შესახებ, ჯერ კიდევ გამოვლენას, შესწავლას და სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანას ელის.

2005 წლის 21 ნოემბერს აღსრულდა ქართველი ერის დიდი ხნის ოცნება – ქაქუცა ჩოლოყაშვილმა სამუდამო განსასვენებელი სამშობლოში, მთაწმინდის პანთეონში, ჰპოვა. იმავე დღეს ოთარ პატარიძემ, საფრანგეთში მცხოვრები ქართველების სახელით, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ნეშტის საქართველოში გადმოსვენებასთან დაკავშირებით, თანამემამულეებს შემდეგი შინაარსის მიმართვა გამოუგზავნა: „ქართველებო, ძვირფასნო თანამემამულენო! მოგესალმებით საფრანგეთში მყოფი ქართველების სახელით. დიახ, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ნეშტი უბრუნდება მის მშობლიურ მიწას!

ნათქვამია, რომ უაზროა ნეშტის „შეწუხება“... ზოგიერთი ფიქრობს, იქნებ ჯობდა იგი ლევილში დარჩენილიყო... ღმერთია მოწყალე... დღეს საქართველო პასუხისმგებლობას იღებს ისტორიის და თავისუფალ ერების წინაშე! დღეს საქართველოს გადაეცა ეს მაღალი დანიშნულება და სამღვთო ვალი! დაე, ქაქუცა გახდეს სამუდამოდ ჩვენი ერთობის კედელკირი და სიმბოლო!

უკვე 75 წელიწადია, რაც შორეულ საფრანგეთის გლოვის ზარით, ჩვენი დიდი ეროვნული გმირი სამარეს მიებარა. ქაქუცა ჩოლოყაშვილი იყო გულკეთილი, მამაცი და უკომპრომისო ადამიანი. მას მთელი მისი სიცოცხლის განმავლობაში არასდროს დაუკარგავს იმედი. მისი ძვლებიც კი ფიქრობდნენ საქართველოზე! აქ მისი საყვარელი ხმალი და ხანჯალი ელოდება და საქართველოს მიწაში მისი ყოფილი შეფიცული მეგობარი ალექსანდრე სულხანიშვილი ღიმილით მოუთმენლად უცდის.

დღეს, ქაქუცა მის თავისუფალ და დამოუკიდებელ საქართველოში დაბრუნებით, მთელ აქაურ ახალგაზრდებს და მათ მშობლებს ესალმება, ჩვენს მებრძოლ წინაპრებსაც, რომლებმაც ამდენი მსხვერპლის გაღების და დაუღალავ ლაშქრობის შემდეგ, თავიანთი სიცოცხლე შესწირეს სამშობლოს განთავისუფლებისთვის და აღორძინებისთვის! საუკუნოდ იყოს ხსენება მათი!

დიახ, ამ ისტორიულ მოვლენას და საზეიმო დღეს აღნიშნავს მთელი

საქართველო, მისი ღირსებით, რწმენით და სულისკვეთებით! ქაქუცა არცერთ პოლიტიკურ პარტიას ეკუთვნოდა, მაგრამ თავისი განწყობილებითა და მიდრეკილებით, თავს ეროვნულ-დემოკრატად თვლიდა. მასში ყველაფერი ბუნებრივი და სტიქიური იყო და იგი შინაგანი ძალით გაიზარდა.

ქაქუცა შობილი იყო მისი მაღალი დანიშნულებისათვის, რომელმაც ერის მოყვრები გააერთიანა და სამფეროვანი დროშის ფრიალის ქვეშ, მისი შეფიცულები ბრძოლის ველზე გაიყვანა! ქაქუცას ესმოდა და ესმოდა „ხალხთ ბორკილის ხმა მტვრევისა...“ როდესაც სიმართლის ხმა ქვეყნადა ჰქუხდა...

ქაქუცა გახდა იმედი ტანჯულებისა, იშვა გმირი! სწორედ ის გმირი, რომელიც საქართველოს ესაჭიროებოდა! მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ მისი საზღვარგარეთ დამარხული შეფიცულები არა მარტო აპატიებენ მის სამშობლოში დაბრუნებას, არამედ დღეს ისინი ბედნიერები არიან! მარადი იყოს ამ შეფიცულების ხსოვნა!..

1924 წლის აგვისტოს აჯანყების შესახებ ბევრი რამ დაწერილა და ეჭვი არ მეპარება, რომ ყველა ქართველის გულში ეს გმირული ფურცლები ღრმად არის ჩანერგილი, მაგრამ მაინც ერთად მოკლედ გავიხსენოთ ამ აგვისტოს ამბოხების ერთ-ერთი მომენტი, ერთად გავიხსენოთ სამშობლოში, ალბათ, დავიწყებული სიმღერა, რომელიც ჩვენმა მებრძოლმა წინაპრებმა დაგვიტოვეს ანდერძად შორეულ საფრანგეთში.

აი, მეტეხის ციხის სიმღერის სიტყვები (1924 წლის აგვისტოს აჯანყების დროს პატიმრებისაგან შექმნილი), როდესაც თავიანთი მეგობრები დასახვრეტად მიჰყავდათ, ამ სიმღერით აცილებდნენ, რომ მამაცობა გამოეჩინათ მათ:

„ჩვენ უბრძოლველად სამშობლოს
არვის მივცემთ გულსაკლავად,
თუმც მთელი ქვეყნიერება,
გადვეგცეს შავ ბნელ საფლავად!
თეთრი გიორგი ქართველებს,
მიუძღვის აბჯარ-ულრიალით,
ჩვენც შევუერთდეთ მამაცებს,
სამფერის დროშის ფრიალით.
ერთად წავიდეთ ბრძოლაში,
ჩავლეწოთ ციხის კარები,
საქართველოდან ავგაყოთ
ციე ჩრდილოეთის ჯარები!“

ქართველებო! ქაქუცა არის საქართველოს სიამაყე, მის ხსოვნას არ უნდა ვულალატოთ! სიტყვა მივცეთ დიდ ქაქუცას, რომელიც, ალბათ, ამ დროს მაღლიდან გვიცქერის, რომ არასდროს დაგვავიწყდება, თუმცა ერთ დროს დავიწყებული შემდეგი თვისებები: ერთმანეთის პატივისცემა, ჭირში და ლხინში ერთმანეთის გატანა და, რაც მთავარია, სხვისი აზრის ანგარიშის გაწევა და, ბოლოს, შემწყნარებლობა!

ახლა ჩემგან ერთი შეკითხვა, სურვილი და წინადადება: 1924 წლის აგვისტოს აჯანყების მონაწილეებმა და, მათ შორის, 7000 მსხვერპლმა არ დაიმსახურეს თავიანთი ძეგლი მეტეხთან ახლოს? სასურველი იქნებოდა ამ აუცილებელი პროექტის განხორციელება. მივუძღვნათ დახოცილ გმირებს ეს ძეგლი, რომლის აგება საქართველოს ხელისუფლებას ეკუთვნის. დაეწეროს ამ ძეგლზე მათი გვარები და სახელები, რომ საქართველოს არასდროს დააავიწყდეს ეს მეტად გულმატკივარი პერიოდი მის ისტორიისა!

დიდება სამარადისოდ ქართველ ერს! გაუმარჯოს სრულ, დამოუკიდებელ და თავისუფალ საქართველოს!"

როდესაც ქაქუცა ჩოლოყაშვილის ნეშტი მთაწმინდის პანთეონში დაკრძალეს, ოთარ პატარიძემ მისი საფლავიდან მიწა აიღო და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით საფრანგეთში ჩაიტანა. ღონისძიების მონაწილეებმა საქართველოდან ჩამოტანილი მიწა მიმოაბნიეს ქაქუცასა და ლევილშიევე დაკრძალული შვიდი შეფიცულის საფლავებზე. ქაქუცას საფლავი ლევილში კვლავ არსებობს, მაგრამ მას დაემატა წარწერა: „გადასვენებულია საქართველოში" (144. 4-5).

წმინდა ილია მართალი ბრძანებდა: „სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაკარგავს"-ო... ქაქუცა ჩოლოყაშვილის მაგალითი ამ სიტყვების ჭეშმარიტებაში კიდევ ერთხელ გვარწმუნებს..

გამოყენებული წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა[1]

1) 1924 წლის აგვისტოს აჯანყება, ლეო რუხაძის დღიურებიდან. პუბლიკაცია მოამზადა გრიგოლ ზარქუამ, გაზ. „საქართველო", თბ., 1999, 17-23/VIII.

2) 1924 წლის აგვისტოს დღეების ქრონიკა (სად რამდენი დახვრიტეს). ჟურნ. „ბრძოლა", პარიზი, 1926, № 9.

3) 1924: ყველაზე საშინელი, ყველაზე მტკივნეული წელი..., გაზ. „აგვისტო-1924", თბ., 1998, № 1, სექტემბერი.

4) ნინო ავალიშვილი, მოგონებანი გარდასულ დღეთა, გაზ. „სამშობლო", თბ., 1991, აგვისტო, № 15.

5) ლევან ალექსიძე, დავით კობახიძე, ყარსის ხელშეკრულება, წგნ. „ქართული დიპლომატია" (წელიწდეული), ტ. 1, თბ., 1994.

6) შალვა ამირეჯიბი, მზე-ქალა, გაზ. „დამოუკიდებელი საქართველო". პარიზი, 1926, დეკემბერი, № 12.

7) შალვა ამირეჯიბი, ქაქუცას ცხოვრება, გაზ. „დამოუკიდებელი საქართველო", პარიზი, 1930, ივლისი, № 55.

8) შალვა ამირეჯიბი, ქაქუცას ცხოვრება, ჟურნ. „სამშობლო". პარიზი, 1930, ოქტომბერი, № 8.

9) შალვა ამირეჯიბი, ქაქუცა ხევგრძელაზედ, ჟურნ. „კავკასიონი". პარიზი, 1971, № XV.

10) აჯანყება – 1924. საქმე საქართველოს ანტისაბჭოთა პარტიების პარიტეტული კომიტეტის შესახებ (საბრალმდებლო დასკვნა; 1925 წ.), თბ., 1994.

11) ალექსანდრე ბადურაშვილი, შეფიცულ ბადურაშვილის თავგადასავალი. ჟურნ. „იერია" (ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პერიოდული გამოცემა). პარიზი, 1982, № 25.

12) მზია ბაქრაძე, ბელა წერეთელი, სისხლიანი დროის რამდენიმე ამსახი, გაზ. „ლიტერატურული საქართველო", თბ., 1988, 11/XI, № 46; 18.XI, № 47.

13) მზია ბაქრაძე, პორტრეტის ესკიზი, გაზ. „ლიტერატურული საქართველო", თბ., 1989, 29/XII.

14) ხათუნა ბახტურიძე, „მისანდობელი" ძმაკაცებისგან მოკლული ვალის პოეტი, ჟურნ. „გზა", თბ., 2008, № 4.

15) ალექსანდრე ბენდიანიშვილი, ეროვნული საკითხი 1801-1921 წწ., თბ., 1980.

16) ალექსანდრე ბენდიანიშვილი, საქართველოს ისტორია (1801-1921), თბ., 1999.

---

1 ტექსტში მითითებული პირველი ციფრით აღნიშნულია ციტირებული წყაროს რიგითი ნომერი, ხოლო შემდგომით – გვერდი.

17) ალექსანდრე ბენდიანიშვილი, ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან 1921 წლამდე, წგნ. „რუსული კოლონიალიზმი საქართველოში“, თბ., 2008.

18) მაია ბუთბაია, 1924 წლის აჯანყების სენსაციური დეტალები ტროცკის დღემდე უცნობი წერილიდან, გაზ. „კვირა“, თბ., 2004, 6-13/XI.

19) კონსტანტინე გვარჯალაძე, საქართველოს მთავრობა ემიგრაციაში, პარიზი, 1936; თბ., 1991.

20) ედიშერ გიორგაძე, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ფენომენი, გაზ. „ეკრანის ამბები“, თბ., 1990, 5-21/VII.

21) სიმონ გოგიბერიძე, ბრძოლა სამშობლოსათვის, პარიზი, 1938; თბ., 1991.

22) რევაზ გრძელიძე, 1924 წლის სახალხო აჯანყება საქართველოში, თბ., 1992.

23) ვახტანგ გურული, ავტონომიების შექმნა, წგნ. „საქართველოს ისტორია (XX საუკუნე)“, თბ., 2003.

24) ვახტანგ გურული, რუსეთის საოკუპაციო რეჟიმის დამყარება, წგნ. „საქართველოს ისტორია (XX საუკუნე)“, თბ., 2003.

25) ვახტანგ გურული, საქართველოს გაერთიანება ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციულ სოციალისტურ რესპუბლიკასა და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში, წგნ. „საქართველოს ისტორია (XX საუკუნე)“, თბ., 2003.

26) ვახტანგ გურული, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსება საბჭოთა რუსეთის მიერ, წგნ. „საქართველოს ისტორია (XX საუკუნე)“, თბ., 2003.

27) ვახტანგ გურული, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია (1918-1921 წწ.), წგნ. „ქართული დიპლომატიის ისტორია“, თბ., 2003.

28) ვახტანგ გურული, ყარსის ხელშეკრულება, გაზ. „ქართული უნივერსიტეტი“, თბ., 2004, 31/III-6/IV.

29) ზვიად გურული, შეფიცულთა ბელადი, გაზ. „კვირის პალიტრა“, თბ., 2000, 17-23/VII.

30) ალექსანდრე დაუშვილი, კობა წენგუაშვილი, „იქ სიკვდილი განა ბედნიერება არ არის, თამარ!“, თბ., 2005.

31) ალექსანდრე დაუშვილი, რუსეთის კოლონიური ბატონობის შემობრუნება საქართველოში საბჭოურ-კომუნისტური ფორმით, წგნ. „რუსული კოლონიალიზმი საქართველოში“, თბ., 2008.

32) „დედოფალა“ მიცვალებულთა შორის აძვრა, მიწა თითქოს გაიხსნა და საფლავში ცოტა ჰაერი ჩამოვიდა – გვიამბობს პიანისტ მედეა ფანიაშვილის მამა ბატონი ზურაბ ფანიაშვილი, გაზ. „რეპრესიათა სისხლიანი ქრონიკები“, თბ., 1999, № 1 (2), ოქტომბერი.

33) რემონ დიუგე, მოსკოვი და წამებული საქართველო, ფრანგულიდან თარგმნეს მზია და აკაკი ბაქრაძეებმა, თბ., 1994.

34) გოგი დოლიძე, 14 ივლისი – ქაქუცა ჩოლოყაშვილის დაბადების დღე, გაზ. „მთელი კვირა“ („რეზონანსის“ ყოველკვირეული დამატება), თბ., 2007, 16/VII, № 187.

35) გოგი დოლიძე, 14 ივლისი – ქაქუცა ჩოლოყაშვილის დაბადების დღე, გაზ. „რეზონანსი“, თბ., 2007, 14/VII, № 185.

36) ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული... საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1924 წლის ოქტომბრის პლენუმის ოქმის ამონაწერის კომენტარი, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, თბ., 1991, 19/II.

37) შოთა ვადაჭკორია, ეროვნული სახელმწიფოებრიობის საკითხი ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში (1921-1923 წწ.), თბ., 1998.

38) დავით ვაჩნაძე, სამშობლოს სამსახურში (მოგონებათა რვეული), ნაწ. I, „იverია“, ქართულ-ევროპული ინსტიტუტის ჟურნალი, № 1, თბ.-პარიზი, 1992.

39) დავით ვაჩნაძე, სამშობლოს სამსახურში (მოგონებათა რვეული), ნაწ. II, „იverია“, ქართულ-ევროპული ინსტიტუტის ჟურნალი, № 2, თბ.-ბრიუსელი, 1993.

40) დავით ვაჩნაძე, სამშობლოს სამსახურში (მოგონებათა რვეული), ნაწ. III, „იverია“, ქართულ-ევროპული ინსტიტუტის ჟურნალი, № 3, თბ.-ბრიუსელი, 1993.

41) დავით ვაჩნაძე, ქართული ეროვნული ძირები და რუსული ბოლშევიზმი, თბ., 2004.

42) ელიზბარ ვაჩნაძე, მოგონებანი (ჩაიწერა მიხეილ ქავთარაძემ), ჟურნ. „იverია“, პარიზი, 1978, № 20.

43) სოლომონ ზალდასტანიშვილი, საქართველოს 1924 წლის ამბოხება (მოგონებები), მიუნხენი, 1956; თბ., 1989.

44) შ. ზედელაშვილი, ბ. ელაშვილი, ქიზიყში მომხდარი ტრაგედია, გაზ. „ახალგაზრდა იverიელი“, თბ., 1990, 26/V.

45) ლევან თოიძე, ინტერვენციაც, ოკუპაციაც, ძალდატანებითი გასაბჭოებაც, ფაქტობრივი ანექსიაც (რუსეთ-საქართველოს 1921 წლის თებერვალ-მარტის ომის შეფასებისათვის), თბ., 1991.

46) ლევან თოიძე, 25 თებერვლის შემდეგ, თბ., 1990.

47) ლევან თოიძე, რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება, მისი დარღვევა რუსეთის მიერ და საქართველოს ფაქტობრივი ანექსია, წგნ. „ქართული დიპლომატია“ (წელიწდეული), ტ. 1, თბ., 1994.

48) ლევან თოიძე, რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება, მისი დარღვევა რუსეთის მიერ და საქართველოს ფაქტობრივი ანექსია, წგნ. „ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები“, ტ. II, თბ., 1998.

49) ლევან თოიძე, საქართველოს პოლიტიკური ისტორია (1921-1923 წწ.), თბ., 1999.

50) ჟურნ. „იverია“, პარიზი, 1963, № 10.

51) იოსებ ირემაშვილი, სტალინი და საქართველოს ტრაგედია, ბერლინი, 1932; თბ., 2006.

52) ისტორიის გადასახედიდან დანახული სიმართლე (ვინ იყვნენ ბუდუ მდივნის ჯგუფის წევრები – ნაციონალ-უკლონისტები, ბურჟუაზიული ნაციონალისტები თუ პატრიოტ-ინტერნაციონალისტები?), გაზ. „კომუნისტი“, თბ., 1988, 22/V.

53) შ. კალანდაძე, ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილი, გაზ. „სამშობლო“, თბ., 1991, აგვისტო, № 15.

54) ალექსანდრე კარგარეთელი, ქაქუცა ჩოლოყაშვილი, პარიზი, 1981.

55) დოდო კასრაძე, საქართველოში ანტისაბჭოთა ფრონტის შექმნა (1921-1924 წლების ქრონიკა), გაზ. „აგვისტო-1924“, თბ., 1998, № 1, სექტემბერი.

56) გიორგი კვინიტაძე, მოგონებები, ტ. I, თბ., 1998.

57) ნესტან კირთაძე, 1924 წლის აჯანყება საქართველოში, ქუთ., 1996.

58) ნესტან კირთაძე, ერთი რგოლი ისტორიის ჯაჭვში, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, თბ., 1989, 8/IX.

59) ნესტან კირთაძე, ეროვნული მოძრაობა 20-იანი წლების პირველ ნახევარში. 1924 წლის აჯანყება, წგნ. „საქართველოს ისტორია (XX საუკუნე)“, თბ., 2003.

60) ნესტან კირთაძე, საქართველოს დამოუკიდებლობისა და ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის ბრძოლის ისტორია (XX ს-ის 20-იან წლების პირველი ნახევარი), ავტორეფერატი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 1999.

61) მიხეილ ლაშქარაშვილი, მოგონებები, შემდგენელი, რედაქტორი და წინასიტყვაობის ავტორი დავით დემეტრაშვილი, გაზ. „რესპუბლიკა“, თბ., 1991, 6/I, № 2.

62) მიხეილ ლაშქარაშვილი, მოგონებები, შემდგენელი, რედაქტორი და წინასიტყვაობის ავტორი დავით დემეტრაშვილი, გაზ. „რესპუბლიკა“, თბ., 1991, 29/I, № 4.

63) მიხეილ ლაშქარაშვილი, მოგონებები, შემდგენელი, რედაქტორი და წინასიტყვაობის ავტორი დავით დემეტრაშვილი, გაზ. „რესპუბლიკა“, თბ., 1991, 5/II, № 5.

64) მიხეილ ლაშქარაშვილი, მოგონებები, შემდგენელი, რედაქტორი და წინასიტყვაობის ავტორი დავით დემეტრაშვილი, გაზ. „რესპუბლიკა“, თბ., 1991, 12/II, № 6.

65) მიხეილ ლაშქარაშვილი, მოგონებები, შემდგენელი, რედაქტორი და წინასიტყვაობის ავტორი დავით დემეტრაშვილი, გაზ. „რესპუბლიკა“, თბ., 1991, 5/III, № 8.

66) მიხეილ ლაშქარაშვილი, მოგონებები, შემდგენელი, რედაქტორი და წინასიტყვაობის ავტორი დავით დემეტრაშვილი, გაზ. „რესპუბლიკა“, თბ., 1991, 12/III, № 9.

67) ივანე ლიქოკელი, ხევსურები და ქაქუცა (ხევსურეთის ამბოხება 1922 წლის ზაფხულში ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმის მონაწილეობით), თბ., 2006.

68) გიორგი მაზნიაშვილი, მოგონებანი, თბ., 1927.

69) აკაკი მათიაშვილი, 1924 წლის ეროვნული აჯანყება საქართველოში, გაზ. „რეპრესიათა სისხლიანი ქრონიკები“, თბ., 1999, № 2 (3), ოქტომბერი.

70) ნიკოლოზ მათიკაშვილი, მიხეილ კვალიაშვილი, იუნკრები, თბ., 1990.

71) სეხნია მანგლელი, ბოლომდე შეუცნობელი რაინდი, გაზ. „ახალი ეპოქა“, თბ., 2003, 11-17/VII.

72) ალექსანდრე მანველიშვილი, საქართველოს საზღვრები, პარიზი, 1938.

73) შალვა მაღლაკელიძე, მოგონებანი, ჟურნ. „განთიადი“, ქუთ., 1991, № 5.

74) შალვა მაღლაკელიძე, მოგონებანი, ჟურნ. „განთიადი“, ქუთ., 1991, № 6.

75) ელიზბარ მაყაშვილი, შეფიცული, ჟურნ. „კავკასიონი“, პარიზი, 1971, № XV.

76) ვლასა მგელაძე, რუსეთის მობრუნება საქართველოში, თბ., 1991.

77) იოსებ მეგრელიძე, 1924 წლის აგვისტოს აჯანყებიდან, გაზ. „ახალგაზრდა ივერიელი“, თბ., 1991, 31/VIII.

78) ავთანდილ მენთეშაშვილი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია 1918-1921 წლებში, წგნ. „ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები“, ტ. II, თბ., 1998.

79) პორფილე მეხუზლა, თუ საქართველო დამოუკიდებელი ქვეყანაა, გაზ. „თბილისი“, 1990, 27/II.

80) პაატა ნაცვლიშვილი, საქართველოს მიწა, თბ., 1994.

81) პაატა ნაცვლიშვილი, უკანასკნელი შეფიცული, გაზ. „სამშობლო“, თბ., 1989, აგვისტო, № 20.

82) ვიქტორ ნოზაძე, საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო, თბ., 1989.

83) ერიხ ობსტი, საქართველო – გეოპოლიტიკური ნარკვევი, ჟურნ. „კავკასიონი“, პარიზი, 1965, № X.

84) დოდო ონიკაძე-გიგაურისა, ქაქუცა ჩოლოყაშვილი – საქართველოს ეროვნული გმირი, თბ., 2009.

85) თამარ პაპავა, გაბნეული საფლავები, თბ., 1990.

86) თამარ პაპავა, გარდატყდა ხმალი შენი, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, თბ., 1989, 27/X.

87) პასუხს მოვითხოვთ, ჟურნ. „ბრძოლა“, პარიზი, 1925, № 3.

88) ირაკლი რაზმაძე, ადვოკატის მოგონებანი, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, თბ., 1991, 5/VII.

89) ირაკლი რაზმაძე, შემოდიოდა სიკვდილი ცელით..., გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, თბ., 1989, 2/VI.

90) აკაკი რამიშვილი, ჩვენი შეცდომები (1918-1921 წწ.), თბ., 2000.

91) ნოე რამიშვილი, საქართველო და რუსეთი, თბ., 2006.

92) გიორგი (გელა) საითიძე, გენერალი კოტე აფხაზი – ქართველი მხედრობის ღირსეული წარმომადგენელი, „მეომრის ბიბლიოთეკა“, № 4, თბ., 2008.

93) გიორგი (გელა) საითიძე, სწამდა სამშობლოს აღორძინება (გენერალი კონსტანტინე აფხაზი), თბ., 1997.

94) გოჩა საითიძე, ახალი შტრიხები ქაქუცა ჩოლოყაშვილისა და გიორგი კვინიტაძის ცხოვრება-მოღვაწეობის ისტორიიდან, ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების რუსთაველის ფონდი, „შოთა რუსთაველის სახელობის სტიპენდიატთა შრომები", ტომი II, თბ., 2009.

95) გოჩა საითიძე, საქართველოს დიდი რაინდი (ქაქუცა ჩოლოყაშვილი), გაზ. „ახალი ქართული გაზეთი", თბ., 1998, 14/IX, № 45.

96) გოჩა საითიძე, საქართველოს ეროვნული გმირი ქაქუცა ჩოლოყაშვილი, ჟურნ. "ისტორიანი", თბ., 2011, № 8, აგვისტო,.

97) გოჩა საითიძე, საქართველოს ეროვნული გმირი (ქაქუცა ჩოლოყაშვილი), წგნ. „დიდნი საქმენი", თბ., 2011.

98) გოჩა საითიძე, უებრო რაინდი – ივანე ყარანგოზიშვილი, ჟურნ. „ომეგა", თბ., 2001, № 11, ნოემბერი.

99) გოჩა საითიძე, უცნობი ფაქტები ქაქუცა ჩოლოყაშვილის ცხოვრებიდან, ჟურნ. "ისტორიანი", თბ., 2011, № 7, ივლისი.

100) გაზ. „საქართველო" („ქართული ლეგიონის" ყოველკვირეული გაზეთი), ბერლინი, 1943, № 5.

101) საქართველოს ს.-დემ. მუშ. პარტიის მოკლე ისტორია, პარიზი, 1933.

102) დავით საღირაშვილი, სტალინი ტფილისში 1921 წელს, გაზ. „ახალგაზრდა ივერიელი", თბ., 1991, 24/I.

103) მიხეილ სვანიძე, ერთა ლიგა და საქართველო (რატომ არ მიიღეს საქართველო ერთა ლიგაში), წგნ. „ქართული დიპლომატია" (წელიწდეული), ტ. 12, თბ., 2005.

104) ავთანდილ სონღულაშვილი, 1924 წლის აგვისტო საქართველოში, კრებ. „დიდგორი", თბ., 1991.

105) სპირიდონ კედია (მასალები პირადი არქივიდან), შესავალი წერილი, შენიშვნები და კომენტარები დაურთო ოთარ ჯანელიძემ, თბ., 2007.

106) ალექსანდრე სულხანიშვილი, მოგონებები შეფიცულთა რაზმზე, სან-ფრანცისკო, 1981; თბ., 2007.

107) ალექსანდრე სულხანიშვილი, რა ხდებოდა მეტეხის ციხეში ქართველებს შორის 1923 და 1924 წლებში და ილიას მკვლელობის სინამდვილე, სან-ფრანცისკო, 1985.

108) ალექსანდრე სულხანიშვილი, შეფიცულთა რაზმის ცხოვრება საფრანგეთში 1924 წ. ნოემბრიდან, სან-ფრანცისკო, 1981/85.

109) ალექსანდრე სულხანიშვილი, „ჩემი პასუხი" ჟორდანიას მემკვიდრეებს, სან-ფრანცისკო, 1987.

110) ალექსანდრე სულხანიშვილი, ხმა სიმართლისა (წითლების მოქმედება ნიუ-იორკის ქართულ სათვისტომოში), მიუნხენი, 1962.

111) აკაკი სურგულაძე, პაატა სურგულაძე, საქართველოს ისტორია (1783-1990), თბ., 1991.

112) მარინე ტლაშაძე, ასეთია, თურმე, წუთისოფელი, გაზ. „თბილისი“, 1990, 27/V.

113) ლევან ურუშაძე, ქაქუცა ჩოლოყაშვილი (ინტერნეტვერსია).

114) მიხეილ ქავთარაძე, სპირიდონ კედია, ჟურნ. „იერია“, პარიზი, 1979, № 22.

115) მიხეილ ქავთარაძე, ცხოვრების 100 წელი, თბ., 2007.

116) ქართული დიპლომატიის ისტორია (ქრესტომათია), ქრესტომათია გამოსაცემად მოამზადეს, შენიშვნები და კომენტარები დაურთეს ბონდო კუპატაძემ, გოჩა საითიძემ, ჯაბა სამუშიამ, თბ., 2004.

117) დავით ქარცივაძე („მეჩონგურე“), „დღეს მეტეხიც მოიგონებს...“, პუბლიკაცია მოამზადა ნიკო უგრელიძემ, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, თბ., 1989, 22/IX.

118) დავით ქარცივაძე („მეჩონგურე“), მოვიდნენ... (1923 წელს ჩეკაში დახვრეტილი ქართველების ხსოვნას), გაზ. „რეპრესიათა სისხლიანი ქრონიკები“, თბ., 1999, № 2 (3), ოქტომბერი.

119) ქაქუცა ჩოლოყაშვილი, შემდგენელ-რედაქტორები: გურამ შარაძე, გურამ გვერდწითელი, თბ., 1989.

120) ნანა ღვინეფაძე, ბედი სასტიკი და ლაშაზი!.. პორტრეტი პასტელში, გაზ. „ახალგაზრდა ივერიელი“, თბ., 1990, 26/V.

121) გურამ შარაძე, გიორგი შარაძე, ისტორიული რელიკვიების დაბრუნება (1918-1921), თბ., 2001.

122) გურამ შარაძე, ვინ იყო ქაქუცა ჩოლოყაშვილი?, გაზ. „თბილისი“, 1989, 18/V.

123) გურამ შარაძე, უცხოეთის ცის ქვეშ, წგნ. 1, თბ., 1991.

124) გურამ შარაძე, უცხოეთის ცის ქვეშ, წგნ. 2, თბ., 1993.

125) გურამ შარაძე, ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. I, თბ., 2001.

126) გურამ შარაძე, ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. II, თბ., 2001.

127) გურამ შარაძე, ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. III, თბ., 2003.

128) გურამ შარაძე, ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. IV, თბ., 2003.

129) გურამ შარაძე, ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. V, თბ., 2004.

130) გურამ შარაძე, ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. VI, თბ., 2005.

131) გურამ შარაძე, ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. VII, თბ., 2005.

132) გურამ შარაძე, ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. VIII, თბ., 2005.

133) ვალიკო ჩუბუნიძე, მოგონება, წიგნი მეორე, პარიზი, 1953.

134) როსტომ ჩხეიძე, შავი ჩოხა (ქაქუცა ჩოლოყაშვილის ცხოვრების ქრონიკა), თბ., 2009.

135) ირაკლი ცაგურია, საქართველოს გოლგოთა, ჟურნ. „მხედარი",პარიზი, 1930, № 3-4.

136) გიორგი ციციშვილი, რისთვის დახვრიტეს ვაჟა-ფშაველას პირმშო ლევან რაზიკაშვილი. ჩეკისტური სამძებრო საქმე № 2315, თბ., 2001.

137) გიორგი ციციშვილი, სიმართლე 1921-1923 წლების ეროვნული მოძრაობისა და მისეულ ჯაჯანაშვილის პოლიტიკური ცხოვრების შესახებ, წგნ. I, თბ., 2003.

138) გიორგი ციციშვილი, სიმართლე ანტისაბჭოთა ეროვნული მოძრაობისა და 1924 წლის აჯანყების შესახებ (მე-80 წლისთავის გამო), თბ., 2004.

139) დოდო ჭუმბურიძე, ქაქუცა ჩოლოყაშვილი – საქართველოს ეროვნული გმირი, თბ., 2008.

140) ოთარ ჯანელიძე, დახმარება რომ გვქონოდა, გავიმარჯვებდით (1924 წლის აჯანყება და ქართული პოლიტიკური ემიგრაცია), ჟურნ. „მნათობი",თბ., 1997, № 11-12.

141) ლევან ჯიქია, ანტისაბჭოთა ეროვნული აჯანყებები სვანეთსა და რაჭა-ლეჩხუმში (1921-1924 წწ.), „საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები" (სამეცნიერო შრომების კრებული), თბ., 2010.

142) ლევან ჯიქია, ბიძინა პირველის და ეგნატე გაბლიანის დაკითხვის ოქმები (1925 წლის იელისი-აგვისტო), „საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები" (სამეცნიერო შრომების კრებული), თბ., 2010.

143) ლელა ჯიყაშვილი, ისინი დაბრუნებაზე ოცნებობდნენ..., გაზ. "კვირის პალიტრა", 2009, 19-25/I, № 3; 26/I-I/II, № 4.

144) მანანა ჯურხაძე, ლეჟილი: სტუმრად ქართველთა სათვისტომოში, გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი",თბ., 2006, I/III, № 6.

145) Оккупация и фактическая аннексия Грузии, Тб., 1990.

სარჩევი:

I თავი — ცხოვრება-მოღვაწეობა საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაპყრობამდე (1888-1921 წ. თებერვალ-მარტი) ____ 5

II თავი — ბრძოლა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის (1921 წ. მარტი - 1924 წ. სექტემბერი) ____ 25

III თავი — ქაქუცა ჩოლოყაშვილი და „შეფიცულთა“ რაზმი ემიგრაციაში (1924 წ. სექტემბერი-1930 წ. ივნისი) ____ 127

IV თავი — გარდაცვალების შემდეგ (1930 წ. ივნისიდან დღემდე) ____ 180

გამოყენებული წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა ____ 211